საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№32 (123)
14 – 20 სექტემბერი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## ძია სემი და 40 თალიბი 11

მამა დავით ისაკაძე:

## ორასამდე მეჩეთია რეგისტრაციაში გატარებული, 18 გახმაურებული კანონპროექტის შემოღების შემდეგ



«საკმარისი მეჩეთები აქვთ აქ მცხოვრებ მუსლიმანებს. აღარაა საჭირო მეტის აშენება»

«ეს ჯიპებიც უფრო პროვოკაციისთვის ჩამოურიგეს მღვდელმთავრებს, რომ შემდეგ მათ მიმართ საზოგადოების აგრესია გამოეწვიათ»



## 8 ნატოს აჩრდილი – მიშას ვენახში

«სირცხვილი არაა, იყო სუსტი; სირცხვილია, უტვინო იყო!»

«აგერ, სულ რაღაც სამი წლის წინათ, ათი ათასობით ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა; ისინი დევნილებად იქცნენ, იმ პიროვნებას კი, რომელსაც ამაში განმსაზღვრელი როლი მიუძღვის, როგორც ვხედავთ, პირიქით, კარ-მიდამო გაუჩნდა»

რეზო ძოძუაშვილი:

## მუშტი უნდა დაერტყათ მაგიდაზე და ეთქვათ სიჭინავასთვის – ან საქართველოს ნაკრებს მსოფლიო პირველობაზე გაიყვან, ან სამუდამოდ უნდა ჩამოსცილდე ფეხბურთს! 12





«რატომ ვერ გააკეთა ქეცბაიამ უფრო მეტი, იცით? თუ ჩხუბობ, მაგარი მუშტი უნდა გქონდეს. ათივე თითი მაგრად უნდა გქონდეს შეკრული. თუ სამი თითით გადიხარ საჩხუბრად... მიიღებ სამი თითის კომბინაციას»



დავით დარჩიაშვილი:

## საზოგადოების ნაწილი კვლავ ფეოდალიზმის ხანაში ცხოვრობს

საქართველომ ხელი მოაწერა გარკვეული ვალდებულებების შესრულებას... ერთ-ერთი ასეთი ვალდებულებაა «რეგიონულ ენათა ქარტია», რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების ენებისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას, ვინაიდან სწორედ ესაა გზა ევროპისკენ 21

## იმანუილ კანტი, მეუფე კალისტრატე და 10







## შოთა არველაძე სააკაშვილის შემოქმედებაში

## მიხეილ სააკაშვილი ამერიკელებს კოსოვოს აღიარებისკენ მოუწოდებდა 4

«ეს ჩვენი აგამემნონი, ეს ჩვენი ჰალსტუხიანი სციპიონი და, ასე ვთქვათ, ანრი დე ლა ტურ დ'ოვერნ ვიკონტ დე ტიურენი საკუთარი მხედართმთავრული ნიჭის გამოვლენის შანსს, როგორც ჩანს, ხელიდან ამ სცენარის ფარგლებშიც არ გაუშვებდა»

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავად ამ ქალბატონების დახასიათება და მეტსახელებით მოხსენიება მეტად სახალისოა. ასე მაგალითად, ეკა ზღულაძე „ძალოვანი სამინისტროს ძალა" ყოფილა, ეკა ტყეშელაშვილი — „სასამართლო რეფორმის ტვინი", ეკა გიგაური — „ენერგიული შემსრულებელი სასაზღვრო პოლიციაში", ანა ჟვანია — „არასამთავრობო სექტორის პატივცემული წარმომადგენელი", ნონა წოწორია — „პროკურატურის ხავერდის ხელთათმანი", ელენე ხოშტარია — „საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის მებრძოლი", მაია ნადირაძე — „პარტიის სახე".**

## ეკა ზღულაძე: ძალოვანი სამინისტროს ძალა

ეკა ზღულაძე, 29 წლის, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა 2006 წლის მაისში. ამ პოსტზე მან შეცვალა ეკა ტყეშელაშვილი, რომელიც გახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. არსებობს ხუმრობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს თანამდებობა მხოლოდ იმ ადამიანებისათვის არის განკუთვნილი, რომელთაც ჰქვიათ "ეკა". ზღულაძე არის დაუღალავი ბიუროკრატი, რომელიც მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა მინისტრის მერაბიშვილის მოსვლამდე და ასრულებს მას შუაღამისას. იგი არის ენამახვილი, მცოდნე და სწორხაზოვანი მოსაუბრე (შენიშვნა: ეს არ იქნებოდა ცალკე აღნიშვნის ღირსი, ლაპარაკი რომ ყოფილიყო მამაკაცზე და, სხვათა შორის, ნორმად ჩაითვლებოდა ქართულ პოლიტიკაში). ეკა იშვიათად, ან საერთოდ არ თმობს მის პოზიციას. ზოგჯერ, მისი ეს თვისება მის პოზიციების სიხისტეს განაპირობებს, მაგრამ ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნისა და დებატების წარმართვის გამოკვეთილი ნიჭის გამო, მან იკისრა მთელ რიგ საკითხებზე სამინისტროს წარმომადგენლის როლი. სწორედ იგი იქნა გაგზავნილი აფხაზეთის თაობაზე ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებებზე ბონში, რათა დაეცვა ზემო კოდორის ხეობაში საქართველოს პოზიციები. გარდა ამისა, იგი რეგულარულად მიემგზავრება ბრიუსელში, რათა მონაწილეობა მიიღოს ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრებში. ზღულაძე თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას, არის დაქორწინებული.

## ეკა შარაშიძე: პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი

ეკა შარაშიძე, ორმაგი ქართულ-ამერიკული მოქალაქეობით, არის პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსი ამ წლის დასაწყისიდან. მანამდე იგი მუშაობდა პრემიერ-მინისტრის მრჩევლად ეკონომიკურ საკითხებში და პრემიერ-მინისტრთან შეკამათების შემდეგ გადავიდა სამუშაოდ თბილისის მერიაში. იგი პრეზიდენტმა თავის ადმინისტრაციაში აიყვანა და გიორგი არველაძის ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადასვლის შემდეგ, იგი მალევე გახდა ადმინისტრაციის უფროსი. მას განათლება მიღებული აქვს აშშ-ში, შესაბამისად თავისუფლად საუბრობს ინგლისურად.

„ვიკილიქსი" ამ ბოლოხანს ისე გვანებივრებს საქართველოს შესახებ დოკუმენტების გამოქვეყნებით, რომ საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება – არც ასეთი მასშტაბური გაჟონვაა შემთხვევითი და არც ამ დოკუმენტების ხასიათი. ტელეგრამებისა და დოკუმენტების მასივში საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გაგზავნილი ერთი დოკუმენტი მართლაც სენსაციურ ხასიათს ატარებს. იგი იმ ქართველ ქალებს ეძღვნება, რომელთაც წამყვანი პოზიციები უკავიათ დღევანდელ ხელისუფლებაში. გთავაზობთ ექსკლუზიურ მასალას რედაქციის კომენტარებით. თავად დოკუმენტი სახელწოდებით „ვინ მართავს საქართველოს" იხილეთ დანართში.


ეკა ზღულაძე


ეკა ტყეშელაშვილი


ეკა გიგაური


ეკა შარაშიძე

# «ოთხი ეკა», სააკაშვილი და «ვიკილიკსი», ანუ ვინ მართავს საქართველოს

მეტად საინტერესოა ისიც, რომ დოკუმენტი მომზადებულია **2007 წლის 21 აგვისტოს,** გაგზავნის თარიღად კი **2011 წლის 30 აგვისტოა** მითითებული. რას უნდა ნიშნავდეს ეს და რაში დასჭირდათ 4 წლის წინანდელი დოკუმენტის ამერიკის საელჩოდან სახელმწიფო დეპარტამენტში დღეს გადაგზავნა? მით უფრო, რომ საელჩოების საქმიანობაში ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იციან — აგვისტო საკუთარი თავის მოყვარული დიპლომატებისთვის მკვდარი თვეა. ვის დასჭირდა ასე სასწრაფოდ უკვე კარგა ხნის მოძველებული ბიოგრაფიული ცნობების გაგზავნა?

ასევე გაუგებარია, გენდერული თანასწორობის მოყვარულმა ამერიკელებმა რატომ გამოარჩიეს ცალკე ქალები. დასკვნაში ნათქვამია:

**„აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერ, დასავლური განათლების მქონე ოფიციალურ პირებს შორის ხელისუფლების ბევრი წამყვანი პოსტი უკავია ქალებს. პარლამენტის სპიკერსა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" სულისჩამდგმელს, პარლამენტში დამაბალანსებელი ძალის მქონე ნინო ბურჯანაძესთან ერთად, საქართველომ შეიძლება იამაყოს მთავრობაში საკვანძო პოზიციებზე, მათ შორის ძალოვან სამინისტროებში, ქალთა დიდი წარმომადგენლობით. ჩვენ მიერ ქვემოთ მოცემულია ამ ქალთა და მათი საქმიანობის დახასიათება".**

ჯერ ერთი, ხელისუფლების ბევრი წამყვანი პოსტი ქალებს არ უკავიათ. პარლამენტში სულ 9 ქალია **(ანუ 6% – ასეთივე მაჩვენებელი იყო წინა პარლამენტებშიც, მაგრამ მაშინ ამას ამერიკელები „ცოტას" უწოდებდნენ),** ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებაში 19 მინისტრიდან სამი ქალია: ეკა ტყეშელაშვილი (ვიცე-პრემიერი, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში), ვერა ქობალია (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი) და ხათუნა კალმახელიძე (სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი). რამდენად კმაყოფილია აშშ-ის საელჩო მათი მიღწევებით, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობას მათი მთავრობაში ყოფნა-არყოფნის საკითხზე მეტად ის პრობლემები აწუხებს, რომელთა მოგვარება მათ არც შეუძლიათ და არც იციან.

დოკუმენტის მომზადების პერიოდში პირველ თანამდებობას მხოლოდ ნინო ბურჯანაძე (პარლამენტის თავმჯდომარე) და ანა ჟვანია (კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი) იკავებდნენ. დანარჩენები უმეტესად მოადგილეობას კმაყოფილდებოდნენ. ეს დაახლოებით ისეა, როგორც საბჭოთა პერიოდში, როცა რაიკომის მეორე მდივანი აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო. გენდერული ბალანსი ამ სახით კომუნისტებსაც უყვარდათ.

აქ უპრიანია, 2004 წელს ახალგაპრეზიდენტებული სააკაშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები გავიხსენოთ, ახალი მთავრობის ფორმირების წინ რომ თქვა:

**„იქნება საშუალო ასაკის, ახალგაზრდობისკენ გადახრილი კაბინეტი, ეს შემიძლია გითხრათ; იქნება სიმპათიური; იქნებიან შიგ ქალები — რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია;**

**ქალები და პროფესიონალები. ჩემი იდეალია, რომ საქართველოს პრეზიდენტიც ქალი იყოს — ოღონდ ეს ბურჯანაძეს არ უთხრათ — ის, რა ჰქვია, პარლამენტის თავმჯდომარეც ქალი იყოს და, საერთოდ, მინისტრების უმრავლესობა იყვნენ ქალები. მართლა მიმაჩნია, რომ ეს იქნება ქვეყნისთვის კარგი. მოხდა ისე, რომ კაცი აირჩიეს ამჯერად; ესეც დროებითია ... მიყვარს ქალები და იმედია, რომ ვუყვარვარ ასევე მათ"** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია. — რედ.).

სხვათა შორის, თავად ნინო ბურჯანაძე, რომელსაც „არ უნდა უთხრათ", რომ ქალი პრეზიდენტი სასურველია, ამ დასკვნაში დახასიათებული არ არის, სამაგიეროდ, ხაზგასმით უთითებენ, თუ რომელი ქალბატონია მისი კადრი და მასთან მეტად დაახლოებული, თუმცა მათ ქვემოთ მივუბრუნდეთ.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ საელჩოს ქალთა ნუსხაში ასევე არ არის შეყვანილი სალომე ზურაბიშვილი, თუნდაც „ოპოზიციის ხმის" სახით (როგორადაც თინა ხიდაშელი გვევლინება). მით უფრო, რომ ვიდრე „ქაჯების წასვლაზე" გააკეთებდა ხმამაღალ განცხადებას, საქართველოში 2003 წლამდე საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის არის, რომ ყველა ჩამოთვლილ ქალბატონს განსაკუთრებულ დამსახურებად ინგლისური ენის ცოდნას უთვლიან. ზოგი მას სრულყოფილად ფლობს, ზოგის ცოდნის დონე კი „დამაკმაყოფილებელია". ცხადია, სალომე ზურაბიშვილმაც იცის ინგლისური, მაგრამ პირველი ენა მისთვის მაინც ფრანგულია, ამიტომაც ვერ მოხვდა იგი ამ „პერსპექტიული ქალბატონების" სიაში.

**თავად ამ ქალბატონების დახასიათება და მეტსახელებით მოხსენიება მეტად სახალისოა. ასე მაგალითად, ეკა ზღულაძე „ძალოვანი სამინისტროს ძალა"** ყოფილა, ეკა ტყეშელაშვილი — **„სასამართლო რეფორმის ტვინი"**, ეკა გიგაური — **„ენერგიული შემსრულებელი სასაზღვრო პოლიციაში"**, ანა ჟვანია — **„არასამთავრობო სექტორის პატივცემული წარმომადგენელი"**, ნონა წოწორია – **„პროკურატურის ხავერდის ხელთათმანი"**, ელენე ხოშტარია — **„საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის მებრძოლი"**, მაია ნადირაძე — **„პარტიის სახე".**

პარტიამ სახე, კარგა ხანია, დაკარგა. ნადირაძემ მაღალანაზღაურებადი სინეკურა მიიღო ხელისუფლებისგან ენერგომარეგულირებელი კომისიის წევრობის სახით. როგორც ამბობენ, თვეში ერთხელ ქუთაისში კომისიის სხდომაში მონაწილეობისთვის იგი მრავალათასიან ხელფასს იღებს. იმ დროისთვის კი (2007 წ.) ამერიკის საელჩო მას ასე ახასიათებს:

**„მაია ნადირაძე, 46 წლის, არის საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარე. ამავე დროს, იგი არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახე. როდესაც ხდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, მაია იძლევა შესაბამის განმარტებას. მისი რეპუტაცია გარკვეულწილად შებღალულია წარსულში მის მიერ პარტიების ხშირი ცვლის გამო. მაგალითად, წარსულში იგი იყო ყოფილი პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერი, შემდეგ გახდა ტრადიციონალისტების ლიდერი და ბოლოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამორჩეული წევრი. იგი დაოჯახებულია, ჰყავს ორი შვილი".**

აშშ-ის საელჩო უზუსტობას უშვებს — **მაია ნადირაძე „ტრადიციონალისტთა" ლიდერი არასოდეს ყოფილა, მიუხედავად აკაკი ასათიანთან მისი მეგობრობისა. საელჩოს არც იმის შესახებ აქვს ინფორმაცია, რომ მაია ნადირაძის პირველი ქმარი იმჟამად პოლიტპატიმარი ირაკლი ბათიაშვილი იყო.** მას მხოლოდ წლინახევრის შემდეგ, 2008 წლის იანვარში გაათავისუფლებენ პატიმრობიდან. ვინმემ შეიძლება მიიჩნიოს, რომ აშშ-ის საელჩო პირადი ცხოვრების ამგვარ დეტალებს დელიკატურად უვლის გვერდს, მაგრამ ყველა ქალბატონის შესახებ ცნობაში ხაზგასმით არის მითითებული, დაოჯახებულია თუ არა იგი და რამდენი შვილი ჰყავს. **მეტიც, ანა ჟვანიას შესახებ იმაზეც კი არის მითითება, რომ მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები ჰქონდა ბოლო პერიოდში, რის გამოც მკურნალობას გადის ისრა-** ▶




**დოკუმენტი მომზადებულია 2007 წლის 21 აგვისტოს, გაგზავნის თარიღად კი 2011 წლის 30 აგვისტოა მითითებული. რას უნდა ნიშნავდეს ეს და რაში დასჭირდათ 4 წლის წინანდელი დოკუმენტის ამერიკის საელჩოდან სახელმწიფო დეპარტამენტში დღეს გადაგზავნა? ვის დასჭირდა ასე სასწრაფოდ უკვე კარგა ხნის მოძველებული ბიოგრაფიული ცნობების გაგზავნა?**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ჩანს, აშშ-ც აღიარებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ როლს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაც შეეხება იმას, რომ ზღულაძე „არასოდეს თმობს პოზიციებს“, საქართველოს მოსახლეობას კარგად ახსოვს ეკა ზღულაძის განცხადება 2008 წლის აგვისტოში იმის შესახებ, რომ „რუსული ტანკები თბილისზე აღარ მოდიან – ორჭოსანთან გადაუხვიეს“!**




## ეს დოკუმენტი მეტისმეტად წააგავს საბჭოთა ხანაში ახალგაზრდა კომუნისტების დათვალიერებას

**◀ელში. იგი დაქორწინებულია და ელოდება პირველ შვილს შემოდგომაზე. იგი თავისუფლად საუბრობს ინგლისურ ენაზე.**

საელჩო ხაზგასმით იტყობინება, რომ ჟვანიამ, რომელიც იყო პრეზიდენტის მრჩეველი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, არასამთავრობო სექტორში გამორჩეული მუშაობის შემდეგ, გადაინაცვლა ქართული საზოგადოების ყველაზე მამაკაცურ სფეროში. ამერიკელების აზრით, იგი არის ნიჭიერი, ღრმად მოაზროვნე და მშვიდად მოსაუბრე. შემდეგ მის სამსახურებრივ პრობლემებზეც უთითებენ:

**„ჩვენ გავიგეთ, რომ მას პრობლემები აქვს მის მოადგილესთან (და არა მარტო მასთან), რომელიც უარს აცხადებს, წარუდგინოს მას დეტალური ანგარიშები“.**

და მიუხედავად იმისა, რომ მას საკუთარი მოადგილეც კი არ აბარებს ანგარიშს, აშშ-ის საელჩო მაინც დაასკვნის:

**„თუმცა ჟვანია, შესაძლებელია, მოვიაზროთ სამომავლოდ პოლიტიკაში, ვინაიდან მას დიდ პატივს სცემენ საქართველოში მისი პატიოსნებისა და პრინციპების გამო“.**

ანა ჟვანიას საქართველოში ზოგადად არ იცნობენ, არც მისი პრინციპების თაობაზეა ვინმე ინფორმირებული, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს; მთავარია, რომ მას აშშ-ის საელჩო სცემს პატივს.

საელჩოს ინფორმაციას ოთხი ეკა ხსნის: **ეკა ზღულაძე, ეკა ტყეშელაშვილი, ეკა გიგაური და ეკა შარაშიძე.**

**„ეკა ზღულაძე, 29 წლის, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა 2006 წლის მაისში. ამ პოსტზე მან შეცვალა ეკა ტყეშელაშვილი, რომელიც გახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. არსებობს ხუმრობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს თანამდებობა მხოლოდ იმ ადამიანებისათვის არის განკუთვნილი, რომელთაც ჰქვიათ „ეკა“. ზღულაძე არის დაუღალავი ბიუროკრატი, რომელიც მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა მინისტრის — მერაბიშვილის მოსვლამდე და ასრულებს მას შუაღამისას. იგი არის ენამახვილი, მცოდნე და სწორხაზოვანი მოსაუბრე (შენიშვნა: ეს არ იქნებოდა ცალკე აღნიშვნის ღირსი, ლაპარაკი რომ ყოფილიყო მამაკაცზე და, სხვათა შორის, ნორმად ჩაითვლებოდა ქართულ პოლიტიკაში). ეკა იშვიათად ან საერთოდ არ თმობს მის პოზიციას. ზოგჯერ მისი ეს თვისება მისი პოზიციების სიხისტეს განაპირობებს, მაგრამ ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნისა და დებატების წარმართვის გამოკვეთილი ნიჭის გამო, მან იკისრა მთელ რიგ საკითხებზე სამინისტროს წარმომადგენლის როლი. სწორედ იგი იქნა გაგზავნილი აფხაზეთის თაობაზე ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებებზე ბონში, რათა დაეცვა ზემო კოდორის ხეობაში საქართველოს პოზიციები. გარდა ამისა, იგი რეგულარულად მიემგზავრება ბრიუსელში, რათა მონაწილეობა მიიღოს ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრებში. ზღულაძე თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას, არის დაქორწინებული“.**

**პირველ ადგილზე საელჩოს დასკვნაში ეკა ზღულაძე ანბანური რიგით ვერ მოხვდებოდა.** ეს უფრო იმას უკავშირდება, რომ იგი „საქართველოს ხერხემლის“ — ვანო მერაბიშვილის მოადგილეა. **როგორც ჩანს, აშშ-ც აღიარებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ როლს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაც შეეხება იმას, რომ ზღულაძე „არასოდეს თმობს პოზიციებს“, საქართველოს მოსახლეობას კარგად ახსოვს ეკა ზღულაძის განცხადება 2008 წლის აგვისტოში იმის შესახებ, რომ „რუსული ტანკები თბილისზე აღარ მოდიან – ორჭოსანთან გადაუხვიეს“!**

**მომდევნო ეკა ტყეშელაშვილია.** საოცარია, აშშ-ის საელჩოს უცერემონიობა ტყეშელაშვილის ქებისას კოტე კუბლაშვილის უუნარობაზე ხაზგასმისას. დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს იმ „სამთავრობო კარუსელებსაც“, რომლითაც პრეზიდენტი და მისი გარემოცვა იქცევდნენ თავს. ერთი და იგივე „ნაცელიტა“ ისეთი თავბრუდამხვევი ტემპით ცვლიდა სავარძლებს, რომ მათი თანამდებობების დამახსოვრება მოსახლეობასაც უჭირდა და ჟურნალისტებსაც.

**„ეკა ტყეშელაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრის მოადგილეობამდე იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ხოლო მანამდე მთავრობის გარეთ მოღვაწეობდა ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში სამართლებრივი კუთხით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კუბლაშვილის ნაკლებად წონადი ფიგურის ფონზე იგი მოიაზრება სასამართლო რეფორმის ტვინად. ზღულაძის მსგავსად, ტყეშელაშვილი მუდამ დარწმუნებულია თავის სიმართლეში. თუმცა იგი უკეთესი დიპლომატია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ზრდილობიანობისა და სამართლებრივ ფარგლებში აფიქსირებს მის უთანხმოებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით“.**

**რიგით მესამე ეკა გიგაურია,** სასაზღვრო პოლიციის რესურსების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

**„მან სასაზღვრო პოლიციაში მუშაობა დაიწყო 2004 წლის შუიდან, კერძო სექტორში გარკვეული პერიოდით მუშაობის შემდეგ და ექვსი თვის შემდეგ დაწინაურებული იქნა ამჟამინდელ თანამდებობაზე, რომელზეც შეცვალა ბრიგადის გენერალი. ამ პოსტზე ეკამ მოახდინა სასაზღვრო პოლიციის სამხედრო ძალიდან სამართალდამცავ ძალად გარდაქმნა. ამავე დროს, იგი ხელმძღვნელობდა ახალწვეულთა სისტემიდან საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლის რთულ პროცესს, კოორდინირებას უწევდა რა ტესტირებების, ინტერვიუებისა და ტრენინგების ჩატარებას ახალი თანამშრომლებისათვის. ცნობილია, რომ იგი ეფექტურად და პროდუქტიულად მუშაობდა მის უფროსთან, ბადრი ბიწაძესთან (ამავე დროს, სპიკერ ბურჯანაძის მეუღლე), მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ცნობილი არის მოძველებული საბჭოთადროინდელი მართვის სტილით. გავრცელებული ჭორის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ეკა არ არის სპიკერ ბურჯანაძის ნათლული. იგი არ არის დაქორწინებული და ცხოვრობს მშობლებთან ერთად. მის მამას ეკავა მაღალი თანამდებობა შევარდნაძის მთავრობაში 1990-იანი წლების ბოლოს“.**

დღეს ბრიგადის გენერლის შემცვლელი ეკა გიგაური „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორია. როცა სააკაშვილი კორუფციის დამარცხებით იწონებს თავს, იგი სწორედ ამ ორგანიზაციის მონაცემებს ეყრდნობა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მტკიცებით კი, თბილისის მოსახლეობის 77% მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობა „ეფექტური“ ან „ძალიან ეფექტურია“. ასე გამოიყურება ეკა გიგაური „ეფექტურობა და პროდუქტიულობის“ ნაციონალური ხელისუფლების სამსახურში.

**მეოთხე ეკა შარაშიძეა.** მის შესახებ ცნობები ისეთივე არადამახსოვრებელია, როგორც მისი მუშაობა, მაგალითად, დღეს [illegible] მიერ გასკანდალებული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტზე. ერთადერთი, რაც ყურადღებას იქცევს, ის არის, რომ **„იგი მუშაობდა პრემიერ-მინისტრის მრჩევლად ეკონომიკურ საკითხებში და პრემიერ-მინისტრთან შეკამათების შემდეგ გადავიდა სამუშაოდ თბილისის მერიაში“.** როგორც ჩანს, ეკა შარაშიძე სააკაშვილის ხელისუფლებაში იმ უმცირესობის წარმომადგენელია, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია შეკამათების უნარი.

**„პროკურატურის ხავერდოვან ხელთათმანად“** წოდებული ნონა წოწორიას შესახებ ვკითხულობთ: **„ნონა წოწორია, გენერალური პროკურორის მოადგილე, არის გენერალური პროკურორის მარჯვენა ხელი. მასზე შეიძლება დაყრდნობა, იგი არის საიმედო და საკმაოდ მაღალი ნდობით სარგებლობს როგორც ქართველებში, ასევე უცხოელებში მისი ზომიერი და შედეგებზე ორიენტირებული მიდგომების გამო. იგი 30 წელს გადაშორებულია, ზღულაძესა და ტყეშელაშვილზე უფროსია და ეკუთვნის ქართველ ქალთა სხვა თაობას. იმის გამო, რომ მას უცხოელებთან ურთიერთობის ოდნავ მეტი გამოცდილება აქვს, ზოგი მას უფრო სასურველ მოსაუბრედ მიიჩნევს. ამავე დროს, იგი უფრო მეტად „ქალურია“, ტრადიციული გაგებით, იგი არ საუბრობს გულახდილად და პირდაპირ. მან ახლახან შეწყვიტა აკადემიური პროგრამა პენსილვანიის უნივერსიტეტში, რათა დაბრუნებულიყო საქართველოში ახლო მომავალში ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად. წოწორია არ არის დაქორწინებული“.**

ნონა წოწორია დაინიშნა კიდეც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოსამართლედ და, საოცარი დამთხვევით, იქ სანდრო გირგვლიანის საქმეს განიხილავდა. რამდენად მართებულია, ქვეყანაში უსამართლო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი იმავე მოსამართლემ განიხილოს, რომელიც მის წარმოებაში გენერალური პროკურორის სტატუსით მონაწილეობდა, მკითხველმა განსაჯოს.

შემდეგი სამი ქალბატონი აშშ საელჩოს ნუსხაში „ბურჯანაძის ნათლულები“ არიან. ლალი ფაფიაშვილი — „პარლამენტის მშვიდი, მაგრამ ეფექტური წევრი“, ირინა ქურდაძე — „სპიკერის მარჯვენა ხელი“ და ნინო ნაკაშიძე — „საქართველოს წარმდგენი საზღვარგარეთ“. **ნიშანდობლივია, რომ ბურჯანაძის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ლალი ფაფიაშვილი ირინა ქურდაძემ შეცვალა. თავად ფაფიაშვილმა კი პარლამენტის წევრობას „გამოჰკრა ხელი“. ნინო ნაკაშიძე კი, როგორც მოარული ხმები ამტკიცებს, ნინო ბურჯანაძის ინგლისური ენის რეპეტიტორი იყო და სწორედ ამ დამსახურებისთვის შეიყვანა იგი საარჩევნო სიაში საკუთარი კვოტით ბურჯანაძემ. ნაკაშიძემ ჯერ დავით ბაქრაძე შეცვალა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე, ხოლო 2008 წელს, ნინო ბურჯანაძის ოპოზიციაში წასვლის შემდეგ, მას „საფლავში არ მიჰყვება“; ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტრო ევროპის საბჭოს სამმართველოს უფროსად ინიშნება, ხოლო სულ რაღაც 6 თვეში – საქართველოს ელჩად ჩეხეთის რესპუბლიკაში.**

არც დანარჩენი ორი „ნათლული“ რჩება შერისხული ექს-სპიკერის ბანაკში. მათაც საკუთარი კარიერა არჩიეს პოლიტიკაში მათი მომყვანის ერთგულებას. **თუმცა პოლიტიკური ღალატის თემა მხოლოდ ქალებში როდია აქტუალური; თავის დროზე უდროოდ გარდაცვლილ პრემიერ-მინისტრს — ზურაბ ჟვანიასაც ასე უღალატეს თანამებრძოლებმა და სააკაშვილის ნავში ჩახტომა ამჯობინეს.**

ერთი სიტყვით, რას ემსახურებოდა აშშ-ის საელჩოს ეს ნაგვიანევი დოკუმენტი, უცნობია, მაგრამ ერთი კი ნამდვილად უდავოა — **იგი მეტისმეტად წააგავს საბჭოთა ხანაში ახალგაზრდა კომუნისტების დათვალიერებას. როგორც ჩანს, ამერიკელებისთვისაც „კადრები წყვეტენ ყველაფერს“, განსაკუთრებით — ინგლისური ენის მცოდნე და ამერიკაზე ორიენტირებული კადრები.**



**P.S.** გასული საუკუნის 70-იან წლებში პოპულარული პოლონური ტელესერიალის „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ პერსონაჟებიდან ერთ-ერთი – საბრძოლო მანქანის ეკიპაჟის ქართველი წევრი სააკაშვილის გვარს ატარებდა. გრიშა სააკაშვილი ეკიპაჟის სული და გული იყო, მძღოლი-მექანიკოსი. იგი ოსტატურად მართავს ტანკს და, მიუხედავად იმისა, რომ მანქანაზე მთელი ეკიპაჟი იყო შეყვარებული, გრიშა საკაშვილი მაინც ყველაზე მეტად იყო მასზე მიჯაჭვული. ფილმის მიხედვით, იგი ერთადერთი არაპოლონელია ტანკის ეკიპაჟში და ტემპერამენტული ქართული ხასიათით გამოირჩევა. გრიშა სააკაშვილი თავს სანდომირელად აცხადებს, რადგან დაიღალა იმის ახსნით, თუ სად არის საქართველო.

## ეკა ტყეშელაშვილი: სასამართლო რეფორმის ტვინი

ეკა ტყეშელაშვილი, 30 წლის, არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. მას Muskie Fellow პროგრამის ფარგლებში დამთავრებული აქვს ნოტრ დამის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიღებული აქვს ადამიანთა უფლებების საერთაშორისო სამართალის მაგისტრის ხარისხი. იგი არის ნიჭიერი, უნარიანი და დინამიური პიროვნება. შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრის მოადგილეობამდე, იგი იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ხოლო მანამდე მთავრობის გარეთ მოღვაწეობდა ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში სამართლებრივი კუთხით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კუბლაშვილის ნაკლებად წონადი ფიგურის ფონზე იგი მოიაზრება სასამართლო რეფორმის ტვინად. ზღულაძის მსგავსად, ტყეშელაშვილი მუდამ დარწმუნებულია თავის სიმართლეში. თუმცა, იგი უკეთესი დიპლომატია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ზრდილობიანობისა და სამართლებრივ ფარგლებში აფიქსირებს მის უთანხმოებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თუკი არსებობს მოსამართლე, რომელიც არასოდეს არ მოექცევა გარე ძალების გავლენის ქვეშ, ეს ტყეშელაშვილია.

## ეკა გიგაური: ენერგიული შემსრულებელი სასაზღვრო პოლიციაში

ეკა გიგაური, 30 წლამდე, არის საქართველოს სასაზღვრო პოლიციის რესურსების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე. მან სასაზღვრო პოლიციაში მუშაობა დაიწყო 2004 წლის შუიდან, კერძო სექტორში გარკვეული პერიოდით მუშაობის შემდეგ და ექვსი თვის შემდეგ დაწინაურებული იქნა ამჟამინდელ თანამდებობაზე, რომელზეც შეცვალა ბრიგადის გენერალი. ამ პოსტზე ეკამ მოახდინა სასაზღვრო პოლიციის სამხედრო ძალიდან სამართალდამცავ ძალად გარდაქმნა. ცნობილია, რომ იგი ეფექტურად და პროდუქტიულად მუშაობდა მის უფროსთან, ბადრი ბიწაძესთან (ამავე დროს, სპიკერ ბურჯანაძის მეუღლე), მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ცნობილი არის მოძველებული საბჭოთადროინდელი მართვის სტილით. იგი არ არის დაქორწინებული და ცხოვრობს მშობლებთან ერთად. მის მამას ეკავა მაღალი თანამდებობა შევარდნაძის მთავრობაში 1990-იანი წლების ბოლოს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ გზავნილში სააკაშვილი (ირაკლი ოქრუაშვილისგან განსხვავებით) წარმოჩენილია ერთგვარ „მშვიდობის მტრედად“. ტელეგრამის გაგზავნიდან მეორე დღეს ხსენებულმა მტრედმა, ილჰამ ალიევის თქმით, მას ვილნიუსში განუცხადა, რომ „თავისი ძლიერი არმიით“ აფხაზეთს სამხედრო გზით დაიბრუნებს.**



„მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი ხანდახან სისულელეებს ლაპარაკობს, ის სულელურს არაფერს გააკეთებს,“ — ეს განცხადება აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, „WikiLeaks“-ის ახალ პუბლიკაციას თუ ვენდობით, 2007 წლის 3 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან, დენიელ ფრიდთან საუბრისას გააკეთა. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში სააკაშვილის ხელისუფლებამ სადისტურად დაარბია მშვიდობიანი დემონსტრანტები თბილისში, რითაც გამოიწვია განხეთქილება საზოგადოებაში და მწვავე პოლიტიკური კრიზისი, რომელიც დაძლეული, პრინციპში, დღემდე არ არის, სულ რაღაც ცხრა თვის შემდეგ კი საქართველო საშინელ ომში გახვია. როგორც ჩანს, ილჰამ ალიევს სააკაშვილის კეთილგონიერების სჯეროდა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ცხადყოფს: ის, ვინც სისულელეებს ლაპარაკობს, ადრე თუ გვიან რაიმე სულელურს ჩაიდენს.



# მიხეილ სააკაშვილი ამერიკელებს კოსოვოს აღიარებისკენ მოუწოდებდა

## გამოცხადებული თვითმკვლელობის ქრონიკა

„WikiLeaks“-ის მიერ გამოქვეყნებული ტელეგრამა, რომელიც ალიევისა და ფრიდის საუბარს ასახავს, მთლიანობაში ძალზე საინტერესოა, თუმცა ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთს განვიხილავთ, რომელიც საქართველოს უშუალოდ ეხება. მაშ ასე, 2007 წლის ნოემბერია და ყველასთვის ცხადია, რომ მალე დღის წესრიგში კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი დადგება: **„ალიევმა თქვა, რომ კოსოვო რეგიონისთვის სერიოზული პრობლემაა. ის ფიქრობს, რომ რუსეთი აფხაზეთს აღიარებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კოსოვოს ცალმხრივად აღიარებენ. სააკაშვილმა ალიევს ვილნიუსში უთხრა (იქ 2010 წლის 10 ოქტომბერს „სუამ“-ის საიუბილეო სამიტი ჩატარდა. — ავტ.), რომ, თუ რუსეთი აფხაზეთს აღიარებს, საქართველო რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს გაწყვეტს და თავისი ძლიერი არმიით და სამხედრო ბიუჯეტით აფხაზეთს სამხედრო გზით დაიბრუნებს. ალიევმა უთხრა ფრიდს, რომ მოვლენების ამ ჯაჭვმა შეიძლება რეგიონის „აფეთქება“ გამოიწვიოს და აქედან მოდის მისი შეშფოთება კოსოვოსთან დაკავშირებით“.** რეალურად აღიარება ომს მოჰყვა და არა პირიქით: ომი — აღიარებას, თუმცა ამ ჰიპოტეტური სცენარის ფარგლებშიც კი, რომელსაც ალიევი და ფრიდი განიხილავდნენ, რუსეთ-საქართველოს ომის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელი ჩანს, რადგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთანავე რუსეთი, სავარაუდოდ, საკუთარ თავზე მისი დაცვის ვალდებულებასაც აიღებდა, ისევე, როგორც ეს აგვისტოს ომის შემდეგ მოხდა. **ასე რომ, ეს ჩვენი აგამემნონი, ეს ჩვენი ჰალსტუხიანი სციპიონი და, ასე ვთქვათ, ანრი დე ლა ტურ დ'ოვერნ ვიკონტ დე ტიურენი საკუთარი მხედართმთავრული ნიჭის გამოვლენის შანსს, როგორც ჩანს, ხელიდან ამ სცენარის ფარგლებშიც არ გაუშვებდა.**

შესაძლოა, ილჰამ ალიევი, როდესაც ვილნიუსში სააკაშვილის აღგზნებულ მილიტარისტულ რიტორიკას ისმენდა, მივიდა დასკვნამდე (ან უბრალოდ იგრძნო, დაინახა რაღაც თანამოსაუბრის ამღვრეულ თვალებში), რომ საფრთხე რეალურია და სააკაშვილს საქართველო სისხლიანი კატასტროფისკენ მიჰყავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, ალბათ, ამ მომენტს ცალკე არ გამოყოფდა და შემოიფარგლებოდა ფორმულით „სისულელეებს ლაპარაკობს“.

კიდევ ერთი ციტატა: **„ალიევმა თქვა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა მაისში მასთან ბევრი ისაუბრა იმაზე, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხს განიხილავს, მაგრამ არა მთიანი ყარაბაღის. ფრიდი დაეთანხმა, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთმა მთიან ყარაბაღში „უსიამოვნება გამოიწვიოს“.** ლავროვის კომენტარის მიუხედავად, ის არ ფიქრობს, რომ რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. აშშ-ის ხელისუფლებამ შეატყობინა რუსეთს, რომ აფხაზეთის აღიარება ორმხრივ ურთიერთობებში მთავარი პრობლემა გახდება და ამის თაობაზე სახელმწიფო მდივანმა რაისმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი თავადვე გააფრთხილა. თუ რუსეთი აფხაზეთს აღიარებს, აშშ და ევროპა ისეთი ძალით უპასუხებენ, რომ ეს რუსეთის „დამცირებას“ გამოიწვევს“. ამ შემთხვევაში, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრიდი სავსებით ადეკვატურია, რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარება „ჩვეულებრივ პირობებში“, ფორს-მაჟორული გარემოებების გარეშე, დასავლეთის კონსოლიდირებულ, მკვეთრ რეაქციას მართლაც გამოიწვევდა და აქედან გამომდინარე, რუსეთს ამის გაკეთება ნამდვილად არ ულირდა. მაგრამ სააკაშვილმა იმდენი მოახერხა, რომ შექმნა სიტუაცია, რომელმაც დასავლეთის ასეთი რეაქცია შეუძლებელი გახადა. **„ღია საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველოს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციით ცხინვალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის წინააღმდეგ,“** — წერია „ტალიავინის კომისიის“ დასკვნაში. ამ გარემოებამ კრემლს დასავლეთთან საუბარში დამატებითი (თუ არა მთავარი) არგუმენტი მისცა.

**„ფრიდი და ალიევი შეთანხმდნენ, რომ ქართველების სამხედრო პასუხი რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარებაზე უგუნური იქნებოდა და ფრიდმა თქვა, რომ გააფრთხილა სააკაშვილი, აფხაზეთში სამხედრო ვარიანტი არ გამოიყენოს. ფრიდმა უთხრა სააკაშვილს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი აფხაზეთს აღიარებს, საქართველო „მსოფლიოს მხარადაჭერას იგრძნობს“.** აქ, ალბათ, „WikiLeaks“-ის კიდევ ერთი პუბლიკაციის ციტირება დაგვჭირდება; 2007 წლის 9 ოქტომბერს ვაშინგტონში გაგზავნილ ტელეგრამაში აშშ-ის ელჩი საქართველოში, ჯონ ტეფტი წერს: **„ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ სააკაშვილი მართალია იმაში, რომ ამ კონფლიქტების სამხედრო გადაწყვეტა შეუძლებელია“.** ამ გზავნილში სააკაშვილი (ირაკლი ოქრუაშვილისგან განსხვავებით) წარმოჩენილია ერთგვარ „მშვიდობის მტრედად“. ტელეგრამის გაგზავნიდან მეორე დღეს ხსენებულმა მტრედმა, ილჰამ ალიევის თქმით, მას ვილნიუსში განუცხადა, რომ „თავისი ძლიერი არმიით“ აფხაზეთს სამხედრო გზით დაიბრუნებს. **აქ საქმე, ალბათ, გარკვეულ შეუსაბამობასთან გვაქვს, თუ სააკაშვილი (ტეფტის მიხედვით) ასეთი პაციფისტი გახლდათ, რაღა საჭირო იყო მისთვის გაფრთხილების მიცემა (ფრიდის მიხედვით), და საერთოდ, იცოდა თუ არა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მარჯვენა ხელმა, რას აკეთებდა მარცხენა? იყო თუ არა ჯონ ტეფტი ადეკვატური თავის შეფასებებში?**

ამის დადგენა მხოლოდ თეორიულ ინტერესს როდი წარმოადგენს. ასეთი ბუნდოვანებისა და, ერთის შეხედვით, უმნიშვნელო დეტალების მიღმა, სავარაუდოდ, იმალება კარგად მიჩქმალული სიმართლე აგვისტოს ომისა და ჩვენი ეროვნული კატასტროფის შესახებ.



**ილჰამ ალიევი, როდესაც ვილნიუსში სააკაშვილის აღგზნებულ მილიტარისტულ რიტორიკას ისმენდა, მივიდა დასკვნამდე (ან უბრალოდ იგრძნო, დაინახა რაღაც თანამოსაუბრის ამღვრეულ თვალებში), რომ საფრთხე რეალურია და სააკაშვილს საქართველო სისხლიანი კატასტროფისკენ მიჰყავს.**

## ნუ გეშინია, ამერიკავ...

საინტერესოა, რა რეაქცია ჰქონდა სააკაშვილს ფრიდის ამ „გაფრთხილებაზე“? **„თავის მხრივ, სააკაშვილმა უთხრა ფრიდს კოსოვოსთან დაკავშირებით, რომ აშშ-მა თავი რუსებისგან „შეშინებულად“ არ უნდა იგრძნოს, არამედ წინ უნდა წავიდეს და კოსოვო აღიაროს,“** — ნათქვამია „WikiLeaks“-ის მიერ გამოქვეყნებულ ტელეგრამაში. რა კომენტარი შეიძლება გაკეთდეს ამაზე? კროსვორდების მოყვარულები რომ იტყვიან, **„დოსტოევსკის**

▶

მსოფლიო

## ჩინეთში გამრავლებაზე ჯარიმა გაამკაცრეს

**ჩინეთის ხელისუფლება ქალს, რომელიც ადგილობრივი კანონის გვერდის ავლით მეორე შვილს საზღვარგარეთ გააჩენს, ჯარიმას დააკისრებს.** ბოლო წლებში სულ უფრო მეტი წყვილი აჩენს მეორე შვილს საზღვარგარეთ, შემდეგ კი სამშობლოში ბრუნდება. ჯარიმის ოდენობა მოქალაქის წლიური შემოსავლის ნახევარი ან მესამედი შეიძლება იყოს. სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ადამიანი კი ამ კანონდარღვევისთვის, ჯარიმის გარდა, ადმინისტრაციულ სასჯელსაც მიიღებს, მაგალითად, სამსახურს დაკარგავს.



## კადაფის ცოლი კურორტს ყიდულობს

**ლიბიის ყოფილი ლიდერის, მუამარ კადაფის მეუღლე სოფია ხორვატიაში ტურისტული კურორტის ყიდვას აპირებს.** როგორც ხორვატული პრესა იუწყება, საქმე ეხება ქალაქ იგრანეს საკურორტო ზონას, რომელიც სამხრეთ დალმატიაში მდებარეობს. იუგოსლავიის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ულამაზესი ქალაქი ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა. კურორტის შესყიდვაზე მოლაპარაკებები სოფიამ ლიბიაში ვითარების დაძაბვისთანავე დაიწყო და დღემდე აგრძელებს.


Viewing cable 07BAKU1357, PRESIDENT ALIYEV REVIEWS REGIONAL ISSUES WITH EUR

If you are new to these pages, please read an introduction on the structure of a cable as well as how to discuss them with others. See also the FAQs

| Reference ID | Created | Released | Classification | Origin |
|---|---|---|---|---|
| 07BAKU1357 | 2007-11-13 08:50 | 2011-08-30 01:44 | CONFIDENTIAL | Embassy Baku |

C O N F I D E N T I A L SECTION 01 OF 07 BAKU 001357

SIPDIS

SIPDIS

DEPARTMENT OF ENERGY PASS TO A/S KAREN HARBERT, DAS ALAN HEGBURG, OFFICE OF RUSSIA/EURASIAN AFFAIRS DIRECTOR LANA EKIMOFF

**ვიდრე აშშ-ის ხელისუფლება თავად არ უარყოფს ცნობებს, რომელსაც „WIKILEAKS"-ის მიერ გამოქვეყნებული ესა თუ ის ტელეგრამა შეიცავს, ალბათ, ლოგიკური იქნება, ეს ინფორმაცია ლეგიტიმურად და სარწმუნოდ მივიჩნიოთ; ასეა ამ შემთხვევაშიც, მითუმეტეს, რომ ანგარიში ალიევისა და ფრიდის საუბრის შესახებ მთლიანობაში სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება.**

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რომანი, ექვსი ასო ჰორიზონტალით" — ეს, ალბათ, ფინიშია. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში მსგავსი რეპლიკები ძნელად თუ მოიძებნება. არ შეგეშინდეს, ამერიკავ, მიშა შენთანაა... **რა მოხდენილი მიდგომაა ზესახელმწიფოს წარმომადგენელთან ურთიერთობაში; შურით აღვსილი ტალეირანი, ალბათ, საფლავში ციბრუტივით ტრიალებს. თითოეული ნაბიჯი კოსოვოს დამოუკიდებლობის გზაზე ვაშინგტონში ათასჯერ აწონეს, გათვალეს და დაგეგმეს კიდეც და ამ დროს მოდის ეს ადამიანი, რომელიც ამ შემთხვევაში, ალბათ, „თვითმავალი ანეგდოტის" საპატიო წოდებას იმსახურებს, საუბრობს შიშზე, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორზე, და თეთრ სახლს გოროზ რჩევებს აძლევს.** როგორც ცნობილია, საქართველო კოსოვოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს. 2008 წლის 8 მაისს ბათუმში რუსი ჟურნალისტების ჯგუფთან შეხვედრაზე სააკაშვილმა თქვა: **„ჩვენ კოსოვოს დამოუკიდებლობას არ ვაღიარებთ. ეს ჩვენი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ მართლები ვართ. საჭირო იყო სერბებისა და ალბანელების მოლაპარაკებისთვის გაცილებით მეტი შესაძლებლობის მიცემა. ვფიქრობ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით იჩქარეს" („Известия"). თუმცა, თუ „WIKILEAKS"-ი და დენიელ ფრიდი არ ტყუიან, სააკაშვილი ჩუმად აქეზებდა ამერიკელებს, კოსოვო ეღიარებინათ. ისე, რუსთაველმა დეტალურად კი დაწერა, რა შედეგები მოაქვს სიცრუესა და ორპირობას და, როგორც ვხედავთ, სააკაშვილის გადამკიდე, „საკუთარი კოსოვო" სახლიდან გაუსვლელად, საქართველოში მივიღეთ.**

**ფაქტია, ამერიკელი დიპლომატის რეპლიკა მოცემული სახით უცნაურ, დაუსრულებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, გამოდის, რომ მას შემდეგ, რაც ფრიდმა გააფრთხილა სააკაშვილი, რომ აფხაზეთში ძალა არ უნდა გამოიყენოს, მან, „თავის მხრივ", კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდა. არანაირი გამყოფი ამ ორ მონაკვეთს შორის (მაგალითად, „სააკაშვილმა მითხრა, რომ სამშვიდობო დარეგულირების მომხრეა") არ შეინიშნება.** ცხადია, ანგარიში შეხვედრის შესახებ სრული სტენოგრამა არ არის, თუმცა საკვანძო მონაკვეთის მსგავსი „ამოვარდნა" ტექსტის კიდევ ერთ ადგილას გვხვდება. ციტატა: **„ფრიდმა უთხრა სააკაშვილს, რომ საქართველოს ინსტიტუტები ჯერ კიდევ სუსტია და განმტკიცებას საჭიროებს, დღეს კი საქართველოში „ყველაფერი სააკაშვილია". ამასთან დაკავშირებით, უმჯობესი იქნებოდა, სააკაშვილს უკეთესი საპარლამენტო ოპოზიცია ჰყოლოდა. ალიევი დაეთანხმა, რომ „იქ არავინ იყო, ვინც სააკაშვილს ჩაანაცვლებდა", თუმცა თქვა, რომ პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე კარგი ადამიანი გახლდათ".** ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **რას „დაეთანხმა" ალიევი?** ფრიდი თითქოსდა არაფერს ამბობს იმაზე, რომ სააკაშვილი შეუცვლელია, მეტიც, ამის თქმა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დეკლარირებულ პრინციპებთან სერიოზულ წინააღმდეგობაში შევიდოდა. მაგრამ ალიევი რაღაცას მაინც „ეთანხმება", თუმცა, ამასთანავე, ალტერნატივის არსებობაზე მიანიშნებს. თქვა თუ არა ფრიდმა შუალედში, რომ სააკაშვილს ალტერნატივა არ აქვს?

ამ შეხვედრის შემდეგ 10 დღე გავა და 7 ნოემბრის დარბევის კვალობაზე „Washington Post-ი დაწერს: **„მიშამ, როგორც მეგობრები უწოდებენ, სულ რაღაც ერთ კვირაში ამერიკულ „დემოკრატიის მხარდაჭერას" უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე თორმეტი პერვეზ მუშარაფი ოდესმე შეძლებდა".** გავა სამი თვე და იმავე ნინო ბურჯანაძეს თუ დავუჯერებთ, დასავლელი პარტნიორები, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე სააკაშვილს ხელისუფლების სათავეში ხელმეორედ მოიყვანენ, თანაც საქართველოს მოქალაქეების არჩევანის უგულებელყოფის ხარჯზე: **„ყველამ ვიცოდით, რომ მეორე ტური იყო, მაგრამ ამაზე ყველამ თვალი დავხუჭეთ. მშვენივრად მახსოვს, ჩვენი დასავლელი მეგობრების ასეთი... დაჟინებული რჩევები, განსაკუთრებით ჩემი მისამართით, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოგვეცხადებინა მეორე ტური,"** — თქვა ბურჯანაძემ „Эхо Москвы"-სთვის მიცემულ ინტერვიუში (11.07.2011). შემდეგ კი იყო აგვისტოს ომი და, ალბათ, უნდა დავიჯეროთ, რომ აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ, პენტაგონის შესაბამისმა სტრუქტურებმა და კიდევ უამრავმა უწყებამ, რომელთა მოვალეობას ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი წარმოადგენს, არ იცოდნენ, ვერ განჭვრიტეს, რომ სააკაშვილი საქართველოს ომისკენ მიაქანებს. ან იქნებ იცოდნენ? და თუ იცოდნენ, რატომ იცავდა აშშ სააკაშვილს კბილებით, მაშინ, როდესაც მის გადაყენებას ძალიან ცოტა აკლდა? **ალიევის რეპლიკა, ვილნიუსის საუბართან დაკავშირებით, ამ კონტექსტში, ალბათ, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთგვარი ტესტი; მას, შესაძლოა, აინტერესებდა ფრიდის რეაქცია მეტად საგანგაშო სიგნალზე, რომელიც მოვლენათა მოსალოდნელ განვითარებაზე საკუთარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას მისცემდა.**

**«მიშამ, როგორც მეგობრები უწოდებენ, სულ რაღაც ერთ კვირაში ამერიკულ „დემოკრატიის მხარდაჭერას" უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე თორმეტი პერვეზ მუშარაფი ოდესმე შეძლებდა»**



### კეთილგანწყობის დაცლილი მარაგი

„WikiLeaks"-ის მიერ გამოქვეყნებულ ამ ტელეგრამაში კიდევ რამდენიმე საგულისხმო მონკვეთი არის: **„ფრიდმა თქვა, რომ სააკაშვილს „მუდმივი მეგობარი სჭირდება, რომელიც სამეზობლოს იცნობს".** აშშ-ს ყოველთვის როდი შეუძლია ასეთი მეგობარი იყოს, მაგრამ საქართველო აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორია და შეუძლია ასეთი მეგობარი გახდეს. ალიევი დაეთანხმა და თქვა, რომ სააკაშვილი ყოველთვის ურეკავდა, როდესაც დახმარება სჭირდებოდა, და რომ აზერბაიჯანი **„ყოველთვის ეხმარება საქართველოს": 2004 წელს — იარაღის, გასულ ზამთარს — გაზის, ბოლო დროს კი, როდესაც სააკაშვილმა პორტუგალიიდან დაურეკა და ხორბლის დეფიციტის შესახებ ამცნო, ხორბლის მოწოდების ჩათვლით. რუსეთი უკმაყოფილო იყო აზერბაიჯანის მთავრობის დახმარებით საქართველოს მიმართ, განსაკუთრებით გასულ ზამთარს გაზის მიყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ ალიევმა თქვა, რომ „რუსეთს სომხეთი ჰყავს, ჩვენ კი — საქართველო".** შესაძლოა, აქ ფრიდი საქართველო-აზერბაიჯანის შემდგომი დაახლოების აუცილებლობაზე მიანიშნებდა ან სულაც იმაზე, რასაც სააკაშვილმა მოგვიანებით „კონფედერაცია" უწოდა (რა იგულისხმა მაშინ კონკრეტულად, დღემდე ვერავინ გაარკვია), ორი ქვეყნის სვლა ამ მიმართულებით შტატებისთვის მეტად ხელსაყრელი იქნებოდა. ალიევმა, თავის მხრივ ყურადღება, ორმხრივი ურთიერთობის დეტალებზე, ტაქტიკურ შემადგენელზე გაამახვილა, თუმცა, სავარაუდოდ, მიანიშნა, თუ ვინ არის, მისი აზრით, დონორი და პოტენციური „უფროსი ძმა" ორი ქვეყნის ტანდემში და იმის იქით აღარ წასულა.

**„ფრიდმა თქვა, რომ სააკაშვილი, ისევე, როგორც ალიევი, პოპულარულია და ორივე „კარგი დროის პრეზიდენტია" და შეუძლიათ კეთილგანწყობის მარაგს დაეყრდნონ".** ამ საუბრიდან რამდენიმე დღეში სააკაშვილმა მიიღო ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება (7 ნოემბრის დარბევა) იმ გრძელი და ავბედითი სიიდან, რომელმაც მისი და ილჰამ ალიევის მოჩვენებითი მსგავსება წარსულს ჩააბარა. **ალიევის მმართველობა დღესაც აზერბაიჯანის აყვავებას უკავშირდება და მას, ალბათ, კვლავინდებურად შეუძლია, მათ შორის, „კეთილგანწყობის მარაგს" დაეყრდნოს, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, ვინმემ დღეს პოლიციელების ხელკეტებზე დაყრდნობილი სააკაშვილის მდგომარეობას მსგავსი შეფასება მისცეს; აგვისტოს ომის შემდეგ კი მისი სახელი არა „კარგ დროს", არამედ ეროვნულ კატასტროფას დაუკავშირდა.**

**2007 წლის 3 ნოემბერს ორი ჭკვიანი, ფრთხილი და, კარგი გაგებით, ცბიერი მამაკაცი შინაარსიანი საუბრისა და გემრიელი სადილის შემდეგ (მოლაპარაკება 2 საათს გაგრძელდა, სადილი კი — 3 საათს) ერთმანეთს დაშორდა. ქვეყნებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ, შეეძლოთ მშვიდად ეძინათ, რადგან მათ ინტერესებს ორივე კარგად, პრაგმატულად, პროფესიულად იცავდა. იყო კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც ამ დროს თბილისში ბოლთას სცემდა და უშედეგოდ ეძებდა პასუხებს საკუთარი ქვეცნობიერის ჩაბნელებულ ლაბირინთებში დაბადებულ კითხვებზე. საქართველოს კი შავი ღრუბელივით დიდი უბედურება უახლოვდებოდა, თუმცა ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდნენ არც დემონსტრანტებმა რუსთაველის გამზირზე, არც პოლიციელებმა ყვითელ ავტობუსებში, არც ლიახვის ხეობის მაცხოვრებლებმა თავიანთ სახლებში და არც ჯარისკაცებმა ყაზარმებში; ვერც ერთი მათგანი, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა საშინელი მომავალი ელოდა ქვეყანას.**

**დიმიტრი მონიავა**

**P.S.** მართალია, სააკაშვილის ხელისუფლება „WikiLeaks"-ის პუბლიკაციებზე კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ 5 სექტემბრის ბრიფინგზე განაცხადა, რომ „ჩვენ ამ ინფორმაციას ვერ მივიღებთ როგორც სარწმუნო წყაროს", თუმცა ვიდრე აშშ-ის ხელისუფლება თავად არ უარყოფს ცნობებს, რომელსაც „WikiLeaks"-ის მიერ გამოქვეყნებული ესა თუ ის ტელეგრამა შეიცავს, ალბათ, ლოგიკური იქნება, ეს ინფორმაცია ლეგიტიმურად და სარწმუნოდ მივიჩნიოთ; ასეა ამ შემთხვევაშიც, მითუმეტეს, რომ ანგარიში ალიევისა და ფრიდის საუბრის შესახებ მთლიანობაში სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება. წერილში განხილული დოკუმენტის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე:
wikileaks.org/cable/2007/11/07BAKU1357.html



**«ეს ჩვენი აგამემნონი, ეს ჩვენი ჰალსტუხიანი სციპიონი და, ასე ვთქვათ, ანრი დე ლა ტურ დ'ოვერნ ვიკონტ დე ტიურენი საკუთარი მხედართმთავრული ნიჭის გამოვლენის შანსს, როგორც ჩანს, ხელიდან ამ სცენარის ფარგლებშიც არ გაუშვებდა»**

## ჟაკ შირაკმა მეხსიერება დაკარგა



**საფრანგეთის ექს-პრეზიდენტის, 80 წლის ჟაკ შირაკის სასამართლო გრძელდება, მაგრამ მეხსიერების დაკარგვის გამო მას ზოგჯერ არც კი ესმის, რა ხდება ირგვლივ.** ამის გამო მოსამართლეები, დაცვის მხარე და პროკურატურა შეთანხმდნენ, რომ სასამართლო პროცესზე შირაკის პირადად დასწრების აუცილებლობა არ არსებობს. საფრანგეთის ექს-პრეზიდენტის წინააღმდეგ ორი საქმე აღიძრა. გამოძიების მონაცემებით, 1977-95 წლებში პარიზის მერის თანამდებობაზე ყოფნის დროს შირაკი სამსახურში „მკვდარ სულებს" ქირაობდა, 1992-95 წლებში კი თანამდებობრივ უფლებამოსილებას გადაამეტა. შირაკს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და 150 000 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა ემუქრება.

## მკვლელი — «მაკდონალდსი»

**ამერიკაში „მაკდონალდსში" ერთი ადამიანი დაიღუპა, ცხრა კი — მძიმე მდგომარეობაშია.** ყველა მათგანს მწვავე ინტოქსიკაცია აღენიშნება. ამერიკაში, „მაკდონალდსის" ქსელის ადმინისტრაციის განცხადებით, ადამიანების მოწამვლის მიზეზი ის ტოქსიკური ნივთიერება გახდა, რომელმაც ორთქლის სახით რესტორნის საპირფარეშოში შეაღწია. თუ საიდან მოხდა „მაკდონალდსის" ქსელში სასიკვდილო ნივთიერება, ცნობილი არ არის.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, ჩემდა გასაოცრად, ფოსტამ მომიტანა ვ. არძინბას წერილი, რომელიც შევარდნაძეს სწერდა, რომ სურს, შევარდნაძესთან საქართველოს პოლიტიკურ მოწყობაზე მოილაპარაკოს. არძინბა ორ ვარიანტს სთავაზობდა შევარდნაძეს — ფედერაციის და კონფედერაციის. მე, ცხადია, ეს წერილი გადავეცი შევარდნაძეს, ამის შემდეგ არძინბამ მეორე წერილიც გამოაგზავნა, მაგრამ ამას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. არძინბას სრულიად მშვიდობიან და კონსტრუქციულ წინადადებას შევარდნაძემ ჯარითა და ძალადობით უპასუხა“.**

## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# ევროპელი ვერასდროს გავხდები



# არ მინდა, საქართველოში კაცი კაცზე და ქალი ქალზე გათხოვდეს...

**პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი საქართველოს ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებს და ღიად სდებს ბრალს, რომ ხელისუფლებას დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება არ სურს. როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისას და რატომ ადანაშაულებს ხელისუფლებას — ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრა.**

**— თქვენ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნეთ წერილი აფხაზეთის თემაზე სათაურით „ხელისუფლება შარით ხარობს, ანუ აფხაზებზე „მზრუნველი“ პარლამენტარი მალაშხია“, სადაც მწვავედ აკრიტიკებთ ხელისუფლებას და წერთ, რომ „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არსებობს ზოგიერთი ჯიუტი ქართველის აზროვნებაში და ხელისუფლებაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს მათ, ცხადია, მოჩვენებითი პატრიოტიზმითა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ასევე მოჩვენებითი სურვილით“... რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების სურვილი მხოლოდ მოჩვენებითია და სინამდვილეში მას დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება არ სურს?**

— ვაკვირდები რა საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს, მექმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას აფხაზეთთან დაკავშირებით დღეს არსებული ვითარება აწყობს. **ჩვენი ხელისუფლება, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების ნაყიდია და მათ დაკვეთას ასრულებს. საქართველო ბრმა იარაღია, სადგისის როლშია და, როცა დასჭირდება აშშ-ის ხელისუფლებას სადგისის, ანუ საქართველოს მეშვეობით ჩხვლეტს რუსეთს. ცხადია, რუსეთს ამით გარკვეული პრობლემები ექმნება, მაგრამ არა ისეთი სერიოზული, რომ ამით რუსეთი წაიქცეს, შედეგად ისევ ჩვენი ქვეყანა ზარალდება.**

ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ დააშავა აფხაზებთან დაკავშირებით, რადგან არასერიოზულად ეპყრობოდა საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს. 4 წლის განმავლობაში, 2004 წლამდე მე ჩართული ვიყავი აფხაზებთან მოლაპარაკებაში და გერმანიაში, აფხაზებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ქარულ-აფხაზური ურთიერთობის გეგმაც კი ჩამოვაყალიბეთ, რომლის მიხედვითაც, ათი წლის განმავლობაში უნდა აღგვედგინა ქართულ-აფხაზური ურთიერთობა, საუბარი იყო ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობაზე, ოღონდ არ უნდა გვესაუბრა პოლიტიკურ სტატუსზე. **იმ დონემდე მივიდა ჩვენი მოლაპარაკება, რომ აფხაზები იმითაც კი დაინტერსდნენ, იყო თუ არა შესაძლებელი, აფხაზეთის წარმომადგენლობის დასაფუძნებლად თბილისში ფართის შეძენა. მივედი მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან და ვაუწყე ყველაფერი, მაგრამ ამ საკითხით არც მაშინდელი ხელისუფლება დაინტერესებულა.**

შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა სააკაშვილი და აფხაზებს და ოსებს ეგონათ, რომ ის განსხვავებულ პოლიტიკას აწარმოებდა, მაგრამ ის შევარდნაძეზე უარესი გამოდგა. მიხეილ სააკაშვილი რომ სერიოზულად ფიქრობდეს ქვეყნის გაერთიანებაზე, სხვა ნაბიჯებს გადადგამდა, ელემენტარულად, გამომწვევ ტერმინოლოგიას შეცვლიდა.

**— როგორც პოლიტოლოგს, თქვენ რომელი გზა მიგაჩნიათ ეფექტურად დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად?**

— სიმართლე გითხრათ,

დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად დღეს მე გზას საერთოდ ველარ ვხედავ. ჯერ შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, შანსი არ დატოვა აფხაზებთან და ოსებთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად. 2008 წელს, როდესაც საქართველომ გადადგა ძალიან ცუდი ნაბიჯი, დაიწყო ომი და ძალისმიერი გზით სცადა ტერიტორიების დაბრუნება, ამ ნაბიჯით დაკარგული რეგიონების დაბრუნებას სამუდამოდ წერტილი დაუსვა.

**— ანუ თქვენ იზიარებთ იმ ვერსიას, რომ ომი საქართველომ დაიწყო?**

— ეს ვერსია არ არის, ეს ფაქტია, რომელიც ტალიავინის კომისიამაც დაადასტურა. ვისაც ჩემი არ სჯერა, აღნიშნულ დასკვნას გაეცნოს.

**ის ფაქტი, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ და ამით მაშინდელი აშშ-ის ადმინისტრაცია იყო დაინტერესებული, ცხადია. მაკკეინს სჭირდებოდა არჩევნებში გასამარჯვებლად გამაღიზიანებელი ფაქტორი რუსეთის წინააღმდეგ და ეს ფაქტორი სწორედ საქართველო აღმოჩნდა.**

**რა საჭირო იყო ასეთი აგრესია? ღამე მძინარე ცხინვალს რომ დაბომბავ, მერე ველარ დაიბრუნებ.**

**— საქართველოს პარლამენტის ტერიტორული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხიას დემაგოგი და საქმის არმცოდნე უწოდეთ, რატომ დაიმსახურა მალაშხიამ თქვენი კრიტიკა?**

— შოთა მალაშხია თავხედი და უვიცია. როდესაც მალაშხია ამბობს, რომ ყველაფერი რიგზეა და გვარწმუნებს, თითქოს საერთაშორისო საზოგადოება არ ალიარებს აფხაზეთის არჩევნებს და არავინ ჩამოსულა აფხაზეთში დამკვირვებლად, იტყუება. თავად დავინახე, აფხაზეთის არჩევნებზე ევროკავშირის პარლამენტარი იმყოფებოდა.

**— მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება ხომ არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და, შესაბამისად, არც არჩევნების ლეგიტიმაციას?**

— ეს ახლა, თორემ გავა დრო და აღიარებს. ასე იყო კოსოვოსთან მიმართებაშიც. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, მრავალი წლის წინათ, როდესაც ეთიოპიაში ომი იყო გაჩაღებული, მათაც ჰქონდათ სეპარატისტული რეგიონი ერიტრეის სახით, მთელი მსოფლიო გმობდა მის სეპარატიზმს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღესაც აშშ-ში, ერთ მაღლივ შენობაში აღმოვაჩინე ერიტრეის საელჩო. დღეს კი ერიტრეი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

**— რას ფიქრობთ ექსპერტ მამუკა არეშიძის იდეაზე, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს?**

— მამუკა არეშიძე უაღრესად ფრთხილი პიროვნებაა და, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი მეუღლე დიდი ხნის განმავლობაში სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობდა და ახლაც სახელმწიფო უწყებაში მუშაობს, ბუნებრივია, ის არ გააკეთებს ისეთ განცხადებებს, რაც მას და მის ოჯახს ავნებს. ვფიქრობ, მას ხელისუფლებამ დაავალა ამ წინადადების გაჟღერება, ვინაიდან ხელისუფლებას უკვე ტვირთად აწევს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხი და ნატოში გაწევრიანებაშიც ხელს უშლის, შესაბამისად, მათი აღიარებით ამ პრობლემასაც სამუდამოდ მოიშორებს.

**— ზემოთ პოლიტიკური სტატუსი ახსენეთ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შემთხვევაში, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა როგორ გესახებათ?**

— **როდესაც ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, ჩემდა გასაოცრად, ფოსტამ მომიტანა ვ. არძინბას წერილი, რომელიც შევარდნაძეს სწერდა, რომ სურს, შევარდნაძესთან საქართველოს პოლიტიკურ მოწყობაზე მოილაპარაკოს. არძინბა ორ ვარიანტს სთავაზობდა შევარდნაძეს — ფედერაციის და კონფედერაციის. მე, ცხადია, ეს წერილი გადავეცი შევარდნაძეს, ამის შემდეგ არძინბამ მეორე წერილიც გამოაგზავნა, მაგრამ ამას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. არძინბას სრულიად მშვიდობიან და კონსტრუქციულ წინადადებას შევარდნაძემ ჯარითა და ძალადობით უპასუხა.**

დღეს საქართველო ნებისმიერ ვარიანტზე თანახმა უნდა იყოს, ვინაიდან არჩევანი, უბრალოდ, არ გვაქვს, თუმცა საქართველოში არიან ადამიანები, მაგალითად, ნოდარ ნათაძე, რომლებიც მაინც ამბობენ, რომ არავითარი კონფედერაცია არ გვინდაო.

**საქართველოს ისტორიისთვის უცხო არ არის ფედერალური მოწყობა. ფედერაციაც და კონფედერაციაც ავითარებს რეგიონს, მაგალითად აჭარაც გამოდგება.**

**— თუმცა ოპონენტებს აქვთ არგუმენტი, რომ ავტონომიები სეპარატიზმის გაღვივების საფრთხეს წარმოშობს, მით უფრო საქართველოში...**

— ფედერაციულ ან კონფედერაციულ მოწყობას არავითარი მინუსი არ აქვს. ვინც გულში ერთი წუთითაც კი გაივლებს, რომ ასლან აბაშიძეს საქართველოდან გამოყოფა უნდოდა, ერთი ადგილით უნდა დაიკიდოს, რადგან ეს არის მტკნარი სისულელე. როგორ შეიძლება აბაშიძე სეპარატისტად ჩაეთვალა ვინმეს, როცა ის თავს იკლავდა, საქართველოს პარლამენტში უმრავლესობით მოხვედრილიყო?! მართალია, აჭარას ჰყავდა ასლანის სახით მეთაური, მაგრამ ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს, თუნდაც მინისტრის დანიშვნის საკითხსაც კი, საქართველოს ხელისუფალთან ათანხმებდა. რა ავტონომიაა, თუ დამლაგებელსაც ვერ ნიშნავ დაუკითხავად? ან დღევანდელი აჭარის ავტონომია ავტონომიაა, როცა სააკაშვილი „პრარაბივით“ დარბის ბათუმის ქუჩებში?

მაგალითს გეტყვით. ასლანმა თხის ფერმა მოაწყო, ჯერ იყო და მაშინვე სიცილით იხოცებოდნენ თბილისში. რა მოხდა, რა იყო ამაში ცუდი? ეს იყო უნიკალური ჯიშის პროდუქტიული თხები. ასლანი რომ გააგდეს, აღარც ამ ფერმას აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ ერთმა **აჭარელმა კაცმა, ფერმაში მუშაობის დაწყება გადაწყვიტა და იქაურმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა უთხრა, ეს ისეთი საკითხია, თბილისში უნდა გადაწყდესო. წარმოგიდგენიათ? სააკაშვილთან შეუთანხმებლად კაცი თხების ფერმაში მუშად ვერ მიიღეს.**

**— ზემოთ ნახსენებ წერილში თქვენ საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებთ საქართველოს ხელისუფლების რეფორმებს, მაგრამ, ბატონო ჰამლეტ, ცუდია, როდესაც გზები იგება და შენობები შენდება?**

— ეს ცუდი არ არის, მაგრამ, როდესაც ანაკლიას აშენებ და მილიონებს ხარჯავ, გვერდით კი ისტორიული ქალაქი ფოთი უწყლობით იტანჯება და მსგავსი პრობლემები აწუხებს ზუგდიდის, ბათუმის, ქუთაისის მოსახ- ▶

**«ხელისუფლებას უკვე ტვირთად აწევს აფხაზეთისა და «სამხრეთ ოსეთის» საკითხი და ნატოში გაწევრიანებაშიც ხელს უშლის. შესაბამისად, მათი აღიარებით ამ პრობლემასაც სამუდამოდ მოიშორებს»**









**„ოპოზიცია, რომელმაც ხალხი უნდა გამოაფხიზლოს, თავადაა გამოსაფხიზლებელი, ის, ფაქტობრივად, შეკრულია ხელისუფლებასთან. ნინო ბურჯანაძისა და ერთი-ორი პოლიტიკოსის გარდა, 18 პარტია იღებს სახელმწიფოსგან დაფინანსებას. მათ შორის თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატები“ პირველ ადგილზეა და წლის განმავლობაში 600 000 ლარს იღებს. ჯონდი ბაღათურიას ერთკაციანი პარტია 90 000 ლარს იღებს წელიწადში. საკმაოდ დიდ თანხას იღებენ ხელისუფლებისგან ლეიბორისტები, შარტავას „ეროვნული ფორუმი“... მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციაზე ბრძენი აღმოჩნდა, მთელი ოპოზიცია იყიდა“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**«შოთა მალაშხია თავხედი და უვიცია. როდესაც მალაშხია ამბობს, რომ ყველაფერი რიგზეა და გვარწმუნებს, თითქოს საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს აფხაზეთის არჩევნებს და არავინ ჩამოსულა აფხაზეთში დამკვირვებლად, იტყუება. თავად დავინახე, აფხაზეთის არჩევნებზე ევროკავშირის პარლამენტარი იმყოფებოდა»**

# «საზოგადოების ნაწილი დაშინებულია, მეორე ნაწილი კი — მოსყიდული»

◀ ლეობას, ეს ნორმალურია? რად მინდა პიაცა, თუ წყალი არ მაქვს? ან ბათუმს პიაცასთან რა კავშირი აქვს? ყველა ქალაქს თავისი იერსახე აქვს და არ სჭირდება ეს ზიზილ-პიპილო რაღაცებით მორთვა-მოკაზმვა.

კარგია მშენებლობები და კონცერტები, მაგრამ ამით ტურიზმის განვითარება წარმოუდგენელია. ტურიზმის განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და, პირველ რიგში, — გამართულ ინფრასტრუქტურაზე. დღესდღეობით ისევ ჩვენი მეზობელი სომეხი, აზერბაიჯანელი და ირანელი ტურისტების ხარჯზე გავდივართ იოლად, მაგრამ ამით ტურიზმს ვერ განავითარებ. აქ ევროპელი არ ჩამოვა. ევროპელი ტურისტი ცოტა პრეტენზიულია და მას თურქული პესტიციდებიანი საკვებით ვერ გაუმასპინძლდები.

ამას გარდა, რაც ააშენეს, უხარისხო გამოდგა (ოპერის თეატრისა არ იყოს, ელისო ვირსალაძეს თავზე წყალი რომ ჩამოუვიდა). ხელისუფლება ფულს უაზროდ ხარჯავს. გურიაში ხალხი შიმშილით იხოცება. გურია 450 ათას ტონა ჩაის აწარმოებდა და დღეს 5 ათას ტონასღა აწარმოებს. გურულები სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაის ბუჩქის რეაბილიტაციისთვის თანხის გამოყოფას ეხვეწებიან, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევთ.

**— თქვენ ამერიკის წინაშე აღებული ვალდებულებები ახსენეთ, თუმცა საქართველოს ევროსაბჭოში შესვლის დროსაც აქვს ხელი მოწერილი გარკვეული ვალდებულებების შესრულებაზე. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში საქართველო? მაგალითად, პარლამენტარ დავით დარჩიაშვილის განცხადებით, ეთნიკური უმცირესობების ენების რეგიონულ ენებად აღიარების საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.**

— ეს გამოიწვევს იმავეს, რაც რელიგიის შესახებ კანონში მიღებულმა ცვლილებამ გამოიწვია, რაც ძალიან ცუდი იქნება საქართველოსთვის. ევროსაბჭო რასაც გეტყვის, ყველაფერი არ უნდა შეასრულო, მაგრამ ახლა, რა თქმა უნდა, რთულია ამაზე საუბარი. თავის დროზე უნდა გაეთვალისწინებინათ, რაზე აწერდნენ ხელს. პატივცემული ზურაბ ჟვანია რომ ჩაბრძანდა ევროპაში და განაცხადა, ევროპელი ვარო, სულ არ მინდა, თავი ევროპელად ჩავთვალო, რადგან სულაც არ მიმაჩნია, რომ ევროპა არის ამოსავალი წერტილი და მისაბაძი მაგალითი.

ჩემი მენტალიტეტიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, მე ევროპელი ვერასდროს გავხდები. არ მინდა აქ კაცი კაცზე და ქალი ქალზე გათხოვდეს, არ მინდა გეი-პარადები, ევროპა კი ამ ყველაფერს მავალდებულებს.

ეს ყველაფერი საქართველოსთვის ძალიან ცუდად შეიძლება დასრულდეს, მითუმეტეს, — ასეთი ბრიყვი ხელისუფლების ხელში.

**— ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია მეზობელი სახელმწიფოების თემა. რას ფიქრობთ შოთა არველაძის განცხადებაზე, რომელმაც თქვა, რომ „რუსეთს სურს, მისი გვეშინოდეს, თურქეთი კი პატივისცემით გვეპყრობა. ამით განსხვავდება ეს ორი ქვეყანა“. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თურქეთი ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, იმავე ისტორიულ გამოცდილებას თუ გადავხედავთ, რამდენად საიმედო მეგობარი შეიძლება იყოს თურქეთი ჩვენთვის მომავალში?**

— შოთა არველაძე ვინ არის? მიხედოს ფეხბურთს, მან რა იცის პოლიტიკა? ფეხბურთელები, კალათბურთელები და ზოგიერთი მოცეკვავე-მოხტუნავეები და ტაკიმასხარები პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიონ. მათი საქმე არაა. მითუმეტეს, რა არველაძის საქმეა პოლიტიკა? გაჩანაგებულ ქართულ ფეხბურთს მიხედოს.

ასეთი აზრები და ფრაზები სააკაშვილის დედისგან მომდინარეობს. ისტორიული ფაქტებს თუ გადავხედავთ, თურქეთი ყოველთვის ცუდად უყურებდა საქართველოს ტერიტორიას და მისი გავლენის სფეროდ მიაჩნდა. პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს, პოლიტიკაში არსებობს ინტერესი. თურქეთის ინეტერსები ძალიან შორსმიმავალია. **სააკაშვილის ხელისუფლებას აქვს კონტაქტები ამერიკაში არსებულ თურქულ ჯგუფებთან, რომლებიც მუდამ იმას ქადაგებენ, რომ ძველი თურქული იმპერიის დიდება უნდა აღდგეს.**

თურქეთს თავისი ინტერესები აქვს და ძალიან რთულია, ისაუბრო, რომ თურმე თურქეთი მეგობარია და რუსეთი — მტერი. არველაძე თურქეთში თამაშობდა და, ალბათ, აქედან მომდინარეობს მისი განცხადებაც. მას რომ რუსეთში ეთამაშა, დარწმუნებული ვარ, რუსეთზეც იმავეს იტყოდა. მიმუშავია წლების განმავლობაში და თურქებსაც კარგად ვიცნობ და რუსებსაც, ისეთი ქვეყანა, როგორიც რუსეთია შენ უნდა გამოიყენო საკუთარი ინტერესების დასაცავად ამ მუსლიმანურ გარემოცვაში.

**— თურქეთმა მიტაცებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაბრუნებაზე დაიწყო საუბარი, თუ არის სიაში ქართული ისტორიული ძეგლები?**

— არავითარი ისტორიული ძეგლების დაბრუნებაზე საუბარი არაა. თურქეთი, უბრალოდ, ნებას გვრთავს, აღდგენითი სამუშაოები ჩავუტაროთ იმ ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც არის თურქეთის ტერიტორიაზე. სანაცვლოდ კი ულტიმატუმს გვიყენებს — საქართველოში გრანდიოზული მეჩეთები ავაშენოთ.

არავინ არ დაგვიბრუნებს ისტორიულ ძეგლებს და ესეც ამ ხელისუფლების უჭკუობის ბრალია. რად უნდოდა რესტავრაციის შეთანხმებაზე თურქებთან საუბარი? ამისთვის არსებობს იუნესკო და დაესვა ეს საკითხი ხელისუფლებას. იუნესკო აიძულებდა თურქეთს, რომ მას თავად, თავის ტერიტორიაზე, ყოველგვარი მოთხოვნების გარეშე აღედგინა ძეგლები, რომლებიც მისი უყურადღებობით ხან მეჩეთად, ხან თავლად და ხან ტუალეტად გადააკეთეს.

**— საქართველოს კიდევ ერთი მეზობლისა და მეგობრის, აზერბაიჯანის პრეზიდენტის — ილხამ ალიევის განცხადებას ავრცელებს WikiLeaks-ი, სადაც ალიევი ამბობს, რომ საქართევლო მისი უპირობო მოკავშირეა. „რუსეთს სომხეთი ჰყავს, ჩვენ კი — საქართველო“.**

— ალიევი ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი და დიპლომატია, რასაც ვერ ვიტყვით სააკაშვილზე. ის საკმაოდ წარმატებულად ლავირებს რუსეთსა და დასავლეთს შორის. ალიევს კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთთან და აზერბაიჯანი საქართველოს გულისთვის არავითარ შემთხვევაში რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს. რას მისცემს მას საქართველოს ხელისუფლება რუსეთზე მეტს? ერთადერთი, გავლენის სფეროებს თუ მისცემს და ამიტომაცაა, თურქეთის მსგავსად, აზერბაიჯანის გავლენის სფეროები საქართველოში ძალიან რომ გაფართოვდა.

მართალია, ალიევი დროდადრო რუსეთის გამოსაფხიზლებელ განცხადებებს აკეთებს ხოლმე, მაგრამ ეს განცხადებები არ შეიცავს რუსეთის შეურაცხმყოფელ სიტყვებს, როგორიც საქართველოს ხელისუფლებას ახასიათებს.

**— თანამედროვე ქართულ პოლიტიკას რაც შეეხება, ოპოზიცია „ცხელ პოლიტიკურ შემოდგომას“ გვპირდებოდა, თუმცა ჯერჯერობით სიმშვიდეა. პოლიტიკოსები დიდად არ აქტიურობენ. შესაძლოა, ოპზოციისგან რაიმე საინტერესო სიურპრიზებს ველოდოთ?**

— არაფერს არ უნდა ველოდოთ, ვინაიდან სძინავს როგორც ოპოზიციას, ისე ხალხს. ტკბილად იძინეთ, ქართველებო... რადგან **ოპოზიცია, რომელმაც ხალხი უნდა გამოაფხიზლოს, თავადაა გამოსაფხიზლებელი, ის, ფაქტობრივად, შეკრულია ხელისუფლებასთან. ნინო ბურჯანაძისა და ერთი-ორი პოლიტიკოსის გარდა, 18 პარტია იღებს სახელმწიფოსგან დაფინანსებას. მათ შორის თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატები“ პირველ ადგილზეა და წლის განმავლობაში 600 000 ლარს იღებს. ჯონდი ბაღათურიას ერთკაციანი პარტია 90 000 ლარს იღებს წელიწადში. საკმაოდ დიდ თანხას იღებენ ხელისუფლებისგან ლეიბორისტები, შარტავას „ეროვნული ფორუმი“... მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციაზე ბრძენი აღმოჩნდა, მთელი ოპოზიცია იყიდა.**

„გრეჩიხამ“ ჯერ ხალხი გამოიყვანა ქუჩაში, მერე ივაჭრა ხელისუფლებასთან, მისცეს მილიონები და დააწყნარეს. ოპოზიციამ იჟივჟივა რაღაც საარჩევნო სიებთან დაკავშირებით, ისევ ფული მისცა მიშამ და ისინიც დამშვიდდნენ.

სამწუხაროდ, დღეს ასეთი რელობა გვაქვს: **სააკაშვილმა იყიდა ოპოზიცია, იყიდა ინტელიგენცია — პაატა ბურჭულაძე, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, მწერლები, მომღერლები, ბიზნესმენები.**

**გაკვირვებული ვარ, ამხელა ავტორიტეტის მქონე, დიდ მომღერალს ნანი ბრეგვაძეს რა გაუჭირდა ისეთი, რომ სტეფანეს გვერდით არ ეტინგიცა? საკუთარ თავს ხომ უნდა სცე პატივი? რაში სჭირდება პაატა ბურჭულაძეს „ქეთო და კოტეში“ სიმღერა? ბუბა კიკაბიძეს რა სჭირს, რომ სააკაშვილს ქებათა-ქება არ შეასხას ყოველ ინტერვიუში? მაგრამ ვალები გაუსტუმრა, საიუბილეო კონცერტის დროს 200 ათასი ლარი აჩუქა და ისიც კმაყოფილია. ნინო ანანიაშვილს, როდესაც ქართული ბალეტი ამერიკაში გასტროლებზე წავიდა, 400 ათასი აშშ დოლარი მისცეს.**

**— თუმცა ჩამოთვლილთა შორის პაატა ბურჭულაძეს საქველმოქმედო ფონდი აქვს და ის პირიქით, იქეთ ეხმარება ადამიანებს...**

— ნუ დაგვავიწყდება, რომ ის ქველმოქმედებას კომპანია „ვისოლთან“ ერთად ახორციელებს, რომელიც სააკაშვილის ძმის კუთვნილებაა. მშვენიერი საერთო ენა გამონახეს.

რასაც ქართველი ბიზნესმენები კადრულობენ, რა უნდა ვთქვათ. ხელისუფლებამ თავად შექმნა ბიზნესმენები — როცა უნდათ, ართმევენ, როცა უნდათ, აძლევენ. აბა, გეგენავას ან რურუების ბიზნესმენობა ვის გაუგია? ან კიდევ, ბიზნესმენი კობა ნაყოფია როა, ხომ გადაახდევინეს 40 მილიონი რაღაც ნაგავ ფილმში? სამაგიეროდ, ხალხი არავის ახსოვს. არავინ ფიქრობს, რას ჭამს ქართველი. მდინარე მაშავერა საშინლად დაბინძურებულია, არადა, ამით ირწყვება საქართველოს ვრცელი ტერიტორია, აქედან მიღებული დაავადებული პროდუქტი კი თბილისის ბაზრებზე იყიდება და არავინ ამოწმებს. სამაგიეროდ, ესენი სატინგიცოდ ფილმებს იღებენ და კონცერტებს აწყობენ.

რა უნდა გვეშველოს, როცა საზოგადოების ნაწილი დაშინებულია, ნაწილი კი — მოსყიდული? ვის ახსოვს საქართველო? არც არავის!..






**«სააკაშვილმა იყიდა ოპოზიცია, იყიდა ინტელიგენცია — პაატა ბურჭულაძე, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, მწერლები, მომღერლები, ბიზნესმენები»**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

# პოლიტიკა

**ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია უსაფრთხო გარემოს გარეშე, ამიტომაა, რომ ომის შემდეგ, უსაფრთხოების დეფიციტის (თუ ვაკუუმის?) პირობებში, უცხოური ინვესტიციების მოცულობა განუხრელად კლებულობს. თავის მხრივ, ნატოში გაწევრიანება შეუძლებელია რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებისა და კონფლიქტების მოგვარების (როგორც მინიმუმ, ამ მიმართულებით წინსვლის) გარეშე, ხოლო რუსეთთან ურთიერთობების დალაგება შეუძლებელია მანამ, სანამ ოფიციალური თბილისი ნატოში ინტეგრაციის სურვილს ინარჩუნებს. რუსი სამხედროები დაკავებული ტერიტორიებიდან, სავარაუდოდ, ფეხს არ მოიცვლიან მანამ, სანამ ეცოდინებათ, რომ საქართველო შეიძლება ნატოში გაწევრიანდეს და ა.შ. მსგავსი კონსტრუქციების აგება შეიძლება დიდხანს გავაგრძელოთ, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ჩაკეტილი წრე იქნება.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თალიბებმა ქაბულში აშშ საელჩოსა და ნატოს შტაბბინაზე იერიში მიიტანეს

სააგენტო ფრანს პრესის ინფორმაციით, 13 სექტემბერს დღისით თალიბებმა ქაბულში აშშ საელჩოსა და ნატოს შტაბბინაზე მასირებული იერიში მიიტანეს. კერძოდ, ტერორისტმა-თვითმკვლელებმა აშშ საეჩოს და ნატოს კოალიციური ძალების შტაბის გარდა, ავღანეთის დაზვერვის შტაბბინასა და რამდენიმე სამინისტროს შენობებსაც შეუტიეს.



პირველი აფეთქებების შედეგად მათ დამცავი ნაგებობები გაანადგურეს, შემდეგ კი საქმეში მსროლელები ჩაერთნენ, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღითა და ყუმბარმტყორცნებით იყვნენ შეიარაღებული. მათ პოზიციები წინასწარ დაიკავეს და შენობათა დამცველების მიმართულებით სროლა დაიწყეს. ქაბულის ცენტრში ბრძოლაა გაჩაღებული, რომელიც ამ წუთებშიც გრძელდება.

ჯერჯერობით არ ვრცელდება ინფორმაცია დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობის შესახებ. პასუხისმგებლობას ამ თავდასხმაზე თალიბები იღებენ, რომლებიც უცხოური სამხედრო ძალების ავღანეთში დგომის წინააღმდეგ იბრძვიან.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების რაოდენობა 2010 წლის აპრილიდან დაახლოებით 950-მდე გაიზარდა. მიმდინარე წლის თებერვალში კი საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება, ავღანეთში ადგილობრივი შეიარაღებული ძალების გასაწვრთნელად საარტილერიო ინსტრუქტორთა ჯგუფი გაგზავნოს.

geworld.ge

# ნატოს აჩრდილი — მიშას ვენახში



## რა სჯობს: გლეხი სააკაშვილი, რომელიც მცირე მეურნეობის ხარჯზე იცხოვრებს, თუ უსახლკარო სააკაშვილი, რომლის რჩენაც სახელმწიფოს მოუწევს?

**ორშაბათს ქართველმა ტელემაყურებელმა მიხეილ სააკაშვილის მორიგი ბენეფისი იხილა; მან საკუთარ ვენახში წარჩინებულ სტუდენტებს უმასპინძლა. მისი რეპლიკების ციტირებას არ ვაპირებ, ბოლო დროს ეს საკმაოდ ცუდ ტონად ითვლება, თანაც ღირსშესანიშნავი არაფერი უთქვამს, თუმცა ერთი საინტერესო დეტალი ამ ყველაფერში ნამდვილად იყო. ცნობილი გახდა, რომ სააკაშვილმა ყვარლის რაიონში ვენახი შეიძინა (30 ათას ლარად) და იქვე სახლს იშენებს.**

იქამდე, ფორმალური თვალსაზრისით, სააკაშვილი ლამის უსახლკარო იყო; რეზიდენცია, სადაც ცხოვრობს, სახელმწიფო საკუთრებაა და, ასე ვთქვათ, „არ ითვლება“. წუთისოფელი ასეა, ვიღაც იძენს, ვიღაც კი კარგავს. **აგერ, სულ რაღაც სამი წლის წინათ, ათი ათასობით ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა; ისინი დევნილებად იქცნენ, იმ პიროვნებას კი, რომელსაც ამაში განმსაზღვრელი როლი მიუძღვის, როგორც ვხედავთ, პირიქით, კარ-მიდამო გაუჩნდა.** სხვათა შორის, როდესაც მომავალი (ან იმის შემდგომი) ხელისუფლება სააკაშვილისა და მისი კლანის ქონების კონფისკაციას მოახდენს („მესამე სამყაროს“ ქვეყნებში უამრავი ასეთი პრეცედენტი არსებობს და, დიდი ალბათობით, ეს საქართველოშიც მოხდება), იმედია, ამ კარმიდამოს არ წაართმევენ. ჩვენ ხომ მიზანტროპები არ ვართ და, თანაც, **ჯერ კიდევ ცხონებული ენგელსი წერდა იმაზე, რომ შრომა ადამიანის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუნდაც პრაგმატულად შევხედოთ, რა სჯობს: გლეხი სააკაშვილი, რომელიც მცირე მეურნეობის ხარჯზე იცხოვრებს, თუ უსახლკარო სააკაშვილი, რომლის რჩენაც სახელმწიფოს მოუწევს? (ისე, მისი აწყობილი მეურნეობა მანახა და სხვას არ დავეძებ).**

**როდესაც სააკაშვილის ვენახში გადაღებულ კადრებს ვუყურებდი, თავის დროზე ნატოს პოპულარიზაციისთვის გადაღებული კლიპი გამახსენდა, წვიმა რომ წამოვიდა და წინასაინფარქტო (ან წინასაინსულტო) მდგომარეობში მყოფი გლეხის ვენახს ახალგაზრდებმა ნატოს დროშა რომ გადააფარეს. ყველაფერი თავის ადგილზე იყო — ვენახი, ახალგაზრდები და პირობითი გლეხიც კი, წვიმა და დროშაღა აკლდა, თუმცა იმ დღეს ლურჯი ბაირაღების აჩრდილი არა ყვარლის, არამედ თბილისის თავზე შეინიშნებოდა.** მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ 9-10 ნოემბერს საქართველოში ნატოს გენმდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ჩამოვა, სახელისუფლო პროპაგანდას ექსტაზში გარდამავალი გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო. **სამთავრობო ექსპერტების ოპტიმისტური მსჯელობა საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე (გვარებს ვერ ვიხსენებ; მოკლედ, ერთი მელოტია, მეორე კი წვერიანი. იმედია, არც მელოტი მოუშვებს წვერს და არც წვერიანი გადაიხოტრავს თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გარჩევას ერთმანეთისგან ვერ მოვახერხებთ) რასმუსენის ვიზიტამდე დარჩენილ პერიოდში, სავარაუდოდ, სულ უფრო ხშირი გახდება, თუმცა ამ ტალღის კულმინაცია ამ ვიზიტს როდი დაუკავშირდება; მას მოგვიანებით, 2012 წლის მაისში ნატოს ჩიკაგოს სამიტისთვის უნდა ველოდოთ. ეს შოუ, საერთო სახელწოდებით „მაპზე უკეთესი“, ხომ უკვე არაერთგზის ვიხილეთ.**

იმავე დღეს სასტუმრო „რადისონში“ ამბასადორიალი დაიწყო, ქართველმა დიპლომატებმა გასული წლის შედეგები შეაჯამეს და ხელისუფლებისგან მუშაობის ძირითად მიმართულებებზე ინსტრუქციები მიიღეს, რომელთა მოკლე შინაარსი ჟურნალისტებს გრიგოლ ვაშაძემ გააცნო.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეს ამბასადორიალი ვაშაძისთვის შეიძლება ბოლო გამოდგეს, რადგან მალე თანამდებობას დაემშვიდობება, თუმცა ამ ინსინუაციებს ნუ შეყვებით; მითუმეტეს, რომ იმას, ვაშაძით მეტი იქნება ხელისუფლებაში თუ ვაშაძით ნაკლები, ალბათ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს და საკუთრივ ინსტრუქციებზე გადავიდეთ. **„ელჩებისთვის მისაცემი დავალებები 4 ძირითადი მიმართულებისგან შედგება. პირველი — ეს საქართველოსთვის უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემოს შექმნაა, რათა დემოკრატიული რეფორმები და ეკონომიკური აღმშენებლობა გაგრძელდეს. მეორე დავალება დეოკუპაციას — ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსული საოკუპაციო ჯარების გაყვანასა და სამშვიდობო ოპერაციების წარმოებას უკავშირდება. მესამე — საქართველოში ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა. მეოთხე მიმართულება კი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სწრაფი ტემპით ინტეგრაციას უკავშირდება,“** — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა („პირWელი“).

ბოლო პუნქტი საქართველოში, უპირველესად, ნატოში გაწევრიანებასთან ასოცირდება. „ევროატლანტიკური სტრუქტურების“ ან „სივრცის“ ხსენება სხვა ინტერპრეტაციას პრაქტიკულად გამორიცხავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინები განსხვავებულია და მათი გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება. საქართველოში წარმოუდგენელია განცხადება, რომელიც შარშან აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა გააკეთა: **„ნატოსთან ურთიერთობების განვითარება აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, მაგრამ ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სივრცეში აზერბაიჯანის ნატოში გაწევრიანებას არ ნიშნავს“.**

ვაშაძის მიერ ჩამოთვლილი მიმართულებების შესახებ ადრე არაერთგზის გვსმენია, თუმცა, შესაძლოა, იშვიათად დავფიქრებულვართ იმაზე, რომ ეს პუნქტები ერთმანეთთან მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფება. მაგალითად, ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია უსაფრთხო გარემოს გარეშე, ამიტომაა, რომ ომის შემდეგ, უსაფრთხოების დეფიციტის (თუ ვაკუუმის?) პირობებში, უცხოური ინვესტიციების მოცულობა განუხრელად კლებულობს. თავის მხრივ, ნატოში გაწევრიანება შეუძლებელია რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებისა და კონფლიქტების მოგვარების (როგორც მინიმუმ, ამ მიმართულებით წინსვლის) გარეშე, ხოლო რუსეთთან ურთიერთობების დალაგება შეუძლებელია მანამ, სანამ ოფიციალური თბილისი ნატოში ინტეგრაციის სურვილს ინარჩუნებს. რუსი სამხედროები დაკავებული ტერიტორიებიდან, სავარაუდოდ, ფეხს არ მოიცვლიან მანამ, სანამ ეცოდინებათ, რომ საქართველო შეიძლება ნატოში გაწევრიანდეს და ა.შ. მსგავსი კონსტრუქციების აგება შეიძლება დიდხანს გავაგრძელოთ, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ჩაკეტილი წრე იქნება.

**საკვანძო სეგმენტი ხსენებულ წრეში ნატოში გაწევრიანების სურ-** ▶



**დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეს ამბასადორიალი ვაშაძისთვის შეიძლება ბოლო გამოდგეს, რადგან მალე თანამდებობას დაემშვიდობება, თუმცა ამ ინსინუაციებს ნუ შეყვებით; მითუმეტეს, რომ იმას, ვაშაძით მეტი იქნება ხელისუფლებაში თუ ვაშაძით ნაკლები, ალბათ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს...**

მსოფლიო

## კონგოში 1000 პატიმარი ციხიდან გაიქცა

**კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთში მდებარე კატანგის პროვინციის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან 1000 პატიმარი გაიქცა.** როგორც ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, პატიმრების გასათავისუფლებლად შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. როგორც კატანგის ინფორმაციის მინისტრმა დკიანგა კაზადიმ განაცხადა, თავდამსხმელებს ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერის განთავისუფლება უნდოდათ. ციხის მცველებსა და შეიარაღებულ პირებს შორის დაპირისპირებას 2 ადამიანი ემსხვერპლა.



## გერმანელი მინისტრი «ფეისბუქს» არ ენდობა

**გერმანიის სამომხმარებლო უფლებების დაცვის მინისტრი ილზე აიგნერი კოლეგებს მოუწოდებს, არ გამოიყენონ სოციალური ქსელი „ფეისბუქი“, როგორც სამუშაო ინსტრუმენტი.** იგი იზიარებს კონფედენციალობის დაცველთა იმ აზრს, რომლის მიხედვითაც დაწკაპუნება „მომწონს“ და სხვა სერვისები ეხმარება დაინტერესებულ პირებს, შეაგროვონ ინფორმაცია ადამიანებსა და ორგანიზაციებზე. ადრე, აიგნერმა საჯაროდ თქვა უარი „ფეისბუქის“ გამოყენებაზე და განაცხადა, რომ ეს სოციალური ქსელი ნაკლებად ზრუნავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე.

**ალბათ, შეუძლებელია, სააკაშვილის ხელისუფლებას ნატოში გაწევრიანების სურვილზე უარი ათქმევინო. ეს ისეთივე ძნელია, როგორც ფეტიშისტისთვის მისი სათაყვანებელი ნივთის წართმევა და იმის ახსნა, რომ მისი ქცევა უნაყოფო და უპერსპექტივოა. უყვარს და რა ქნას?! დავუშვათ, რომ მოხდა სასწაული და ხვალ საქართველო ნატოს წევრი გახდა. ვაცნობიერებთ თუ არა, რომ ამ შემთხვევაში შეტაკება ნატოსა და რუსეთს შორის, ძალიან დიდი ალბათობით, ჩვენს ტერიტორიაზე ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას დაუკავშირდება? გვესმის თუ არა, რას ნიშნავს იყო საბრძოლო მოქმედებების თეატრი, სადაც ეს ორი ძალა ერთმანეთს დაეჯახება?**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისევე, როგორც აშშ ეწინააღმდეგება ლათინურ ამერიკაში უცხო სახელმწიფოების (ან სამხედრო ბლოკების) პლაცდარმების შექმნას, ასევე რუსეთი მუდამ შეეწინააღმდეგება ასეთი პლაცდარმების გაჩენას მის საზღვრებთან**

◀ **ვილია. ათწლეულების შემდეგ, შეიძლება ნატოც შეიცვალოს და რუსეთიც, თუმცა დღეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის სურვილის დაფიქსირება ავტომატურად რუსეთთან კონფრონტაციის გაგრძელებას ნიშნავს.**

**უკრაინის ხელისუფლებამ შარშან კანონიდან „ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლების შესახებ“ ამოაგდო ფრაზა „ნატოში გაწევრიანება უკრაინის სტრატეგიულ მიზანს წარმოდგენს. კიევში, როგორც ჩანს, გააცნობიერეს, რომ ნატოზე საუბარი ნაკლებად ადეკვატურია.** რა დაკარგა ამით უკრაინამ ან რა აიცილა თავიდან? რაც უფრო წაიწევდა ეს ქვეყანა ნატოსკენ, მით უფრო გაიზრდებოდა რუსეთის ზეწოლა და, სავარაუდოდ, რაღაც მომენტში ეს ქვეყნის გახლეჩით, აღმოსავლეთ უკრაინისა და ყირიმის დაკარგვით ან რაიმე მსგავსი უბედურებით დასრულდებოდა. ისევე, როგორც აშშ ეწინააღმდეგება ლათინურ ამერიკაში უცხო სახელმწიფოების (ან სამხედრო ბლოკების) პლაცდარმების შექმნას, ასევე რუსეთი მუდამ შეეწინააღმდეგება ასეთი პლაცდარმების გაჩენას მის საზღვრებთან. **აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია, დავაფიქსიროთ, თუ სად გადის ზღვარი და როდის ივსება მოთმინების ფიალა, მაგალითად, უგო ჩავესი ვაშინგტონთან მუდმივი ქიშპის რეჟიმში იმყოფება და თეთრი სახლი ამას, ასე თუ ისე, იტანს, მაგრამ, თუ ხვალ ჩავესი განაცხადებს, რომ ვენესუელა ოდკბში გაწევრიანებას ან თავის ტერიტორიაზე ჩინური რაკეტების განლაგებას აპირებს, 99%-ინი ალბათობით, ამერიკული ხომალდები ვენესუელას ნაპირებს მიადგებიან.**

1983-ში, როდესაც მსგავსი საფრთხე იგრძნეს, ამერიკელები კუნძულ გრენადაზე შეიჭრნენ. გაეროს გენასამბლეამ ინტერვენციის დაუყოვნებლივი შეწყვეტა მოითხოვა. განსაკუთრებით მძაფრი, არა სსრკის, არამედ აშშ-ის უახლოესი მოკავშირის, დიდი ბრიტანეთის რეაქცია იყო. გრენადა ბრიტანული თანამეგობრობის წევრი გახლდათ და ლონდონი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კიოდა. და მერე რა? ვერაფერს ვიზამთ, აშშ-ს, ისევე როგორც რუსეთს (მანამდე სსრკ-ს) აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ საკუთარი საზღვრების სიახლოვეს მოსალოდნელი საფრთხე (რეალური თუ წარმოსახვითი) გაანეიტრალოს, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ ამაზე სხვები; შეიძლება დავა იმაზე, რამდენად სამართლიანია ეს, თუმცა სამყარო ასეა მოწყობილი და უკრაინელ დეპუტატებს, როდესაც ზემოაღწერილ გადაწყვეტილებას იღებდნენ, ეს გარემოება, სავარაუდოდ, კარგად გააზრებული ჰქონდათ.

**თუმცა, ალბათ, შეუძლებელია, სააკაშვილის ხელისუფლებას ნატოში გაწევრიანების სურვილზე უარი ათქმევინო. ეს ისეთივე ძნელია, როგორც ფეტიშისტისთვის მისი სათაყვანებელი ნივთის წართმევა და იმის ახსნა, რომ მისი ქცევა უნაყოფო და უპერსპექტივოა. უყვარს და რა ქნას?!**

დავუშვათ, რომ მოხდა სასწაული და ხვალ საქართველო



**აგერ, სულ რაღაც სამი წლის წინათ, ათი ათასობით ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა; ისინი დევნილებად იქცნენ, იმ პიროვნებას კი, რომელსაც ამაში განმსაზღვრელი როლი მიუძღვის, როგორც ვხედავთ, პირიქით, კარ-მიდამო გაუჩნდა.**

ნატოს წევრი გახდა. ვაცნობიერებთ თუ არა, რომ ამ შემთხვევაში შეტაკება ნატოსა და რუსეთს შორის, ძალიან დიდი ალბათობით, ჩვენს ტერიტორიაზე ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას დაუკავშირდება? გვესმის თუ არა, რას ნიშნავს იყო საბრძოლო მოქმედებების თეატრი, სადაც ეს ორი ძალა ერთმანეთს დაეჯახება? კარგი იქნება, თუ ერთ ძველ ისტორიას კიდევ ერთხელ გავიხსენებთ.

ფრანჩესკო კოსიგამ 2004-ში „Corriere della Sera-ს 1980 წლის ამბების შესახებ მოუთხრო (მაშინ იტალიის მთავრობის თავმჯდომარე იყო): **„მარშალი ტიტო სიკვდილის პირას იყო და ნატოში საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა, თუმცა საბჭოელების შესაძლო შეჭრა იუგოსლავიაში ალიანსის რეაქციას არ გამოიწვევდა, რადგან ყველა ჩათვლიდა, რომ სსრკ-ს მიაქვს ის, რაც იალტის შეთანხმებებით ისედაც ეკუთვნოდა. ახლა ამას შემიძლია დავამატო, რომ იტალიაში არსებობდა გეგმა სახელწოდებით „ალებარდა“. ვფიქრობდით, რომ სსრკ არ დაკმაყოფილდებოდა იუგოსლავიით, შეიჭრებოდა ფრიული-ვენეცია-ჯულიას ოლქის ზღვისპირა ზოლში, სადაც ქალაქი ტრიესტი მდებარეობს. ამასთან, გვესმოდა, რომ ვერ ვთხოვდით ნატოს ბირთვული ომის დაწყებას მის დასაცავად. იუგოსლავიაში საბჭოთა ჯარების შესვლისთანავე, ჩვენი სამხედროები ვენეციის ოლქიდან უკან დაიხევდნენ, იქ დარჩებოდნენ მხოლოდ პრეფექტი, პოლიცია და კარაბინერები, წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად, მანამ, სანამ საბჭოთა ჯარები ამ ფუნქციებს საკუთარ თავზე აიღებდნენ“.**

საუბარია ყველაზე სერიოზულ არჩევანზე, რომლის გაკეთება იტალიელ პოლიტიკოსებს XX საუკუნის მეორე ნახევარში მოუხდათ. ჩრდილოეთ იტალია პლანეტის ყველაზე მშვენიერი და სიყვარულით მოწყობილი ადგილია, მას ბირთვულ უდაბნოდ გადაქცევის საფრთხე ემუქრებოდა. ბირთვული იარაღი რომც არ გამოეყენებინათ, ვენეციის, მილანის, ფლორენციისა და რომის ნანგრევები ორი გიგანტის საბრძოლო არენად გადაიქცეოდა, ასიათასობით, მილიონობით იტალიელი დაიღუპებოდა, ომი შთანთქავდა ყველაფერს, რაც საუკუნეთა განმავლობაში თაობებმა შექმნეს. მათ, ვინც ასწლეულები პატარა ქალაქ-სახელმწიფოებში გაატარეს, ქმნიდნენ და ოცნებობდნენ მანამ, სანამ იტალიის მიწა-წყალზე მძიმედ მოაბიჯებდნენ ფრანგი, ავსტრიელი, ესპანელი და გერმანელი მეომრები, რომლებიც ასჯერ, ათასჯერ უფრო ძლიერ იმპერიებს წარმოადგენდნენ. ერთიანი იტალია ჯერ ამ ადამიანების ოცნებებში დაიბადა და პოლიტიკურ რუკაზე მხოლოდ შემდეგ (როცა ამის დრო მოვიდა) გაჩნდა.

იტალიის მმართველებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: რა არის იტალია და როგორი გახდება ის? სიკვდილის ზონა, სადაც სასაზღვრო ბოძებს დაარჭობენ, თუ ცოცხალი გული, რომელიც უკეთესი მომავლის იმედით ფეთქავს?

საბჭოელებს, ოდითგანვე სადავო ტრიესტთან ერთად ვენეციაც რომ დაეკავებინათ? წარმოუდგენლად ძნელია, დათმო ვენეცია, უყურო, როგორ გადიან საზეიმო მარშით სან-მარკოს მოედანზე უცხო ქვეყნის ჯარისკაცები და თან გჯეროდეს, რომ (როცა ამის დრო მოვა) ქვეყნის მთლიანობა აღდგება. კოსიგას შეეძლო, დაემალა ეს ისტორია, მაგრამ, ალბათ, ჩათვალა, რომ იტალიელებმა სიმართლე უნდა იცოდნენ. ერმა გაუგო, იგი არავის განუკითხავს.

**სირცხვილი არაა, იყო სუსტი; სირცხვილია, უტვინო იყო!**

**დიმიტრი მონიავა**

# რატომ იქცევა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავი ძაღლივით?

**შპს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობაზე“ რიცხული ტყის ფონდის ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადმოცემის თაობაზე ერთი წლის წინ დაწყებული პროცესი დღემდე დამთავრებული არ არის.**

**შპს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობა“ ამჟამად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკუთვნის, რომელმაც აღნიშნულ ორგანიზაციას მკაცრი აღრიცხვის ფურცლის გაცემა შეუჩერა, რის საფუძველზეც ზუგდიდის მოსახლეობა ადგილობრივ ტყეში შეშას ამზადებდა. ასევე ამ ტყის ფონდიდან შეშით მარაგდებოდა სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, სოციალურად დაუცველი ოჯახები. გამომდინარე აქედან შარშანდელი ზამთარი ზუგდიდელებმა სიცივეში გაატარეს, რადგან არ ჰქონდათ შეშის დამზადების უფლება.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ რამდენიმეჯერ გაუგზავნა მოთხოვნის წერილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომ ზუგდიდის სატყეო მეურნეობის ტყის ფონდი ზუგდიდის ადგილობრივი მმართველობისთვის გადმოეცა. **დიდი ხნის დუმილის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრომ მოითხოვა (ზუგდიდის სატყეო მეურნეობაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის საკითხის განხილვის მიზნით), წარმოედგინათ ამონაწერი საწარმოო რეესტრიდან საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ. მათი მოთხოვნა ერთ კვირაში დაკმაყოფილდა, მაგრამ პასუხი სამინისტროდან დღემდე არ მოსულა.** არადა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ექვსი თვის გასვლის შემდეგ ზემოაღნიშნული ქონება თვითმმართველი ერთეულებისთვის საკუთრებაში გადაცემულ ქონებად ჩაითვლება. ზუგდიდის სატყეო მეურნეობა კი, როგორც აღვნიშნეთ, ერთ წელზე მეტია, ითხოვს ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლას. ასევე, ამ რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის სატყეო მეურნეობაში მოვიდა ბრძანება საწარმოთა მართვის სააგენტოდან (ეს სააგენტო ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაშია) შპს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობის“ 2011 წლის ბიზნეს გეგმის შესახებ. მიუხედავად ამისა, ოფიციალურად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ახირების გამო, შპს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობა“ დღემდე არ არის გადაცემული ზუგდიდის ადგილობრივი მმართველობისთვის. **როგორც ჩანს, ზუგდიდის მოსახლეობა, სოციალურად დაუცველი ოჯახები, საწარმო-დაწესებულებები, სკოლები, საბავშვო ბაღები წელსაც ვერ მიიღებენ ადგილობრივი ტყის ფონდიდან შეშას, რაც აუცილებლად გამოიწვევს უკმაყოფილებასა და სიტუაციის დაძაბვას, ამიტომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფრო მეტად გააქტიურება მართებს, რათა აიძულოს ეკონომიკის სამინისტრო, რაც შეიძლება მალე მოაგვაროს ეს საკითხი.**

ანალოგიურად უდგება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის საკითხსაც. ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაშენებული ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, სადაც უნიკალური ჯიშის ხეები ხარობს, ამჟამად უპატრონობისგან გაჩანაგებული და გაპარტახებულია. როდესაც ბაღი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში იყო, მას ყურადღება და მზრუნველობა არ აკლდა, მაგრამ, 5 წელზე მეტია, ბაღი ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა და მისი განადგურების პროცესიც დაიწყო.

ზუგდიდის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ თოდუამ რამდენიმეჯერ მიმართეს ეკონომიკის სამინისტროს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ადგილობრივი მმართველობისათვის გადაცემის თხოვნით, რათა ბაღი გადაურჩეს სრულ განადგურებას. ვერა ქობალიას უწყება კი ჯიუტად უარს ამბობს ამაზე — არც თვითონ უვლის ბაღს და არც სხვას აძლევს ამის საშუალებას.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

## მინისტრი უნიჭო ხუმრობას ემსხვერპლა

**იაპონიის ახლად დანიშნული ფინანსთა მინისტრი ატომურ ელექტროსადგურ ფუკუსიმა 1-თან დაკავშირებული ხუმრობების გამო თანამდებობიდან გადადგა.** ესიო ხატირომ ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს მდებარე დასახლებებს სიკვდილის ქალაქი უწოდა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე იგი ჟურნალისტს გაეხუმრა და რადიაციით მოწამვლით დაემუქრა.



## ობამას აზრით, ტერაქტებმა აშშ გააძლიერეს

**11 სექტემბრის ტერაქტის 10 წლისთავთან დაკავშირებით აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ დღეს, ამერიკის შეერთებული შტატები უფრო ძლიერია, ხოლო ალ-ქაიდა დამარცხების გზაზე დგას.** „ჩვენ ალ-ქაიდას გავუმართეთ ისეთი ბრძოლა, როგორც არასდროს. ბოლო ორწელიწადნახევრის განმავლობაში განადგურებულია მისი უფრო მეტი ლიდერი, ვიდრე ტერაქტის შემდგომი პერიოდის ნებისმიერ სხვა დროს. ჩვენი სამხედრო ძალების განსაკუთრებული მამაცობისა და სიზუსტის წყალობით, საბოლოო განაჩენი გამოვუტანეთ ოსამა ბინ ლადენს“, — განმარტა ობამამ.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მეუფე კალისტრატეს მიერ სააკაშვილისადმი მიძღვნილმა ლექსმა საერო პოეტების მიერ სტალინისადმი მიძღვნილ პოეზიასაც კი შორს გაუსწრო, იმ სტალინის, რომლის ძეგლი გორში სააკაშვილმა დაამარცხა. სწორედ რომ „პირველად ისტორიაში" მაღალი სასულიერო იერარქი ქვეყნის საერო ლიდერს არა მარტო ოსანას უმღერის, არამედ სისხლისღვრისკენაც მოუწოდებს...

**451 გრადუსი ფარენგეიტით**

# იმანუილ კანტი, მეუფე კალისტრატე და შოთა არველაძე სააკაშვილის შემოქმედებაში

**ოდესმე მემატიანე ნაციონალური მიღწევების გრძელი ნუსხიდან ცალკე გამოყოფს შადრევან პირველის მოგზაურობებსა და საჯარო გამოსვლებს. ასე გაბედულად მის მეტსახელს იმიტომ ვხმარობ, რომ თავად განაცხადა: — სულაც არ მწყინს, შადრევან პირველს რომ მეძახიანო! მისთვის რომ პირველობაა მთავარი, ეს კარგად არის ცნობილი. არც ის დაუმალავს, რომ შადრევნების თემა უკვე ამოწურა და მსხვილ არქიტექტურულ ფორმებსა და შოუ-ბიზნესის განვითარებას მიჰყო ხელი. ბათუმის კულტურის ცენტრი ვადამდე რომ გაეხსნა, როგორც ჟურნალისტები წერენ, მუშებსა და ინჟინრებს დამუქრებია: „თუ დროზე არ ჩამაბარებთ, თქვენ ყველანი ქეთოები იქნებით, მე კი – კოტეო"!**







რაკი თქვა, ჩანს, ამ საქმეშიც პირველობას აპირებს, ისევე, როგორც ზუგდიდელი გიგი მანია, რომელმაც საქართველოში პირველმა გარისკა და ერთსქესიანი ქორწინების დაკანონება მოითხოვა. გიგის 23 წლის მეგობარი ვაჟი ჰყოლია, რომელთანაც დაქორწინება სურს, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა ამის საშუალებას არ აძლევს. მანია აცხადებს, რომ ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა და, თუ საქართველო დემოკრატიული ღირებულებებისკენ ისწრაფვის, ერთსქესიანთა ქორწინება დასაშვები უნდა იყოს. სააკაშვილის აზრი ამ საკითხზე ჯერჯერობით უცნობია. არც ოპოზიციური პარტიები საუბრობენ ამ თემაზე, რადგან, თუ სიმართლეს იტყვიან, ოკეანის გაღმა ვერ გაუგებენ, ხოლო თუ იცრუებენ – ქართველი ამომრჩეველი ძალიან სწორად გაიგებს ყველაფერს და მაშინ არჩევნებზე არც უნდა იოცნებონ.

წინა ფარენგეიტის სტატიას „საქართველოში ჰეტერო მამაკაცებს ეგეთები უტყდებათ" ისევ გამოეხმაურნენ ინტერნეტში ისინი, ვისაც „არ უტყდებათ" (აკი ვწერდი, აიჯაგრებიან-მეთქი!) და აზრის გამოხატვა დამიწუნეს:

**„უკაცრავად და „ჯანმრთელი ახალგაზრდები" განმიმარტეთ, რას ნიშნავს. თუ თქვენ იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, ჰომოსექსუალობა რომ დაავადება ჰგონია? ეგ გულიდან ამოსული სიმართლე კი არა, ბოღმა, ზიზღი და ბოროტებაა. ქალბატონი ნანა დევდარიანისგან კი ნამდვილად გასაკვირია მსგავსი სტატია, ქალისგან, რომელსაც სახალხო დამცველის თანამდებობა ეკავა".**

**„ყოველთვის იარსებებს ხალხი, თავთავიანთი „ერის გადარჩენის" გენიალური კონცეფციებით, თუმცა ეგ ნაკლებად სახიფათოა, მაგრამ სახალხო დამცველის (თუნდაც ყოფილის) მხრიდან ასეთი, არ მომერიდება და ვიტყვი, (censored) გამოვლენა უპასუხოდ ნამდვილად არ უნდა რჩებოდეს წესიერ ქვეყანაში".**

**„ეგენი კი არა, ჩვენ ვართ უმცირესობაში!" „საქართველო გადაგვარების გზაზეა!" — ცოტა ხო არ დაგიძველდათ? ბოლო ოცი წლის მანძილზე მაგას გაიძახით ყველა და ხელს არ ანძრევთ, რომ რეალურად რამე გააკეთოთ. კი, ქალბატონო ნანა, სიძულვილი ძალიან ცუდია და თქვენ და თქვენნაირი „არაჩვეულებრივი" ბატონები და ქალბატონები სწორედ მას ავრცელებთ!"**

ყოფილი სახალხო დამცველი გიპასუხებთ: თქვენგან განსხვავებით, არც მძულხართ, არც მეზიზღებით. სტატიის პოსტსკრიპტუმიც რომ წაგეკითხათ, მიხვდებოდით, რომ უმცირესობის წარმომადგენელიც შეიძლება იყოს არატოლერანტული. ჩვენში კი სწორედ აგრესიული უმცირესობა მართავს ქვეყანას უმრავლესობის სახელით და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქვეყანაში სიძულვილი გაამეფეს. არც ის არის უცნაური, რომ მორწმუნეებს უკრძალავენ იმის კრიტიკას, რასაც თავად სარწმუნოება უმძიმეს ცოდვად აღიარებს, თუმცა იქ, სადაც მიტროპოლიტი პრეზიდენტს ლექსად ასხამს ხოტბას, გასაკვირი მართლაც აღარაფერია.

მეუფე კალისტრატეს მიერ სააკაშვილისადმი მიძღვნილმა ლექსმა საერო პოეტების მიერ სტალინისადმი მიძღვნილ პოეზიასაც კი შორს გაუსწრო, იმ სტალინის, რომლის ძეგლი გორში სააკაშვილმა დაამარცხა. სწორედ რომ „პირველად ისტორიაში" მაღალი სასულიერო იერარქი ქვეყნის საერო ლიდერს არა მარტო ოსანას უმღერის, არამედ სისხლისღვრისკენაც მოუწოდებს:

**საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს**

**იანვრის მზიანი დღეები**
**სხივებით გვაწვდიან ნიშანს,**
**ალბათ, საქართველო**
**განახლდება**
**თქვენი გამარჯვებით, მიშა.**
**ალბათ... თქვენ გელოდათ**
**ბაგრატი...**
**ნაშალი კედლები მისი,**
**თქვენი გამარჯვებით**
**ტაძარიც აღდგება...**
**ქვეყანაც... აღდგება, ვიცი.**
**დიდი დავითის,**
**აღმაშენებლის**
**საფლავზე დადეთ ფიცი,**
**რწმენით ააშენე,**
**რასაც ააშენებ,**
**შენ საქართველო გიცდის.**
**ილვინე ერისთვის,**
**ქვეყნისთვის აენთე,**
**დაგჭირდეს?**
**დაღვარე სისხლიც!**
**გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ**
**და ვისთან დადე ფიცი!**

პოეზიის ამ ნიმუშზე კომენტარისგან თავს შევიკავებ, რადგან გულის სიღრმეში მაინც ვიტოვებ იმედს, რომ მეუფე კალისტრატე თავად უარყოფს ამ ლექსის ავტორობას. მიხეილ ბულგაკოვის რომანში „ოსტატი და მარგარიტა" ვოლანდი ათეისტ ბერლიოზს ეუბნება, რომ მოუსვენარმა მოხუცმა იმანუილ კანტმა გააცამტვერა ღმერთის არსებობის 5 მტკიცებულება, ხოლო შემდეგ, ბედის ირონიით, საკუთარი, მეექვსე მტკიცებულება შექმნა. სხვათა შორის, ქსენოფობიასა და ჰომოფობიასთან მებრძოლებს შევახსენებ, რომ კანტი ცოტა არ იყოს და იუდოფობი გახლდათ, რასაც სულ არ შეუშლია ხელი სააკაშვილისთვის კრინიცაში მისი ციტატები მოეყვანა და „კანტი მართალი იყოო", ეძახა.

კრინიცის ეკონომიკურ ფორუმზე ახალგაზრდა ლიდერების წინაშე გამოსვლისას სააკაშვილმა განაცხადა: **„კანტი გულისხმობდა იმას, რომ არ არსებობს წიგნი, რომელიც წინასწარ გასწავლის, როგორ მართო და როგორ მოიქცე თავისუფლების პირობებში. ამის სწავლა მხოლოდ საკუთარი წარმატებებისა და წარუმატებლობის საფუძველზეა შესაძლებელი. კანტი ასევე მიიჩნევდა, რომ თავისუფლებისკენ სწრაფვას მოაქვს გაურკვევლობა და რისკი, მაგრამ ასეთი რისკი უნდა უგულებელყო, თუ გსურს საკუთარ ცხოვრებასა და შენი ქვეყნის ბედისწერაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულო. კანტი მართალი იყო".**

აქ სააკაშვილი თავად აღიარებს, რომ „ცდებისა და შეცდომების" გზით მართავს ქვეყანას. ერთი სიტყვით, იგი იმ დამწყებ მძღოლს ჰგავს, რომელიც ხალხით სავსე ავტობუსზე სწავლობს მანქანის მართვას. არ გეგონოთ, ვაჭარბებ, — იმავე გამოსვლაში მან განმარტა: **„როგორც თქვენმა უმეტესობამ იცის, შვიდი წლის წინათ საქართველო არშემდგარი სახელმწიფო იყო. ახლართული ბიუროკრატია საბჭოური მემკვიდრეობითა და კორუფციით შეზღუდულ საზოგადოებაში წარმოშობილ ყველა ინიციატივას ასამარებდა. შესაძლოა, ისიც იცოდეთ, რომ მშვიდობიანმა და პოპულარულმა რევოლუციამ ხელისუფლებაში მოიყვანა ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდი, რომელსაც სათავეში მე ვედექი. საქართველოში ვითარება იმდენად კატასტროფული იყო, რომ ყველაფერი, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ. ვინ ვიყავით ჩვენ ამ დროს? – არავინ, სტუდენტური ორგანიზაციებიდან მოსული ახალგაზრდების, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების გარდა".**

ეს „არავინ" ქვეყანას თითქმის რვა წელია, მართავენ. კანტის არ იყოს, სააკაშვილიც მართალია, როცა ამბობს: **„იმ ადამიანთა უმეტესობა, რომელიც საქართველოში პირველად ჩამოდის, გაოცებული რჩება ჩვენი მინისტრებისა და თანამდებობის პირების ასაკით. ფაქტობრივად, ვართ სახელმწიფო, რომელსაც 30 წლის ადამიანები მართავენ. ეს არის შედეგი და მთავარი მამოძრავებელი ძალა იმისა, რასაც ჟურნალმა The Economist-მა საქართველოს „მენტალური რევოლუცია" უწოდა".** ახლა თუ 30-ს 8 წელს გამოაკლებთ, იმასაც მიხვდებით, რომ 22 წლის თავქარიანი ყმაწვილების მიერ მართული ქვეყანა სწორედ ასეთი იქნება, როგორიც გახდა.

ზოგადად, სააკაშვილს უყვარს ჟურნალისტებზე დაყრდნობა. ასე მაგალითად, იმავე ფორუმზე მან CNN-ის კორესპონდენტს — ბრაიან ჩილკოტს დაადო ხელი და განაცხადა, რომ სწორედ იგია „ვარდების რევოლუციის" ნათლია: **„ზოგს ჰგონია, რომ ჩვენ ვისხედით გასაიდუმლოებულ იატაკქვეშა შეხვედრაზე და წინასწარ ვგეგმავდით, რა დაგვერქმია რევოლუციისთვის, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ასე არ იყო. სატელევიზიო ისტორიაში პირველად ბრაიან ჩილკოტი უძღვებოდა პირდაპირი ეთერით გადაცემულ რევოლუციას, რომელიც 4 საათის განმავლობაში ყოველგვარი სარეკლამო ჭრის გარეშე გადაიცემოდა. სწორედ მან წამოიძახა: „ეს ნამდვილი ვარდების რევოლუციააა!"**

დღემდე საქართველოში 2003 წლის რევოლუციის სახელის ავტორად „მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი" ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი ნათია ზამბახიძე ითვლებოდა: პირდაპირ ეთერში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების რეპორტაჟისას მან ვარდით შეიარაღებული სააკაშვილის დანახვისთანავე წამოიძახა: „ეს ნამდვილი ვარდების რევოლუციააა!" ახალმა ხელისუფლებამაც რევოლუციაში შეტანილი წვლილისთვის ნათია ხელგაშლილად დააჯილდოვა და აშშ-ში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩევლის თანამდებობა უფეშქაშა.

დღეს არამცთუ ნათია ზამბახიძე, ეროსი კიწმარიშვილიც კი აღარ ახსოვს სააკაშვილს. საქმეს რომ დასჭირდა, პოლიტიკური ნათელ-მირონიც ჩამოიშორა (2003 წლის საარჩევნო სიის პირველი ათეულიდან დღეს სააკაშვილის ბანაკში მხოლოდ ვანო მერაბიშვილია დარჩენილი) და რევოლუციის ნათლიაც სახელდახელოდ გამოცვალა. თუმცა მის გამონათქვამებს რაც შეეხება, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დენიელ ფრიდს, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მინისტრის თანაშემწეს საიდუმლოდ გაუმხილა: **„ზოგჯერ სააკაშვილი ბევრ სისულელეს ამბობს, მაგრამ სისულელეს არ ჩაიდენს".**

ამ ფორმულას შოთა არველაძეც მიჰყვა და, მართალია, სისულელეების ჩადენაში არც ის არის შემჩნეული, მაგრამ აზერბაიჯანელ ჟურნალისტს განუცხადა: **„რუსეთს სურს, მისი გვეშინოდეს, თურქეთი კი პატივისცემით გვეპყრობა. ამით განსხვავდება ეს ორი ქვეყანა. თურქეთი ადამიანური ქვეყანაა. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ რუსეთის არ გვეშინია და მზად ვართ, წლების განმავლობაში ვებრძოლოთ. ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ხალხები თურქებს ენათესავებიან და თურქეთმა ისინი მარტო არ დატოვა. რუსეთს კი ქართველებისთვის რთულ დროს დახმარების ხელი არასდროს გამოუწვდია. დიახ, ჩვენც მათსავით მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, მაგრამ ჩვენი მსგავსება აქ სრულდება".** რას უნდა მოასწავებდეს საფეხბურთო გუნდის მწვრთნელის ეს პოლიტიკური განცხადება, ვერასოდეს გაარკვევ, თუ არ გეცოდინება, რომ ეს გუნდი თურქული „კაისერისფორია". ეჰ, რას არ გათქმევინებს კონტრაქტი და ნაციონალური ხელისუფლების შიში? მით უფრო, რომ რუსეთი შორს არის, ვანო მერაბიშვილის უწყება კი — აქვე, ყურისძირში! თუ არადა, ჰკითხეთ გიორგი დემეტრაძეს.

**ნანა დევდარიანი**

**P.S. რას გულისხმობდა კანტი, სააკაშვილის ინტერპრეტაცია რომ არ ვისმინოთ, თავად კანტს მივუგდოთ ყური:**

**„არავის შეუძლია მაიძულოს, ვიყო ბედნიერი იმგვარად, როგორც მას უნდა, როგორც მას წარმოუდგენია სხვა ადამიანების კეთილდღეობა...**

**მოქალაქეებისთვის გამოხატვის თავისუფლების წართმევა ხელისუფლების დისკრედიტაციას იწვევს საზოგადოების წინაშე. ამ შემთხვევაში ხელისუფლება მოქალაქეთა მხარდაჭერას და ნდობას კარგავს...**

**ძალაუფლებით აღჭურვილი ნებისმიერი პირი ბოროტად გამოიყენებს საკუთარ თავისუფლებას, რადგან არავინ დგას მასზე ზემოთ. ხელისუფლების მეთაური თავად უნდა იყოს სამართლიანი და ამავე დროს, ადამიანად დარჩეს. ამიტომაც არის ეს ყველაზე რთული ამოცანა. სრულიად მისი გადაწყვეტა შეუძლებელია. ბუნებამ მხოლოდ ამ იდეასთან მიახლოება გვანდო".**

**მართალია კანტი.**



**შეიქმნა ისეთი ვითარება, როგორიც აღწერილია ცნობილ ზღაპარში „ალიბაბა და 40 ყაჩაღი“, ოღონდ ჩვენს დროს მორგებული პერსონაჟების მიერ გათამაშებული — „ჯორჯ ბუში და 40 თალიბი“. პრინციპი იგივეა — ყაჩაღობით სიმდიდრის მოპოვება, მაგრამ მეთოდებია განსხვავებული, რადგან ერაყის, ლიბიის, ირანის ნავთობრესურსების დაპატრონება, ავღანეთზე, მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს გზაგასაყარზე კონტროლის დაწესება „სეზამ, გაიღე“ შეძახილით ვერ მოხერხდებოდა.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ძია სემი და 40 თალიბი

**2001 წლის 11 სექტემბერს, ათი წლის წინათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერორისტული აქტი კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ტრაქტად არის მიჩნეული. ამერიკელების თქმით, პერლჰარბორის შემდეგ, ეს იყო უდიდესი თავდასხმა აშშ-ზე.**



**გაჩნდა და გავრცელდა ჰიპოთეზა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტები დაგეგმა თავად იმპერიამ, რათა „გაემართლებინა აგრესია, რომელიც დაუყოვნებლივ განხორციელდა ავღანეთისა და ერაყის წინააღმდეგ“; აგრეთვე — მოსაზრება, რომ „მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენები ააფეთქეს დინამიტის წინასწარ მომზადებული მუხტების მეშვეობით“.**

## ტერორისტთა წინააღმდეგ – ვის სასარგებლოდ?

პერლჰარბორზე იაპონელების თავდასხმის შემდეგ აშშ მეორე მსოფლიო ომში ოფიციალურად ჩაება.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ამერიკა საერთაშორისო ტერორიზმს უცხადებს ომს, რომლის მიზეზების, მამოძრავებელი ძალებისა და მიმდინარეობის შესახებ ექსპერტებს არაერთგვაროვანი და, არცთუ იშვიათად, რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვთ.

**ანალიტიკოსების ერთი ნაწილი მხარს უჭერს ვერსიას, რომლის მიხედვით, ამ ტრაგიკულ შედეგამდე აშშ მიიყვანა ბუში-უმცროსის ადმინისტრაციის ქორების მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ.**

ისინი მიიჩნევენ, რომ დივერსია, რომელიც მანჰეტენის ცენტრში განხორციელდა, აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებში იყო: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მას სჭირდებოდა ისეთი პირსისხლიანი და საშიში მოწინააღმდეგის არსებობა, რომლის სიძლიერე ეჭვს არ გამოიწვევდა. ამ როლზე ქორებმა მიიწვიეს ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდა“ და უსამა ბენ ლადენი, შემდგომ №1 ტერორისტად შერაცხული, მანამდე კი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი, რომელიც სსრკ-ავღანეთის ომის დროს მოჯაჰედების საველე რაზმებს ხელმძღვანელობდა.

**შეიქმნა ისეთი ვითარება, როგორიც აღწერილია ცნობილ ზღაპარში „ალიბაბა და 40 ყაჩაღი“, ოღონდ ჩვენს დროს მორგებული პერსონაჟების მიერ გათამაშებული — „ჯორჯ ბუში და 40 თალიბი“. პრინციპი იგივეა — ყაჩაღობით სიმდიდრის მოპოვება, მაგრამ მეთოდებია განსხვავებული, რადგან ერაყის, ლიბიის, ირანის ნავთობრესურსების დაპატრონება, ავღანეთზე, მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს გზაგასაყარზე კონტროლის დაწესება „სეზამ, გაიღე“ შეძახილით ვერ მოხერხდებოდა.**

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ახალ ისტორიულ პირობებში საერთაშორისო ტერორისტების მეთაურის ახალი ამპლუისთვის უსამა ბენ ლადენი საგანგებოდ მოამზადა. მიაჩნიათ, რომ პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, შეფარულად იყენებდნენ ბენ ლადენს, თუ იგი შეგნებულად მონაწილეობდა დაგეგმილ ფართომასშტაბიან ოპერაციებში. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ამბიციურმა ავანტიურისტმა მილიონერმა საუდის არაბეთიდან, გააცურა თავისი დასავლეთელი კურატორები და თავი მოიკატუნა, როგორც მათდამი ლოიალურად განწყობილმა პარტნიორმა. მაგრამ საჭირო დროს, როცა საკუთარი ძალა ირწმუნა, გაწყვიტა მათთან კავშირი და წარმოდგა, როგორც ანტიამერიკული, ანტიდასავლური ჯიჰადის მოუხელთებელი ბელადი.

**ამ ჯიჰადის შედეგი იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების საყოველთაოდ შემზარავი სერია. ვაშინგტონს სოლიდარობა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ გამოუცხადა, კუბამაც კი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ამერიკის სპეცსამსახურების მიერ მხარდაჭერილი ტერორისტების შეტევების სამიზნე იყო. აშშ-ის „მთავარი მტრის“ წინააღმდეგ გლობალური ლაშქრობის მიღმა დარჩენა არც ერთმა საღად მოაზროვნე მოქმედმა პოლიტიკოსმა არ ისურვა.**

„ალ ქაიდამ“ თავისი საქმე გააკეთა, მსოფლიო დაზაფრა თავისი დამანგრეველი შესაძლებლობის დემონსტრირებით.

ანალიტიკოსებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ, რეალობისგან განსხვავებით, ვირტუალური ტექნოლოგიების გამოყენებით, ტერორისტების რაოდენობა სულ უფრო მატულობდა — განუწყვეტლივ და ყველა მიმართულებით უტევდნენ დასავლეთის ცივილიზაციას და უდიდეს ზარალს აყენებდნენ. ამ ფონზე ვაშინგტონმა მოუწოდა თავის მოკავშირეებს, დამდგარიყვნენ ბენ ლადენის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ფრონტის წინა ხაზზე და გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ტერორისტები შეიჭრებიან ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, უფრო განიმტკიცებენ პოზიციებს აზიასა და აფრიკაში.

**ამის პარალელურად გაჩნდა და გავრცელდა ჰიპოთეზა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტები დაგეგმა თავად იმპერიამ, რათა „გაემართლებინა აგრესია, რომელიც დაუყოვნებლივ განხორციელდა ავღანეთისა და ერაყის წინააღმდეგ“; აგრეთვე — მოსაზრება, რომ „მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენები ააფეთქეს დინამიტის წინასწარ მომზადებული მუხტების მეშვეობით“.**

განსჯის საგანი გახდა ვერსია, რომ პენტაგონს გატაცებული „ბოინგი-757“ კი არ დაეჯახა, არამედ ფრთიანი რაკეტა, ხოლო თვითმფრინავის გატაცება დაუდგენელი ფაქტი და მითია. უცხოურ მედიაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მასალაში ინციდენტის შემდგომი ვითარება პენტაგონის კედლებთან ასეა აღწერილი: „დაზიანების ზონა „სამოქალაქო ტანსაცმლიანი“ ადამიანებით იყო რკალში მოქცეული (უთუოდ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებით), ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ ჩხრეკდნენ ტერიტორიას, კრეფდნენ სიკვდილის მთესველი აპარატის ნამსხვრევებს. გასაიდუმლოებული იყო რაკეტის ვიდეოგამოსახულება, რომელიც ჩაწერილი ჰქონდა სათვალთვალო კამერებს. ახლაც კი, ტერაქტიდან ათი წლის შემდეგ, ამერიკის ხელისუფლება დამაჯერებლად ვერ განმარტავს ინციდენტთან დაკავშირებულ სიტუაციას. **ბლოგებში გავრცელებული ვერსიით, რაკეტა თავისი მახასიათებლებით ჰგავს სისტემა „გრანიტს“, რომელიც რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეიარაღებაშია. თუ ეს მართალია, მაშინ ტერორისტულ აქტ 11-S-ს** *(მოკლედ ასე აღნიშნავენ 11 სექტემბრის ტერაქტს დასავლეთის მასმედიაში. — ა.ს.)* **თავდაპირველად რუსული აქცენტი ჰქონდა“.**

**ამ სიუჟეტის გაშიფვრა კი ასე შეიძლება: ზესაიდუმლო რუსული იარაღის ტერორისტების ხელში აღმოჩენა ნიშნავს, რომ იგი არასაიმედოდაა დაცული. საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რუსეთს წარუდგენდნენ ულტიმატუმს: თუ არ შეგიძლიათ საკუთარი არსენალების დაცვა, საერთაშორისო კონტროლს უნდა დათანხმდეთ. რაკეტები ტერორისტებს ხელთ არ უნდა ჩაუვარდეს და ამერიკელების სიცოცხლეს არ უნდა დაემუქროს.**

ეს მხოლოდ ვარაუდია.

გაუგებარია, რატომ არ განახორციელა ვაშინგტონმა ეს ჩანაფიქრი და რატომ არ მიმართა რუსეთს ულტიმატუმით. სავსებით შესაძლებელია, ასეთი ფერიცვალება გამოიწვია რუსეთის განცხადებამ, რომ მოსკოვი მზად არის, დაეხმაროს ვაშინგტონს ტერორიზმთან ბრძოლაში.

ესეც ვარაუდია.

ფაქტი კი ისაა, რომ ამერიკის სამხედრო ტვირთის გადაზიდვისთვის და პერსონალის გადასაყვანად გაიხსნა ცენტრალური აზიისკენ მიმავალი ყველა გზა, რომელიც რუსეთზე გადის.

## „ღმერთო, დაიფარე ამერიკა!“

**რატომღაც მოხდა ისე, რომ მსოფლიოს №1 ტერორისტის ლიკვიდაცია მაინც და მაინც 11 სექტემბრის ტერაქტის მეათე წლისთავს დაამთხვიეს. ექსპერტები ასეთმა დამთხვევამ დააეჭვა და ეს დაეჭვება მათ განუმტკიცა იმ მოვლენებმა, რომლებიც ბენ ლადენის ლიკვიდაციის სპეცოპერაციას მოჰყვა: მისი გვამი სასწრაფოდ გააქრეს, ზღვაში „დამარხეს“, ხოლო გარდაცვლილის ფოტოსურათები არ გამოაქვეყნეს, „ეთიკური მოსაზრებების გამო“.**

ეს ფაქტები ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილია და ამ პუბლიკაციაში მათი კვლავ მოხმობა მხოლოდ შეხსენების ფუნქციას ატარებს.

აი, თურქეთის, ირანისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების განცხადებები, რომლებიც ბენ ლადენის ლიკვიდაციასთანაა დაკავშირებული, შეიძლება საინტერესო იყოს: **თურქეთის პოლიტიკოსმა ბერკან იაშარმა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში გაიცნო ბენ ლადენი და მას შემდგომ ახლო ურთიერთობა არ გაუწყვეტია მასთან. რუსეთის პირველი არხისთვის მიცემულ ინტერვიუში იაშარმა განაცხადა, რომ ლადენი 2006 წელს მუცლის ტიფით გარდაიცვალა. იგი მაჰმადიანთა წესის დაცვით მთებში, პაკისტან-ავღანეთის საზღვართან საიდუმლოდ დაკრძალეს. „ალ ქაიდას“ ლიდერის სიკვდილის ამბავი იაშარმა მისი მცველებისგან შეიტყო. იგი ირწმუნება, რომ აშშ-ის დაზვერვამ შეძლო №1 ტერორისტის საფლავის დადგენა. აბოტაბადის ოპერაცია კი ჩაფიქრებული იყო ბენ ლადენის გვამის „ლეგალიზაციისთვის“, მრავალწლიანი ანტიტერორისტული ოპერაციის პირველი ეტაპის წარმატებით დაგვირგვინების სადემონსტრაციოდ.**

გახრწნილი გვამის და ესესაა ლიკვიდირებული ტერორისტის შეთავსება არ გამოდიოდა და „ეთიკური მოსაზრებით“ იგი სასწრაფოდ გააქრეს.

მოგვიანებით ოპერაციაში მონაწილე თითქმის ყველა სპეცრაზმელი დაიღუპა — ჩამოაგდეს ვერტმფრენი, რომელსაც ისინი მორიგი დავალების შესასრულებლად გადაჰყავდა.

არ არიან მოწმეები, არ არის ფაქტი!

მაშ ასე, ტერორიზმთან ბრძოლის ათწლიანი ციკლი დამთავრდა, იმპერიის მთავარი მტერი ლიკვიდირებულია.

ვინ დაიკავებს ამ ვაკანტურ ადგილს?

ექსპერტები შიშით ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია ახალი ტრაგედია, ახალი მასტიმულირებელი მუხტი.

კონსპიროლოგების ერთი ნაწილი ირწმუნება, რომ ამერიკის პრეზიდენტად ობამას არჩევა მის მსხვერპლშეწირვას ისახავდა მიზნად, ამ პოსტზე მის დაღუპვას ტერორისტის ტყვიით ან შაჰიდის მიერ.

როგორც ამბობენ, ჩრდილოვან სტრუქტურებს, რომლებიც განაგებენ ამერიკას, თავიანთი ლოგიკა და ქრონოგრამა აქვთ.

ღმერთო, დაიფარე ამერიკა!

**არმაზ სანებლიძე**

მოკლედ

## სარკოზის ახალი სკანდალი ელის

**საფრანგეთის პრეზიდენტს, ნიკოლა სარკოზის მორიგი სასიყვარულო სკანდალი ემუქრება.** მისმა ყოფილმა მრჩეველმა პიერ შარონმა ერთ-ერთ თოქ-შოუში განაცხადა, რომ სპორტის მინისტრი შანტალ ჟუანო თანამდებობაზე სარკოზისთან რომანის წყალობით დაინიშნა. შანტალ ჟუანოსა და სარკოზის შორის სასიყვარულო კავშირის შესახებ ხმები ადრეც ვრცელდებოდა. რაც შეეხება შარონს, კარლას გავლენით, სარკოზიმ ის თანამდებობიდან გაათავისუფლა. ახლა ყოფილი მრჩეველი მოწინააღმდეგეთა ბანაკშია და ერთ თვეში დაგეგმილ სენატის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.



## თურქეთი ისრაელს ნატოში არ უშვებს

**როგორც თურქული გამოცემები აღნიშნავს, თურქეთი, რომელიც უახლოეს მომავალში ისრაელთან ყველანაირი დიპლომატიური ურთიერთობის გაყინვას აპირებს, სავარაუდოდ, ასევე აქტიურად შეეწინააღმდეგება ისრაელის ნატოში გაწევრიანებას.** გარდა ამისა, თურქეთი ზეწოლას მოახდენს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოზე და ისრაელის წინააღმდეგ სანქციებს მოითხოვს. როგორც მედია ვარაუდობს, ამ სანქციების საბაბად იქცევა ის, რომ ისრაელი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ კონვენციას არღვევს.

ფეხბურთი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ზვიად სიჭინავა

„კარგად არის ნათქვამი: ვინც ახალს დაივიწყებს, თვალი უნდა ამოთხარო, ვინც წარსულს — ორივე! განა შეიძლება, რომ ხელმძღვანელობის პრეტენზია ჰქონდეს იმას, ვინც არ იცნობს ქართული ფეხბურთის პირველ ნაბიჯებს, არაფერი გაუგია იმაზე, როგორ თამაშობდნენ სამი-ორი-ხუთს, ან ერთსა და ათს, და ლაპარაკობდეს სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, რომელიც მატჩის მსვლელობისას ლამის ყოველ ხუთ წუთში იცვლება?!“

«წავედით და დავეტაკეთ ესპანეთის ფეხბურთს. წავაგეთ. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ესპანეთის ფეხბურთი დი სტეფანოდან იწყება, გერმანული ფეხბურთი — ბეკენბაუერიდან, ჰოლანდიური — კრუიფიდან, ევროპის ფეხბურთს სათავეში უდგას პლატინი. ამათ ტრადიციებზე ვითარდება და არსებობს ყველა გრანდი».

რეზო ძოძუაშვილი:

# მუშტი უნდა დაერტყათ მაგიდაზე და ეთქვათ სიჭინავასთვის — ან საქართველოს ნაკრებს მსოფლიო პირველობაზე გაიყვან, ან სამუდამოდ უნდა ჩამოსცილდე ფეხბურთს!


რეზო ძოძუაშვილი — მწვრთნელი

**რეზო ძოძუაშვილი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 49 მატჩი, სსრ კავშირის უმაღლეს ლიგაში — 301. უამრავ გუნდში — ბალტიისპირეთიდან დაწყებული, უკრაინისა და რუსეთის გავლით, საუდის არაბეთის ჩათვლით ფეხბურთელად, მწვრთნელად მრავალჯერ იყო მიწვეული. დღეს ბატონი რეზო „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია.**

**— ბატონო რეზო, ფეხბურთში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა (21 წლის ასაკამდე) ქუთაისში ესპანელებთან მატჩი წააგო ანგარიშით 7:2. ამ გამანადგურებელი და, პირდაპირ ვთქვათ, სამარცხვინო წაგების მიუხედავად, გულშემატკივრები საფინალო სასტვენამდე მხარს უჭერდნენ ჩვენს გუნდს.**

**რამდენიმე დღის შემდეგ ეროვნული ნაკრების მატჩზე ლატვიის ფეხბურთელებთან მაყურებელი არ მივიდა, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი ნახევრად ცარიელი იყო. არადა, ჩვენს ნაკრებს ძალიან სჭირდებოდა ქომაგთა მხარდაჭერა.**

**რას ფიქრობთ, რატომ მოხდა ასე, რამ გააცივა მაყურებლის გული?**

— მოკლე პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე შეუძლებელია. მოგეხსენებათ, რომ ფეხბურთი ადამიანების სიცოცხლის ერთგვარი არტერიაა, გულშემატკივრებს დიდი ფეხბურთის დიდოსტატებთან ერთად გაჰქონდათ ყოველთვის გამარჯვების ლელო. წარმატების საწინდარი ამ ორმხრივი კავშირის, ამ ტანდემის არსებობის აუცილებლობაა.

საქართველოში ფეხბურთი ეროვნული, თაობათა ტრადიციაა, ჩვენი ბაბუებიდან შვილებსა და შვილიშვილებში გადმოცემული. წარმოუდგენელია ამ კავშირის დარღვევა, თუ მართლა გულშემატკივრობა, ქომაგობაა და თუ მართლა ესმით ფეხბურთი, თუ თავდადებაა.

მოვიდა თუ არ მოვიდა სტადიონზე მაყურებელი? პრობლემაა. ძალიან ბევრ გულშემატკივარს დღეს ბილეთის ფულიც არ აქვს, თუმცა ზოგჯერ მაინც ახერხებს და ათასნაირი ხრიკებით შეიპარება სტადიონზე.

მაგრამ არ გამოვა არაფერი, მაყურებელს ვერ დავიბრუნებთ, თუ არ შევალთ იმ დინებაში, იმ ოკეანეში, რომელსაც მსოფლიო ფეხბურთი ჰქვია.

**— ჩვენ ამოვარდნილი ვართ ამ დინებიდან?**

— რა თქმა უნდა. უბედურება კი ისაა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო დავკარგეთ სწორი გეზი, მაშასადამე, — პოზიციებიც. თუ უწინ მატარებლის წინა ვაგონებში ვიყავით, დღეს ბოლო ვაგონში მივჩანჩალებთ.

**— რომელიც ძალიან ირყევა ლიანდაგზე.**

— ძალიან. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ერთეულების ძალისხმევით და მონდომებით ამ სიტუაციიდან ვერ გამოვალთ. მსოფლიო ოკეანეზე რომ ვილაპარაკე, იქ ჩვენს დიდ ტალღას ვერ შევქმნით ჩვენი პატარ-პატარა შენაკადებით.

**— თქვენ ძალიან პოეტურად ლაპარაკობთ. კარგია, მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს ეს?**

— მაყურებელი საქართველოში დიდ ფეხბურთს ვერ ნახულობს.

**— რატომ მოხდა ასე?**

— **ფაქტია, რომ ჩვენ სხვებზე ადრე შევქმენით XXI საუკუნის გუნდი, ჩვენმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, მაშასადამე, სპორტული ცხოვრებაც ისე განვითარდა, რომ ვეღარ შევძელით ამ საფუძვლის შენარჩუნება და განვითარება.**

ახალ ხელმძღვანელებს კი უნდა ევროპული და ახალი, მაგრამ, თუ ძველ გამოცდილებაზე უარი თქვი, თუ სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, სპორტის გამოცდილი ორგანიზატორები უგულებელყავი, დაივიწყე ქართული ფეხბურთის სიმდიდრე, არაფერი გამოვა.

**— ასეთია „ჩარეცხვის“ პოლიტიკა.**

— სპორტი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში თუ არ არის აყვანილი, თუ იგივე ფეხბურთი ფინანსურად არ არის უზრუნველყოფილი, ამას კი ვერ გაექცევი, ჩათვალეთ, რომ სასურველ შედეგს ვერასოდეს მივაღწევთ.

რა არის საჭირო პრობლემის გადასაწყვეტად? პირველ რიგში, — მკაცრი ხელი. **მუშტი უნდა დაერტყათ მაგიდაზე და ეთქვათ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ სიჭინავასთვის — ან საქართველოს ნაკრებს მსოფლიო პირველობაზე გაიყვან, ან სამუდამოდ უნდა ჩამოსცილდე ფეხბურთს!** ასე ეუბნებოდნენ თავის დროზე ქვეყნის ხელმძღვანელები ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მყოფ ადამიანებს და შედეგიც სახეზე იყო.

თუ არ გაქვს ამის თავი, წადი, გაეცალე, ნუ მოჰკიდებ ხელს იმას, რაზეც წარმოდგენა არ გაქვს.

გავიდა ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი სიჭინავას ხელში და რა მოხდა? გამოსწორდა საქმე? — პირიქით!

**ჩვენ ისეთ ჯგუფში მოვხვდით, რომ საქართველოს ნაკრები აუცილებლად უნდა გასულიყო ევროპის პირველობაზე იმ შემადგენლობითა და იმ ძალებით, რითაც ასეთი ვაივაგლახით მოვიყვანეთ იგი დღემდე.**

**— კერძოდ, რას გულისხმობთ?**

— თუნდაც იმას, რომ ქართულ ფეხბურთს მწვრთნელად დავუბრუნეთ პიროვნება, რომელიც ჩვენი აღზრდილი იყო, ჩვენი სკოლა ჰქონდა გავლილი. თემურ ქეცბაიაზე ვლაპარაკობ — ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელზე.

მანამდე ტოპმიულერიც გვყავდა, ვინ არ ჩამოიყვანეს, დიდად გამოცდილი და აღიარებული მწვრთნელები, მაგრამ ვერავინ მოერგო ქართულ ფეხბურთს და საქმე უკან-უკან წავიდა. თემურ ქეცბაიამ ქართულ ფეხბურთთან ერთად გაიარა გაჭირვებისა თუ წარმატებების გზა და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ უცხოელებზე მეტს გააკეთებდა.

**— მაგრამ ასე არ მოხდა.**

— რატომ ვერ გააკეთა ქეცბაიამ უფრო მეტი, იცით? თუ ჩხუბობ, მაგარი მუშტი უნდა გქონდეს. ათივე თითი მაგრად უნდა გქონდეს შეკრული. თუ სამი თითით გადიხარ საჩხუბრად...

**— მიიღებ სამი თითის კომბინაციას?**

— კი, მიიღებ სამი თითის კომბინაციას. მარტივ პარალელს გავავლებ. ერთი რუსული ზღაპარია თალგამის ამოღებაზე: Дедка за репку, бабка за дедку... და ასე მიყოლებით тянут, потянут, вытянуть не могут.

**— ბოლოს თაგვმა უშველა.**

— ასეა. ვინ წავიდა ჩვენი „თალგამის“ — ქართული ფეხბურთის და მისი ფედერაციის ამოსათრევად ჩამორჩენილობის ნიადაგიდან? ევროპის პირველობაზე და მსოფლიო პირველობაზე გასასვლელად?

**სიჭინავას, ფედერაციის პრეზიდენტს, ამ საქმის შემძლედ და გამკეთებლად არ ვთვლი. ეს კაცი ამბობს, თუ გინდათ, სტადიონს აგიშენებთ და ბალახიან მინდორს მოგიწყობთო... სად მშვენებლობა და სად... ფეხბურთი?**

**— მაგრამ სათამაშო მინდვრის პრობლემასაც რომ ვერ დაედგა თავი? ბორის პაიჭაძის სტადიონზე ნაკრების ერთ-ერთი თამაშის ჩაგდების შემდეგ ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, მინდორზე კი არა, ყანაში ვთამაშობდითო. ისეთ ცუდ დღეში იყო „დინამოს“ სტადიონი.**

— უფრო მეტიც: კარგი იყო თუ ცუდი, „დინამოს“ მინდორზე ჩვენი გუნდი შეჩვეული იყო თამაშს და ლატვიასთან გადამწყვეტი მატჩის წინ ეს სტადიონი მესხის სახელობის სტადიონით შეუცვალეს, როცა ჩვენთვისაც და ლატვიელებისთვისაც უცხო მოედანი იყო. საკუთარი მოედნის უპირატესობა დავკარგეთ. ესაა პროფესიონალიზმი?! ეს ბატონი სიჭინავა იძახის, რომ მე მოვიყვანე სამი კაცი, პროფესიონალი, და, თუ ქართული ფეხბურთი ჩავარდა, ამათი ბრალი იქნება. ვინ არიან ისინი? — ხურცილავა, ჩივაძე, გაბელია. მისაღებია? მისაღებია და გმადლობთ.

მაგრამ ამათმა აქტივობამ, რომელიც მაინც და მაინც გამორჩეული არ იყო, საქმეს ვერ უშველა. მიზეზი ისაა, დიდი ფეხბურთელების მთელი არმია დაუსაქმებელი რომ გყავს და იმ „თალგამის“ ამოღებაში მონაწილეობას რომ ვერ იღებენ, ესეც ხომ ფაქტია?

წავედით და დავეტაკეთ ესპანეთის ფეხბურთს. წავაგეთ. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ესპანეთის ფეხბურთი დი სტეფანოდან იწყება, გერმანული ფეხბურთი — ბეკენბაუერიდან, ჰოლანდიური — კრუიფიდან, ევროპის ფეხბურთს სათავეში უდგას პლატინი. ამათ ტრადიციებზე ვითარდება და არსებობს ყველა გრანდი.

სანამ იგივე არ გაკეთდება ჩვენთან, სანამ ჯერ კიდევ მდიდრები ვართ გამორჩეული სახელებით, სანამ არსებობენ შენგელიები, გუცაევები, სულაქველიძეები, თუნდაც ძოძუაშვილები და კიდევ ვართ ბევრნი, ამათ პლიუს ჩვენი გაზრდილები — კალაძე, ქინქლაძე, არველაძეები, ჯამარაული, ყაველაშვილი, სხვები და სხვები, თუ ამათი ერთობა არ შევქმენით, ამათ არ ჩავაბარეთ ქართული ფეხბურთის ბედი და არა ისეთ შემთხვევით ▶


დიდი ფეხბურთი: რეზო ძოძუაშვილი და ჯორჯ ბესტი

«სიკვდილის ჯგუფიო» კი არ უნდა ვიძახოთ და ამთავითვე შევეჩვიოთ წაგებას, პირიქით, მაგრად უნდა დავდგეთ, ვაჟკაცურად. აქაა საჭირო მკაცრი ხელი: შეგიძლია? გააგრძელე! არ შეგიძლია? წადი და საქმე დაუთმე იმას, ვინც იბრძოლებს»

«მე, როგორც პროფესიონალმა, მაგიდაზე უნდა დაგიდოთ პროგრამა, რომლითაც თუნდაც „სიკვდილის ჯგუფიდან“ მსოფლიო პირველობაზე უნდა გავიდეთ. ეს უნდა გავაკეთო მე (პირადად ჩემ თავს არ ვგულისხმობ), ვისაც ფეხბურთის აღორძინებასა და განვითარებაში გარკვეული წვლილი მაქვს შეტანილი და ვალდებული ვარ, კვლავაც შევიტანო».

„ყველა თავს იმართლებს ბავშვთა ფეხბურთით. ეს იმას ჰგავს, მძიმე ავადმყოფს მარტო სიცხის დაწევაზე რომ უმკურნალო. სისტემა უნდა აამოქმედო — საბავშვო ბაღიდან, ბავშვთა ფეხბურთიდან დაწყებული და შემდეგ — ახალგაზრდული, გარდატეხის პერიოდის, მოყვარული ფეხბურთის პერიოდით გაგრძელებული და პროფესიული, მსოფლიო დონის ფეხბურთით დაგვირგვინებული“.


ნოდარ ახალკაცი (უმცროსი)

# ფეხბურთი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



თემურ ქეცბაია

ხუთფუნტიანი ბანკნოტი, რომელიც ძოძუაშვილს გამოუგზავნეს

«რატომ ვერ გააკეთა ქეცბაიამ უფრო მეტი, იცით? თუ ჩხუბობ, მაგარი მუშტი უნდა გქონდეს. ათივე თითი მაგრად უნდა გქონდეს შეკრული. თუ სამი თითით გადიხარ საჩხუბრად... მიიღებ სამი თითის კომბინაციას»

◀ ადამიანებს, რომლებიც ფედერაციას ჩაუყენეს სათავეში, სულ იმ ზღაპრული თალგამის ამოღების მცდელობაში ვიქნებით და ძვრასაც ვერ ვუზამთ.

ასეთი ერთობის შექმნა ვერ მოახერხა იმ პიროვნებამ, რომელიც ფედერაციას უდგას სათავეში. „სტადიონის მშენებელმა“ ქართული ფეხბურთი იქ მიიყვანა, სადაც დღესა ვართ.

ერთ დამახასიათებელ ტენდენციაზეც გეტყვით.

ჩავაგდეთ ევროპა. ჩატარდა მსოფლიო პირველობის კენჭისყრა და, იცით, როგორი იყო ამათი რეაქცია? — „სიკვდილის ჯგუფში“ მოვხვდითო.

მსოფლიო პირველობაზე რომელი ჯგუფია იოლად გასასვლელი?! რომელი თამაში არ არის „სასიკვდილო“?!

**„სიკვდილის ჯგუფიო“ კი არ უნდა ვიძახოთ და ამთავითვე შევეჩვიოთ წაგებას, პირიქით, მაგრად უნდა დავდგეთ, ვაჟკაცურად. აქაა საჭირო მკაცრი ხელი: შეგიძლია? გააგრძელე! არ შეგიძლია? წადი და საქმე დაუთმე იმას, ვინც იბრძოლებს.**

ყველაფერი თავიდან მოდის. ვინ იყო ქართულ სპორტში პირველი პიროვნება, როცა საქართველო განსაკუთრებით ბრწყინავდა? გიორგი სიხარულიძე, რომელიც სპორტის ყველა სახეობაში საფუძვლიანად იყო ჩახედული და ყველა წამყვან სპორტსმენს არა მარტო პირადად იცნობდა, არამედ მათი პოტენციურ პროფესიულ შესაძლებლობაშიც ერკვეოდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს, ეს შესაძლებლობანი სრულად გამოევლინათ.

ახლა რა მდგომარეობაშიც სპორტია, ისეთი ხელმძღვანელიც გვყავს.

შესანიშნავი ფორმულაა: „ფეხბურთში თამაშამდე უნდა იფიქრო, ვიდრე შემდეგო“.

**— არც თამაშის შემდეგ ფიქრობენ?**

— არც თამაშის შემდეგ...

**— მაშ, რა ვქნათ?**

— მე, როგორც პროფესიონალმა, მაგიდაზე უნდა დაგიდოთ პროგრამა, რომლითაც თუნდაც „სიკვდილის ჯგუფიდან“ მსოფლიო პირველობაზე უნდა გავიდეთ. ეს უნდა გავაკეთო მე (პირადად ჩემ თავს არ ვგულისხმობ), ვისაც ფეხბურთის აღორძინებასა და განვითარებაში გარკვეული წვლილი მაქვს შეტანილი და ვალდებული ვარ, კვლავაც შევიტანო. ჯერ უნდა დავასაბუთო ეს პროგრამა, სანამ გულს აიცრუებს მაყურებელი და ნახევარ სტადიონსაც არ შეავსებს, დავარწმუნოთ, რომ ხალხიც გვყავს და პროფესიული მზაობაც გაგვაჩნია თანამედროვე ფეხბურთის სათამაშოდ.

გვაქვს ამის პოტენცია.

მარტო სამი კაცი, ვინც ზემოთ ვახსენე, ამას ვერ გაქაჩავს.

მაგალითად, თბილისის „დინამოში“ უნდა იყოს მსოფლიო დონეზე ნაბრძოლი ორი კაცი მაინც. გუნდებში მუშაობაზე უნდა გადავიტანოთ აქცენტი.

კარგად არის ნათქვამი: ვინც ახალს დაივიწყებს, თვალი უნდა ამოთხარო, ვინც წარსულს — ორივე! განა შეიძლება, რომ ხელმძღვანელობის პრეტენზია ჰქონდეს იმას, ვინც არ იცნობს ქართული ფეხბურთის პირველ ნაბიჯებს, არაფერი გაუგია იმაზე, როგორ თამაშობდნენ სამიორი-ხუთს, ან ერთსა და ათს, და ლაპარაკობდეს სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, რომელიც მატჩის მსვლელობისას ლამის ყოველ ხუთ წუთში იცვლება?!

აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით რომ ჩამოაყალიბებ მოქმედების პროგრამას, წარუდგენ ხალხს და იგიც მოგიწონებს, რადგან ხალხია ყველა თამაშის თანამონაწილე, შეძლებ ქართული ფეხბურთი სტაგნაციური მდგომარეობიდან გამოიყვანო.

**— შეძლებს ჩვენი ხელისუფლება ამის გაკეთებას?**

**— მთავრობამ რა იცის, რა უნდა გააკეთოს იმისთვის, ეროვნული ნაკრები მსოფლიო პირველობაზე რომ გაიყვანოს?! ამათ ბორის პაიჭაძისა და ავთანდილ ღოღობერიძის თამაშიც არ უნახავთ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ მიშა მესხი საბჭოთა ფეხბურთის კერპი იყო.**

ამაზე უნდა ვიმსჯელოთ. მაგრამ, თუ ჩემს ემოციურ საუბარს ჩხუბად და აგრესიად აღიქვამთ, ერთმანეთს ვერ გავუგებთ. აი, ეს ვუთხარი სიჭინავას ჩვენს ბოლო შეხვედრაზე. რა მიპასუხა, იცით?

**— არა.**

— რას მებლატავებიო. მაშინ მივხვდი, რომ ამ კაცთან საუბარი არ გამოვა. თუმცა თავს კარგად იმართლებს — მაგაზე ხურცილავასა და გაბელიას ელაპარაკეო.

მთავრობა ამას ვერ ხედავს, ვერ ერკვევა ვითარებაში. მაგრამ მე ხომ არ ვერევი პოლიტიკაში? მე ველაპარაკებოდი ნოდარ ახალკაცს (უმცროსს), მერაბ ჟორდანიას, ახლა — სიჭინავს და კიდევ ვინც არის — მომავალი, იმასაც დაველაპარაკები.

ჩვენ, ფეხბურთელებს, თავიდან გვიშორებენ და იწყებენ მეპურეებიდან... საქართველოში ყველას ჰგონია, რომ ფეხბურთი იცის.

**— და ეკონომიკა.**

— მთავრობას რატომ არ მინდა დავაბრალო, იცით? იმიტომ, რომ არც მე, არც ხურცილავას, არც მიშა მესხს და სლავა მეტრეველს მთავრობისთვის არ გვითამაშია, ჩვენ საქართველოსთვის ვთამაშობდით.

**— და იგებდით.**

— ბევრს ვჯობნიდით... აი, ეს თუ დაიკარგა, დამთავრდება ყველაფერი.

**— ბავშვთა ფეხბურთი?**

— ყველა თავს იმართლებს ბავშვთა ფეხბურთით. ეს იმას ჰგავს, მძიმე ავადმყოფს მარტო სიცხის დაწევაზე რომ უმკურნალო. სისტემა უნდა აამოქმედო — საბავშვო ბაღიდან, ბავშვთა ფეხბურთიდან დაწყებული და შემდეგ — ახალგაზრდული, გარდატეხის პერიოდის, მოყვარული ფეხბურთის პერიოდით გაგრძელებული და პროფესიული, მსოფლიო დონის ფეხბურთით დაგვირგვინებული. რომელი ქვეყანაც ამ სისტემას აამოქმედებს, ის იგებს კიდეც.

**— ეგ ხომ იყო?!**

— იყო ჩვენთან და არის ყველა ქვეყანაში, სადაც ამ საქმეს ფეხბურთელები ლიდერობენ. საქართველოშია მოშლილი, ფეხბურთელები — უგულებელყოფილი. ხომ გახსოვთ, რა მოწოდებები იყო: თბილისის „დინამო“ უნდა დაინგრეს, რადგან კაგებეს და მილიციის გუნდი არისო. დღესაც ყვირიან ამას ზოგიერთები. გადმონაშთიაო! გადმონაშთი ყოფილა პაიჭაძის, ღოღობერიძის, მესხის, მეტრეველის, ჩოხელის, ყიფიანის, იამანიძისა და ბევრი სხვა დიდოსტატის „დინამო“.

შემდეგი პრობლემაა მწვრთნელები. ვინაა დღეს ფეხბურთელების აღმზრდელი? მწვრთნელის ლიცენზიის გამცემი? ლიცენზია გაქვს? მწვრთნელი ხარ! ბეჭდიანი ქაღალდი ყოფილა ყველაფერი!

**— ვინ იძლევა ლიცენზიებს?**

— ფედერაცია და მისი თანამშრომელი დარსაძე, რომელსაც ეროვნული ნაკრები ჩააბარეს. ყველაფერი ჩააგდო. პროფესიონალებს კი ახლოს არ აკარებენ.

**— რა აკლია დღეს ქართულ ფეხბურთს?**

— გლადიატორები აკლია, რომლებიც უკომპრომისო ბრძოლებისთვის იქნებიან მზად. მაშინ უძლიერესიც დაფასდება, ეროვნული ჩემპიონატის დონეც ამაღლდება, მაყურებელიც მივა სტადიონზე, ნაკრებიც კარგი გვეყოლება და ჩვენი საუბარიც ოპტიმისტური იქნება.

ესაუბრა

**არმაზ სანებლიძე**

«მთავრობამ რა იცის, რა უნდა გააკეთოს იმისთვის, ეროვნული ნაკრები მსოფლიო პირველობაზე რომ გაიყვანოს?! ამათ ბორის პაიჭაძისა და ავთანდილ ღოღობერიძის თამაშიც არ უნახავთ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ მიშა მესხი საბჭოთა ფეხბურთის კერპი იყო»



1965 წლის 4 ივლისი, ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ.
მარცხნიდან: გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი, მიხეილ მესხი

**P.S. რეზო ძოძუაშვილი სიამოვნებით იხსენებს ბესტის, ჯაიჩის წინააღმდეგ ჩატარებულ ბრძოლებს მსოფლიო პირველობაზე:**

**— ბესტის ორი მაისური ჩამოვიტანე. ერთი თბილისის მუზეუმს ჩავაბარე, მეორე — ქუთაისისას. დღემდე მიდიან და ქუთაისის მუზეუმს 50 ათას დოლარს აძლევენ, მოგვყიდეთო. მეორე მაისური 50 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა და არსად არ ჩანს.**

**ჩრდილოეთ ირლანდიაში რამდენიმე ხუთფუნტიანი ბანკნოტი გამოუშვეს ბესტის გამოსახულებით. ერთი მე გამომიგზავნეს ბარათით: ყველაზე ღირსეულ მოწინააღმდეგეს, რომელიც სუფთად ეთამაშა ბესტის და შეძლო მისი ნეიტრალიზება.**

**ეს იყო და რჩება უნიკალურ ფაქტად.**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეგიონული პოლიტიკის წარმოების დროს ძალთა ბალანსის გაუთვალისწინებლობით პატარა ქვეყანა ან გადანაწილების მსხვერპლი გახდება ორ დიდ სახელმწიფოს შორის, რასაც ადგილი აქვს საქართველოს შემთხვევაში, ან დაკარგავს დამოუკიდებლობას და ერთი რომელიმე იმპერიის მონური დაქვემდებარების ქვეშ აღმოჩნდება.**

# საქართველოს დაშლის

საქართველოს ხელისუფლება, რუსეთის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, ამ უკანასკნელის იმპერიალისტურ ზრახვებს მიაწერს. იგი ნერგავს ამ აზრს საზოგადოებაში მის ხელთარსებული ყველა რესურსის გამოყენებით. **ხელისუფლების მიერ განხორციელებული იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ მის მიერ დაშვებული შეცდომების გადაფარვა მოახდინოს ყველა უბედურების რუსეთზე გადაბრალებით.**

**სამი წელი გვაშორებს იმ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კატასტროფას, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მოხდა. როგორც მოგეხსენებათ, სამი წლის წინათ, 26 აგვისტოს, საქართველოს ხელისუფლების ავანტიურისტული პოლიტიკის შედეგად, რუსეთის ფედერაციამ, უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა მუდმივმა წევრმა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და ამით საქართველოს დაშლა იურიდიულად გააფორმა.**



**ირაკლი უბილავა:**

**რომელი ევროპული ქვეყნის ლიდერი დათანხმდებოდა იმ ქვეყნის მიღებას ნატოში, რომელსაც ორი კონფლიქტური რეგიონი გააჩნია და რომელსაც მართავს სრულიად არაადეკვატური პიროვნება?!**

**უღირდათ კი პრაგმატულ ევროპელ ლიდერებს საკუთარი მოსახლეობის ომში ჩაბმა რუსეთთან საქართველოსთვის? პასუხი მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს: „არა!“, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთი დასავლეთ ევროპელებისათვის, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, ის ევროპული კომპანიებისთვის საკმაოდ დიდი ბაზარია.**



თუ გადავხედავთ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკას პატარა სახელმწიფოების მიმართ, თითქმის იდენტურ მსგავსებას დავინახავთ, გინდა რუსეთი იყოს და გინდა — ამერიკის შეერთებული შტატები. **ყველა დიდ სახელმწიფოს ამა თუ იმ რეგიონში საკუთარი ინტერესები გააჩნია და პატარა ქვეყნის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესები თანხვედრაში მოიყვანოს დიდი მოთამაშეების ინტერესებთან, ისე, რომ შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.**

საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევისა და განხორციელების შემთხვევაში, აუცილებელია რეგიონით დაინტერესებულ დიდ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არსებულ ძალთა წონასწორობის გათვალისწინება და მის საფუძველზე საგარეოპოლიტიკური კურსის ფორმირება. რეგიონული პოლიტიკის წარმოების დროს ძალთა ბალანსის გაუთვალისწინებლობით პატარა ქვეყანა ან გადანაწილების მსხვერპლი გახდება ორ დიდ სახელმწიფოს შორის, რასაც ადგილი აქვს საქართველოს შემთხვევაში, ან დაკარგავს დამოუკიდებლობას და ერთი რომელიმე იმპერიის მონური დაქვემდებარების ქვეშ აღმოჩნდება.

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცე ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა მოიცვა. საქართველოში ადგილი ჰქონდა ორ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტს, რომლებშიც ქართველი საჯარისო ფორმირებები დამარცხდნენ და მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე ფაქტობრივი კონტროლი დაკარგა.**

საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარების (და არა საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტად გახდომის) შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია შეერთებულ შტატებსა და ნატოზე მონური დაქვემდებარებით განისაზღვრა. მაშინდელი და, აგრეთვე, დღევანდელი პოლიტიკური ელიტის მტკიცებით, საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში არსებულმა კონფლიქტებმა და რუსეთის პლიტიკამ საქართველოსთან დაკავშირებით და მისმა მხარდაჭერამ სეპარატისტული რეჟიმებისადმი.

**რატომღაც შეერთებული შტატები და ევრო-ატლანტიკური სტრუქტურები მიიჩნეოდა ქვეყნის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტად. თუ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება მეტ-ნაკლებად განცხადებების დონეზე მაინც ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობას, ამას სააკაშვილის ხელისუფლებაზე ვერ ვიტყვით. მიუხედავად შერბილებული რიტორიკისა, შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა მაინც ცალსახად ამერიკისა და ამ იმპერიის საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციის — ნატოსკენ იყო მიმართული. შევარდნაძის ხელისუფლებამ 2002 წლის ნოემბერში გააკეთა განცხადება, რომლითაც სურვილი გამოთქვა ნატოში გაწევრიანებაზე. იმავე წელს ხდება ურთიერთობის ინტენსიფიკაცია ამერიკასთან, სამხედრო თანამშრომლობის კუთხით. შეერთებული შტატების მთავრობა იწყებს წვრთნისა და აღჭურვის 64-მილიონიან პროგრამას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით.**

თუმცა ამ პროამერიკული კურსის განხორციელებისას საქართველო (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გარდა) სულ უფრო მეტად ექცეოდა ამერიკის გავლენის ქვეშ, რაც კიდევ უფრო მეტად აშორებდა ფაქტობრივად დაკარგულ ტერიტორიებს. ე. შევარდნაძის მიერ საკუთარი პოლიტიკური რესურსების ამოწურვის შემდეგ, ამერიკელებმა აქცენტი ამერიკაში განათლებამიღებულ სააკაშვილზე გააკეთეს, რომელმაც სვლა ამერიკისკენ უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო. **მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა რუსეთისადმი აგრესიული პოლიტიკის გატარება, ქვეყნის მილიტარიზაცია და ამერიკელი პატრონების მიმართ მონური მორჩილება.**

იმ პერიოდში საქართველოში ბევრ პოლიტიკოსს მიაჩნდა, რომ ქვეყანა, მ. სააკაშვილის ენერგიული პროდასავლური კურსის შედეგად, ნატოს წევრი გახდებოდა, რითაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას წინ ვერაფერი აღუდგებოდა. თუმცა 2008 წელს MAP-ის წევრობის სამოქმედო გეგმის არ მიღებამ, გონივრულად მოაზროვნე ყველა ადამიანს დაანახა, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდებოდა და თან საკუთარ ტერიტორიებსაც შორდებოდა. MAP-თან დაკავშირებულ პოლიტიკურ პროცესებს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მთავარი ევროპული სახელმწიფოების ლიდერები აუცილებლად შეეწინააღმდეგებოდნენ საქართველოსთვის MAP-ის მიცემას. **რომელი ევროპული ქვეყნის (საუბარია მთავარ მოთამაშეებზე) ლიდერი დათანხმდებოდა ქვეყნის მიღებას ნატოში, რომელსაც ორი კონფლიქტური რეგიონი გააჩნია და რომელსაც მართავს სრულიად არაადეკვატური პიროვნება?!**

საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭებითა და შემდგომში, ალბათ, ნატოს წევრობით წაქეზებული სააკაშვილი დიდი ალბათობით კონფლიქტურ რეგიონებზე კონტროლის აღსადგენად ძალას გამოიყენებდა (რაც შემდგომში მან გააკეთა, ოღონდ MAP-ის მიღების გარეშე), რითაც ნატოს წევრ ევროპულ სახელმწიფოებს ბირთვული იარაღის მქონე რუსეთთან კონფლიქტში ჩაითრევდა. **უღირდათ კი პრაგმატულ ევროპელ ლიდერებს საკუთარი მოსახლეობის ომში ჩაბმა რუსეთთან საქართველოსთვის? პასუხი მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს: „არა!“, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთი დასავლეთ ევროპელებისათვის, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, ის ევროპული კომპანიებისთვის საკმაოდ დიდი ბაზარია.**

სააკაშვილის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკით (რომელიც არავითარ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებაში არ ჯდებოდა), საქართველო ნატოს წევრი ვერასოდეს გახდებოდა. პრინციპში, ▶

მოკლედ

## ნორდ სტრიმი გაიხსნა

**ევროპა, კერძოდ კი გერმანია, „ნორდ სტრიმის“ საშუალებით ბუნებრივი აირით ერთ თვეში მომარაგდება.** რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის ქალაქ ვიბორგში მდებარე მთავარი გამანაწილებელი გერმანიის ექს-კანცლერ გერხარდ შრიოდერთან ერთად გახსნა. პუტინის თქმით, ნორდ სტრიმის საშუალებით დასრულდება ის უთანხმოება, რომელიც უკრაინასთან არსებობდა, და გერმანია ყოველგვარი პრობლემის გარეშე მიიღებს ბუნებრივ აირს. ამ დროისთვის რუსეთიდან ევროკავშირის ქვეყნებში ბუნებრივი აირის 80% უკრაინის გავლით გადის.

## სოჭის ოლიმპიადის მოსამზადებელი ხარჯები იზრდება

**სოჭის ოლიმპიადის მოსამზადებლად რუსეთმა, შესაძლოა, სახელმწიფო ხარჯები 123 მილიარდი რუბლით გაზარდოს.** გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობა მზადაა, სოჭში ობიექტების მშენებლობისთვის სახელმწიფო კორპორაცია „ოლიმპსტროის“ ფინანსური გარანტია მისცეს. წინასწარი გათვლებით, გარანტიის მოცულობა 123 მილიარდ რუბლს შეადგენს. ამ წინადადებას მხარს უჭერს „ვნეშეკონომბანკი“, რომელიც 8 ოლიმპიური ობიექტის მშენებლობას აფინანსებს.

ანალიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ს საქართველო სჭირდებოდა პლაცდარმად რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთს კი პირიქით — თავდაცვითი ზღუდის ფუნქციის შესრულებისთვის, რათა მისი უშუალო გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე არ მოეშვა თავისი საზღვრების სიახლოვეს. იქმნებოდა სიტუაცია, რითაც ორი ძალა ებრძოდა ერთმანეთს, რათა არ დაეშვათ ერთიმეორის ერთპიროვნული გაბატონება კავკასიაში.**

# გეოპოლიტიკური მიზეზები

◀ ამის შანსი საქართველოს არც არასდროს ჰქონია, მაგრამ საქართველო აუცილებლად დაშორდებოდა დაკარგულ ტერიტორიებს. ეს პოლიტიკა მხოლოდ ამერიკის პროტექტორატის ქვეშ მოქცევასა და ქვეყნის სრულ დესუვერენიზაციას მოასწავებდა, რაც შემდგომში მოხდა კიდეც.

**ამ ხელისუფლების ყველაზე დიდ პოლიტიკურ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ცხინვალის რეგიონში განხორციელებული სამხედრო ავანტიურა. ამ რეგიონში ომის დაწყებით საქართველო პირდაპირ ჩაება რუსეთთან ომში. მოვლენების ანალიზისას შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ სააკაშვილმა ომი დაიწყო ამერიკელების წაქეზებით, ვინაიდან მოვლენების ნებისმიერი განვითარება აშშ-ს ხელს აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს დიდი ინტელექტის მქონე ადამიანად არ მივიჩნევ, ელემენტარული აზროვნების უნარი ხომ მაინც აქვს და შეუძლებელია, არ სცოდნოდა, რომ რუსეთთან პირისპირ ომში საქართველო აუცილებლად დამარცხდებოდა.**

ცხინვალის რეგიონში მოვლენები შეიძლება რამდენიმე მიმართულებით განვითარებულიყო და ნებისმიერი შედეგით ამ მოვლენების დამთავრება ამერიკელების ინტერესებში შედიოდა: თუ რუსეთი ამ ომში არ ჩაერთვებოდა და საქართველოს ხელისუფლება აღადგენდა კონტროლს ცხინვალის რეგიონზე, მაშინ გამოჩნდებოდა, რომ რუსეთს ვერ შესწევდა ძალა, რეგიონში დაეცვა თავისი ეროვნული ინტერესები, რითაც ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერებას გამოიწვევდა ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკებში, რაც მომავალში შეიძლება რუსეთის დაშლით დამთავრებულიყო.

**თუ რუსეთი ჩაერთვებოდა ომში (რაც მოხდა) და ქართული საჯარისო ფორმირებების დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანას დაიკავებდა, მაშინ იგი შესაძლოა ჩათრეული ყოფილიყო პარტიზანულ ომში არა მხოლოდ საქართველოსთან, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით. მოკლედ რომ ვთქვათ, მიიღებდა მეორე ავღანეთს, ხოლო ავღანეთის ომმა თუ რა სავალალო შედეგამდე მიიყვანა საბჭოთა კავშირი, ყველას ახსოვს.**

მოვლენების მესამე გზით განვითარების შემთხვევაში, რასაც ადგილი ჰქონდა რეალურად, მოხდებოდა საქართველოს გადანაწილება ისე, როგორც ეს ამერიკის ინტერესებს შეესაბამებოდა. კერძოდ, ამერიკელები საქართველოს იყენებენ როგორც პლაცდარმს რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან და მათ დღევანდელი ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება სააკაშვილის ხელისუფლების იურისდიქცია, სრულად დააკმაყოფილებდათ.

**როგორც ანალიზიდან ჩანს, ამერიკელებს ეს ომი აწყობდათ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციისთვის. ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენებითა და დასრულებული შედეგებით ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც გამარჯვებული დარჩა, არის აშშ.**

რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას კონფლიქტური რეგიონებისა, ეს ომის შედეგად ძალთა წონასწორობის შეცვლის შედეგი იყო. რუსულ გეოსტრატეგიაში სამხრეთ კავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოს ჰქონდა თავდაცვითი პლაცდარმის დანიშნულება. რაც შეეხება რუსული არმიის ყოფნას საქართველოში, მას ორი სამხედრო სტრატეგიული ფუნქცია ჰქონდა: ალყაში მოექცია ზურგიდან ჩრდილოკავკასიელი მუსლიმები და რუსეთის საზღვრებისაკენ სამხრეთიდან წამოსული გეოსტრატეგიული მოწინააღმდეგე შეეკავებინა.

**ომის დაწყებამდე, როდესაც არსებობდა სტატუს-კვო, კონფლიქტურ რეგიონებში განლაგებული იყვნენ რუსი სამშვიდობო ძალები. რეალურად ისინი გეოსტრატეგიულ ფუნქციას ასრულებდნენ, ოღონდ შეზღუდულ ფარგლებში. ომის შემდეგ ამ რეგიონების მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებით შეძლებდა რუსეთი თავისი სამხედრო ნაწილების იურიდიულად ყოფნას კავკასიის ქედს გადმოღმა. სხვა შემთხვევაში კი, ის თავის გეოსტრატეგიულ ფუნქციას ვერ განახორციელებდა. სამშვიდობოების სტატუსით რუსეთი თავის ძალებს ვერ დატოვებდა: ან როგორ უნდა დაეტოვებინა იმ ქვეყანაში თავისი სამშვიდობოები, რომელთანაც ომი ჰქონდა გადატანილი, ან უნდა გაეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები და ამით სამხრეთ კავკასია პლაცდარმად გადაეცა ამერიკელებისთვის, რაც მისი მხრიდან საკუთარი ეროვნული ინტერესების ღალატი იქნებოდა.**

ისე სიმართლე უნდა ითქვას, რომ კავკასიაში მიმდინარე პროცესები რუსულ-ამერიკული გეოპოლიტიკური სტრატეგიების დაპირისპირებას წარმოადგენს. სწორედ ეს სახელმწიფოებია რეგიონში გეოპოლიტიკურად აქტიური მოთამაშეები, საქართველო კი, სხვა პატარა ქვეყნების მსგავსად, გეოპოლიტიკურად პასიური ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც აშშ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პაიკად იყენებს რუსეთის წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ ითქვა, 2008 წლის ომმა ძალთა წონასწორობის ცვლილება გამოიწვია კავკასიის რეგიონში, რამაც საქართველო კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააგდო. არადა, სწორ გათვლებზე გაკეთებული პოლიტიკის შედეგად, შეიძლებოდა მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო.

ომამდე საქართველოს მდგომარეობა შეიძლება XX საუკუნის 20-იანი წლების ირანის მდგომარეობისთვის შეგვედარებინა. პირველი მსოფლიო ომით დასუსტებული რუსეთი 1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გამოვიდა. რუსეთი იმდენად დასუსტებული იყო, რომ არ შესწევდა უნარი დაეცვა თავისი ეროვნული ინტერესები. ინგლისს სურდა, ამ სიტუაციით ესარგებლა და თავისი სამხედრო ბაზები განეთავსებინა ირანის ტერიტორიაზე, რითაც ირანს საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცევდა და დიდი ალბათობით გამოიყენებდა რუსეთის წინააღმდეგ, რაც რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა. ამ პერიოდში მოღვაწე ირანელმა პოლიტიკოსებმა გეოპოლიტიკურ რეალიებს ძალიან კარგად აუღეს ალღო და 1921 წელს მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთსა და ირანს შორის. **ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი უარს ამბობდა ყველაფერზე ირანში, რაც კი მეფის რუსეთს ეკუთვნოდა, ოღონდ ერთი პირობით: თუ ირანის ტერიტორიას სამხედრო მიზნებისთვის არ გამოიყენებდა მესამე სახელმწიფო. თან ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი იტოვებდა საკუთარი ჯარების შეყვანის უფლებას ირანში იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე შეეცდებოდა ირანის ტერიტორიის გამოყენებას სამხედრო მიზნებისთვის. ამ ხელშეკრულებით ირანი თავისუფლდებოდა სხვა ქვეყნის, კერძოდ ინგლისის, შეიარაღებული სამხედრო ბაზებისაგან, რითაც ირანისათვის შეიქმნა საუკეთესო პირობები დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.**

საქართველოსაც ირანის მსგავსი საგარეო პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა, ვინაიდან კავკასიაში არსებული ძალთა წონასწორობა ამის საშუალებას იძლეოდა. იმ პერიოდში, კავკასიაში ორი გეოპოლიტიკური ფაქტორი უპირისპირდებოდა ერთმანეთს, რუსეთი და აშშ. რუსეთი, როგორც ცივ ომში დამარცხებული საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო, სიძლიერის თვალსაზრისით, ჩამორჩებოდა ამერიკას თითქმის ყველა კომპონენტში: იდეოლოგიურში, ეკონომიკურში და სამხედრო თვალსაზრისით, თუმცა იგი ამ სისუსტის კონპენსირებას რეგიონისადმი გეოგრაფიული სიახლოვით ახდენდა, რაც მას სამხედრო სტრატეგიულ უპირატესობას ანიჭებდა მოწინააღმდეგესთან შედარებით და ეს მომენტი აბალანსებდა იმ უპირატესობას, რომელიც ამერიკას გააჩნდა. **როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, აშშ-ს საქართველო სჭირდებოდა პლაცდარმად რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთს კი პირიქით — თავდაცვითი ზღუდის ფუნქციის შესრულებისთვის, რათა მისი უშუალო გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე არ მოეშვა თავისი საზღვრების სიახლოვეს. იქმნებოდა სიტუაცია, რითაც ორი ძალა ებრძოდა ერთმანეთს, რათა არ დაეშვათ ერთიმეორის ერთპიროვნული გაბატონება კავკასიაში.**

ამ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში საჭირო იყო საბჭოთა რუსეთსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება რუსეთთან, რითაც საქართველოს უნდა აეღო ვალდებულება, რომ იგი არ მისცემდა უფლებას მესამე სახელმწიფოს, გამოეყენებინა საკუთარი ტერიტორია სამხედრო მიზნებისთვის. თუკი უცხო ქვეყანა შეეცდებოდა, გამოეყენებინა საქართველოს ტერიტორია სამხედრო მიზნებისთვის, ამ შემთხვევაში რუსეთს უნდა მისცემოდა უფლება, საკუთარი შეიარაღებული ძალები შემოეყვანა საქართველოში. ასეთი ტიპის საგარეო პოლიტიკის წარმოებას ჰქვია დიდ სახელმწიფოთა მიერ ურთიერთშეკავების პოლიტიკა. სწორედ ასეთი ტიპის საგარეო პოლიტიკის შემთხვევაში, აფხაზეთი და ცხვინალის რეგიონი იმ სტრატეგიულ მნიშვნელობას დაკარგავდა რუსეთისათვის, რომელიც დღეს აქვს. საქართველო არათუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან იქნებოდა ახლოს, არამედ გეოპოლიტიკურად პასიური მდგომარეობიდან, გეოპოლიტიკურად ნეიტრალური ქვეყნის სტატუსს შეიძენდა, რითაც საქართველო რეალურ დამოუკიდებლობას მიიღებდა და არა მოჩვენებითს, როგორიც დღეს აქვს.

**ამგვარი ხელშეკრულების დადება ელცინის რუსეთთან შეუძლებელი იყო, ვინაიდან მაშინდელი რუსეთის ხელისუფლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდა საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ყველა მიმართულებით, მაგრამ პუტინის პრეზიდენტობის დროს ეს სავსებით რეალური იყო, რაც ვერ გამოიყენა საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ და საბოლოოდ ქვეყნის დაშლით დაგვირგვინდა.**



**ამერიკელებს ეს ომი აწყობდათ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციისთვის. ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენებითა და დასრულებული შედეგებით ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც გამარჯვებული დარჩა, არის აშშ.**



ამბები

## ნატომ მკვლელობა აღიარა

**ნატოს ხელმძღვანელობამ ავღანეთში BBC-ის ჟურნალისტის — აჰმედ ჰაპულვაკის მკვლელობა აღიარა.** ნატოს განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკელ ჯარისკაცს 25 წლის ჟურნალისტი ტერორისტი ეგონა და შეცდომით მოკლა. ჟურნალისტის მკვლელობის საქმეზე გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც ეჭვქვეშ დადგა ვერსია, რომ ჟურნალისტი ტერორისტმა მოკლა.



## ამერიკა ქუვეითში ჯარს განალაგებს

**ამერიკამ, შესაძლოა, 2012 წლის ბოლომდე ქუვეითში საკუთარი ჯარი განალაგოს. ეს ერაყის არმიის მხარდაჭერის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება.** ვაშინგტონს ადრე ქუვეითში სამხედრო კონტინგენტის განლაგების შესახებ ღიად არ განუცხადებია, მაგრამ აშშ ერაყის არმიის მომზადებაში საკუთარი როლის გაგრძელების სხვადასხვა შესაძლებლობებს განიხილავს. 2011 წლის ბოლომდე ერაყში 46 ათასი ამერიკელი სამხედრო რჩება. ამის შემდეგ კი, სავარაუდოდ, ერაყში 150 სამხედრო მოსამსახურე იქნება.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


გენო კალანდია

„აფხაზეთის მწერალთა კავშირი მაშინ იყო ერთი დიდი საკრებულო აფხაზებისა და ქართველების. აფხაზეთში საოცრად უყვართ თავიანთი პოეტები, მწერლები, რომლებიც ყოველთვის ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ ხალხში. ჩვენ ყველგან ერთად ვიყავით, არ დარჩენილა სოფელი, სადაც შემოქმედებითი შეხვედრები არ გაგვიმართავს“.

# გენო კალანდია: ანქვაბი იყო და არის საიმედო კაცი!

**ბატონმა გენო კალანდიამ სოხუმი მაშინ დატოვა, როცა ცეცხლმოკიდებულ ქალაქში დარჩენა უაზროდ თავის გაწირვას ნიშნავდა. თითზე გადასახვევი ძაფიც არ წამოუღია შინიდან, ნემსი რომ ნემსია, — ისიც კი. დიდი ტკივილი გამოიტანა — მისი თაობის სატარებელი მძიმე ჯვარი — ჩვენ იქნებ ვერც მოვესწროთ ამ ჭრილობის განკურნებას... მეთვრამეტე უაფხაზეთო შემოდგომის პირია, დრო, როცა „თბილისი ოქროსფერი მეწყერია, განსაკუთრებით შემოდგომის დამდეგს“, — მისი ლექსიდანაა.**


გენო კალანდია, დავით კვიცარიძე, ჯანსულ ჩარკვიანი და ივანე თარბა


გალაკტიონ ტაბიძე და დიმიტრი გულია

## ჩვენს ხელისუფლებას აფხაზეთი არც აინტერესებს. რამდენიმეს გამოკლებით, აფხაზეთში ნამყოფებიც კი არ არიან

**— როგორ დაიწყო აფხაზეთი თქვენთვის, ბატონო გენო?**

— სამეგრელოში ვიზრდებოდი, ზუგდიდში. ჩვენს მეზობლად ჩამოსახლდა ფიფიების ოჯახი. პატარა ბიჭი ვიყავი მაშინ და, როგორც ყველა ბავშვს სჩვევია, დღეში ხუთჯერ შევდიოდი იმათ სახლში. ეზოში ჯორკოზე იჯდა ყოველთვის ამ ოჯახის ბებია, დღევანდელი გადასახედიდან რომ ვაფასებ, ოთხმოცს გადაცილებული ქალბატონი, რომელიც ყალიონს ეწეოდა, შავი თავსაფრით შებურული შაოსანი. რამდენჯერაც შევიდოდი, წამოდგებოდა ჯორკოდან და მიმიპატიჟებდა:

— მობრძანდი, ნან!

ნანა კი არა, ნან...

მეგრელებს ზრდილობა არ აკლიათ, მაგრამ ასეთი ხაზგასმული პატივისცემა ოჯახის ზღურბლს მომდგარისადმი, უცხოდ მეჩვენებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს განვუცხადე დედაჩემს, რომ აღარ შევიდოდი მეზობლებთან, რადგან იმათი ბებია ყოველთვის თავს იწუხებს — ფეხზე დგება და ისე მეგებება-მეთქი.

**— დედაო, — მითხრა, — ესენი აფხაზები არიან. ვინც გინდა შევიდეს იმათ ოჯახში — ბავშვი, მოზრდილი თუ ხანდაზმული, ყველას ფეხზე ადგომით ხვდებიან.**

**მაშინ პირველად გავიგე სიტყვა „აფხაზეთი“: ასე — ფეხზე მდგომი შემოვიდა აფხაზეთი ჩემში.**

— 2009 წელს, როცა საქართველოს ხელისუფლებამ სახელმწიფო პრიორიტეტების ჩამონათვალიდან ფაქტობრივად ამოშალა აფხაზეთის პრობლემა, თქვენ, გენო კალანდიამ აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის სახელით გამოეცით უნიკალური წიგნი „აღელვებული ზღვა“, რომელშიც თავი მოუყარეთ აფხაზი პოეტების ლექსებს საქართველოზე.

რა იდეა გამოძრავებდათ?

**— მე მყავდა ერთი აფხაზი მეგობარი, თქვენი კოლეგა — აფხაზეთის ტელევიზიის პირველი თავმჯდომარე შამილ ფილია,** ცოტა ამბიციური პიროვნება, რის გამოც ვკამათობდით ხოლმე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე. მეგობრებს შორის კამათი თუ არ არის, მაშინ მეგობრობა კი არა, პირფერობაა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მას არც საქართველო და არც ქართველები ეხატებოდა გულზე.

თურმე ასე არ ყოფილა.

მას შემდეგ, რაც სოხუმი დაეცა და დავკარგეთ აფხაზეთი, სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა მისი ლექსი, რომელმაც შემძრა და ამაფორიაქა:

**„ვხედავ, ჩვენს შორის**
**ტყვია ჩამდგარა,**
**ერთურთს ამაგი ვერ**
**დავუფასეთ,**
**მაგრამ რა ვუყო ამ გულს,**
**რომელიც**
**ვერ დაივიწყებს**
**ნოდარ დუმბაძეს“.**

თურმე შამილი ბოლომდე ვერ მიცვნია, თურმე ის ჩემსავით იტანჯება იქ... მაშინ დამებადა იდეა, რომ გამომეცა ჩემი მეგობარი აფხაზი პოეტების ლექსები საქართველოზე.

აფხაზეთის მწერალთა კავშირი მაშინ იყო ერთი დიდი საკრებულო აფხაზებისა და ქართველების. აფხაზეთში საოცრად უყვართ თავიანთი პოეტები, მწერლები, რომლებიც ყოველთვის ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ ხალხში. ჩვენ ყველგან ერთად ვიყავით, არ დარჩენილა სოფელი, სადაც შემოქმედებითი შეხვედრები არ გაგვიმართავს.

**— ლიხნშიც იყავით?**

— აბა, რაზეა ლაპარაკი! არ დარჩენილა არც ერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი ოჯახი, სადაც სუფრაზე არ ვმჯდარვარ და სიყვარული არ მიმიღია.

აი, ამ ერთობის დასტურად გამოვეცით ეს წიგნი — საქართველო აფხაზურ პოეზიაში.

**— სახელწოდება — „აღელვებული ზღვა“ საიდან გაჩნდა?**

— დიმიტრი გულიას ლექსიდანაა — „აღელვებული ზღვა“, რომელიც ზუსტად გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელიც ჩვენ შორისაა დღეს, მაგრამ მოვა დრო და, როგორც ზღვა დამშვიდდება, დაწყნარდება, დაიწმინდება ჩვენი ურთიერთობაც.

საქართველოს ისტორიის მაგალითები გვიდასტურებს ამას.

**— როგორც ვიცი, ეს კეთილშობილური საქმე — „აღელვებული ზღვის“ გამოცემა სპონტანური აქტი არ იყო. ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის პერიოდში თქვენი ინიციატივით და იმ პერიოდში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის — თამაზ ნადარეიშვილის მხარდაჭერით დაარსდა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია, რომლის პირველი ლაურეატები გამოჩენილი ქართველი მწერლები გახდნენ.**

— დიახ, ასე იყო. 92-ის 14 აგვისტოს ომი რომ დაიწყო, ბევრი ვიფიქრე, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო შუამავალი ჩვენსა და აფხაზებს შორის? ჩემი აზრით, საუკეთესო იქნებოდა გიორგი შარვაშიძე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე, დიდი აფხაზი, ბრწყინვალე პოეტი, პუბლიცისტი და უფრო უკეთესი დრამატურგი.

პირველთა შორის, ვისაც ეს პრემია მიენიჭა, იყვნენ შოთა ნიშნიანიძე, თამაზ ჭილაძე, ხუტა ბერულავა, ისტორიკოსები — ვინც აფხაზეთის თემასა და საკითხებზე წერდა.

ამ პრემიას ისეთივე დატვირთვა ჰქონდა, როგორც შემდეგ „აღელვებული ზღვის“ გამოცემას — ხაზგასმა იმისა, რომ ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება იყო დროებითი მოვლენა, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გაიმარჯვოს ერთად ყოფნის სიკეთემ, იმ სიმართლემ, რომლის უკვდავ ფესვებზეც ჩვენი ხალხებია აღმოცენებული.

**— ანქვაბის მოსვლას აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტად ანალიტიკოსები ახალ ეტაპად მიიჩნევენ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში, მინიმუმ, — განსხვავებულ სიტუაციად. როგორ უნდა ვიმოქმედოთ ამ ვითარებაში გამყარებული გაუცხოების დასაძლევად?**

— წინასაარჩევნო პერიოდში ანქვაბმა განაცხადა, რომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე საქართველოსთან ერთად მოსალაპარაკებლად უნდა დავსხდეთო. ამ განცხადებით მას შეიძლება დაეკარგა ულტრასეპარატისტთა მხარდაჭერა, მაგრამ მან თქვა ეს. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ანქვაბი იყო და არის საიმედო კაცი.

**ომამდე მისი მოღვაწეობა მაქსიმალისტურად შეურიგებელი სეპარატიზმით იყო გამორჩეული. მაგრამ ომის დაწყების შემდეგ მასზე უფრო ობიექტური პოლიტიკური მოღვაწე აფხაზთა შორის მე არ მახსოვს. ეს გამოჩნდა ტყვეთა გაცვლის, მოლაპარაკებების პროცესში და სხვა კონფლიქტურ სიტუაციებში.**

**— რით ხსნით ამას?**

— იმით, რომ შინაგანად, ბუნებით იგი უაღრესად პატიოსანი კაცია. ხუთჯერ თავდასხმა რომ მოუწყვეს, შემთხვევით არ იყო.

დარწმუნებით ვიტყვი, რომ იგი ორმაგ თამაშს არ ითამაშებს. ანქვაბის საქმიანობა პატიოსნებაზე არის აგებული.

**ვფიქრობ, რომ ანქვაბი შეეცდება, ნიადაგი შეამზადოს კონფლიქტის მოსაგვარებლად. ეს უნდა იქონიონ მხედველობაში ჩვენმა პოლიტიკოსებმა. ასეთია ჩემი პირადი აზრი და შეხედულება.**

**— იფიქრონ ამაზე პოლიტიკოსებმა. ჩვენ კი, თქვენი თანხმობით, შევცვალოთ საუბრის მიმართულება.**

**ბევრი კარგი მოგონება მსმენია თქვენგან აფხაზ და ქართველ მწერალთა მეგობრობის შესახებ.**

**— აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ივანე თარბა საქართველოს დიდი პატრიოტი იყო, ეს იმ დროს, როცა მწერალთა კავშირს დიდი წონა და ავტორიტეტი ჰქონდა. 17 წლის ბიჭი ჩავედი აფხაზეთში და მამასავით მომიარა, გამზარდა, აფხაზურ ტრადიციებს მაზიარა, მოქცევა მასწავლა იმ გარემოში. როცა დაიძაბა სიტუაცია აფხაზეთში, ვანო გააგდეს სამსახურიდან.**

**იმდენი ჭკუა არ ეყო ჩვენს ხელისუფლებას, რომ ასეთი კაცი თავისი ოჯახით შეეკედლა. მისი მეუღლე — ეთერ კოღონია აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, აკაკი ხორავას სტუდენტი, ბრწყინვალე მსახიობი (ქართულად თამაშობდა სპექტაკლებს, კაცო!) ომის დროს საცოდავად მოკვდა — ჭურვი მოხვდა ფეხში, მოგლიჯა კიდური და სისხლისგან დაიცალა.**

ვანო თარბას ბინის კარს ყოველ დღე შავი საღებავით აწერდნენ, რომ აფხაზის ერის მოღალატე და გამყიდველია. ისე ინერვიულა ამ კაცმა, რომ არაადეკვატური გახდა, გაგიჟდა. ლენინგრადში წაიყვანეს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, იქ გარდაიცვალა უთვისტომოდ დარჩენილი კაცი...

ვერ ვუმეგობრეთ, ვერ ვუპატრონეთ მისმა ქართველმა კოლეგებმა...

**— მაგრამ კარგიც ხომ გახსოვთ, ბატონო გენო?**

— რა თქმა უნდა! ჩვენი ურთიერთობა სხვა სამყარო იყო: ისე ვიყავით შეხმატკბილებულები ერთმანეთთან, მეგობრულად შეხუმრებულებიც კი, რომ მავანმა შეიძლება არც კი დაიჯეროს.

ერთ ანეგდოტურ ამბავს მოგიყვებით.

ის პერიოდია, როცა სერგეი ბაგაფში პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანია, მწერალთა კავშირის თავჯდომარე — ივანე თარბა, მე ამ კავშირის მდივნად ვარ არჩეული. მიგვიწვიეს ოჩამჩირეში ყველა, ვინც კი თვალსაჩინო მწერალი და პოეტი ვიყავით აფხაზეთში. ჩვენ შორის ბაგრატ შინკუბაც იყო, სახალხო პოეტი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საღამოს სერგეი ბაგაფში უძღვება.

სიტყვას აძლევს ბაგრატ შინკუბას და ჩამოთვლის მთელ მის ტიტულებს. ტაშით დაიქცა დარბაზი.

შემდეგი გამომსვლელია ივანე თარბა, რომელსაც ბაგაფში წარადგენს როგორც ცნობილ საბჭოთა პოეტს და სასიქადულო მამულიშვილს. ტაშის გრიალი.

— სიტყვა ეძლევა ცნობილ საბჭოთა პოეტს — პლატონ ბებიას! — კვლავ ტაშით ხვდებიან გამომსვლელს.

— სიტყვა ეძლევა კალანდიას, — აცხადებს ▶



ალექსანდრე ანქვაბი

**„წინასაარჩევნო პერიოდში ანქვაბმა განაცხადა, რომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე საქართველოსთან ერთად მოსალაპარაკებლად უნდა დავსხდეთო. ამ განცხადებით მას შეიძლება დაეკარგა ულტრასეპარატისტთა მხარდაჭერა, მაგრამ მან თქვა ეს. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ანქვაბი იყო და არის საიმედო კაცი“.**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ალექსანდრე ჭაჭია

**«განსაკუთრებით მინდა ვთქვა ალექსანდრე ჭაჭიაზე, მეცნიერსა და მოღვაწე ადამიანზე, რომელიც აფხაზეთიდან არის, მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბაგაფშთან, მეგობრობს ანქვაბთან, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს აფხაზეთში. ალექსანდრე ჭაჭია გყავდეს და მისი პოტენციალი არ გამოიყენო აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში, ეს არა მარტო არაფრით არ არის გამართლებული, არამედ სიბეცეა და პოლიტიკური შეცდომა»**

◀ ბაგაფში. ასე — არც სახელი, არც ცნობილი, არც არაფერი. არადა, მაშინ უკვე ვიბეჭდებოდი რამდენიმე მილიონიანი ტირაჟის მქონე ჟურნალ „იუნოსტში“, საკავშირო გაზეთ „იზვესტიაში“, უპოპულარულეს ჟურნალებში „ნოვი მირ“ და „დრუჟბა ნაროდოვ“.

ვითომ არაფერი!

მივუბრუნდი აფხაზ კოლეგებს და ვუთხარი:

— თქვენ ვაი ხალხო, თქვენ რომ მკითხველები გყავთ, იმდენი ქალები მყავს და ვინაა ცნობილი — მე თუ თქვენ?!

ატყდა სიცილი და მქუხარე ტაში.

ასე ახლოს რომ არ ვყოფილიყავით, ამის მთქმელი ვერ ვიქნებოდი ბაგრატ შინკუბასა და ივანე თარბას თანდასწრებით.

მახსენდება, როგორ შევახვედრე პოეტი ნიკოლოზ კვიწინია, ბარათაშვილის, გალაკტიონისა და სხვათა აფხაზურად მთარგმნელი, ჟურნალ „ალაშარას“ მთავარი რედაქტორი ჭაბუა ამირეჯიბს, როგორ ითარგმნა აფხაზურად და გამოიცა „დათა თუთაშხია“...

იყო ასეთი ურთიერთობა...

ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, ივანე თარბა თავისი ძმებით, გიგლა ხუხაშვილი, გიგლა ფირცხალავა სუფრაზე რომ დასხდებოდნენ ნოდარის აგარაკზე და სიმღერას რომ იტყოდნენ, მოძრაობა ჩერდებოდა გულრიფშში!

მართლაც: „რა ვუყოთ ამ გულს, რომელიც ვერ დაივიწყებს ნოდარ დუმბაძეს“...

დიდი სიყვარულისა და მოწიწების გარეშე ვერ დაიწერებოდა ბაგრატ შინკუბას ლექსი მთაწმინდაზე, სადაც ასეთი სტროფია:

**„შენს მკერდზე გაჩნდა
სხივი დილის მზის,
კალთებს გეყრება ოქროს
ბწკალები,
შენ მეუფე ხარ დიდი
თბილისის,
მარადიული მისი
თვალები“.**

წრფელი გრძნობის გარეშე ასე ვერ მიმართავდა ლეონტი ლაბახუა აფხაზ ძმებს:

**„ჰეი, აფხაზნო, საუკუნოდ
მოგვცემს დიდებას,
მქუხარ სიმღერით
გამარჯვება ამგვარ
ჭიდილში,
ქართველთა გულიც
სიხარულით
დაიკვირტება,
ჩავიხატებით
ქართველების
მზიურ ღიმილში“.**

ვერც ალექსი ჯონუა ეტყოდა ქართველ პოეტებს:

**„თქვენს ტკბილ ლექსებში
ჟღერს აფხიარცა,
ვით მეგობრობის
ლალი სიმღერა.
არა, ჩვენს წინსვლას
არ აქვს ჯებირი,
გვესმის ერთურთის
გულების ფეთქვაც.
დასაბამიდან ღვიძლი
ძმებივით
ვიყავით,
ვართ და
ვიქნებით ერთად!“**

აბა, ივანე თარბას ეს სტროფა ნახეთ, რა ქართულია — გოგლა ლეონიძის „ნისლების თემის“ — „როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობას ასდის ნისლები“ — ღირსეული გაგრძელება:

**„ძიმი ჩანდა მწვერვალისა,
უზარმაზარ კოშკის დარი.
ფართო ჭალებს,
როგორც დიდ ქვაბს,
ასდიოდა ოხშივარი.
წმინდა რძისებრ როგორ
დუღდა
ალაზანი, ვნახე დილით,
ნიავი რომ დაქროლებდა,
ნისლს იკრავდა
ნაღებივით“.**

აფხაზმა თუ გიძმო, არ გიღალატებს, მაგრამ ამ ძმობაშიც მორიდებულია. ერთხელ ზუგდიდის თეატრის სცენაზე მუშნი ჯოპუას პიესა, რომელიც მე ვთარგმნე, აფხაზმა რეჟისორმა დიმიტრი კორტავამ დადგა და პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. აფხაზეთის მთელი ინტელიგენცია დაესწრო წარმოდგენას. მაგრამ აფხაზეთიდან ჩამოსულთათვის საგანგებოდ გაშლილი 200-კაციანი სუფრა კინაღამ გაგვიცუდდა, რადგან სტუმრებმა ფეხი აითრიეს: ისედაც შეწუხდით ჩვენთვის, სპექტაკლი დადგით, პატივი დაგვდეთ და ახლა ჩვენი სტუმრობით თავს არ მოგაბეზრებთო.

მითხრეს ეს ამბავი მე, სოხუმში ბრუნდებიანო აფხაზები. სასწრაფოდ მივედი და ვუთხარი:

— ძმებო, სულ აფხაზურ სუფრაზე რომ ვართ, ახლა მეგრული პურმარილით გამასპინძლების საშუალება მოგვეცა და უარს ნუ გვეტყვით, მიირთვით და ისიამოვნეთ-მეთქი. უარი მართლაც ვერ მითხრეს და დილამდე ვიქეიფეთ. ქართულ-აფხაზური ძმობის ზეიმი იყო ის შემოდგომის ღამე სამეგრელოში.

ამის დავიწყება შეუძლებელია.

**— მაგრამ დაივიწყეს. აფხაზურმა ელიტამ, კულტურის მოღვაწეებმა, მწერლებმა რატომ ვერ შეძლეს გახლეჩის, დაპირისპირების თავიდან აცილება?**

**— მე მაინც ვფიქრობ, რომ ბევრ რამეში მაინც ჩვენ ვართ დამნაშავე.**

**ისინი რას ითხოვდნენ? მეტ უფლებებს ითხოვდნენ. მაგალითად, არ არის აუცილებელი თბილისელი ხელმძღვანელი კადრების მაინც და მაინც აფხაზეთში დასაქმება. მართლები იყვნენ პრინციპულად. ბევრ რამეში არ ტყუოდნენ და ჩვენ უნდა დაგვეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები.**

**ინტეგრაცია ფორმალური არ უნდა ყოფილიყო, ისეთი, როცა ერთი-ორი კაცი მოჰყავდათ თბილისში რესპუბლიკურ სტრუქტურებში სამუშაოდ, ისიც მცირე ხნით.**

**შვიდი წელიწადი იმუშავა ანქვაბმა თბილისში და სხვანაირ კაცად დაბრუნდა. ასი ასეთი ანქვაბი რომ ყოფილიყო, ვერავითარი „დაინტერესებული ძალა“ ვერ არევდა სიტუაციას.**

**— ის ქართველები, რომლებიც იმ კრიტიკულ წლებში აფხაზეთში მოღვაწეობდნენ, აღმოჩნდნენ საჭირო სიმაღლეზე გართულებულ ვითარებაში?**

— ყველანი — არა. ბევრ მათგანთან კონფლიქტი მქონდა. შიშის სინდრომი სძლევდათ. იჩაგრებოდნენ ქართველებიც. მოკლედ — ბალანსი ორივე მხარეს დარღვეული იყო. ქართული ეროვნული მოძრაობა, რომელიც მაშინ გაძლიერდა, აფხაზეთში გადავიდა და თვითგამორკვევაზე მათაც დაიწყეს ფიქრი და მოქმედება. ჩვენი და მათი ეროვნული ინტერესები გარკვეულ მომენტში დაშორდა ერთმანეთს.

**— და დაუპირისპირდა.**

**— კადრების დარგში ყველაზე დიდი შეცდომა ვლადისლავ არძინბას დაწინაურება იყო, არ უნდა მოეყვანათ. არადა, იყვნენ აფხაზეთში დიდებული ადამიანები. უპირველეს ყოვლისა, ბორის ადლეიბას დავასახელებ, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, რომელსაც თავის დროზე ჩვენმა პარტაქტივმაც უღალატა... გულმა ვერ გაუძლო და გარდაიცვალა.**

**— სისხლია ჩამდგარი ჩვენ შორის... თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს სისხლი გაიწოვოს?**

— აფხაზეთი ეპიზოდურად გვახსენდება. ბოლო 2-3 წელიწადია, აფხაზეთზე არავინ ლაპარაკობს, თითქოს ეს თემა დაიხურა.

რა უნდა ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას, ქართველ ხალხს იმაზე დიდი სატკივარი და საზრუნავი, ვიდრე აფხაზეთი და სამაჩაბლოა?!

როცა აფხაზეთის დეპუტაცია საქართველოს პარლამენტში ვიყავით, კვირა არ გავიდოდა, აფხაზეთის საკითხი არ დაგვეყენებია.

**— დღეს არც დეპუტაციაა პარლამენტში, არც — საკითხის დამყენებელი. შეგნებულად ხომ არ გაკეთდა ასე?**

— სამწუხაროდ, ასეა. ხდება ამბავი, „ოდისეაში“ აღწერილის მსგავსი: ლოტოფაგები — ლოტოსის მჭამელი მითიური ტომი, შეეცადა ოდისევსისთვის შეეჭმევინებინა ეს ეგზოტიკური მცენარე, რადგან ლოტოსის მჭამელ ადამიანებს ავიწყდებოდა წარსული.

აშკარად იკვეთება პარალელი: ლოტოფაგების მეთოდით გვავიწყებენ აფხაზეთს! და მეც შევეცადე, ჩემს ლექსში — „ოლიფანტე“ მეთქვა ამის შესახებ:

**მიირთვი, მიირთვი
უშფოთველად,
მიირთვი კარგად, მიეძალე.
მორჩილად დახარე
ეგ თავი მონის,
თხუნელასავით
სარდაფში ჩადი...
წარსული დაივიწყე...
გიყვარდეს ახალი
საქართველო, ოლიფანტე!**

დღეს ეშმაკიც ვერ დაადგენს, რას მოხმარდა ის დახმარება, რომელიც აფხაზეთიდან დევნილებისთვის გაიღო საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ისე ჩანს, რომ ლტოლვილები ზედმეტი ჭირია ჩვენი მთავრობისთვის. ამათ აფხაზეთი არც აინტერესებთ. რამდენიმეს გამოკლებით, აფხაზეთში ნამყოფებიც კი არ არიან.

ვისაც აფხაზეთი სტკივა, ისინი პარლამენტიდან გაუშვეს. ჩვენ ჩვენი თავმოყვარეობა გვაქვს და საპროტესტო აქციებს ვერ მოვაწყობდით... არადა, მეგონა, რომ საჭირონი ვიყავით ჩვენი ხელისუფლებისთვის.

ჩვენისთანა რესურსი რომ არსებობს, მე რომ ვარ და ჩემზე უკეთესები, ბიჭო, გამოიყენე, ჩემი აფხაზი მეგობრები — ალექსი გოგუა, ვალოდია აჯინჯალი, ბორის გურგულია, ნიკოლოზ კვიწინია, ჯუმა ახუბა, შამილ ფილია, შოთა სალაყაია, სხვები და სხვები გამოგვიყენე!

განსაკუთრებით მინდა ვთქვა ალექსანდრე ჭაჭიაზე, მეცნიერსა და მოღვაწე ადამიანზე, რომელიც აფხაზეთიდან არის, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბაგაფშთან, მეგობრობს ანქვაბთან, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს აფხაზეთში. ალექსანდრე ჭაჭია გყავდეს და მისი პოტენციალი არ გამოიყენო აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში, ეს არა მარტო არაფრით არ არის გამართლებული, არამედ სიბეცეა და პოლიტიკური შეცდომა.

გამოგვიყენეთ, სანამ ვარსებობთ, თორემ მივდივართ ნელ-ნელა.

## საქმიანი წინადადება

**როცა მთავრობას აზროვნების დამბლა სჭირს, ხალხი ერთმანეთთან მისასვლელ გზებს ეძებს. ერთი წინადადება ასეთია:**

— უჭირთ ცხოვრება აფხაზეთში, — **ამბობს ბატონი გენო,** — ერთადერთი ქუჩა სოხუმის ცენტრში მშვიდობის პროსპექტის ისეთი, რომელსაც შეეხედება. თითო-ოროლა ადამიანს თუ ნახავდი გასულ ზაფხულს სოხუმის პლაჟზე.

თავის დროზე, 1650-1655 წლებში, როცა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი რუხის ციხეს აშენებდა, მას სავაჭრო ქალაქად მოიაზრებდა. 50 ოჯახი ჩამოიყვანა ჩხარიდან და დაასახლა — კარგი ვაჭრობა იციანო.

გავხსნათ რაიმე მსგავსი ჩვენც რუხში — მანქანების ბაზრობა ან საერთოდ ბაზრობა თუნდაც. მთელი აფხაზეთი მოგვაწყდება. ამაზე უფრო დიდ და ეფექტიან საქმეს ჩვენი მთავრობა ვერ გააკეთებს.

მაგრამ რად გინდა? იყო ასეთი ბაზრობა ერგნეთში. მოშალეს. და რით დამთავრდა „კონტრაბანდასთან“ ბრძოლა, 2008-ის აგვისტოში ვნახეთ.

## ალტერნატივა ბოლოთქმის ნაცვლად

**ახლა საით? — ამ შეკითხვას გენო კალანდიამ ორი ამბის მოყოლით უპასუხა, გზაგასაყარზე ლოდზე წარწერილს რომ ჰგავდა:**

— სოხუმში ქალბატონ ნაირა გერგედავას ღონიერი ოჯახი ჰქონდა. ლტოლვილად რომ აქციეს, ვაჟთან ერთად თბილისის გზას დაადგა. კინდღთან ბანდიტებმა გააჩერეს, შვილის მოკვლით დაემუქრნენ. ოღონდ ამას ნუ იზამთო და დედამ, რაც სამკაული და ოქროულობა ჰქონდა შინიდან წამოღებული (ცოტა არ იყო), „გამათავისუფლებლებს“ გადასცა.

მაინც მოუკლეს შვილი. თვითონ თმებით ხეზე დაკიდეს და რამდენიმე წუთის წინათ დახვრეტილი უცნობი მამაკაცის სისხლიანი თვალი ძალით გადააყლაპეს: — Глотай, стерва!

**არ გათენდება
შენი ცა უკვე,
არ აფეთქდება სისხლით
მორწყულ განთიადებში
შენი ფიქრის იასამანი,
არ შეიკვრება შენი ტანი
ფიჭვის კვარივით
ცხელი მზეების
ცისარტყელებით.
შენ, როგორც წმინდა
მწუხარება,
კარი-კარ ივლი,
ჩემო საბრალო ანტიგონე,
დაო ბედკრულო!**

ეს — ტრაგიკული ამბავი.

მეორე ოპტიმიზმის ვარაყითაა შემკული.

— ახალგაზრდა აფხაზ კაცს გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მოახერხეს და ჩამოიყვანეს თბილისში. თან გადაჰყვნენ ჩემი ძმისშვილი და მისი მეგობრები.

გადაარჩინეს. განიკურნა.

აფხაზეთში დაბრუნების წინ უკითხავს ჩემი ძმისშვილისთვის, რისი გაკეთება შემიძლიაო სანაცვლოდ?

მონატრებული სოხუმი მაჩვენეო.

ერთ კვირაში მიიწვია, ქუბურხინჯთან დახვდა და შეუძლვა აფხაზეთში. სოხუმში ოჯახები იწვევდნენ და, როგორც შეეძლოთ, პატივს სცემდნენ. ერთ მშვენიერ დღეს კი გუდაუთაში წაიყვანა მასპინძელმა ბაბუამისის ორმოცზე (ორმოცდამეცამეტე დღეს უხდიან მიცვალებულს აფხაზები). ორასკაციანი სუფრა დახვდათ. წამომდგარან ფეხზე აფხაზები და სათითაოდ მადლობა გადაუხდიათ ჩემი ძმისშვილისთვის, გამორჩეულ ადგილზე დაუსვამთ და დიდი პატივი უციათ.

იყო ეს სულ ერთი თვის წინათ.

აი, ასეთი ალტერნატივაა და — აირჩიე, საქართველო!

## და მაინც ბოლოთქმა

**„სანამდე ვიყოთ ასე?“** — კითხულობს გენო კალანდია, **— ვის უხმობს საქართველოს გამაერთიანებელი მეფის — ბაგრატ მესამის დროს ჩამოხმული ბედის ზარი?**

**რა თქმა უნდა, ჩვენ, — ქართველებსა და აფხაზებს!**

**მაშ, ვილოცოთ ერთმანეთის სულების გადასარჩენად“.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, ივანე თარბა თავისი ძმებით, გიგლა ხუხაშვილი, გიგლა ფირცხალავა სუფრაზე რომ დასხდებოდნენ ნოდარის აგარაკზე და სიმღერას რომ იტყოდნენ, მოძრაობა ჩერდებოდა გულრიფშში!**



ელგუჯა ამაშუკელი, გოგლა ლეონიძე, ზურაბ ლეჟავა, ირაკლი აბაშიძე, ბაგრატ შინკუბა, რევაზ ლადიძე, ალექსი მაჭავარიანი, სერგო ზაქარიაძე და სერგო ჭილაია

ჩვენი რჩეული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ჩვენ როსტომ ხანის და ევდემოზ კათალიკოსის ეპოქაც ვიცით. როსტომ ხანი ერთი ხელით მართლმადიდებლურ ეკლესიებს აშენებდა, მეორე ხელით — მეჩეთებს და ჰარამ-ხანებს»

მამა დავით ისაკაძე:

# როცა ერთი ხელით აშენებ მართლმადიდებლურ ტაძარს და მეორეთი მეჩეთს, რომელ მამულიშვილობაზე და აღმშენებლობაზეა ლაპარაკი?

„საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება მამა დავით ისაკაძე.



**— მამაო, პირველ ყოვლისა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ დაგვთანხმდით საუბარზე და პირველი კითხვა აუცილებლად მინდა დაგისვათ იმ „პოეტურ შედევრთან" დაკავშირებით, რომელიც მეუფე კალისტრატემ მიუძღვნა პრეზიდენტ სააკაშვილს და რომელმაც მთელი საინფორმაციო საშუალებები მოიცვა... თავისთავად იმაში, რომ სასულიერო პირი ლექსს წერს, ცუდი არაფერია, მაგრამ მაშინ, როდესაც არიან სასლიერო პირები, რომლებიც ლექსს წერენ, ხანდახან გაზაფხულზე, თუნდაც სიყვარულზე, თუ პირად ტკივილზეც და ამის გამო მათ მკრეხელობაშიც კი ადანაშაულებენ და ლამის შეაჩვენონ, ამ დროს მღვდელმთავარი გამოდის და ასეთ ლექსს წერს პრეზიდენტზე... მამაო, გულწრფელად მითხარით, ეს რა არის?**

— უპირველეს ყოვლისა, მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველს და მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით, რადგან გამოყავით დრო, ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე სასაუბროდ, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენი ეკლესიისთვის, სამშობლოსთვის და საერთოდ, საზოგადოებისთვის. მე ამ საკითხს მივუდგები ისევ და ისევ ეკლესიის სწავლებიდან გამომდინარე. ეკლესიის სწავლება ჰიმნოგრაფიასთან, საეკლესიო მწერლობასთან მკაფიოდ და კარგად ჩამოყალიბებული და გარკვეულია. საღვთისმსახურო წიგნებში ხდება განდიდება ღმერთისა და ან ქება-დიდება, ხოტბის შესხმა წმინდანებისა, რომელთაც საოცარი ღვაწლით ილვაწეს. იყვნენ უდიდესი ჰიმნოგრაფები, როგორიცაა იოანე დამასკელი, სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, იოანე მინჩხი, მიქაელ მოდრეკილი, რომელთა ნაშრომებშიც გადმოცემულია უფლის დიდება და წმინდანის ღვაწლის აღიარება და მათდამი ლოცვავედრება. აი, ასეთ პოეტიკას ვიცნობთ ჩვენ ეკლესიაში. **ახლა კი, რაც შეეხება პიროვნების განდიდების ამ კონკრეტულ შემთხვევას. უპირველეს ყოვლისა, ის მინდა აღვნიშნო, რომ წმინდა მამები ბრძანებდნენ — სადაც გაქებენ, იქიდან უნდა გაიქცეო. ასე რომ, ჩვენ ყოველთვის უნდა მოვერიდოთ ადამიანის შექებას, ის რომც იმსახურებდეს, რომ არ ჩავაგდოთ ხიბლში, პატივმოყვარეობასა და ამპარტავნების ცოდვაში და, რა თქმა უნდა, ამას ეკლესიის მღვდელმსახური, განსაკუთრებით კი დიდი იერარქი, ამას არ უნდა აკეთებდეს. მას უნდა ესმოდეს, რომ არ შეიძლება ცოცხალი ადამიანის ასე განდიდება და პირში ქება. რაც შეეხება ტაძრების მშენებლობას, რომლის გამოც ასე განადიდებს თავის სათაყვანებელ პიროვნებას ამ ლექსში თუ „პოეტურ შედევრში", როგორც თქვენ უწოდეთ, მავანნი დღეს თავს იწონებენ, რომ აშენებენ ტაძრებს, მართლმადიდებლურ ეკლესიებს, მაგრამ ჩვენ როსტომ ხანის და ევდემოზ კათალიკოსის ეპოქაც ვიცით. როსტომ ხანი ერთი ხელით მართლმადიდებლურ ეკლესიებს აშენებდა, მეორე ხელით — მეჩეთებს და ჰარამხანებს. ასე რომ, ეს თემაც დასაფიქრებელია ყოველთვის. მარტო ტაძრის მშენებლობა არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უკვე ღირსეული ქრისტიანია, მთავარია ქრისტიანული საქმეები. კიდევ ვიმეორებ, როცა ერთი ხელით აშენებ მართლმადიდებლურ ტაძარს და მეორეთი მეჩეთს, რომელ მამულიშვილობაზე და აღმშენებლობაზეა ლაპარაკი? იცით, რომ ორასამდე მეჩეთია ახლა ამ ბოლო დროს რეგისტრაციაში გატარებული, ამ გახმაურებული კანონ-პროექტის შემოღების შემდეგ?** ასევე, არა ერთი სქიზმატური დაჯგუფება იღებს საქართველოში რეგისტრაციას. ეს ყველაფერი ისევ და ისევ ჩვენს ეკლესიასა და ჩვენს ხალხს დაუბრუნდება ძალიან ცუდად. ამიტომ კარგად უნდა გავაცნობიეროთ განსაკუთრებით სასულიერო პირებმა ყველაფერი, რასაც ვამბობთ და ვაკეთებთ და დავიკავოთ ეკლესიის პოზიცია, მისი სწავლების მიმართ მორჩილება და სწორი დამოკიდებულება. ასე მინდოდა მეპასუხა ამ კითხვაზე.

**— მე ვფიქრობ, მამაო, რომ განსაკუთრებით ამ კანონპროექტის შემდეგ საზოგადოებისა და მრევლის ძალიან დიდი ნაწილის დამოკიდებულება ეკლესიის, წმინდა სინოდის მიმართ მკვეთრად უარყოფითი გახდა და მთავრობის მიმართ კი ეს უარყოფითი დამოკიდებულება პიკს აღწევს. ასეთი ლექსის გამოქვეყნება გამიზნული ქმედება მგონია საზოგადოების ამ უარყოფითად განწყობილი ნაწილის პროვოკაციაზე წამოსაგებად...**

— მე არ მინდა, ვინმეს ცილი დავწამო, ამიტომ, რაც არის რეალობა ეკლესიის სწავლებით ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ისე გადმოგეცით. დღევანდელ დღეს, რა თქმა უნდა, არაფერია გამორიცხული...

**— აქ საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ფრაზამ „დაგჭირდეს — დაღვარე სისხლიო". ხალხი ამან მართლა გააოგნა — ამაზე მეტი სისხლი რაღა უნდა დაღვაროს, რაც დაღვარა, და ამაზე მეტი რაღა უნდა დაიხოცოსო. მე და არა მხოლოდ მე მივიჩნევთ, რომ, მგონი, ასეთ დაძაბულ ვითარებაში დიდ იერარქს ცოტა მეტი დაფიქრება მართებს, რომ ადამიანების ის ნაწილი, რომელიც ძალიან აგრესიულადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ და არც თუ უსაფუძვლოდ, განკითხვასა და მრისხანებაში არ ჩააგდოს. თქვენს გამოსვლებსა და ქადაგებებში ხშირად მომისმენია, რომ ეკლესია მხოლოდ ეპისკოპოსი, მხოლოდ იერარქია არაა, ეკლესია არის მრევლი, მრევლის გარეშე ეკლესია არ არსებობსო.**

— მე გამოვხატავ ჩემს პატივისცემას ღირსეული მღვდელმთავრების, ღირსეული სასულიერო პირების და ასევე ღირსეული მრევლის მიმართ, მაგრამ უნდა განვაზოგადოთ, რომ სიტყვა **ეკლესია** ითარგმნება ასე — **სასულიერო პირებისა და ერის ადამიანების ერთობა**, ამის გარეშე ეკლესია არ არსებობს. კი, რა თქმა უნდა, სადაც ეპისკოპოსი არ არის, იქ ეკლესია არ არის, მაგრამ, სადაც ასევე არ არის მღვდელმსახურები და არ არის მრევლი, ისიც არ არის ეკლესია. ამიტომ ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მღვდელმთავრებმა მოგვცენ მაგალითი ეკლესიის სწავლების დაცვის, სამშობლოს სიყვარულისა და ზნეობის. ჩვენ მათგან ასეთ მაგალითს ველით.

**— კარგია, თუ ეს მოლოდინი გაგვიმართლებს და ეს მოლოდინი მოლოდინად არ დარჩება. ახლა კი მინდა, შეგეკითხოთ პარლამენტარ დარჩიაშვილის ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს სომხური და აზერბაიჯანული ენებისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭებას. მამაო, ამ ინიციატივას მრევლი და საზოგადოება ცალსახად აფასებს, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯს.**

— აბსოლუტურად სწორი შეფასებაა. ამაში ორი აზრი არ არსებობს. **თვითონ დარჩიაშვილი არის თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი** და, ბუნებრივია, რომ მის გამონათქვამებსა და ქმედებებშიც აისახება ასეთი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. სომხური და აზერბაიჯანული ენებისთვის რეგიონული ენების სტატუსის შესაძლო მინიჭება ძალიან დიდი საფრთხეა, ეს არის ახალი აფხაზეთი და სამაჩაბლო, ეს არის ძალიან დიდი ნაღმის ჩადება საქართველოს წინააღმდეგ და თან ეს არის იგნორირება საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხისა! აბა, ერთი გავბედოთ ჩვენ და მოვითხოვოთ საინგილოში ან სომხეთში ანალოგიური რამ, გაგვიკეთებენ ამას? საინგილოში პირჯვარი ვერ გადაუწერია ადამიანს გაბედულად, ამას წინათ საინგილოში დედაენა შეიტანეს და თვალწინ დაუხიეს ხალხს, ქართულად საუბრისაც კი ეშინიათ იქ.

**— მამაო, კახის წმინდა გიორგის ტაძარში აღდგა მღვდელმსახურებაო...**

— დიახ, აღდგა. ყოველთვის იყო იქ მღვდელმსახური, ეს სიახლე არ არის. მხოლოდ წირვის ჩატარების უფლებას აძლევენ და, აბა, გაბედოს მრევლმა და დაესწროს წირვა-ლოცვას. რა მრევლი? რაზეა ლაპარაკი? იქაური უშიშროება დგას და, აბა, ვინმემ გაბედოს პირჯვრის გადაწერა. მოსაჩვენებლად შეიძლება რამდენიმე ადამიანი თვითონ შეიყვანონ. საშინელი მდგომარეობაა საინგილოში და ანალოგიურია ჯავახეთშიც. **საზოგადოებამ იცის იმ შემთხვევის შესახებ, სამსარში რაც მოხდა რამდენიმე წლის წინ — სტუდენტებს ადგილობრივმა მოსახლეობამ ქვები რომ დაუშინა. იქ, კუმურდოში, ვერ შეხვალ ტაძარში, თუ პოლიცია არ გახლავს თან. სომხები როგორც კი დაინახავენ მართლმადიდებელ ქართველ ქრისტიანებს, მაშინვე იძაბება სიტუაცია. ასეთი მდგომარეობა გვაქვს საქართველოში და ამის ფონზე, რა ენის სტატუსზეა ლაპარაკი? ეს არის დანაშაული! დანაშაული ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე! საერთოდ ამ თემაზე საუბარიც კი არ შეიძლება. სომხებმა არა ერთი ტაძარი წაგვართვეს იერუსალიმშიც, მათ შორის — წმინდა იაკობის სახელობის ტაძარი.** ჩვენ ფობია კი არ გვაქვს სომხების მიმართ, მაგრამ ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ისევე, როგორც მათ უყვართ თავიანთი სამშობლო და, თუ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, მაშინ უნდა დავიცვათ იგი და ჯერ ჩვენსას უნდა ვუპატრონოთ. არც სომხებს და არც აზერბაიჯანელებს არასოდეს არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ საქართველოში, როგორც კი რელიგიური მუფტი შემოვიდა, მაშინვე დაიძაბა მდგომარეობა.

ავიღოთ ქვემო ქართლის რეგიონი. თითქმის ყველა დიდ აზერბაიჯანულ სოფელში აშენდა უზარმაზარი მეჩეთები. **ბოლნისის სიონის გასწვრივაც უზარმაზარი მეჩეთია. ამ დროს შვეიცარიაში, სადაც ოთხასი ათასამდე მუსლიმანი ცხოვრობს, მხოლოდ ოთხი მეჩეთი აქვთ. კიდევ ორი მეჩეთის აშენება უნდოდათ და ხალხი წავიდა წინააღმდეგი — რეფერენდუმი ჩატარდა და ვერ ააშენეს. ბერლინში უნდათ მეჩეთის აშენება და მთელი ბერლინი მოფენილია ფოტოთი, რომელზეც გადახაზული მეჩეთია გამოსახული. ხალხი სასტიკი წინააღმდეგია. მაგრამ ვერც შვეიცარიელს და ვერც გერმანელს ვერავინ გაუბედავს ამის გამო არადემოკრატიულობაში ბრალის დადებას...**

საკმარისი მეჩეთები აქვთ აქ მცხოვრებ მუსლიმანებს, თუ თავიანთი რელიგიური მრწამსისთვის ეს მათ დასჭირდებათ. აღარაა საჭირო მეტის აშენება.

**— მამაო, თქვენ ქართველი მართლმადიდებლების მიმართ სომხების უარყოფით დამოკიდებულებაზე ისაუბრეთ — სადმე სხვაგან კი არა, ჩვენს საკუთარ მიწაზე პოლიციის გარეშე მრევლი ტაძარში მოსალოცად ვერ შესულა. ამ ყველაფრის ფონზე განსაკუთრებით მძაფრად მახსენდება „მრავალეროვანი საქართველოს" თავმჯდომარის — არნოლდ სტეფანიანის ცნობილი განცხადება, რომ ის მოხარულია იმ ზნეობრივი კომისიის შექმნით, რომელიც სინოდის გახმაურებულ სხდომაზე შეიქმნა, რადგან ეს კომისია მისი პარტნიორი იქნება იმ მღვდელმსახურთა დასჯაში, რომლებიც „ანტისომხურ პროპაგანდას" ეწეოდნენ, მათ შორის, თუ არ ვცდები, თქვენც მოიაზრებოდით. ტრაგედია არაა, რომ ეს ადამიანი ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას ანიჭებს საკუთარ თავს — საპატრიარქოს თავის მხარდამჭერად მოიაზრებს?**

— მოკლედ და კონკრეტულად მინდა ვთქვა: მე არ ვიცნობ, ვინაა ეს ადამიანი, ვინმე სტეფანიანი და მის გამონათქვამებზე, მის განცხადებებზე ჩვენ, მღვდელმსახურები კომენტარს არ გავაკეთებთ. მითუმეტეს, რომ სახეზეა, რომ მუდმივად ცდილობს, პროვოკაციაზე წამოაგოს ქართველი საზოგადოება.

...იცოდეთ, ეს ჩვენი უნიათობის ბრალია და არა ვინმე სტეფანიანების.

**— როდესაც მეჩეთებისა და სქიზმების მომრავლებაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს დიდწილად იმის ბრალია, რომ ჩვენ არ გვაქვს ჭეშმარიტი რწმენა, მთელი გულით არ ვემსახურებით უფალს, ჩვენ არ ვსასოებთ უფალს წრფელად, ვერც მრევლად ვვარგივართ. ალბათ, ჩვენს ლოცვას უფალი არ იწირავს — არც ერისას და არც ბერისას... არ მიიჩნევთ, რომ ეს ასეა?**

— რა თქმა უნდა, ასეა... ჩვენ არ გვაქვს საკმარისი რწმენა, მთლიანად — ჩვენს ერს. თორემ უფლისთვის არაფერია შეუძლებელი, მთელმა ერმა რომ გულმხურვალედ „უფალო შეგვიწყალენ" თქვას, ერთ წამში შეიცვლება ყველაფერი სიკეთისკენ — ვინ დაუდგება ერს წინ, ან ეკლესიას? ნამდვილად გეთანხმებით იმაში, რომ გვაკლია ეკლესიური განათლება, გვაკლია სარწმუნოებრივი მხურვალება და სიყვარული. ჩვენ ერთმანეთიც არ გვიყვარს... აქედან გამომდინარეა ეს ამდენი განსაცდელი.

**— მამაო, თუკი სიყვარულია უზენაესი და ამ სიყვარულს ვკარგავთ, მაშინ უფალთან როგორ მივალთ და როგორღა შეგვეწევა იგი?**

— დიახ, სწორედ ამაშია საქმე. შეიძლება ადამიანმა ყოველ დღე იაროს ეკლესიაში და ხშირად აღსარებაც თქვას და ეზიაროს კიდეც, მაგრამ, თუ ღმერთის, მოყვასის სიყვარულისკენ არ გაქვს ლტოლვა, მაშინ რაღა აზრი აქვს ასეთ ეკლესიურობას? მოდით, ისიც ვაღიაროთ, რომ შეიძლება ადამიანმა მთელი ცხოვრება განვლო და ამას ვერ მიაღწიო, რადგან რჩეულთა ხვედრია, ასეთი სიყვარული რომ იქონიო. მაგრამ, თუ მიზნადაც არ გვაქვს დასახული, გვქონდეს სიყვარული, მაშინ ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევდექით როგორც ქრისტიანები, ამიტომაც გვაქვს ამდენი განსაცდელი. ▶

# «ეს ჯიპებიც უფრო პროვოკაციისთვის ჩამოურიგეს მღვდელმთავრებს, რომ შემდეგ მათ მიმართ საზოგადოების აგრესია გამოეწვიათ»



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— ამ ბოლო დროს მრევლის და საერთოდ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფალთა ეროვნების საკითხი არ წამოიჭრებოდა, მათ ქართული საქმე რომ ეკეთებინათ. მართლაც, ქართული საქმე რომ ეკეთებინათ, ეკლესიის მიმართ ამხელა აგრესია რომ არ ყოფილიყო, ხალხს არც არასოდეს გაუჩნდებოდა, ალბათ, ვინმეს ეროვნების გარკვევის სურვილი. ეკლესიის მხარში დგომა ეპისკოპოსებისთვის მხოლოდ ჯიპების ჩამორიგებით ხომ არ გამოიხატება? ყველაფერი ხომ სათავიდან იწყება? იქნებ მართლა მაგალითი გვაკლია დიდი იერარქების მხრიდან? და რადგან ეკლესიაა საყრდენი ქართული სახელწიფოებრიობისა, სწორედ ეკლესიის დალაგებით ქვეყანასაც ეშველოს? იქნებ სახელმწიფოს მოხელეთა მხილების ნაცვლად ულირს სასულიერო პირთა მხილებით უნდა დაგვეწყო?**

— ეს ჯიპებიც უფრო პროვოკაციისთვის ჩამოურიგეს მღვდელმთავრებს, რომ შემდეგ მათ მიმართ საზოგადოების აგრესია გამოეწვიათ.

...რა თქმა უნდა, სახელწიფოს საყრდენი ეკლესია უნდა იყოს სუფთა და მყარი... სახარებისეული სიტყვებით გეტყვით — მკურნალო, განიკურნე თავი შენიო. საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ ყველამ. ასევე ფიქრობს, ალბათ, ყველა ის მღვდელმსახური, რომელმაც კარგად იცის, როგორ ცხოვრობს, რას აკეთებს. ალბათ, ჩვენ თვითონ ვერ ვართ ისეთები, როგორებიც უნდა ვიყოთ. როგორც მღვდელმთავარი, ასევე მღვდელი, მრევლი, ერის ადამიანი — ყველა უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ისინი არიან ეკლესიის სახე, ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყურებოდეთ ღირსეულად და უნდა შევძლოთ, რომ სხვას მაგალითი მივცეთ და არ დავაბრკოლოთ.

...ხელისუფლებაც და სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებიც ხომ ძირითადად ჩვენი ნაწილი არიან და ჩვენ მათაც უნდა მივცეთ მაგალითი და, თუ ისინი არ დაიწყებენ ეკლესიურ, რწმენით ცხოვრებას, ფიქრს სამშობლოზე, ქვეყანაზე, ყოველ შემთხვევაში, ღვთის წინაშე ვიქნებით მართალნი, რომ მათ სწორი მაგალითი მივეცით, მაგრამ მათ არ შეისმინეს, არ დააკვირდნენ, მაგრამ ეს მაგალითი ხომ ვიღაცამ უნდა მისცეს ერს? ეს, პირველ რიგში, ჩვენ, სასულიერო პირებმა უნდა გავაკეთოთ...

**— ის, რომ დღეს ყველაფერი ქართული რღვევისკენ არის მიმართული, იქიდანაც ჩანს, რომ სკოლაში მისული ბავშვის გარდაქმნა და „ახალ ადამიანად“, „ახალ ქართველად“ ჩამოყალიბება მიმდინარეობს, თუმცა ის როგორი ქართველი იქნება ან საერთოდ თუ იქნება ქართველი, საკითხავია. ასე ძალუმი ბრძოლა ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ მე არ მახსოვს. ახლა ახალი კანონის ამოქმედებას აპირებენ, რომელიც მიცვალებულის კრემაციას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, გეტყვიან, რომ, თუ გინდა, ტრადიციულად დაასაფლავე მიცვალებულიო, მაგრამ ალტერნატივას არ გიტოვებენ. ალბათ, საფლავების ფასი ისე გაიზრდება, რომ ადამიანი, რომელსაც დღეს პურის ფულიც არ აქვს და შიმშილობის ზღვარზეა, უბრალოდ, ვერ შესწვდება. ფაქტია, რომ, რაც მოინდომა სახელმწიფომ, ყველა კანონი მიიღო და ეკლესიის წინააღმდეგ თითქმის ყველა ბრძოლა „მოიგო“... ამან გაახელა და წააქეზა უფრო მეტი არაქართული ქმედებისკენ... ნუთუ ამაზეც უნდა დადუმდეს ეკლესია, უფრო სწორად, წმინდა სინოდი?**

— ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ამაზე დიდი რეაგირება, რადგან ეს ქრისტიანული წესის წინააღმდეგ წასვლაა! ალბათ, ჩვენი წინაპრები მიწაში გადაბრუნდებიან, როდესაც მათი სულები გაიგებენ, თუ რა საშინელება მზადდება ადამიანის დაწვის სახით. **განა ჩვენს წინაპრებს არ უჭირდათ? მათაც ჰქონდათ ძალიან დიდი განსაცდელები, მაგრამ, ალბათ, არასოდეს უფიქრიათ, რომ მიცვალებული დაეწვათ, არასოდეს!** ამის კანონად შემოღება კი არა, აზრად გავლებაც კი დანაშაულია. რა თქმა უნდა, ეკლესიამ უნდა გამოხატოს ამასთან დაკავშირებით თავისი მკვეთრი და ცალსახა პოზიცია, რომ ეს მიუღებელია! მე გეტყვით, რომ ეკლესიის წიაღში არიან ღირსეული სასულიერო პირებიც და მრევლიც და ისინი თავიანთ პოზიციას ყოველთვის ხმამაღლა აფიქსირებენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო ავტორიტეტული იქნება წმინდა სინოდის განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ ქართველი, მართლმადიდებელი ადამიანის დაწვა მიუღებელია და დაუშვებელი!

**— მამაო, სინოდის განცხადებებს ძალიან ბევრ საკითხზე მრევლი, უკვე დიდი ხანია, ელოდება. როცა მორწმუნე მრევლი ასე დაბნეულია ბიომეტრიულ პასპორტებთან დაკავშირებით, როგორ ფიქრობთ, აღარ დადგა დრო, რომ წმინდა სინოდმა ამაზე განცხადება გააკეთოს და თავისი მკვეთრი პოზიცია დააფიქსიროს? თუკი საბერძნეთმა თქვა უარი ამ პასპორტებზე და ათონის მთის კინოტმაც ძალიან მკვეთრად უარყოფითი განცხადება გააკეთა ამასთან დაკავშირებით და მეტიც, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ უარყო და არ მიიღო ეს ბიომეტრიული პასპორტები, ჩვენთან რა ხდება? რას ელოდება ეკლესია? როდემდე იყოს მრევლი დაბნეული?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესია ამასთან დაკავშირებით აუცილებლად გააკეთებს განცხადებას და დააფიქსირებს თავის პოზიციას, რათა ხალხი არ იყოს დაბნეული. ძალიან ბევრ ქვეყანაში არის ალტერნატიული საპასპორტო საშუალებები, მინიმუმ ასე მაინც შეიძლება გაკეთდეს. მე მინდა განვაცხადო, რომ ეს არ არის ანტიქრისტეს ნიშანი, მაგრამ ეს არის მაქსიმალური კონტროლის საშუალება ადამიანზე — მე მერთმევა თავისუფლება, ანუ ის უფლება, რომელიც უფალმა მომანიჭა და, როცა „დიდი დემოკრატები“ დღეს აცხადებენ, რომ ადამიანის უფლება



## «საკმარისი მეჩეთები აქვთ აქ მცხოვრებ მუსლიმანებს, თუ თავიანთი რელიგიური მრწამსისთვის ეს მათ დასჭირდებათ. აღარაა საჭირო მეტის აშენება»

უნდა იყოს ხელშეუხებელი, დაცული, სად არის ჩემი უფლება ხელშეუხებელი? ამ საპასპორტო საშუალებით ხომ მე არა მხოლოდ მაკონტროლებენ, არამედ კრიმინალს შეუძლია გამძარცვოს! არის ასეთი სკანერები — პასპორტთან, ჩიპთან მიიტან და მთელი მონაცემები მოდის სკანერზე. ამაზე ერთი ამერიკული ფილმიცაა გადაღებული. ამ ფილმში ძალიან კარგად ჩანს, რა ადვილად შეიძლება მოხდეს ეს, ანუ კრიმინალმა ჩაიდინოს ჩემს წინააღმდეგ დანაშაული — შეიტყოს ჩემი ანგარიშები, შემოსავალი, გასავალი, ყველაფერი აბსოლუტურად, ანუ მე მერთმევა თავისუფლება. ვიღაცას, ალბათ, ჰგონია, რომ ამ ბიომეტრიული პასპორტების შემოღებით ინგლისსა და სხვა ქვეყნებზე, რომელთაც ალტერნატიული საპასპორტო საშუალებები შემოიღეს, უფრო დემოკრატიულ ქვეყანას ააშენებს!

**— მამაო, ამ ყველაფრის მერე ერთი აზრი მებადება: როდესაც ხმამაღლა წამოგვძახებენ ხოლმე ჩვენი სახელმწიფო მოხელეები, რომ მეტი რაღა გინდათ ამ მართლმადიდებლებს, მართლმადიდებლობა ხომ პრივილეგირებულია საქართველოშიო, მივდივარ დასკვნამდე, რომ საქართველოში ყველა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის უფლებებია დაცული, ქართველი მართლმადიდებლების გარდა.**

— ზუსტად ასე ვფიქრობ მეც! **დღეს საქართველოში ყველაზე მეტადაა მართლმადიდებლების უფლებები დარღვეული და მეტიც — იმ ინციდენტის გამო, რომელიც ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში მოხდა, როცა ბიჭები დაიჭირეს მრწამსის გამო, ჩვენ რწმენის პატიმრებიც გვყავს.** ამაზე მეტი უფლებების შელახვა რაღა გინდათ?

**— მამაო, რა მოხდა მაშინ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში?**

— მე რამდენადაც ვიცი და ყველა პროცესს ვესწრებოდი, მიწვეული მართლმადიდებელი სტუმარი, სკოლის მოსწავლე სტუდიაში სცემეს. სტუმარი სცემეს! და ამის შემდეგ, როდესაც ჩვენ ვითხოვდით სახალხო დამცველის მიბრძანებას იქ, სამი ადამიანი კიდევ იქვე აიყვანეს. სახალხო დამცველის მისვლას კი იმიტომ ვითხოვდით, რომ პოლიცია იდგა იქ და არაფერს აკეთებდა. „კავკასიის“ ეთერში ერთი ადამიანი იღებდა და ორნი, ვინც მერე დააპატიმრეს, ჩვეულებრივად საუბრობდნენ. ამ ტელეკომპანიის შესასვლელი არ არის დაცული, ვერც გაიგებ, იქ ვინ შედის და გამოდის. იქ დაცვა არ დგას და, როდესაც დავინახეთ ეს დასისხლიანებული ბავშვი და პოლიცია უმოქმედოდ იყო, მერე ვითხოვეთ, რომ გაეღოთ კარი, რომ გაგვეკეთებინა განცხადება, რომ სახალხო დამცველი მოსულიყო. იქიდან გაისმა ხმა — გაუღეთო. ასე აღმოჩნდნენ იქ ადამიანები და ასე გაკეთდა განცხადება პოლიციელებთან ერთად. ალბათ, იქვე გაიცა მათი დაჭერის ბრძანება. სამი ახალგაზრდა იქვე დააკავეს, მერე — დანარჩენებიც. არჩევდნენ სამმართველოსთან, ვინ დაეჭირათ და ვინ არა!

მთავარი ამ ამბავში ისაა, რომ ეს ბიჭები სარწმუნოების დამცველები იყვნენ. გახსოვთ, ალბათ, დეისაძის ის ავადსახსენებლი წიგნი („საიდუმლო სირობა“. — შ.ს.), ამას აპროტესტებდნენ, ამის წინააღმდეგ მიდიოდა საუბარი, ამის გამო რვა ადამიანია დაჭერილი.

**— დეისაძე, სამწუხაროდ, პირველი არ ყოფილა, ვინც ქართველისთვის სათაყვანებელს და წმინდას შეეხო — მანამდე წმინდა თამარ მეფე გაგვილანძღეს, არც „ქართლის დედისთვის“ დაუკლიათ... ამ დეისაძემ კი თავისი წიგნით მორწმუნე მართლმადიდებლებს შეურაცხყოფა მოგვაყენა. წარმოიდგინეთ, რომელიმე მუსლიმანურ ქვეყანაში ეს რომელიმე მუსლიმანს რომ გაეკეთებინა საკუთარი რწმენის მიმართ, რას უზამდნენ.**

— სწორედ ამაშია საქმე. იყო არა ერთი ასეთი ფაქტი, როდესაც მუსლიმანური ქვეყნიდან გაქცევაც კი მოუხდათ ადამიანებს, რომლებმაც მსგავსი მკრეხელობა ჩაიდინეს. მსგავსი შემთხვევები იყო ევროპის ქვეყნებშიც — ყველგან მოჰყვება ამას პროტესტის გრძნობა. სწორედ ის მინდა ვთქვა, რომ მაოცებს ადამიანების მარლმადიდებლობა, რომლებიც ასეთ რამეზე პროტესტს არ გამოხატავენ. დეისაძის წიგნის პრეზენტაცია სადმე კერძო დაწესებულებაში ან სახლში კი არ ჩატარებულა, არამედ — ილიას უნივერსიტეტში.

**მთელმა საქართველომ იცის, ილიას უნივერსიტეტი რას წარმოადგენს და რა ანტიქართულ, ანტიმართლმადიდებლურ საქმიანობას ეწევა, ამიტომაც სწორედ იქ ჩატარდა ღვთის გმობის შესახებ გამოცემული წიგნის პრეზენტაცია.**

**— მამაო დავით, გულწრფელად მითხარით, არ გქონდათ შეგრძნება, რომ ამ ბრძოლაში მარტო იყავით?**

— დიახ, გამიჩნდა ასეთი გრძნობა. მეტიც, ადამიანებმა, რომელთაც არ იცოდნენ ზუსტად საქმის ვითარება, წარმოიდგინეს, რომ ჩვენ ვიყავით დამნაშავეები და დებოშის ამტეხები. ამ დროს მეტი შეურაცხყოფა რაღა უნდა მოგვაყენონ? ღვთისმშობელი შეგვიგინეს!

**— მამაო, საპატრიარქოს ამაზე განცხადება არ უნდა გაეკეთებინა?**

— პატრიარქმა გააკეთა განცხადება იმით, რომ დამაჯილდოვა მიტრით და გამშვენებული ჯვრით. ეს განცხადებაზე მეტი იყო! ამასთან ერთად, როგორც კი ციხეში გადაიყვანეს ბიჭები, ისინი პირველივე დღეს მოინახულა უწმინდესმა. იმ დაპატიმრებულთაგან ერთი სკოლის მოსწავლე იყო, ერთი ოთხი შვილის მამაა. მათ ოთხწელიწად-ნახევარი აქვთ მისჯილი.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, მე ის ხალხი მაოცებს, ვინც ამ საკითხებით არ ინტერესდება, იმ ხალხს ვგულისხმობ, ვისაც მართლმადიდებლები ჰქვიათ.

**— მამაო, თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ საზოგადოებამ უფრო აქტიურად უნდა მოითხოვოს მუზეუმებში დაპატიმრებული ხატების ეკლესიისთვის გადმოცემა. როგორ ფიქრობთ, რაც უნდა ხმამაღლა იყვიროს და მოითხოვოს მრევლმა, სანამ საპატრიაქრო არ მოითხოვს, ამ სიწმინდეებს დააბრუნებს სახელმწიფო?**

— სიწმინდე უნდა იყოს ეკლესიაში და სახელმწიფო ვალდებულია, მას შესაფერისი პირობებიც შეუქმნას და დაიცვას. ეს ის სიწმინდეებია, რომლებიც თავის დროზე ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. ისევ ტყვეობაში რჩებიან დღესაც იმ უსუსური ახსნა-განმარტებით, რომ თითქოს ჩვენ ვერ დავიცავთ მათ.

უშუალოდ უწმიდესს არა ერთი სიწმინდის გადმოცემა მოუთხოვია, თუმცა კარგი იქნება, რომ მთლიანად სინოდმა მოითხოვოს ეს.

უფლის იმედი მაქვს, მხოლოდ მისი შემწეობის!...

**— მამაო, როდესაც ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან, როგორიცაა მართლმადიდებლობა, ეროვნული ფასეულობები, სინოდს ერთიანი პოზიცია არ აქვს, მაშინ, რაც უნდა იძახონ, რომ სინოდი ერთიანია, არავინ დაიჯერებს...**

— კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს პატივისცემას წმინდა სინოდის იმ ღირსეული მღვდელმთავრების მიმართ, რომლებიც უფლის წყალობით იქ არიან. მაგრამ ერთი რამ მინდა გითხრათ — **ამას წინათ საბერძნეთის, ელადის ეკლესიის სინოდმა გააკეთა განცხადება, სადაც ის თავის ერს, ქვეყანას სთხოვს პატიებას იმიტომ, რომ თავის დროზე არ გამოიჩინა ძალისხმევა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც დღეს საბერძნეთში ხდება. პირდაპირ არის ნათქვამი ამ განცხადებაში, რომ საბერძნეთი დღეს არის უმძიმეს მდგომარეობაში როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. მღვდელმთავრები პირდაპირ ამბობენ — შენდობას გთხოვთ თქვენ, ხალხო!** ამის ტექსტი არსებობს და მერე მოგაწვდით. ეს არის ელადის წმინდა სინოდის განცხადება.

**...**ჩვენ, ყველანი ადამიანები ვართ, ადამიანები არიან ის მღვდელმთავრებიც და შეიძლება რაღაც შეცდომები და ადამიანური სისუსტეები ჩვენც გვქონდეს, მაგრამ, როცა ამას მიხვდები, მაშინვე უნდა გააკეთო განცხადება ამასთან დაკავშირებით და ამის მაგალითს გვაძლევს პატრიარქი. ერთ შემთხვევას შეგახსენებთ — ეკუმენური საბჭოდან საქართველოს ეკლესიის გამოსვლასთან დაკავშირებით მან შენდობა ითხოვა, შესანიშნავი მაგალითი მოგვცა. ასეთ მაგალითებს უნდა მივბაძოთ ჩვენც.

სექსუალური აღზრდა არ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში და ამის წინააღმდეგ ჩვენი მრევლი და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი ძალიან აქტიურად გამოხატავდა პროტესტს. ღმერთის შეწევნით, სექსუალური სწავლება ჯერჯერობით შეჩერდა. ყველაფერ ამაზე, რა თქმა უნდა, ეკლესიამ რეაგირება უნდა მოახდინოს და თავისი პოზიცია დააფიქსიროს — განუმარტოს მრევლს, რა არის კარგი თუ ცუდი და რატომ.

**— და როგორ ფიქრობთ, რატომ დუმს ხშირად ეკლესია, წმინდა სინოდი? ხანდახან მრევლს რჩება შთაბეჭდილება, რომ პატრიარქი მარტოა...**

## «მართლმადიდებელი ადამიანის დაწვა მიუღებელია და დაუშვებელი!»

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რელიგია

# «ორასამდე მეჩეთია ამ ბოლო დროს რეგისტრაციაში გატარებული, ამ გახმაურებული კანონპროექტის შემოღების შემდეგ»

— დიახ. შეიძლება ეს ასე ჩანდეს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ წმინდა სინოდში არიან ღირსეული მღვდელმთავრებიც, რომლებიც ყოველთვის დედაეკლესიის, სამშობლოს სადარაჯოზე დგანან და ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ საჭირბოროტო საკითხებზე...

თუმცა თქვენ მართალი ხართ — ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს განცხადებები კრებითად მოხდეს, ეს იყოს წმინდა სინოდის ერთიანი ხმა, რომ ეს განცხადება იყოს უფრო ავტორიტეტული, ძლიერი, რომ ხალხს სჯეროდეს ეკლესიის ერთიანობის, ეკლესიისა და ერისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში!

**— მამაო, პირდაპირ გეტყვით, რომ თქვენს ირგვლივ ძალიან ბევრი განცხადებები და ბრალდებები ისმის ერთხმიან გალობასთან დაკავშირებით და, ბუნებრივია, ამ თემას გვერდს ვერ ავუვლით. გდებენ ბრალს, რომ ქართული მრავალხმიანი გალობის წინააღმდეგი ხართ, რომ ქართულ პოლიფონიურ გალობას არ ცნობთ. მამაო, იქნებ განგვიმარტოთ უფრო მკაფიოდ, რა ხდება? რას ითხოვთ თქვენ და რას გედავებიან? ან რატომ ხართ ქართული მრავალხმიანი გალობის წინააღმდეგი?**

— რაც შეეხება საეკლესიო გალობას, ეს ეკლესიის კანონიკური საკითხია, გალობას აქვს ძალიან დიდი ისტორია, ამ თემაზე რომ ვრცლად ვისაუბროთ, ალბათ, ამას ერთი საგაზეთო პუბლიკაცია არ ეყოფა, თუმცა შევეცდები, მოკლედ მაინც გიპასუხოთ. უპირველეს ყოვლისა, ერთხმიანი გალობა ყველა ადგილობრივ ეკლესიაში იგალობება იქაურ ენებზე. ეს არის სლავურადაც, ბერძნულადაც, არის არაბულ ენაზეც. მე მოსმენილი მაქვს ინგლისურად, ფრანგულად. თავიდანვე ეს ერთხმიანი გალობა საქართველოშიც იყო. ჩვენი პოზიცია ასეთია, რომ ორივე სახის გალობას აქვს არსებობის უფლება. ჩვენი პირადი თუ ეკლესიის მტრები, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ხშირად საბაბად იყენებენ ამ თემას, რათა, ალბათ, ამ თემით გადაფარონ თავიანთი ეკლესიური, ეროვნული თუ ზნეობრივი ცდომილებები და დაგვიპირისპირდნენ იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის აქტიურად ვიცავთ ეკლესიურ სწავლებას. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ეს ყოველივე და ამიტომ კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ორივე გვარის გალობას აქვს არსებობის უფლება.

მე ჯერ კიდევ მედავითნეობის დროს მქონდა საშუალება, მომეძია არაერთი წიგნი და კარგად შემესწავლა ეს საკითხი — რვა ხმათა სისტემა. შემდეგ ვასწავლიდი ლიტურგიკას სასულიერო აკადემიაში და სემინარიაში, მოსმენილი მაქვს არა ერთ ენაზე რვა ხმის გალობები და ეს მაძლევს იმის უფლებამოსილებას, რომ განვაცხადო, რომ ქართულ ენაზე ერთხმიან გალობასაც აქვს არსებობის უფლება, ისევე, როგორც ეს ყველა ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიაშია.

ჩვენ ვგალობთ ერთხმიანსაც და მრავალხმიან გალობასაც.

**— მამაო, მაშინ, როდესაც საქართველოს თითქმის ყველა ტაძარში წირვა-ლოცვა მრავალხმიანი გალობით მიმდინარეობს, თქვენ რატომ გაგიჩნდათ სურვილი ერთხმიანი გალობისა? რით იყო ეს გამოწვეული? არ მოგწონთ ქართული ტრადიციული მრავალხმიანი გალობა?**

— რათა შესრულებულიყო „რვახმათას“ კანონი. რადგანაც პოლიფონიურ გალობას არ აქვს „რვახმათას“ სისტემის კანონი. ჩვენ დღესაც ვითხოვთ, რომ მოგვაწოდონ „რვახმათას“ სისტემა, რადგან ყოველ შაბათს იცვლება ხმა, ანუ მელოდია, განწყობა. ეს ყველამ იცის, ამის შესახებ ბევრი დაიწერა და ბევრი ითქვა. საუბარია იოანე დამასკელისეულ „რვახმათა“ გალობის სიტემაზე. ჩვენ გვინდა, რომ შევასრულოთ კანონი და ამასთან ერთად არ ვეწინააღმდეგებით მრავალხმიან გალობასაც. უფრო მეტსაც გეტყვით, იმ განჩინებით, რომელიც თავის დროზე სინოდმა მიიღო, ასევე აკრძალულია ევროპული გალობაც, რომელიც მართლაც და უამრავ ეკლესიაში იგალობება — სამებაში, ქაშუეთში, ყველგან ევროპული გალობაა. დიდ სამებაში ასევე არის ხალხური მელოდიის გალობაც, მაგრამ თითქმის ყველგან, ძირითადად, მაინც არის ევროპული პარტესული გალობა, რომელიც ასევე ამ განჩინებით აკრძალულია, მაგრამ აქ მხოლოდ ჩვენ გვებრძვიან, რადგან ვიღაცას ძალიან არ მოსწონს მამა დავით ისაკაძის აქტიურობა ერისთვის და ეკლესიისთვის საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით.

ეს არ არის ის საკითხი, რომლის გამოც ამხელა დაპირისპირებაც უნდა ხდებოდეს ეკლესიაში. ...და თუ მე, როგორც მღვდელმსახურს მხოლოდ ეს დამიპირისპირეს, მაშინ ბედნიერი ვყოფილვარ! მადლობა უფალს!

**— თუკი ეს გალობა კანონიკურია, მაშინ რა არგუმენტებს გიპირისპირებენ, მამაო?**

— არგუმენტები ასეთია, რომ ერთხმიანი გალობა არის ბერძნული, ხოლო მრავალხმიანი გალობა არის ქართული. მე მეტსაც გეტყვით, რომ თვით ბერძნებიც არ ეძახიან ამ გალობას ბერძნულს, ბიზანტიურს ეძახიან და ბიზანტია, მოგეხსენებათ, იყო უზარმაზარი იმპერია, სადაც უამრავი ტომი ცხოვრობდა. თუ ვილაპარაკეთ ქართულად პოლიფონიურ გალობაზე, ასევე არის არა ერთი ქართული ერთხმიანი სიმღერაც, მაგალითად „ურმული“ და კიდევ უამრავი. რატომ ჰქვია მაინც და მაინც მრავალხმიან გალობას ქართული? როცა გვაქვს ერთხმიანი სიმღერებიც. მაგრამ კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვებრძვით ქართულ მრავალხმიან გალობას, ჩვენი გუნდი გალობს ერთსაც და მეორესაც.

ისეთი აზრი მრჩება, რომ როდესაც ეკლესიაში ამდენი მართლაც უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და მრევლის ნაწილი სერიოზულად დაბრკოლებულია მღვდელმსახურთა არაერთი უზნეო საქციელით, და ამ დროს სინოდი აქცენტს აკეთებს გალობაზე, მე სერიოზული ეჭვი მიჩნდება, რომ ამით ძირითადი პრობლემების გადაფარვა ხდება...

**— მამაო, პატრიარქის დამოკიდებულება როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ პატრიარქზე ამასთან დაკავშირებით გარკვეული ზეწოლაც კი ხორციელდება ზოგიერთი მღვდელმთავრის მხრიდან. პატრიარქის დამოკიდებულება ერთხმიანი გალობის მიმართ უარყოფითია, მაგრამ პატრიარქი არ ცდილობს არასოდეს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, რომ ამ თემებზე გაამახვილოს ყურადღება. მეტსაც გეტყვით, პირდაპირ მოხდა ზოგიერთი სასულიერო პირისა და ერის ადამიანის ჩარევა ამ საკითხში, იყო პატრიარქს ჩვენზე ზემოქმედება მოეხდინა.

**— და უწმინდესმა რომ გითხრათ, რომ არ იგალობოთ ერთ ხმაში, მაშინ?**



## «სომხური და აზერბაიჯანული ენებისათვის რეგიონული ენების სტატუსის შესაძლო მინიჭება, ეს არის ახალი აფხაზეთი და სამაჩაბლო»

— ჩვენ ვთხოვთ მას მამაშვილურად, რომ ეს არ იქნება მარტო ჩვენი პრობლემა და, თუ ამის გამო ვინმე დაისჯება, ეს დიდ რეზონანსს გამოიწვევს მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რადგანაც როგორ შეიძლება ერთხმიანი გალობის გამო ვინმე დაისაჯოს? და თუ ლაპარაკია იმაზე, რომ სინოდი არ ცდება, ისტორიულად არაერთი პრეცენდენტია იმის, რომ სინოდიც შემცდარა და მიუღია მცდარი გადაწყვეტილება, მათ შორის საქართველოშიც, მაგალითად, ახალი სტილის შემოღება პატრიარქ ქრისტეფორეს დროს, რომელიც შემდგომ სხვა სინოდმა გააუქმა, მრევლმა ის არ მიიღო. ხალხი ახალ სტილზე არ გადავიდა.

**— მამაო, გისმენთ და მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს საკითხი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თორემ ასე ძალიან არ დაიცავდით. ამას ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველიც ექნება, რაც თქვენთვის, ალბათ, საკრალურიც კია...**

— ზემოთაც მოგახსენეთ და ისევ გავიმეორებ, რომ მე მინდა, ეკლესიის ყველა კანონი შევასრულო, ანუ დავიცვა ყველა საეკლესიო დოგმატი და კანონი. ესაა ჩემი, ჩემი მეგობრებისა და ჩემი მრევლის მიზანი. თუ ერთ რამეს დავთმობთ, მერე მეორე წამოვა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

...ლაპარაკი იმაზეც კი იყო, რომ დიდ მარხვაში თევზი დაეკანონებინათ და ზოგიერთმა ეს ამბიონიდანაც გამოაცხადა, ანუ სიახლეების კასკადი წამოვა. ლაპარაკია მერვე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევაზე, რომელსაც მსოფლიო პატრიარქი, ბართლომეოსი მოიწვევს და რომელზეც სურთ ცოლოსანი ეპისკოპოსების დაკანონება, მარხვების შემსუბუქება და ა.შ. ჩვენ ამიტომ გვინდა, ყველა კანონი დავიცვათ. ჩვენ გვაქვს ერთხმიანი გალობისთვის „რვახმათას“ სისტემა და შეგვიძლია ყოველ შაბათს ის ხმა ვიგალობოთ, რომელიც მოცემულია საღვთისმეტყველო წიგნებით, რომელსაც პარაკლიტონი ჰქვია. როდესაც ვითხოვთ, რომ გვაჩვენონ სამხმიანი გალობისთვის ეს „რვახმათას“ სისტემა, ჩვენება არ უნდათ და, თუ დააკვირდებით ეკლესიებში, არასოდეს იცვლება, შაბათობით ერთ მელოდიაზე მიდის გალობა. მაშინ რაღა საჭიროა წიგნი, რომელსაც ქვია „რვახმათა“, ანუ პარაკლიტონი. ეს იოანე დამასკელის შედგენილია, მაგრამ ეს არის საღვთისმსახურო წიგნი, პრაქტიკულად ამას ვიყენებთ და არის ყველაზე დიდი დატვირთვის მქონე წიგნი „ჟამნთან“ ერთად. იქ სულ ხმებზეა ყველაფერი დაწყობილი და ჩვენ გვინდა, რომ ჩვენც ასე შევასრულოთ. ესაა ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ არ ვებრძვით მრავალხმიან გალობას და ვგალობთ კიდეც, რომელიც შეიძლება რომ ვიგალობოთ. იქ არის ზოგიერთი ისეთი საგალობელი, რომელიც შეიძლება რომ ვიგალობოთ იმ „რვახმათას“ სისტემაში. ჩვენ არ ვიცით სამხმიანისთვის „რვახმათას“ სისტემა. ამიტომ წირვის რამდენიმე საგალობელს, კვერექსებს სამ ხმაში ვგალობთ, სადაც არაა საჭირო „რვახმათას“ სისტემის გამოყენება.

**— მამაო, მერვე მსოფლიო კრება ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, რატომ დადგა ამის აუცილებლობა? ბოლო მსოფლიო საეკლესიო კრება, მგონი, 787 წელს ჩატარდა და ხატმბრძოლთა ერესის მხილება მოხდა...**

— რამდენიმე ხნის წინ შეიკრიბა რამდენიმე ადგილობრივი, ძირითადად, ბერძნული ეთნოსის ეკლესიების წარმომადგენლები, სადაც მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა გააკეთა განცხადება, რომ მე უნდა ვიყო ყველა ადგილობრივი ეკლესიის კოორდინატორიო. ეკლესიას აქვს სწავლება ადგილობრივი ეკლესიების მოწყობასთან დაკავშირებით. ბართლომეოსი იწოდება მსოფლიო პატრიარქად, მაგრამ რას ნიშნავს ეს? იგი არის თანასწორთა შორის უპირატესი, რადგანაც კონსტანტინეპოლის კათედრა იწოდებოდა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქად. მას არ აქვს უფლება, სხვა ადგილობრივი ეკლესიის ცხოვრებაში ჩაერიოს. მისი ინიციატივა ნიშნავს იმას, რომ მან ზეგავლენა მოიპოვოს ყველა ადგილობრივ ეკლესიაზე. ბართლომეოსი რომის აღმოსავლეთის ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. ძალიან ხშირი ერთობლივი, ეკუმენური ლოცვები აქვს რომის პაპთან და ეს მერვე მსოფლიო კრების მოწვევაც მისი იდეაა, რომელიც, პირდაპირ ვიტყვი, რომ იქნება ქვაბავაზაკთა კრება და მას მსოფლიო ეკლესია არ მიიღებს.

**— მე რამდენადაც ვიცი, ეს მერვე საეკლესიო კრება ითვალისწინებს ცოლოსანი ეპისკოპოსების დაშვებასაც. იქნებ იმიტომაც, რომ ძალიან გაუკუღმართდა იგივე მღვდელმთავრების ზნეობრივი ცხოვრება...**

— დიახ, არის ეს საკითხიც, ასევე — მეორე ცოლის მოყვანის უფლებაც, როცა მღვდელს გარდაეცვლება ცოლი, მას შეეძლება მეორის მოყვანა, რაც ახლა არ შეიძლება; ასევე — მარხვის გამარტივება, განმოსვის საშუალება...

პირველ საუკუნეებში მართლაც იყვენენ ცოლოსანი ეპისკოპოსები. მაგალითად, სპირიდონ ტრიმიფუნტელი ცოლიანი იყო, მაგრამ, როდესაც შემდეგ შედგა საეკლესიო კრება, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეპისკოპოსს არ უნდა ჰყოლოდა ცოლი და უნდა გამხდარიყო აუცილებლად მონაზონი, ბერული აღქმა უნდა დაედო — უპოვარებისა და უქორწინებლობის და ამის შემდეგ შეძლებდა გამხდარიყო ეპისკოპოსი. აი, ამ ყველა კანონის მოშლას მოემსახურება ის ე. წ. მერვე მსოფლიო საეკლესიო კრება. ეკლესიის მიერ შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრებაა აღიარებული. ბართლომეოსი აშკარად ემსახურება ეკუმენიზმს, მერვე საეკლესიო კრების მოწყობა არის ერთ-ერთი ნიშანი ანტიქრისტეს გამოჩენისა. წმინდა მამები პირდაპირ საუბრობენ ამაზე.

**— მამაო, საეკლესიო კრება ახსენეთ. დღეს საზოგადოებაში ძალიან მძაფრად მუსირებს აზრი, რომ ეკლესიის გასაწმენდად აუცილებლად საჭიროა რუის-ურბნისის დონის საეკლესიო კრება, რათა განირჩეს „მწყემის კეთილი“ და „სასყიდლით დადგინებული“. ეთანხმებით ამ აზრს?**

— მრევლმა, ვინც მართლა მრევლია ეკლისიისა, შესანიშნავად იცის, ვინ ვინ არის და ვისთან უნდა იაროს. თუ მას მრევლი ქვია, ის აუცილებლად მიხვდება ამას.

**— მაგრამ ვინც ჯერ კიდევ არ არის მრევლი და გზაგასაყართან დგას?**

— ცოტახანში ისიც მიხვდება... რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებლად გააცნობიერებს, რომ იქ არ უნდა იაროს, სადაც ეკლესიური თვალთახედვით არაა საჭირო, რომ იაროს.

**— კრების მოწვევის აუცილებლობას ვერ ხედავთ?**

— შეიძლება მოხდეს ისე, რომ სინოდის სხდომაზე ამა თუ იმ მღვდელმსახურის (ეს მღვდელმთავარი იქნება თუ რიგითი მღვდელმსახური) საკითხი დადგეს და მე მიმაჩნია, რომ ეს სავსებით საკმარისია. ეს ასე უნდა ხდებოდეს....რაც შეეხება რუის-ურბნისის დონის კრების მოწყობას, მას სჭირდება არა მარტო ღირსეული მღვდელმთავრების უმრავლესობა, არამედ ღირსეული ხელისუფალიც, ისეთი, როგორიც იყო დავით აღმაშენებელი. ოღონდ ის მინდა გითხრათ, რომ დავით აღმაშენებელი არ ჩარეულა ამ კრების მუშაობაში, მან მხოლოდ ხელი შეუწყო ამ კრების მოწყობას. დღევანდელ ვითარებაში ეს რამდენად შესაძლებელია, თქვენც კარგად ხედავთ... უნდა ვილოცოთ, რომ ეროვნული მთავრობა მოვიდეს...

ამ ხელისუფლების მხრიდან საეკლესიო კრების მოწვევა ხომ ანომალია იქნებოდა? თუ ადამიანს მრწამსი არ გააჩნია, ეკლესიურად არ ცხოვრობს და საუბარია, რომ არაქართველია, ბუნებრივია, რომ არ დაინტერესდება ამ საკითხებით...

ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ შექმნილიყო ზნეობრივი კომისია, რომელიც სინოდის ბოლო სხდომაზე შეიქმნა და იმედი გვაქვს, რომ ეს კომისია და სინოდი იშრომებენ და ილვაწებენ იმისათვის, რომ არაერთი უღირსი სასულიერო პირი ჯერ გაფრთხილებული იქნას, მერე მას შეუჩერდეს მღვდელმსახურება...

სინოდში არიან ძალიან ღირსეული მღვდელმთავრები, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიციები აქვთ და ძალიან უარყოფითად აფასებენ ამ ავადსახსენებელ კანონ-პროექტსაც. მე მათი იმედი მაქვს...

**— მამაო, კარგია, რომ ამ კომისიის იმედი გაქვთ... გუშინ სახელმწიფომ დაამტკიცა ის ავადსახსენებელი კანონ-პროექტი, დღეს კრემაციის დამტკიცება უნდა, კიდევ აზერბაიჯანული და სომხური ენებისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭება სურს, ხვალ, ალბათ, ზე დემოკრატიულობის ნიღბით ერთსქესიანების ქორწინებას დააკანონებს. ხელს ვერავინ და ვერაფერი უშლის... სინოდი არა კი არა, ვერ უწევს წინააღმდეგობას. ალბათ, საფუძველს მოკლებული არაა აზრი იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას სინოდში თავისი დასაყრდენი ჰყავს, ეპისკოპოსები, რომლებიც უკვე საქვეყნოდ დითირამბებს უმღერიან მიშას. საით მივექანებით? და საერთოდ, სად არის ხსნა?**

— ეკლესიამ თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვას! ჩვენ, ორმოცდაათმა მღვდელმსახურმა, შევადგინეთ წერილი, რომლითაც თხოვნით მივმართავთ წმინდა სინოდს, რომ საპატრიარქომ, წმინდა სინოდმა გააკეთოს უფრო მკვეთრი შეფასება ამ კანონთან დაკავშირებით. ხელმომწერთა შორის არიან არქიმანდრიტებიც. თქვენთვისაც და საზოგადოებისთვისაც ცნობილია, რომ არაერთი მღვდელმთავარი იზიარებს ამ პოზიციას.

თითოეულმა ადამიანმა უნდა იფიქროს სულის ცხონებაზე, ჯერ უნდა დაიწყოს ფიქრი იმაზე, რომ არ წარწყდეს, არ დაიღუპოს და შემდეგ სხვასაც მისცეს მაგალითი ამისა. მაშინ ქვეყანასაც ეშველება, რაც უფრო მეტი რწმენით მოსილი ადამიანი იქნება, მით უფრო მეტად ეშველება ქვეყანას. ამიტომ მე ამას ვურჩევ ჩვენს საზოგადოებას, ქვეყანას, ხალხს, რომ კიდევ უფრო მეტი და მეტი ნაბიჯი — ეკლესიისკენ, უფრო მეტი და მეტი მხურვალე ლოცვა.

როდესაც რაღაც ისე არ სრულდება, ჩვენ ხომ გვაქვს უფლება, თხოვნით მივმართოთ მღვდელმთავრებს, რომ ეს კანონი დაიცვან, ამისთვის საჭიროა ცოდნა და განათლება. და როცა ადამიანი ეკლესიაში მხოლოდ იმიტომ მოდის, რომ სანთელი დაანთოს და პირჯვარი გადაიწეროს და არ უნდა სულიერად გაზრდა, მის განათლებაზე, ბუნებრივია, ეკლესია ვერ იფიქრებს. მისთვის გაუგებარი იქნება, რა საფრთხის შემცველია სახელმწიფოს მიერ მიღებული ესა თუ ის კანონი და დაიჯერებს იმას, რასაც ეტყვიან. ამიტომ ერმა უნდა მოიწადინოს, რომ ჯერ თავის სულს უშველოს და შემდეგ — მთელს ქვეყანას!

ჩვენ, თითოეულმა მღვდელმსახურმა, ჩვენი ცხოვრების წესით უნდა მივცეთ მაგალითი მრევლს, ჩვენ უნდა ვიყოთ ზნეობრივად და სულიერად ამაღლებულები და ჩვენი ცხოვრებით ვიყოთ სამაგალითონი ეკლესიური ცხოვრებისა, ეკლესიური აზროვნებისა, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულისა. ესაა ჩემი პოზიცია და ამაში ვხედავ ხსნას!

**— დაგვლოცეთ, მამაო...**

— დიდი მადლობა სტუმრობისთვის და საინტერესო საუბრისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ და გაკურთხოთ!

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

„იმის გამო, რომ ადამიანი ქართველად არ მიიჩნევს თავს და აქ რომ ჩამოვა, ვაიდა რაღაც მოხდეს, ამის გამო უარი ვუთხრათ საქართველოში დაბრუნებაზე, გაუმართლებელია. აქ ისეთი ვალდებულების შესრულებაზეა საუბარი, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას ეხება. ადამიანი ძალით გააგდეს ქვეყნიდან, სადაც დაიბადა, რომლის მოქალაქეც იყო და ითხოვს, რომ დააბრუნო. ამის არგაკეთება დიდ რისკებს შეიცავს, შეიძლება საქართველო ჩვენი უცხოელი მეგობრების თვალში არათანამედროვე, არაადამიანურ სახელმწიფოდ გამოჩნდეს“.

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის — დავით დარჩიაშვილის განცხადებით, ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენების რეგიონულ ენებად აღიარების საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. რას ნიშნავს რეგიონული ენის სტატუსი, კონკრეტულად რომელ ეთნიკურ უმცირესობებზეა საუბარი და რას მოუტანს საქართველოს „რეგიონულ ენათა ქარტიის“ რატიფიკაცია, „საქართველო და მსოფლიოს“ დავით დარჩიაშვილი ესაუბრება.



დავით დარჩიაშვილი:

**საქართველომ ხელი მოაწერა გარკვეული ვალდებულებების შესრულებას... ერთ-ერთი ასეთი ვალდებულებაა «რეგიონულ ენათა ქარტია», რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების ენებისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას, ვინაიდან სწორედ ესაა გზა ევროპისკენ**

**«ეს ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეეძლებათ თავიანთ ენაზე განათლების მიღება, სამართალწარმოება, საგზაო ნიშნები, წარწერები იქნება მათთვის გასაგებ ენაზე»**

# ჩვენი საზოგადოების ნაწილი კვლავ ფეოდალიზმის ხანაში ცხოვრობს

**— ბატონო დავით, თქვენ ახლახან განაცხადეთ, რომ ეთნიკური უმცირესობების ენების რეგიონულ ენებად აღიარების საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. რატომ დადგა დღის წესრიგში აღნიშნული საკითხის განხილვა და კარგს რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას?**

— ევროსაბჭოში გაერთიანების დროს **საქართველომ ხელი მოაწერა გარკვეული ვალდებულებების შესრულებას, რომელთა განხორციელებაც დროთა განმავლობაში უნდა უზრუნველყოს. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულებაა „რეგიონულ ენათა ქარტია“, რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების ენებისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას, ვინაიდან სწორედ ესაა გზა ევროპისკენ,** მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უმცირესობათა უფლებების, კულტურის, ენის დაცვას, ვინაიდან უმრავლესობა ისედაც თავისივე მდგომარეობით არის დაცული, გაფრთხილება კი რაოდენობრივად მცირე ერებს სჭირდებათ, რაც სავსებით ნორმალური, ადამიანური დამოკიდებულებაა.

დოკუმენტი ჯერ რატიფიცირებული არ არის და საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა დღის წესრიგში არ დგას. უბრალოდ, მიმდინარეობს საკითხის განხილვა და, რადგან ამ საუბრების შესახებ ინფორმაციამ გაიჟღერა, ამის გამო აჟიოტაჟის ატეხვა ჩემთვის გაუგებარია.

**— მკითხველს განვუმარტოთ: რას ნიშნავს რეგიონული ენის სტატუსი.**

— **ეს ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეეძლებათ თავიანთ ენაზე განათლების მიღება, სამართალწარმოება, საგზაო ნიშნები, წარწერები იქნება მათთვის გასაგებ ენაზე.** ეს ყველაფერი ისედაც არ არის აკრძალული და ამ ვალდებულებებს სახელმწიფო ისედაც ასრულებს, მაგრამ ამ ყველაფრის მაღალ პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში გადატანა, როგორიცაა აღნიშნული ქარტიის რატიფიკაცია, აუცილებელია.

ამ დროისთვის, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებიდან ყველას არ მოუწერია ხელი ქარტიაზე და გარწმუნებთ, აჩქარებას ამ საკითხში არც ჩვენ ვაპირებთ. ამ ეტაპზე, უბრალოდ, მიმდინარეობს მსჯელობა აღნიშნული საკითხის ირგვლივ და ქარტიის რატიფიკაცია მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის შემდეგ მოხდება. ისინი ისწავლიან ქართულ ენას და საერთოდ ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას შეძლებენ.

**— არ ფიქრობთ, რომ „რეგიონულ ენათა ქარტიის“ რატიფიკაციამ უკუპროცესები შეიძლება გამოიწვიოს? ხომ არ სჯობს, ქართული ენის სწავლება უზრუნველვყოთ ეთნიკური უმცირესობებისთვის? მით უფრო, რომ საქართველოს ბევრ რეგიონში მცხოვრებმა არაქართველმა მოსახლეობამ ქართული ენა საერთოდ არ იცის?**

— როგორც აღვნიშნე, ქარტიის რატიფიკაცია მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ინტეგრაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ერთი პროცესის მეორის გარეშე განხორციელება მიზანშეწონილი არ იქნება.

**— საქართველოში რომელ ენებზეა საუბარი?**

— ჯერჯერობით ესეც მსჯელობის საგანია. აღნიშნული ქარტია ითვალისწინებს, რომ გარკვეული მუხლების ამოქმედებაზე ხელმომწერს შეუძლია უარი განაცხადოს. ასე რომ, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა და განსაზღვრულ ვადებს არავინ გვიდგენს და გვაძალებს, რომ, გინდა თუ არა, ხვალვე მიიღეთ ეს კანონიო. ეს არის სამუშაო პროცესი.

**— ზოგადად, ახლა რამდენად დროული იყო ქარტიის ამოქმედებაზე საუბრის დაწყება? ეს ყველაფერი ხომ არ შეუწყობს ხელს სეპარატიზმის გაღვივებას და არსებობს თუ არა გარანტია, რომ რეგიონული ენის სტატუსს ავტონომიის სტატუსის მოთხოვნა არ მოჰყვება?**

— როგორ გითხრათ, ნებისმიერ ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებსაც ექსტრემისტული და რადიკალური შეხედულებები აქვთ, ამის საწინააღმდეგოდ სახელმწიფო ყოველთვის მზად უნდა იყოს.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს, ხომ არ მოხდება ამ კანონის ისევე ნაჩქარევად მიღება, როგორც ეს მოხდა რელიგიური გაერთიანებებისთვის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში?**

— რელიგიური გაერთიანებებისთვის სტატუსის მინიჭება ძალიან სწორად და დროულად მოხდა და მეც დავეთანხმე ამ გადაწყვეტილებას. ეს ორი სხვადასხვა თემაა. „რეგიონულ ენათა ქარტიის“ ამოქმედების საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს და, სანამ საზოგადოება არ იქნება მზად, ქარტიის რატიფიცირება არ მოხდება, თუმცა ყოველთვის საზოგადოებას არ უნდა დაელოდო, რადგან არიან რეტროგრადული ძალები, რომლებსაც ყოველგვარი სიახლის ეშინიათ და არაფრის შეცვლა არ სურთ.

**— როგორ მიხვდებით, როდის იქნება საზოგადოება მზად?**

— მაგაშია ზუსტად პოლიტიკოსის გამჭრიახობა, მიხვდეს, როდის როგორ მოიქცეს.

**— მოგეხსენებათ, რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებამ საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია. არ ფიქრობთ, რომ ამ კანონის ამოქმედებასაც არანაკლები აღშფოთება მოჰყვება?**

— ვიღაცის აღშფოთება შეიძლება მოჰყვა, რადგან საზოგადოების რაღაც ნაწილი არასდროს არაფრისთვის მზად არ იქნება. საზოგადოების ნაწილი კვლავ ფეოდალიზმის ხანაში ცხოვრობს და რა ვქნათ, ჩვენც ფეოდალიზმში დავბრუნდეთ, სამეფო წყობილება და ბატონყმობა აღვადგინოთ?

**— მაგრამ გარკვეულ წრეებში მონარქიაზე საუბარი დღეს სერიოზულად და ლამის გადარჩენის გზად განიხილება.**

— ვიღაცას შეიძლება უნდა მეფე, მაგრამ მე არ მინდა, ვინაიდან მიმაჩნია, რომ მონარქია საქართველოს დაღუპავს და რაღაც კურიოზების კუნძულად გადააქცევს, რომელიც დამოუკიდებლობასაც მალე დაკარგავს. ამიტომ გარკვეული საკითხების გადაწყვეტის დაჩქარება აუცილებელია. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია არავისთვის საშიში და საფრთხის შემცველი არ ყოფილა, მაშინ, როცა „რეგიონული ენების ქარტია“ უფრო რისკებს შეიცავს, რომელსაც მომზადება სჭირდება.

**— „ვიკილიქსის“ ინფორმაციით, აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტი 2008 წლის სექტემბერში ვაშინგტონისთვის გაგზავნილ ტელეგრამაში „სამართლიანად და კანონიერად“ მიიჩნევს ეთნიკური სომხების მიერ საქართველოში სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებას... აქედან გამომდინარე, საზოგადოების ნაწილი ხელისუფლების ამ ნაბიჯსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ ევროსტრუქტურების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებად და მათ წინაშე დათმობაზე წასვლად აღიქვამს.**

— ჯერ საერთოდ, არაოფიციალურ, მოპარულ დოკუმენტებზე კომენტარები რატომ უნდა გავაკეთო, ჩემთვის გაუგებარია. ამას გარდა, ამერიკისა და ნებისმიერი სხვა ქვეყნის ელჩი ვალდებულია, იმ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, სადაც იმყოფება, თავის ქვეყანას ინფორმაცია მიაწოდოს. ეს მათი სამუშაო პროცესია და არ ნიშნავს, რომ საქართველოს რაიმეს შესრულებას ავალდებულებენ; მითუმეტეს, ამერიკული მხარე ამაზე კომენტარს არ აკეთებს, ხოლო ადამიანები პირად მიმოწერაში რას წერენ, პოლიტიკაში ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ევროპის საბჭოს რაც შეეხება, იქ „რეგიონულ ენათა ქარტია“ მიღებულია და ევროსაბჭოში გაწევრიანების დროს ერთ-ერთ ვალდებულებად საქართველომ ამ ვალდებულების შესრულებასაც მოაწერა ხელი. მიმდინარეობს მსჯელობა, როცა გვეკითხებიან, თუ სომხეთმა მოახდინა ქარტიის რატიფიცირება, თქვენ რატომ არ ახდენთო, ჩვენ ვუხსნით, რომ ჩვენი მრავალეთნიკურობა განსხვავებულია სომხეთისგან. არავინ გვახრჩობს, რომ ხვალვე მოვაწეროთ ხელი, მაგრამ საკითხის განხილვა აუცილებელია.

**— გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. თურქი მესხების საკითხის განხილვას ხელისუფლება 2011 წელს სერიოზულად აპირებს. რა ვითარებაა ამ ეტაპზე?**

— მე მათ „თურქ მესხებს“ არ ვეძახი, ჩემთვის ისინი მესხები არიან. მათ ძალიან რთული ისტორია განვლეს და ბევრმა მათგანმა ენაც დაკარგა და იდენტობაც, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა უნდა აღვადგინოთ.

რა თქმა უნდა, აღნიშნული საკითხის განხილვა მიმდინარეობს. გარკვეული ვადები იყო განსაზღვრული, რათა ამ ადამიანებს განცხადებებისა და დოკუმენტების წარდგენა შეძლებოდათ, რომ მართლაც საქართველოდან დეპორტირებულების შთამომავლები არიან და შემდეგ ამ განცხადებების განხილვა უნდა დაწყებულიყო და ახლა სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს.

**— სარისკო ხომ არაა მათი საქართველოში დაბრუნება — ბევრმა მათგანმა არც ქართული ენა იცის და არც ქართველად მიიჩნევს თავს?**

— რისკებმა არ უნდა შეგვაშინოს. იმის გამო, რომ ადამიანი ქართველად არ მიიჩნევს თავს და აქ რომ ჩამოვა, ვაიდა რაღაც მოხდეს, ამის გამო უარი ვუთხრათ საქართველოში დაბრუნებაზე, გაუმართლებელია. აქ ისეთი ვალდებულების შესრულებაზეა საუბარი, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას ეხება. ადამიანი ძალით გააგდეს ქვეყნიდან, სადაც დაიბადა, რომლის მოქალაქეც იყო და ითხოვს, რომ დააბრუნო. ამის არგაკეთება დიდ რისკებს შეიცავს, შეიძლება საქართველო ჩვენი უცხოელი მეგობრების თვალში არათანამედროვე, არაადამიანურ სახელმწიფოდ გამოჩნდეს. გამოდის, რომ ჩვენ ისევე ვიქცევით, როგორც აფხაზები მოექცნენ ქართველებს. სწორედ ამით განსხვავდებიან ცივილიზებული ქვეყნები არაცივილიზებულებისგან.

საუბარია რამდენიმე ათას კაცზე, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დავასახლებთ და გარწმუნებთ, რომ არსად ისეთ კრიტიკულ ეთნიკურ სურათს არ შექმნის მათი დასახლება, რომ ეს კონფქლიტში გადაიზარდოს. პირიქით, ეს არის უნიკალური რეზერვუარი საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად, რათა ჩვენ ერს შეემატოს თავისი შვილები, რომლებიც ერთ დროს დაკარგა.

**«რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია არავისთვის საშიში და საფრთხის შემცველი არ ყოფილა, მაშინ, როცა «რეგიონული ენების ქარტია» უფრო რისკებს შეიცავს, რომელსაც მომზადება სჭირდება»**

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის არმიაში უკვე დიდი ხნის ჩამოყალიბებულია დანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც იარაღის რეალიზაციით მდიდრდება. ეს ჯერ კიდევ „ირანგეიტის", 1986 წლის მსხვილი პოლიტიკური სკანდალის, შემდეგაა ცნობილი. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ აშშ-ის ადმინისტრაციის მთელი რიგი წევრებისა ირანს საიდუმლოდ აწვდიდნენ იარაღს და ამ ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ იარაღის ემბარგოს არღვევდნენ".**

# სისხლიანი ბიზნესის დემოკრატიული ანტურაჟი

**მასონური ლოჟის „ქალა და ჩონჩხის" მორიგი სხდომა, რომელიც იელის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე „მიცვალებულის სახლში" 2011 წლის დასაწყისში ჯორჯ ბუშ უმცროსის ინაუგურაციის შემდეგ გაიმართა, დამკვირვებელთა ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ვერავინ ვერაფერი გაიგო შეკრების დეტალების შესახებ. ისღა დარჩენოდათ, ევარაუდათ, რომ მაღალჩინოსანმა მასონებმა ძმა ჯორჯს დაწინაურება მიულოცეს და მისი პრეზიდენტობის პერსპექტივები განიხილეს. ზოგიერთები უკვე ხვდებოდნენ, რომ ამის შემდეგ მსოფლიოში რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო. „ქალა და ძვლებში" ხომ მხოლოდ ბუშების კლანი არ შედის, იქვე არის იელის უნივერსიტეტის კიდევ მრავალი კურსდამთავრებული — აშშ-ის ხელმძღვანელი კადრების წარმომადგენლები და ამგვარ შეკრებებს მუდამ შორს მიმავალი შედეგები მოჰყვება. არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ძმები ბუშს ამერიკულ ოცნებაზეც ესაუბრნენ, იმაზე, თუ როგორ გახადონ ამერიკა კიდევ უფრო ძლიერი და როგორ იშოვონ კიდევ უფრო მეტი ფული.**



ნიუ იორკში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის თემა ერთ-ერთი იმ მცირედთაგანია, რომელზე საუბრისას საიდუმლო საზოგადოებებს გვერდს ვერ ავუვლით. ამ გახმაურებული დანაშაულის გამოძიებამ მრავალი დამაჯერებელი მინიშნება მოიცვა ამერიკის მასონური ტიპის საიდუმლო სტრუქტურების შეთქმულების თაობაზე, რომლის შედეგადაც „ალ ქაიდას" ბოევიკები მიზნის მიღწევის შესანიღბად იქნენ გამოყენებულნი. ეს მასალები ამერიკის ადმინისტრაციამ გადამალა, მაგრამ ისინი არ გამქრალა.

2001 წელს ამერიკის ახალი პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშ უმცროსის წინაშე იდგა არც თუ იოლად გადასაჭრელი საკითხი, თუ როგორ ამხტარიყო ბილ კლინტონზე მაღლა ამერიკული პოლიტიკის მთელ რიგ მიმართულებებში. ამ უკანასკნელმა, მიუხედავად იმისა, რომ ასე მოუხერხებლად გაება სექსუალურ აფერაში, სინამდვილეში მრავალი საგარეო პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა და აუცილებელი იყო მათი გაქარწყლება. ასეთია ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების კანონები — ან წინამორბედზე წინ მიდიხარ, ან მისი საქმეები შენს წინააღმდეგ იწყებს მუშაობას.

**კლინტონის აქტივში კი იყო წარმატებული ომი იუგოსლავიასთან, რომლის შედეგადაც დაემხო მილოშევიჩის რეჟიმი და კოსოვოში დამყარდა კოსოვოს სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც, თავის მხრივ, ბალკანეთში აშშ-ის ჩაუქრობ ავიამზიდად იქცა. ამ ომის დროს პენტაგონმა ფაქტობრივად გაანადგურა ბომბებისა და რაკეტების მთელი მარაგი. სამხედრო სამრეწველო კომპლექსს ახალი შეკვეთები თავზესაყრელად ჰქონდა, ამიტომ კლინტონი ამ სფეროს ელიტის (დიპლომატებისა და სამხედროებისთვის) საუკეთესო პრეზიდენტი იყო. მაგრამ ჯორჯ ბუშ უმცროსის გაპრეზიდენტებისას იუგოსლავიის ომიდან ორი წელი იყო გასული, საბრძოლო მარაგები ამასობაში შეივსო და სამხედრო სამრეწველო კომპლექსის მუშაობის ტემპებიც შენელდა. გაჩნდა ახალი შეკვეთების მოთხოვნილება, რაც ახალი ომის გარეშე წარმოუდგენელი იყო.**

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის არმიაში უკვე დიდი ხნის ჩამოყალიბებულია დანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც იარაღის რეალიზაციით მდიდრდება. ეს ჯერ კიდევ „ირანგეიტის", 1986 წლის მსხვილი პოლიტიკური სკანდალის, შემდეგაა ცნობილი. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ აშშ-ის ადმინისტრაციის მთელი რიგი წევრებისა ირანს საიდუმლოდ აწვდიდნენ იარაღს და ამ ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ იარაღის ემბარგოს არღვევდნენ. მას შემდეგ აშშ-ში ეს ტრადიციები მხოლოდ გამყარდა. ამ საიდუმლო სტრუქტურების ინტერესებშიც იყო ახალი ომის დაწყება.

**კიდევ ერთი უმთავრესი პრობლემა ის იყო, რომ ცსს, რომელმაც მთელს მსოფლიოში სააგენტოს უფლებამოსილების მკვეთრი გადაჭარბებით გააჩაღა მუშაობა, უსახსრობისგან უკვე სულს ღაფავდა. მრავალი ოპერაცია, რომელთა შესახებაც კონგრესის სპეციალურმა კომისიებმაც კი არაფერი იცოდნენ, ლეგალური ფულით ვერ დაფინანსდებოდა. ადრიდანვე მათ ნარკოტრაფიკებისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის გამოაშკარავებიდან მიღებული ფულით აფინანსებდნენ. კოლუმბიაში კოკაინის ტრაფიკის მთელი ნაკადების განადგურებამ ცსს-ს ფული შეუმცირა. მექსიკის ნარკოტრაფიკი მაშინ ამდენად განვითარებული არ იყო. ჯორჯ ბუშ უფროსი, მუშაობდა რა ცსს-ს დირექტორად, მშვენივრად იცოდა ამ პრობლემების შესახებ და გამოსავალს ეძებდა.**

მეორეს მხრივ, ცსს არასდროს ამბობდა უარს, ფიზიკურად გასწორებოდა არასასურველ პოლიტიკოსებს და ამას ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებადაც მიიჩნევდა.

და ბოლოს, კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც 9/11-ის ტერაქტის ორგანიზების წინაპირობა შექმნა, ავღანეთში არსებული მდგომარეობა იყო. 2000 წლის დასაწყისში ცხადი გახდა, ანგლოსაქსებმა, ერთის მხრივ, წარმატებას მიაღწიეს. მათ მოახერხეს მოძრაობა „თალიბანის" მნიშვნელოვნად გაზრდა და მისი ჯერ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მიმართვა, შემდეგ კი ნაჯიბულას პროსაბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგ ოპერაცია უმართავ ფაზაში გადავიდა. ჩაიგდეს რა ხელში ხელისუფლება, თალიბები თავიანთ მარჩენლებს მოუბრუნდნენ, მტრებად გამოაცხადეს და დაიწყეს პაკისტანის პროამერიკული რეჟიმის წინააღმდეგ მუშაობა.

შედეგად, ნაცვლად იმისა, რომ კონტროლირებად ტერიტორიად ქცეულიყო, ავღანეთი აშშ-სთან მეომარ ქვეყნად იქცა. აშშ-ის მთავარი რეგიონული მტრის — ირანის წინააღმდეგ მასზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო.

**ცსს-ს აგენტურულმა ორგანიზაცია „ალ ქაიდა", გადაჭრა რა თავისი ანტისაბჭოთა ამოცანები ავღანეთში, ასევე აღარ ემორჩილებოდა კონტროლს და არაბულ აღმოსავლეთზე თავისი გავლენის გავრცელებისათვის ბრძოლა დაიწყო. ორგანიზაცია სწრაფად ზრდიდა საკუთარ შესაძლებლობებს. ირანის კიდევ ერთი მეზობლის, ერაყის ტერიტორიაზე კი არაპროგნოზირებადი სადამ ჰუსეინი განაგრძობდა მბრძანებლობას და მასთან საქმის დაჭერა იოლი არ იყო. ირანი კვლავაც რჩებოდა შიიტურ სიმაგრედ, რომელმაც 1979 წელს თავისი ტერიტორიიდან გაყარა ამერიკელები.**

აშშ-ის შესაძლებლობები, რეგიონში სიტუაცია თავის სასარგებლოდ შეეცვალა, უკიდურესად შემცირდა. ირანსაც, ერაყსაც და ავღანეთსაც კანონიერი ხელისუფლებები ჰყავდა, რომლებიც საერთაშორისო წესებს არ არღვევდნენ. ამერიკის ოფიციალური პოლიტიკა უძლური იყო სიტუაციის მკვდარი წერტილიდან დასაძრავად. ირანის წინააღმდეგ დაწყებული ბირთვული პროგრამის რიტორიკა სულს ღაფავდა დამამტკიცებელი საბუთების არარსებობის გამო და ომის საბაბად ნამდვილად ვერ გამოდგებოდა. ამიტომ აშშ-ის მმართველი წრეების წინაშე დადგა ამოცანა, პრობლემა არატრადიციული მეთოდებით მოეგვარებინათ.

**მხოლოდ ისტორია გამოააშკარავებს, კონკრეტულად რომელ წრეებში ჩაისახა 9/11-ის გიგანტური პროვოკაციის იდეა, რამაც მსოფლიო განვითარებას ახალი მიმართულებები მისცა. სავარაუდოდ, იდეა ბრიტანეთის საიდუმლო სტრუქტურებში ჩაისახა და შემდეგ აშშ-ის ხელმძღვანელობას გადაეცა. ინგლისელებზე კარგად არავინ იცნობს ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონებს და ცინიკურობის ამგვარი გამოცდილებაც სხვას არავის აქვს. პროვოკაციის მთავარი მიზანი ხომ ორი ქვეყნის — ავღანეთისა და ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყება იყო, ამერიკელებმა კი, როგორც ეს ვიეტნამის ომის დაწყებისათვის მოწყობილმა პროვოკაციამ დაადასტურა, მხოლოდ ერთსვლიანი გათვლა იციან და შორს არიან ბრიტანული ცივსისხლიანი, დაუნდობელი ხელოვნებისგან. ის, რომ ბრიტანელი პრემიერი ტონი ბლერი ავღანეთისა და ერაყის წინააღმდეგ ომის ყველაზე შეუპოვარ და ხმაურიან მონაწილედ იქცა, ამ იდეის ბრიტანულ წარმომავლობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.**

მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ტყუპი ცათამბჯენების აფეთქება მოეწყოთ, აუცილებელი იყო ცსს-ს, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და პენტაგონის შიგნით საიდუმლო სტრუქტურების გაერთიანება, რაც ერთი საორგანიზაციო ცენტრის არსებობას გულისხმობდა. ეს ცენტრი, როგორც ჩანს, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის — დიკ ჩეინის ირგვლივ იყო კონცენტრირებული.

პროვოკაციის ზოგადი ჩანაფიქრი საბოლოო ჯამში შემდეგნაირად გაფორმდა:

**ვითომდა „ალ ქაიდას" მიერ ტყუპი ცათამბჯენების ადამიანებთან ერთად განადგურება ავღანეთში, ანუ „ალ ქაიდას" ბაზების განლაგების ადგილას ომის დაწყების საბაბი გახდებოდა. ომი შემოსავალს მოუტანდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსსა და პენტაგონს, ამასთანავე, ცსს-ს ნარკოტრაფიკის ახალ არხებზე გაიყვანდა, რაც სააგენტოს საშუალებას მისცემდა, გიგანტურ არალეგალურ შემოსავლებს დაუფლებოდა და მშვიდად გაეგრძელებინა როგორც თავისი საიდუმლო ოპერაციები, ასევე თანამშრომლების გამდიდრების პროცესი.**

„ალ ქაიდა" ცსს-ს აგენტებით იყო სავსე და შეიძლებოდა გამოეყენებინათ ტერორისტული აქტის სურათის შესაქმნელად. სინამდვილეში კი დანაშაულებრივ გეგმას საიდუმლო სტრუქტურები მოამზადებდნენ და განახორციელებდნენ.

პროვოკაცია შესაძლებლობას გააჩენდა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დაწყებულიყო არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. ეს შესაძლებლობას იძლეოდა, გამკაცრებულიყო კონტროლი სხვა სახელმწიფოებზე და შექმნილიყო ერაყზე თავდასხმის საბაბიც. სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა აუცილებელი იყო, რათა როგორმე ირანს საცეცებით მისწვდომოდნენ და ამ ქვეყნის წინააღმდეგაც დაეწყოთ ოპერაციის მზადება. ავღანეთსა და ერაყში ელიტური, „დემოკრატიული" ხელისუფლების დამყარების იდეის ავტორთა აზრით, ირანში ორთოდოქსული შიიტური რეჟიმი უნდა გაძლიერებულიყო და შიგნიდან უნდა გამოეწვია დასუსტება, რაც გადამწყვეტი აგრესიისთვის მოამზადებდა ნიადაგს.

პროვოკაციის ავტორებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ მისი სტერილურად ორგანიზება ვერ მოხერხდებოდა. ძალზე ბევრი მონაწილე და გარემოება იყო, რასაც შეეძლო ანგლოსაქსურ კულისებზე მიენიშნებინა. მაგრამ ამაში საგანგაშოს ვერავინ ვერაფერს ხედავდა, რადგან ოპერაციის მასშტაბები მთელ მსოფლიოს საიდუმლო ორგანიზაციების ძალასა და შესაძლებლობებს დაანახებდა, პარალელურად კი შიშსა და პატივისცემას ჩაუნერგავდა.

როდესაც ყველა მიზანი ჩამოყალიბდა, ორგანიზაციებმა ოპერაციის მომზადება დაიწყეს. ამერიკული ოცნება, მისი თანამედროვე ინტერპრეტაციით, ახალი აღმაფრენისთვის ემზადებოდა.


იელის უნივერსიტეტი

FONDSK.RU



**ბილდერბერგის ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით დაკავებული ჟურნალისტის — დენიელ ესტულინის ინფორმაციით, შვეიცარიაში გამართულ კლუბის წლევანდელ შეხვედრაზე განიხილებოდა საბერძნეთის სიტუაცია, რომელიც, სავარაუდოდ, გაუარესდება.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როკფელერის ახალი მსოფლიო წესრიგი და «გლობალიზაციის ქურუმები»

**მსოფლიო ელიტის ის მიზნები, რომლებიც, შესაძლოა, გაცილებით უფრო მკაფიოდ გამოხატა ბილდერბერგმა, სულაც არ გულისხმობს კოლაფსისაგან ამერიკის იმპერიის ხსნას და რაიმე ახალი იმპერიის აღმოჩენების დაუშვებლობას. პირიქით, მიზანი ამერიკის იმპერიის კოლაფსის მოწყობაა, რათა გლობალური მმართველობის აბსოლუტურად ახალი სისტემა შეიქმნას.**

დევიდ როკფელერი







**«ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ როკფელერების ოჯახს არაორდინალური გავლენა აქვთ ამერიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებზე»**

1954 წელს ბილდერბერგის ჯგუფი ნიდერლანდებში შეიქმნა როგორც საიდუმლო კლუბი, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური, ფინანსური, სამხედრო, აკადემიური და მედიაელიტის წარმომადგენელი დაახლოებით 130 წევრისგან შედგება და წელიწადში ერთხელ იკრიბება. მუდმივ წევრებს შორის არიან მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციების, ნავთობკომპანიების დირექტორთა საბჭოების წარმომადგენლები, ევროპელი მონარქები, დევიდ როკფელერის მსგავსი საერთაშორისო ბანკირები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები და მსოფლიოს უმთავრესი ბანკების ხელმძღვანელები.

**ბილდერბერგის კლუბი მოქმედებს როგორც ფარული გლობალური გონებრივი ცენტრი, რომლის თავდაპირველი მიზანი იყო, ცივი ომის პერიოდში ხელისუფლებებისა და ეკონომიკის ფლაგმანთა ურთიერთობები დაერეგულირებინა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. კლუბის შექმნაში მთავარ როლს როკფელერის, კარნეგისა და ფორდის ფონდები შემთხვევით არ ასრულებდნენ.**

ეს ფონდები დაარსების დღიდანვე ელიტებს შორის კონსენსუსის დამყარების საქმეში ცენტრალურ დაწესებულებებს წარმოადგენდა. სწორედ ეს ფონდები იყო ცენტრალური ფიგურები გლობალიზმის იდეების გავრცელების საქმეში. როკფელერის ფონდი მხარს უჭერდა მთელ რიგ ორგანიზაციებს, რომლებიც „ლიბერალური ინტერნაციონალიზმის“ ფილოსოფიას ნერგავდნენ.

**ძირითადი საქველმოქმედო ფონდები, მიუხედავად მათ მიერ გამოცხადებული მიზნებისა, შეიქმნა არა კაცობრიობის საკეთილდღეოდ, არამედ ბანკირებისა და მრეწველების ელიტის ინტერესებით, როგორც სოციალური ინჟინერიის უკიდურესად ეფექტური საშუალებები.**

ყოვლისშემძლე ოჯახები ბანკების საშუალებით მსოფლიო ეკონომიკას აკონტროლებდნენ, გონებრივი ცენტრებით პოლიტიკურ უწყებებს მართავდნენ, ფონდებით კი თავად საზოგადოებით მანიპულირებდნენ.

ბილდერბერგის კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი ჯოზეფ რეტინგერი ევროპის ერთიანი ბაზრის ერთ-ერთი პირველი არქიტექტორი და ევროპული ინტეგრაციის წამყვანი ინტელექტუალური ჩემპიონიც იყო. თავის დროზე მან განაცხადა, რომ ფედერაციული კავშირის შესაქმნელად ევროპისთვის აუცილებელი იყო, ნაწილობრივ უარი ეთქვა საკუთარ სუვერენიტეტზე. საიდუმლო დოკუმენტების გაშიფვრით დადგინდა, რომ ამერიკის სადაზვერვო სამსახურები 50-60-იან წლებში ახორციელებდნენ სპეციალურ კამპანიას, ევროპის გაერთიანების მიზნით. ევროპის სავალუტო ინსტიტუტი 1994 წელს შეიქმნა, ევროპის ცენტრალური ბანკი — 1998 წელს, ევრო კი ბრუნვაში 1999 წლიდანაა. ეტიენ დევინიონმა, ბილდერბერგის ჯგუფის თავმჯდომარემ და ყოფილმა ევროკომისარმა 2009 წლის მარტში აღიარა, რომ ევროს შემოღება ბილდერბერგის კონფერენციებზე განიხილებოდა და იგეგმებოდა.

**ევროპული კონსტიტუცია, რომელსაც შემდგომში ლისაბონის შეთანხმება ეწოდა, ფაქტობრივად ბრიტანეთს გადასცემდა გაეროში ევროკავშირის ყველა ქვეყნის წარმოდგენის უფლებას. ეს კონსტიტუცია ვალერი ჟისკარ დესტენმა, 1974-1981 წლებში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბილდერბერგის ჯგუფის წევრმა და ჰენრი კისინჯერის მეგობარმა დაწერა.**

ბილდერბერგის ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით დაკავებული ჟურნალისტის — დენიელ ესტულინის ინფორმაციით, შვეიცარიაში გამართულ კლუბის წლევანდელ შეხვედრაზე განიხილებოდა საბერძნეთის სიტუაცია, რომელიც, სავარაუდოდ, გაუარესდება.

კლუბის ყველა შეხვედრისას არსებობს მონაწილეთა ოფიციალური სია, მაგრამ არიან ისეთი მონაწილენიც, რომელთა სახელიც არსად ფიქსირდება. წლევანდელ კრებას ასე ესწრებოდნენ ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი, ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ხოსე ლუის ზაპატერო, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, მაიკროსოფტის ყოფილი ხელმძღვანელი და ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის თანათავმჯდომარე ბილ გეიტსი, თავდაცვის გადამდგარი მინისტრი რობერტ გეიტსი.

**შეხვედრაზე ევროპელი ჩინოვნიკები განიხილავდნენ ხელისუფლების მძლავრი კონცენტრირების საკითხს ევროკავშირის იმ სერიოზული ეკონომიკური კრიზისის პირისპირ, რომელიც ევროპასა და მთელ მსოფლიოს ემუქრება. ამის გარეშე როგორც ევროს, ასევე მთელს ევროკავშირს კოლაფსი ელის. მარტივად რომ ითქვას, მიზანი არის ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში ისეთი პოლიტიკის გატარება, რომლის დროსაც ევროკავშირი შეძლებს წესების დამრღვევი ქვეყნების დასჯას.**

რაც შეეხება ჩინეთს, მასთან დაკავშირებული დისკუსია წლევანდელ შეკრებაზე უნიკალური იმით იყო, რომ კლუბის დაარსებიდან ამ დრომდე პირველად თავად შეკრებას ჩინეთის ორი წარმომადგენელი ესწრებოდა. ეს ორი სტუმარი პეკინის უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორი ეკონომიკაში ხუან იიპინი და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფუ იინგი გახლდნენ. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი მომენტია და საკითხის სერიოზულობაზე მიანიშნებს, რადგან თავად ბილდერბერგი ცალსახად ევროპული და ჩრდილოამერიკული ორგანიზაციაა, რომელიც მანამდე შეკრებებზე სხვათა დასწრების წინადადებებს უარით პასუხობდა.

მსოფლიო ელიტის ის მიზნები, რომლებიც, შესაძლოა, გაცილებით უფრო მკაფიოდ გამოხატა ბილდერბერგმა, სულაც არ გულისხმობს კოლაფსისაგან ამერიკის იმპერიის ხსნას და რაიმე ახალი იმპერიის აღმოჩენების დაუშვებლობას. პირიქით, მიზანი ამერიკის იმპერიის კოლაფსის მოწყობაა, რათა გლობალური მმართველობის აბსოლუტურად ახალი სისტემა შეიქმნას. ეს „დიდი იდეა“ კი ჩინეთის მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდება.

**ბილდერბერგის შეხვედრის უკანასკნელი უიკ-ენდის დროს დევიდ როკფელერმა 96 წლის იუბილე იზეიმა. იგი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ამ დრომდე ცოცხალი დამაარსებელია ამ კლუბისა და, თუ კლუბი „გლობალიზაციის ქურუმებს“ წარმოადგენს, როკფელერი მისი პაპაა.**

როკფელერების ოჯახმა უკანასკნელი 100 წლის მანძილზე აბსოლუტურად ექსტრაორდინალური წვლილი შეიტანა გლობალიზმის განვითარებაში. გლობალიზაციის საკითხებში არ ყოფილა უფრო გავლენიანი ოჯახი, ვიდრე როკფელერები. თავად დევიდ როკფელერი კი ნაკლებად მოკრძალებული, მაგრამ, შესაძლოა, მეტად გულახდილი იყო მსოფლიოს ფორმირების საქმეში თავისი ოჯახისა და საკუთარი როლის შეფასებისას. 2002 წელს გამოქვეყნებულ მემუარებში იგი წერს:

**ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ როკფელერების ოჯახს არაორდინალური გავლენა აქვთ ამერიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებზე. ზოგიერთები კი თვლიან, რომ ჩვენ ვართ საიდუმლო შეთქმულთა ჯგუფის წევრები და აშშ-ის ინტერესების საპირისპიროდ ვმოქმედებთ. ისინი მე და ჩემს ოჯახს გვახასიათებენ როგორც ინტერნაციონალისტებს, რომლებიც თანამშრომლობენ სხვა შეთქმულებთან, რათა ააშენონ უფრო მეტად ინტეგრირებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა — ერთიანი მსოფლიო, თუ ასე გსურთ. თუ ეს ბრალდებაა, მე ვაღიარებ დანაშაულს და ვამაყობ ამით.**

თუ ეს აღიარება საკმარისი არაა, დავამატებთ, რომ 1991 წლის შეხვედრაზე დევიდ როკფელერი ამბობდა:

**ჩვენ მადლობას ვუხდით „WASHINGTON POST“-ს, „NEW YORK TIMES“-ს, „TIME MAGAZINE“-ს და სხვა უდიდეს გამოცემებს, რომელთა რედაქტორები ესწრებოდნენ ჩვენს შეკრებებს და ასრულებდნენ თავიანთ პირობას ინფორმაციის გაუვრცელებლობის შესახებ თითქმის 40 წლის მანძილზე.**

**ჩვენთვის თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, განგვეხორციელებინა საკუთარი გეგმები მთელი მსოფლიოსათვის, თუ მთელი ამ წლების განმავლობაში ხალხის თვალწინ ვიმოქმედებდით. დღევანდელი მსოფლიო კი ბევრად უფრო მომზადებულია მსოფლიო ხელისუფლების შესახვედრი მარშისათვის. ინტელექტუალური ელიტისა და მსოფლიო ბანკირთა ზენაციონალური სუვერენიტეტი ნამდვილად უპირატესია, ვიდრე ნაციონალური თვითგანსაზღვრება, რაც უკანასკნელი ასწლეულების მანძილზე ხორციელდებოდა.**

თუ როკფელერის მიერ ხსენებული მასმედიის საშუალებები ინფორმაციის გაუვრცელებლობის პირობას იცავდა, ამ ინფორმაციას ახალი, ალტერნატიული მასმედია ავრცელებს. დღევანდელი მსოფლიო კი მართლაც ბევრად უფრო მომზადებულია, მაგრამ არა როკფელერის გეგმების მისაღებად, არამედ მათ უარსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურ სუვერენიტეტს ნამდვილად პრობლემები აქვს და მას იდეალურს ახლა ვერავინ უწოდებს, ავბედითი ზენაციონალური სცენარი, რომლის დროსაც მსოფლიოს ინტელექტუალური ელიტა და მსოფლიო ბანკირები მართავენ, ყველაზე უარესია მათ შორის, რისი არჩევაც კი შეიძლება. როკფელერის ოცნებები და ჩვენი ღამის კოშმარები არასდროს ახდება. სინათლე არ ჩაქრება და დადგება დრო, როდესაც ადამიანები მზად იქნებიან, გაჰყვნენ ამ სინათლეს.

**«ძირითადი საქველმოქმედო ფონდები, მიუხედავად მათ მიერ გამოცხადებული მიზნებისა, შეიქმნა არა კაცობრიობის საკეთილდღეოდ, არამედ ბანკირებისა და მრეწველების ელიტის ინტერესებით, როგორც სოციალური ინჟინერიის უკიდურესად ეფექტური საშუალებები»**

ANVICTORY.ORG

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცრუ დემოკრატიისათვის ბრძოლის დემონი კი დაძრის მსოფლიოში და, ვინც არ მოსწონს ან ვისი ლუკმის მოტაცების სურვილი მადას უფორიაქებს, დემოკრატიისათვის მებრძოლის ნიღბით უფრთხოებს მშვიდობის მტრედებს და მის ეროვნულ სიმდიდრეს მეკობრის განუკითხაობით ითვისებს. დიახ, ეს დემონი დაჭენაობს მსოფლიოში, ზოგს ძალით და ზოგს სიცრუით ძარცვავს. რომელ სახელმწიფოსაც მისი მარიონეტი ლაქიები დაეპატრონებიან, მორიგი ლუკმის მიგდების გაუმაძღრობაშეყრილები განუკითხავად უყეფენ ვისაც მიუქსევენ.**

# თუ ცრუობ, იცრუე ბოლომდე, ანუ

**როცა გერმანიის ქალაქები: ბერლინი, შტუტგარტი, დიუსელდორფი, დრეზდენი და სხვა თითქმის მთლიანად ნანგრევებად იქცა, უზარმაზარი პლაკატები გააკრეს წარწერით: „გაუმარჯოს გერმანიის პირველ მშენებელს — ადოლფ ჰიტლერს!“.**
**პრესაში გამოქვეყნდა ფიურერის დადგენილება „ახალი ბინების მშენებლობის სააქციო საზოგადოების შექმნის შესახებ“. მოსახლეობას ჰპირდებოდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ, ეს საზოგადოება სასწრაფოდ აუშენებდა მათ დანგრეულზე უკეთეს ბინებს, ოღონდ ღირებულების მეოთხედი ახლავე უნდა შეეტანათ.**

სახეზეა გულუბრყვილოებზე გათვლილი ჭკვიანური თაღლითობა. ხომ არ გახსენდებათ შევარდნაძის ილეთი, ბანკში შეტანილი ფულის მომდევნო წელს ორმაგად მიღების შეპირების სანაცვლოდ სამი თითის კომბინაცია რომ მიიღეს?!

ინგრეოდა და მიწასთან სწორდებოდა გერმანია იმის მიზეზით, ვისზეც გაჰყვიროდნენ, გაუმარჯოს გერმანიის პირველ მშენებელსო. „ჰაილ ჰიტლერის“ ბღავილით ხვდებოდნენ ამ სიგიჟეს და ომის დამთავრებას ელოდნენ, რომ ჰიტლერი ადრინდელზე უკეთეს ბინებს აუშენებდათ; ამ დონეზე გამოათაყვანა ხალხი ნაცისტური სიცრუის ბანგით მოწამვლამ.

ბერლინს რომ უტევდნენ, გებელსი მაინც გაჰყვიროდა: რუსეთი დგას გადამწყვეტი დამარცხების წინაშე, ჩვენ უკან ვიხევთ, მაგრამ მაინც გავიმარჯვებთო. გებელსს მაინც შერჩენოდა რეალობის შეგრძნების რაღაც ნატამალი, რომ არ იძახოდა, უკვე გავიმარჯვეთო.

**ქართველმა ნაცისტებმა უფრო შემოქმედებითად დაბუმბლეს სიცრუის ბარტყები. ამერიკელების მიერ დროულად მორგებული პამპერსებით გულდამშვიდებულები აღრიალდნენ, — გავიმარჯვეთო.**

ამათ, რაც უნდათ, ის იძახონ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყოველი ჩადენილი სისულელე, თავხედობა, უზნეობა თუ აღვირახსნილობა საქართველოს ეწერება, რამეთუ ამ ქართველთმოძულეებს საქართველოს ხელისუფლება ქვიათ, სინამდვილეში კი ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში დანიშნული გაულაიტერის ბანდაა.

ერთხელ ჰიტლერმა ხალხი შეადარა ნეხვის გროვას, საიდანაც ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მაგნიტს ამოაქვს რკინის ნაჭრები, ანუ ღირსეული ადამიანები — ნაცისტები.

ხალხი კი ერის უკვდავების ნაყოფიერი უჯრედებისგან შემდგარი მასაა, რომელსაც შერეული აქვს ნაციონალური მოძრაობის ნაგავი და ამ, ერისთვის მძიმე განსაცდელის ჟამის დუღილში მთელი ეს ჭუჭყი ზედაპირზე მოექცა. ახლა მხოლოდ ქვეყნისთვის თავდადებულთა მიერ ქაფქირით ამათი მოქაფვაა საჭირო, რათა სალი ეროვნული სიწმინდეები აღარ დასვარონ.

ფაშიზმის ნაციონალ-სოციალისტურ ჭირს მედეა გორგონასავით მოჰკვეთეს თავი, მაგრამ მისი შხამიანი სისხლი დედამიწას ასპიტის კბილივით ამოხეთქავს ხოლმე და, სადაც მისწვდება, შხამავს სიკეთესა და კეთილდღეობას.

**ნაციონალ-სოციალისტური ერქვათ და თავიანთი სოციალისტობით ხალხზე ზრუნვას იბრალებდნენ. ესენი ნაციონალური მოძრაობა არიან და ნაციონალები, ალბათ, იმიტომ დაირქვეს, რომ ქართველთა ნაციონალურ გადაჯიშებას ემსახურებიან; მოძრაობით კი გვარიანად ირჯებიან თავიანთი უძირო სტომაქის ამოსავსებად. რაც შეეხება სვასტიკას, სანამ მთლად არ აიწყვეტენ, ზურგს უკან მალავენ. სამაგიეროდ ჯვრები ბატიბუტივით დააყარეს დროშას, ჯვაროსნებმა საფუძვლიანად რომ შეარცხვინეს; ესენი კიდევ საქართველოს სახელმწიფო დროშას ეძახიან მანამ, სანამ მისი ფრიალით ფაშისტებივით მოუსავლეთში არ გადასახლდებიან.**

ჰგონიათ, დრო შეაჩერეს და მათ ნაგავში მოსრიალებას ვეღარ შეძლებს. არადა, დრო თავისი დინებით მიდის და თან მიაქვს ამ მანიაკთა მიერ მოწამვლით დამახინჯებული დღევანდელობა, მომავალი თაობის მიერ სინანულით გასახსენებლად.

რა ხდება? ჩვენთან რატომ იჩინა თავი კაცობრიობის ყველაზე დიდმა ჭირმა, რომელსაც გადაგვარებულ ადამიანთა ხროვის ხელისუფლების სათავეში გაძრომა ჰქვია? მსოფლიოს ხალხებისთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს გერმანიის ფაშიზმით დაავადების სავალალო შედეგები.

დაავიწყდათ ის საშინელება და ზოგიერთი დიდი სახელმწიფო ისე თამაშობს ამგვარი უბედურების (სხვის გასაღიზიანებლად) პატარა ქვეყნებში დანერგვით, რომ ამ ბაცილისგან სულაც არ არის დაზღვეული. არადა, რაც უნდა დიდხანს და შენიღბულად იცრუოს, ბოლოს სიმართლის მსახვრალი ხელის გასაწენი უნდა გახდეს.

**„თუ ცრუობ, ბარემ იცრუე ბოლომდე,“ — უთქვამს ბისმარკს და ამერიკელებიც ასე ღიმილითა და კოვბოის დამბაჩის ქნევით დააგორებენ სიცრუის კარეტას მსოფლიოს ხალხთა შორის, სანამ სიმართლე ნაწილებად არ დაშლის ამ ისტორიის სანაგვის პროდუქტს.**

ვერავითარი აგიტაცია და ჩიჩინი ვერ დაანახებდა ქართველ ხალხს ამერიკელთა ნამდვილ სახეს მათ ლაქია მარიონეტებზე უკეთ. ახლა ყველამ იცის, რომ ამერიკელები იმათ უფრო აბეჩავებენ და აკნინებენ, ვინც მათი მუსიკის ჭყიპინზე შლეგის აღფრთოვანებით როკავს. სახეზეა ამერიკელთა მიერ ოკუპირებული ჩვენი ნაფერები საქართველო და ოკუპანტების ლაქია ნაციონალთა ამერიკაზე ნოსტალგიური ქაქანი.

**ცრუ დემოკრატიისათვის ბრძოლის დემონი კი დაძრის მსოფლიოში და, ვინც არ მოსწონს ან ვისი ლუკმის მოტაცების სურვილი მადას უფორიაქებს, დემოკრატიისათვის მებრძოლის ნიღბით უფრთხობს მშვიდობის მტრედებს და მის ეროვნულ სიმდიდრეს მეკობრის განუკითხაობით ითვისებს. დიახ, ეს დემონი დაჭენაობს მსოფლიოში, ზოგს ძალით და ზოგს სიცრუით ძარცვავს. რომელ სახელმწიფოსაც მისი მარიონეტი ლაქიები დაეპატრონებიან, მორიგი ლუკმის მიგდების გაუმაძღრობაშეყრილები განუკითხავად უყეფენ ვისაც მიუქსევენ. სწორედ ამგვარი გოშიების აქტივობით თავქარიანობს ჩვენი დღევანდელი, ხელისუფლებად წოდებული, ამერიკელთა გაულაიტერად ქცეული პრეზიდენტი და მისი მსგავსი ქვეყნის ამომგდებთა „შპანა“.**

თუნდაც პარლამენტად წოდებული ინდაურთა თავყრილობა, სულ ახლახან რომ მიიღეს სასაცილო გადაწყვეტილება რუსეთის მიერ ჩერქეზებისთვის გენოციდის მოწყობის შესახებ. ნახეთ, საქართველოს პრობლემების პატრონები ახლა ჩერქეზებს ისე გადასწვდნენ, რომ ისინი აზრზეც არ არიან, რაში დასჭირდათ ეს უცნაური ხმაური საქართველოს პარლამენტში. ამათ კი ასე ერთგულად შეუძლიათ პატრონის დავალების შესრულება. არადა, იმ პატრონის მიერ ჩადენილი გენოციდი მსოფლიოში უპრეცედენტოა. წლების განმავლობაში დაუზოგავად ჟლიტეს ინდიელები, საკუთარი მიწა-წყალი წაართვეს, მათი სულიერი მამა სეტენ ბული, უკვე მშვიდობიან რეზერვაციაში შეგდებული, მოკლეს და ბავშვები, მოხუცები, ფეხმძიმე ქალები თუ ავადმყოფები — ყველა გაწყვიტეს. ამერიკის ხელისუფლებამ კი მკვლელები გმირებად გამოაცხადა. მათ არც ატომის ბომბებით იაპონელი დიდ-პატარა მშვიდობიანი მოსახლეობის ამობუგვა ეთვლებათ დანაშაულად და არც იაპონიის ოკუპაციის დროს ათ მილიონამდე იაპონელის შიმშილით ამოწყვეტა. ეს სასაცილო ინდაურები კი საქართველოს პარლამენტის სახელით რუსეთს ედავებიან და სრულიადაც არ აწუხებთ თურქების მიერ მილიონ-ნახევარ სომეხთა გაჟლეტა, რადგან პატრონისგან ამგვარი დავალება არ მიუღიათ. სამაგიეროდ სარწმუნოებაზე კანონი სასწრაფოდ გამოაცხადეს სხვისი გულის მოსაგებად, ქართველთა მართლმადიდებლობის არაფრად ჩაგდების ხარჯზე.

ჰიტლერის მუდმივი თანამგზავრი და მეხოტბე, დიტრიხი წერდა, — ვინც ერთხელ შეხვდებოდა ჰიტლერს, იტყოდა, რომ ის ნორმალური ადამიანი არ იყო; ვინც მეორედ შეხვდებოდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ის გიჟია... ღმერთო, მე ახლაც ჟრუანტელი მივლის იმის გახსენებაზე, რომ იქნებ მართლაც გიჟი მართავდა ჩემს ქვეყანას თორმეტი წლის განმავლობაში(?!).

**ნუთუ შენ არ გებადება ასეთი აზრი, ქართველო კაცო, როცა მიშას (ერთხელ და ორჯერ კი არა, ყოველდღიური ტელეშოუთი) სატანისებური ბოდვით გიქრობენ შენი მრავალტანჯული სამშობლოს გადარჩენისათვის გამოსაზრდელ ალგეთის ლეკვებისათვის ანთებულ ქვეყნისა და ერის ერთგულების უწმინდეს სანთელს.**

ყოველდღიური შოუები კი საჭიროა მისი თავიდან მორიგი ორთქლის გამოსაშვებად. ოღონდ ყვარყვარეს სიზმრების დუღილი ისე მალიმალ ემართება, რომ ორთქლის გამოშვება ინტენსიურად სჭირდება, რათა ილუზიებით გახურებულმა თავმა ომი არ წამოიწყოს და მერე შიშისგან დამფრთხალს წითელი ხიდიც ვეღარ შეაჩერებს.

ამდენი სექსუალური აღვირახსნილობის თუ სექსუალური უკუღმართობების რეკლამირება, შოუებზე მაღალჩინოსან ნაციონალთა მხიარული გართობა, უმარილო ოხუნჯობაზე გადამლაშებული ხარხარი ფარეხში აჩხავლებულ კატასავით ართობს შიმშილის ბრჭყალებთან შეჭიდებულ უსპეტაკესი ზნეობის, მორალისა და პატიოსნების ერს. ამ მლაშე თუ უმარილო შოუებით თავიანთ ჭიას ახარებენ. ტლინკაობენ ჯიბესქელი და ლაშქონიანი არსებანი, თან დროდადრო აბღავლებენ ამათ აკომპანიმენტად ნახირივით მორეკილ დაქირავებულ მსმენელებს.

საშინლად ჩავეფლეთ გარყვნილების, უზნეობის, გაპირუტყვების ჭაობში. ქართული



სწორედ ამგვარი გოშიების აქტივობით თავქარიანობს ჩვენი დღევანდელი, ხელისუფლებად წოდებული, ამერიკელთა გაულაიტერად ქცეული პრეზიდენტი და მისი მსგავსი ქვეყნის ამომგდებთა „შპანა“.



ერის ცხოვრებაში არის მომენტი, როცა ღალატი საკუთარი მთავრობისადმი, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავს, პატრიოტის უმაღლეს მოვალეობად იქცევა, — ტალეირანის ეს ბრძნული შეგონება დღემდე არ გახუნებულა.



ქართველმა ნაცისტებმა უფრო შემოქმედებითად დაბუმბლეს სიცრუის ბარტყები. ამერიკელების მიერ დროულად მორგებული პამპერსებით გულდამშვიდებულები აღრიალდნენ, — გავიმარჯვეთო.

**ჰგონიათ, დრო შეაჩერეს და მათ ნაგავში მოსრიალებას ვეღარ შეძლებს. არადა, დრო თავისი დინებით მიდის და თან მიაქვს ამ მანიაკთა მიერ მოწამვლით დამახინჯებული დღევანდელობა, მომავალი თაობის მიერ სინანულით გასახსენებლად**

„ნაციონალებმა“ ხომ მთლად აიწყვიტეს: მიტინგების სადისტური დარბევა, ადამიანების ქუჩაში განუკითხავი ხოცვა, რბევა და დაპატიმრება, ცხინვალის ავანტიურა, დაკარგული ტერიტორიები, ახალი ლტოლვილები; სახალხო ქონების გასხვისება; საზარელი 26 მაისის შემდეგ სისხლიანი, მუქარითა და ტრაბახით შენელებული სამხედრო პარადი. ამდენი უბედურების შემოქმედს სინდისის ნატამალიც რომ ჰქონოდა, გადადგებოდა. ის კი უფრო მუქი სიცრუის კვამლით გვაბრმავებს. აი, სადამდე გაიხრწნა ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიშა შიკლგრუბერის «მაინ კამპფი»



საქართველო რუსეთმა გამოჰგლიჯა მტაცებლებს პირიდან და გააერთიანა, შენ აქუცმაცებ. თბილისი გაშინებს და ქუთაისს ამზადებ სეპარატისტული ერთეულის ცენტრად. თუ იქაც მოგეცარა ხელი, აგერ — ბათუმი და თურქეთში გადასახვეწი უვიზო სარფის საბაჟო.



ჰიტლერს ეჯავრებოდა კაცი მასწავლებლები და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მათ. სულ იმუქრებოდა, სკოლებში ფელდფებელებს გავაგზავნიო; ამათ ჰიტლერის მუქარა მანდატურებით აღასრულეს.



საქართველოს უბედურება დაიწყო ერის მოამაგე და ხრუშჩოვის ძალადობისგან ქართველთა გადამრჩენელი მჟავანაძის მოცილებით. ღვარძლის პარკუჭმა შევარდნაძემ კი საქართველოს უბედურებას ჩაუყარა საფუძველი.

სპეტაკი ზნეობისა და მორალის შედევრები მსოფლიოს კინემატოგრაფიაში მარგალიტებად ბრწყინავდა. ახლა კი ეს ყბამოთქლეშილი ტელევიზიები ხალხს ექაჩებიან უაღრესად ბინძური „ჭამა და სექსის“ საყურებლად. გარყვნილება, უზნეობა და უწმაწური სიტყვების კორიანტელი — აი, დღევანდელი ამათი ცხოვრების წესი და განუკითხაობის სიმყრალისკენ მიმავალი გზა, ინდაურთა და უცხო ქვეყნის ლაქიათა.

აგვისტოს ავანტიურას შეეწირა საქართველოს შემორჩენილი პრესტიჟი; შევარდნაძის მონაგრებულ ლტოლვილებს ახლა მიშასიც მიემატა.

**ერის ცხოვრებაში არის მომენტი, როცა ღალატი საკუთარი მთავრობისადმი, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავს, პატრიოტის უმაღლეს მოვალეობად იქცევა, — ტალეირანის ეს ბრძნული შეგონება დღემდე არ გახუნებულა.**

კვიციანმა კოდორის ხეობა შეინარჩუნა, ამათ გააჩუქეს, კვიციანი მოღალატედ გამოაცხადეს, მისი და დააპატიმრეს. ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ საქართველოს მარიონეტ ხელისუფლებას მხოლოდ ქვეყნის დამაქცევარი მანქურთები სჭირდება, სხვა ყველა განათლებული, პატიოსანი, ერისა და ქვეყნისთვის თავდადებულნი ამათი მოღალატეა, აბა რა.

სულმდაბალთა მიერ აღზევებული უგნური რომ ამაღლდება, ქვეყანას უცხო დამპყრობთა თარეში სანატრელი გაუხდება; მუხთალი მხოლოდ მუხთლობის ნერგს ახარებს თავისი ბოროტებით მოწამლულ ნატარზე.

9 აპრილის ტრაგედიამ ქართველი ხალხი შეაშფოთა. მიუხედავად იმისა, რომ ჯუმბერ პატიაშვილს არ ეკითხებოდნენ ამ სადამსჯელო ოპერაციის ჩატარებას, ის მაინც გადადგა.

მოიცილეს ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები, მეორედ შემოვარდა შევარდნაძე და სისხლიანი კვალი დაატყო თავის ნატარს. დემონსტრაციების დახვრეტა ახლა უკვე აღარავის უკვირდა, არც სამეგრელოს ვანდალური დარბევით საქართველოს ხერხემალში გადატეხის მცდელობა და აფხაზეთის ავანტიურის სამარცხვინოდ დამთავრების შემდეგ თბილისქალაქობის ზეიმი. უამრავი უბედურების მთესველი ეს არსება არ წავიდა, სანამ მუდამ შევარდნაძეობაზე მიჩვეულმა გავარდნაძეობით არ დაამთავრა სოფლის დამაქცევარი გზირი.

**„ნაციონალებმა“ ხომ მთლად აიწყვიტეს: მიტინგების სადისტური დარბევა, ადამიანების ქუჩაში განუკითხავი ხოცვა, რბევა და დაპატიმრება, ცხინვალის ავანტიურა, დაკარგული ტერიტორიები, ახალი ლტოლვილები; სახალხო ქონების გასხვისება; საზარელი 26 მაისის შემდეგ სისხლიანი, მუქარითა და ტრაბახით შენელებული სამხედრო პარადი. ამდენი უბედურების შემოქმედს სინდისის ნატამალიც რომ ჰქონოდა, გადადგებოდა. ის კი უფრო მუქი სიცრუის კვამლით გვაბრმავებს. აი, სადამდე გაიხრწნა ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება.**

„თუ ცრუობ, ბარემ იცრუე ბოლომდე“, მუქარით შენელებული ღალატით იჯირითე მრავალტანჯულ საქართველოში, სანამ შენგანვე გაწამებულ ქართველთა სამსჯავრო არ მოგასრიალებს მოუსავლეთში.

დღეს არ იხსენებენ, რანი ვიყავით და რა საშინელ უბედურებაში ვფართხალებთ მუხთალ არსებათა კარიერისტული ამბიციების გამო.

დამოუკიდებლობა გინდოდა? რაზე მიძვრები ამერიკის გაუმაძღარ სტომაქში?! იქნებ დაფიქრდე და გაიხსენო, რომელ ხალხს უყო სიკეთე მაგ ოკეანისგაღმელმა „სპრუტმა“. სანამ მთელი ლათინური ამერიკა კუდის რიკამდე არ გაფრცქვნა, ძლივს დაინახეს მისი ნიღაბსშიგნითა სიფათი.

**საქართველოს უბედურება დაიწყო ერის მოამაგე და ქართველთა ხრუშჩოვის ძალადობისგან გადამრჩენელი მჟავანაძის მოცილებით. ღვარძლის პარკუჭმა შევარდნაძემ კი საქართველოს უბედურებას ჩაუყარა საფუძველი. ციტრუსებისა და სხვა სოფლის პროდუქტების რუსეთში გატანის აკრძალვით პირველი მძიმე დარტყმა მიაყენა ქართველი კაცის კეთილდღეობას და პატიოსან ავტორიტეტს, როცა მისი ემისრები რუსეთის ბაზრებში დაძვრებოდნენ ქართველი კაცის სპეკულანტად წარმოსაჩენად.**

კომუნისტობის დროინდელი მისი ცოდვები უპასუხოდ დარჩა და თავკაცის პოსტზე მეორედ შევარდნილმა უარესი ცოდვები ამრავლა. ამ ქვეყნიდან თუ ასე შხამის ნთხევით გაასწრო, ნუ დაავიწყდება, არიან მკვდრები ხალხის მკაცრ სამსჯავროს რომ იმსახურებენ.

როდის ყოფილა, ნარეკლის თესლზე ხორბალი, ქერი ან სიმინდი ამოცენებულიყო. ხალხი შევარდნაძის გავარდნას ზეიმობდა, ამ დროს კი მისივე გამოზრდილი მასზე უარესი უბედურება მიძვრებოდა ცოდვების საშინელი დოლაბების ასაბრუნებლად.

როცა ვინმეს დაღუპვა გინდა, მოყვარე შეაძულე და მის მტრად აქციე; ცრუ მოკეთეებდასეულს გაჭირვება, უბედურება და ბოლოს მოსპობის დემონი მაღლა აღარ აახედებს.

ფეოდალების მიერ დაქუცმაცებულ საქართველოს ჭაობში ჩავარდნილი მსხვერპლივით ისრუტავდა მსოფლიო ერებს შორის გაქრობის კოშმარი.

რუსეთი მოგვევლინა მაშინ მხსნელად: წართმეული ტერიტორიები დაგვიბრუნა, გაგვაერთიანა და შესაჭმელად დასეულ მტაცებლებს კუდით ქვა ასროლინა.

სოციალიზმის დროს საქართველოს აყვავება და გაძლიერება რუსეთის მეგობრული მხარში დგომის ნაყოფი იყო.

**დღეს რომ გაყვირით, რუსეთი ოკუპანტიაო, თქვენ თვითონ ამერიკის მიერ ოკუპირებულნო! შეეშვით მაგ ოკეანისგაღმელ „რვაფეხას“ და რუსეთის დახმარებით ისევ გავერთიანდებით და ავყვავდებით. მაგრამ ღალატის ბაცილაშეყრილს იმასთან შეძრომა გინდა, ნატო რომ დაირქვა და დიდ მტაცებელს აღვენებულ ტურასავით ატეროჯებენ მათ, ვინც მათ როკვაში ფეხს არ უწყობს. საქართველო რუსეთმა გამოჰგლიჯა მტაცებლებს პირიდან და გააერთიანა, შენ აქუცმაცებ. თბილისი გაშინებს და ქუთაისს ამზადებ სეპარატისტული ერთეულის ცენტრად. თუ იქაც მოგეცარა ხელი, აგერ — ბათუმი და თურქეთში გადასახვეწი უვიზო სარფის საბაჟო.**

რომელი დამპყრობი გაბედავდა, — პირველი კლასიდანვე ბავშვს ჩემი ენა ასწავლეთო, რომელი მასწავლებელიც ჩემს ენაზე ბჟუტურებს, სხვაზე მეტი ხელფასი მიეცითო; ვერც უამრავ ხალხს შემოყრიდა, ჩემებურად გაანათლეთო.

საქართველოდან ქართველები გარბიან, რამეთუ სამშობლო გაუყიდეთ. აღარც მიწა აქვთ, აღარც საწარმოები და სამუშაო; დამშეული და გაჭირვებული საზღვრებს აწყდება, რომ როგორმე ამ ჯოჯოხეთს დააღწიოს თავი. აფხაზები და ოსები რაზე გადაიყვლეფენ მუხლებს ჩვენთან ერთად ნატოში შესვლის ღალატში სულის ამოსაძრობად. არადა, ისტორიულად ამ ჩვენს განუყოფელ ძმებთან სადავო რა გვქონდა თუ არა შევარდნაძის და „ნაციონალთა“ ღვარძლიანი ამბიციები.

ამერიკა ჩვენი მეგობარიაო და ამ გაქუცულმა თეთრმა მელამ იმდენი უმუხთლა რუსეთს, რომ აიძულა, სავიზო რეჟიმი შემოეღო მისი ძმა და მეგობარი ხალხისთვის, რომელიც ამ საშინელებისგან ხსნას ისევ რუსეთისგან ელის.

ერთ კაცს სილა გააწნეს, განაწყენებულმა ქვეყანა შეყარა, ამას რა დამავიწყებსო?! — წიხლს რომ ამოგკრავო, მიიღო პასუხი.

თეთრ მელაზე უარესი რომ ვერ წარმოგვედგინა, ამ ნაცისტებმა მაშინდელი ჯოჯოხეთი სანატრელად აქციეს.

**ჰიტლერს ეჯავრებოდა კაცი მასწავლებლები და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მათ. სულ იმუქრებოდა, სკოლებში ფელდფებელებს გავაგზავნიო; ამათ ჰიტლერის მუქარა მანდატურებით აღასრულეს.**

სასულიერო პირების დანახვაზე ცოფს ყრიდა, ერთხელაც იქნება, მაგათ გავუსწორდებიო; ესენი ღირსეულად ასრულებენ ჰიტლერის მუქარას.

ფიურერმა უკეთ იცისო, მრავალი გერმანელი ბრმა იარაღის როლით კმაყოფილდებოდა; ბევრი სადისტად იქცა და ბოლოს უფსკრულში ჩაიჩეხნენ. ბუნებით კეთილი, სენტიმენტალური გერმანელი იქცა მკვლელად, სადისტად, ჯალათად.

თქვენ მოკალით, პასუხისმგებლობას მე ვკისრულობო, — გაჰყვიროდა გერინგი და ნიურნბერგის პროცესზე პასუხისმგებლობიდან გაქცევის მცდელობაში ახალა თავი ქვას.

ბოლო დროს გებელსი გაჰყვიროდა: — ჩვენ წავალთ, მაგრამ ისე, რომ დედამიწამ ზანზარი დაიწყოს!.. დედამიწა არა, მაგრამ ბერლინი კი ზანზარებდა ბომბების სეტყვის ქვეშ.

**განა შეიძლება ადამიანი ეწოდოს იმას, ვინც 26 მაისს მომიტინგეები ველური დაუნდობლობით აწამა?! ნახეთ, რამდენი ადამიანის გადაგვარება შეძლეს!**

**გაფრთხილდი, ქართველო კაცო! ესენი მრავალ კეთილშობილ ახალგაზრდას გადააგვარებენ მკვლელებად, სადისტებად, ჯალათებად და თვითონ განკითხვის სამსჯავროს წინ რომ აბოლდებიან, იმ გადაგვარებულ არსებებსაც თან გაიყოლებენ.**

მურია გააქეზეს და მგელს შეაჭამესო. ეს გოშიები ამერიკელთა წაქეზებით უღრენენ, ვისაც მიუქსევენ, და მგელს თუ შეეჭამა, ამერიკელები სულაც არ ჩაიცვამენ შავს. სავალალო კი ის არის, რომ საქართველოს სახელით აყეფებულები ამ ქვეყანას უბედურებისკენ ექაჩებიან.

— თუ მე დავიღუპები, დაე, დაიღუპოს გერმანელი ხალხიც! — წამოიძახა ჰიტლერმა.

ამათ **უფრო დიდი მიზეზი აქვთ ქართველი ხალხის დაღუპვისა, რამეთუ ადრე თუ გვიან მისი სუსხიანი სამსჯავროს წინაშე მოუწევთ ჩადენილი ცოდვების ერთმანეთზე გადაბრალება. ცოდვებს კი ვერ დათვლი, რამეთუ ამათი ყველა ნაბიჯი ცოდვების, ღალატის, ქართველი ხალხის გადაგვარების ჭაობში ღრმად ჩაფლობაა.**

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი
**15 აგვისტო, 2011 წელი**

**აფხაზები და ოსები რაზე გადაიყვლეფენ მუხლებს ჩვენთან ერთად ნატოში შესვლის ღალატში სულის ამოსაძრობად. არადა, ისტორიულად ამ ჩვენს განუყოფელ ძმებთან სადავო რა გვქონდა თუ არა შევარდნაძის და «ნაციონალთა» ღვარძლიანი ამბიციები**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იმედი არ უნდა დავკარგოთ. მე მჯერა სისხლის ყივილის და ქართული გენი თავისას გააკეთებს: გული დაწყნარდება, გონება დაიწმინდება და გაყრილი ძმები ისევ შერიგდებიან. ოღონდ ერი უნდა განახლდეს საკუთარი წარსულით. ძალიან კარგად ვიცით, რომ ასე იქნება ჩვენი კუთხის ბედკრული ისტორიის გამო, რომელიც ძალიან ჰგავს აფხაზეთისას, თუმცა უფრო ტრაგიკულია. 300 წლის განშორების შემდეგ მაინც მის წიაღში დავბრუნდით“.

# ტვირთი, რომელსაც დიდი ხანია, ვატარებ,

## ანუ დაგვიანებული მადლობა

**ვინც აჭარის მთიანეთში ყოფილა და აქაური სოფლები დაუვლია, აუცილებლად შენიშნავდა ამ სოფელთათვის ტიპიურ, ერთ ჩვეულებრივ სურათს: გამოსაჩენ ადგილას ხის ღობეზე მიკრულ ძელსკამს და ამ ძელსკამზე ჩამომსხდარ ბერიკაცებს.**
**მათი იერი, დარბაისლური სიტყვა-პასუხი, დინჯი მიხრა-მოხრა, ერთობ მარიფათიანი თავაზიანობა შემთხვევით ჩავლილი მგზავრის თუ მათსავე მეზობლის მიმართ, სულის სიღრმიდან წამოსული ღიმილიანი სითბო საუკუნეთა მიღმა გადაგახედებს უნებლიეთ. აქ რაღაც უაღრესად წმინდას, ჭეშმარიტად ქართულს — ძველ ქართულს დაინახავ, მაინცდამაინც სახელს რომ ვერ დაარქმევ ისეთს და ერთგვარ გაუცნობიერებელ მოწიწებას იგრძნობ ამ გარინდული დროის წინაშე.**



სხალთა

ალბათ, რაღაც ამგვარი გრძნობა დამეუფლა, სხალთის ხეობის ორღობეებში ჩავლისას გაჩერება რომ ვითხოვე. მანქანიდან გადმოვედი და ბერიკაცებს მივესალმე.

მოხუცებს სახეზე დაეტყოთ ამ ყურადღებით გამოწვეული სიხარული, დინჯად წამოდგნენ ფეხზე, მთიელთათვის დამახასიათებელი ზრდილობით გვიპასუხეს სალამზე... მერელა მოიხედეს უხერხულად, — როგორც ჩანს, ჩამოჯდომა უნდა შემოეთავაზებინათ ჩემთვის, მაგრამ იმ გამხმარი ძელის მეტი არა იყო რა და მოერიდათ. ეს უხერხულობა ვიგრძენი და ძელსკამზე ჩამოვჯექი. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. კარგად ვიცი აქაური მთის მოსახლეობის წესი და საუბრის დაწყებას ასაკით უფროსისგან ველოდი. იმათაც ცოტა ხანს იყუჩეს და ბოლოს ერთმა მათგანმა დაარღვია დუმილი.

— სად ბრძანებულართ? — მკითხა მორიდებით.

— შუამთობაზე ვიყავით, გოდერძის უღელტეხილზე, იალაღები მოვიარეთ, ულამაზესი მწვანე ტბის სილამაზით დავტკბით და სხალთის ხეობის უნახავად ხომ არ წავიდოდით!

— ეს ახალგაზრდები საიდან მოგდევენ?

— ეს ახალგაზრდები ჩემი შვილის მეგობრები არიან. სტუდენტობის დროს დავპირდი, ზემო აჭარას გაჩვენებთ მეთქი, მაგრამ დღემდე მიცემული სიტყვა ვერ შევასრულე.

— გმადლობთ მობრძანებისთვის, კარგ დროს მოხვედით, ქვეყნის ამბებს ვყვებოდით, მტყუან-მართალს ვარჩევდით ჩვენი ჭკუით. **საქართველოს ისევ უჭირს, ჩვენი წარუმატებლობის მიზეზს სხვაგან ვეძებთ. უმრავლესობა უჩივის ვიღაცას და არა საკუთარ ჭკუას, განათლებას, აზროვნების დეფიციტს, გონივრული ანალიზისა და დამოუკიდებელი მოქმედების უუნარობას.**

— ხალხი შრომას გადაეჩვია, — გააგრძელა საუბარი მეორე ბერიკაცმა, — ჩვენ რომ ვართ აგერ, მთელი ცხოვრება შრომაში გვაქვს გატარებული. გაჭივრებაც გვინახია და უბედურებაც, მარა გული არ გაგვიტეხია. სოფლელი კაცი რომ ქალაქიდან ბოსტნეულს ამეიტანს, იმ ქვეყანას ეშველება რამე?

— მიწას სული თუ არ უბერა კაცმა დილიდან საღამომდე, შრომას თუ არ შეეჩვია, თვითონაც ხელცარიელი დარჩება და სხვისი გაკეთებულის დასანახავი თვალიც დაუბრმავდება. ცოდვაა ამფერი კაცი... — ჩაერთო საუბარში მესამე ბერიკაცი, — დღევანდელ გაჭირვებას კი ვხედავთ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ნაირ კაცს რომ ვუყურებ, მაინც ხვალინდელი დღის იმედი მაქვს. მისნაირი ბარე ორი-სამი რომ იყოს, იქნებ ეშველოს საქართველოს რამე.

მერე ერთ-ერთს რაღაც გაახსენდა და აწრიალდა.

— წინა დღეს ბალღმა გაზეთები ამომიტანა, წელან ამათ ვაკითხებდი, თქვენ წაკითხული გექნებათ, აგერ ნახე, რას წერენ, — ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და ზოგიერთი ადგილი მიჩვენა, — მე ბატონ ბიძინას არ ვიცნობ, მაგრამ გულზე ეკალივით მესობა, ცუდს რომ წერენ მასზე. საქმის კეთება რომ ემარჯვება, ხალხზე რომ ფიქრობს, იმფერ ადამიანად ვუყურებ. ჩემი ხნის კაცს მაგი არ შეეშლება.



**დღევანდელ გაჭირვებას კი ვხედავთ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილისნაირ კაცს რომ ვუყურებ, მაინც ხვალინდელი დღის იმედი მაქვს. მისნაირი ბარე ორი-სამი რომ იყოს, იქნებ ეშველოს საქართველოს რამე**

— ხანდახან ისეთს გაგაგონებენ, გულზე გაგასივებენ. ბიძინა ივანიშვილი ხომ ღმერთის საჩუქარია ქართველებისთვის, — გაცხარდნენ ბერიკაცები, ეტყობა ჩვენს მოსვლამდე ამ თემაზე საუბრობდნენ უფრო შინაურულად და ის აღელვება აქამდე გამოჰყვათ.

— მართლაც განსაცვიფრებელია ის ღვარძლი და ბოროტება, რაც ამ ნაწერებში შეიმჩნევა. ამის მიზეზი ვერ აგვიხსნია, არსაკიძის ისტორიას ხომ არ ვიმეორებთ, ამ ხვთისმოსავმა ადამიანმა ხომ საქართველოს კულტურა და ხელოვნება გადაარჩინა. ბევრი ადამიანი ცხოვრებისკენ შემოაბრუნა, მხარში დაუდგა ქართველ ერს და მადლიერებას ამით გამოხატავენ?

— იქნებ ბევრს ბატონი ბიძინა მხოლოდ დიდი ბიზნესმენი, დიდი ქველმოქმედი, დიდი საზოგადო მოღვაწე ჰგონია და ავიწყდებათ, რომ პირველ რიგში იგი ადამიანია. ალბათ, ზოგიერთს ვერც გაუცნობიერებია, რას ნიშნავს ეს.

— ბატონი ბიძინა საშვილიშვილო საქმეს აკეთებს და მას კეთილი მზერა სჭირდება. მან იცის სამშობლოს, სიყვარულის, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის ფასი, ხალხის სამსახურის ფასიც იცის. ჩვენ ვიცით, რა კეთილ და საქვეყნო საქმეებს აკეთებს, მაგრამ ყველა რომ ვერ ხვდება?

— ბევრს ხომ ესმის.

— ესეც სწორია, — დამეთანხმა მოხუცი, — მაგრამ იმ ცოტასაც უნდა გავაგებინოთ, რომ ასეთ კაცს მოფერება და დაფასება სჭირდება, თუმცა იგი თავის კვალს არასოდეს დაკარგავს.

— ჰო აბა, — დაეთანხმა მეორე მოხუცი. — ამფერ კაცზე იტყვიან, ღმერთთან მისასვლელი ბილიკი არ დაეკარგებაო. ბატონი ბიძინას პიროვნება სულიერი მრავალმხრივობის ნიჭით არის აღბეჭდილი, რაც იშვიათია დღეს.

— უეჭველად ბედნიერებაა, როცა, რომელიმე ადამიანი აერთიანებს ორ კომპონენტს — ტალანტსა და მამულიშვილობას. ასეთი ხალხია ქვეყნის დედაბოძი, ერის მამოძრავებელი ძალა. ჩვენი აზრით, ბატონი ბიძინა სწორედ ასეთი ადამიანია, — ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ ბერიკაცები.

— თქვენ ჩემგან არ გესწავლებათ, — ვცადე მოხუცების დამშვიდება, — თუნდაც ამ სოფელში ვინც ცხოვრობს, ყველა კარგი კაცია? ქვეყანაშიც ერთი ორი უკუღმართი გამოერევა და არა მგონია, ამან დიდად ავნოს საქმეს. ხომ გაგიგონიათ, „ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო“ და შურის თვალით მაცქერალს, რა გასაკვირია, სიკეთე სიავედ მოეჩვენოს, სიავე კი სიკეთედ.

— ვერ დაგეთანხმებით, „თავს სინანული სჯობიაო“, უკვე კარგა ხანია, გვასწავლის პოეტი, მაგრამ ჩვენ რისი სწავლა შეგვიძლია, ვერ ვუფრთხილდებით ჩვენს ღირსეულ მამულიშვილებს. დანახვისა და გაგების სიხარული ბუნების ყველაზე შესანიშნავი ნიჭია, რაც ზოგიერთს აშკარად არა აქვს. შეიძლება საქმეს ვერ ავნოს და ვერც ბატონ ბიძინას პიროვნებას მიაყენოს ჩრდილი, რადგან არსებობს ცილისწამებაზე უფრო ძლიერი იარაღი, ჭეშმარიტება და ეს ჭეშმარიტებაც ყველამ იცის. მაგრამ სწორად თქვა შოთამ: „ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა“.

— ეს ყველას ეხება, მითუმეტეს ჟურნალისტებს, რომლებიც დღეების ბიოგრაფიებს და მატიანეს წერენ. პატიოსნება კი ყველანაირ წოდებას შვენის.

— აქ ყველაფერი ჩვენ დიდებულ წარსულს გვახსენებს. სევდიანია აჭარელი კაცის ყოფა, ერის მთლიანობის „სისხლიანი მუხის კუნძი“ მაჭახელაში ახლაც იცრემლება. ამ ხეობიდან ისე არ წახვიდეთ, სანამ ხიხანის ციხეს არ ნახავთ და სხალთის ტაძარში არ ილოცებთ.

— რა იქნებოდა ქართველთა ხვედრი, ისტორიული ბედის ბორბალი უკუღმა რომ არ დატრიალებულიყო.

— რა იქნებოდა და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველო... უბედურება კი ის არის, რომ ეს პროცესი დღემდე არ შეჩერებულა; აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია თითოეული ჩვენგანის დიდი ტკივილია.

— განა შეიძლება, რომ ვიღაცის ამბიციების დაკმაყოფილების გამო, ასე გაიმეტო საკუთარი ხალხი წამებისათვის. აფხაზებს ისტორიული მეხსიერება წაუშალეს, სიმართლე დაუმახინჯეს, ფესვები წაართვეს, დავკარგეთ გენეტიკური ერთიანობის შეგნება.

— იმედი არ უნდა დავკარგოთ. მე მჯერა სისხლის ყივილის და ქართული გენი თავისას გააკეთებს: გული დაწყნარდება, გონება დაიწმინდება და გაყრილი ძმები ისევ შერიგდებიან. ოღონდ ერი უნდა განახლდეს საკუთარი წარსულით. ძალიან კარგად ვიცით, რომ ასე იქნება ჩვენი კუთხის ბედკრული ისტორიის გამო, რომელიც ძალიან ჰგავს აფხაზეთისას, თუმცა უფრო ტრაგიკულია. 300 წლის განშორების შემდეგ მაინც მის წიაღში დავბრუნდით.

— „ჩვენ, ქართველობას, არ სჭირდება ვინმეს დასტური, ჩვენ, ქართველობას, მუხლმოდრეკით უნდა თაყვანი“, — გამახსენდა უცებ ერთი ბათუმელი პოეტის სტრიქონი და უნებურად ხმამაღალი ფიქრი გამომივიდა.

მე სულგანაბული ვუსმენდი მოხუცების საუბარს, რომლებიც ისე გულიანად და საქმიანად საუბრობდნენ, თავი უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის ლექციაზე მეგონა. ჩვენი მყუდროება ტელეფონის ზარმა დაარღვია, ბოდიში მოვიხადე და გვერდით გავდექი.

— კომპიუტერა სადა ხარ? (ასე მეძახდა გურამი), — გურამი რეკავდა.

— სხალთის ხეობაში ვართ.

— ტყუილად კი არ გეძახი კომპიუტერას. როგორ მიხვდი, რომ სწორედ მანდ მჭირდებოდი. არ წამოხვიდე ახლავე მოვდივარ.

▶

**თუკი რუსეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა, დომინოს საერთაშორისო ფედერაციამ, რომელიც მსოფლიოში დომინოს ჩემპიონატს აწყობს, საქართველოს პროტესტი ყურად არ იღო და აფხაზეთი საკუთარ რიგებში სრულუფლებიან წევრად მიიღო.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— არ გაბედო, შენ ახალი გამოსული ხარ საავადმყოფოდან, ვერ შეძლებ აქ ამოსვლას, რაიმე არ ივნო, რაც საჭიროა, მე გავაკეთებ.

— სწორედ ამიტომაც უნდა ამოვიდე, რომ იმ კაცის თხოვნა უნდა შევასრულო, ვისი თანადგომითაც მე საავადმყოფოდან გამოვედი. ბიძინას ხის დასაშლელი სახლები სჭირდება ლტოლვილებისთვის და ჩემი თვალით უნდა ვნახო ყველაფერი. უკვე ხულოში ვარ, გთხოვ, მაქედან ფეხი არ მოიცვალო.

მეც დავემორჩილე მის თხოვნას, ბერიკაცებს კი ვუთხარი, რომ გურამს ველაპარაკე.

— გურამ თამაზაშვილი აჭარის საამაყო შვილია. ახალგაზრდობაში ბევრჯერ ამოსულა მთაში. შუამთობაზე ძელზეც ჩამომჯდარა და ჩვენთან ერთად უმღერია კიდეც.

— როცა მის სიმღერას ვუსმენ, ტანში ჟრუანტელი მივლის და ბევრჯერ თვალიდან ცრემლიც ჩამომდენია. სიმღერის დასრულებისას კი გულში ისეთი სითბო მრჩება, რომელიც ჭიქაში ჩარჩენილ შაქარს მაგონებს.

— გურამი დაუცლელი ქვევრია, საიდანაც ჭაშნიკის აღებისთანავე, ვინ იცის, კიდევ რამდენი კაცი შეზარხოშდება და აინთება... მისი სიმღერა ვაზის ჭიგოზე შემოხვევას ჰგავს.

— ჰო, მართალია, გურამი თავისი სიმღერით საამო ნიავივით მოედო მთელ ქვეყანას. ძნელია, საქართველოში სიმღერას რაიმე შემატო, პოპულარობა და აღიარება მოიპოვო, მითუმეტეს სიცოცხლეში, მაგრამ გურამმა ღვთითბოძებული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით ეს შეძლო.

— გურამ თამაზაშვილს სიმღერის ჯადოქარი შეარქვეს. მისი სიმღერა სიმღერაც არის, ცეკვაც, ხატოვანი მეტყველებაც, ფიქრიც და ოცნებაც... და, რაც მთავარია, ეს არის ქართული ხალხური საწყისიდან ამოზრდილი ხელოვნება... სიმღერა არის ხალხის ნაფიქრალისა და თავგადასავლის გამოხატვა, ვისაც „ხასანბეგურა", „ალიფაშა" და „ჩაღმა ჩაკრულო ვენახო" კარგად მოუსმენია, მიხვდება, რას ახმიანებს ამ სიმღერებით ერის ისტორია და მის შესრულებას ის გენი სჭირდება, რაც გურამ თამაზაშვილს აქვს.

— კაი გამარჯობა თქვენი, — თავზე წამოგვადგა გურამი.

— აი, იცოცხლე და იდღეგრძელე. კეთილი იყოს შენი სტუმრობა ამ ხეობაში.

გურამი ძელსკამზე ჩამოჯდა. დიდხანს ვისაუბრეთ ხეობის ისტორიაზე დღევანდელობაზე, მოიგონეს შუამთობაზე გატარებული დღეები. მოხუცები კითხვებით არ ასვენებდნენ გურამს, სურდათ მეტი გაეგოთ ბიძინა ივანიშვილზე. ბევრი რამ საინტერესო უამბო ამ უანგარო კაცზე აჭარლებს იმ დღეს გურამმა, ამით თითქოს თავისი სურვილიც დაიკმაყოფილა, რადგან ბიძინა ივანიშვილი გურამის სათაყვანებელი პიროვნება იყო.

მოხუცებს დავემშვიდობეთ და გზა განვაგრძეთ. გურამი ღიღინ-ღიღინით მიდიოდა. მან ყველა ტკივილი დაივიწყა — ხან ჩაიმუხლებოდა, დაწყნარდებოდა, გაიტრუნებოდა, მაგრამ უმალ ჩიტების სტვენას აჰყვებოდა. გურამთან ერთად თითქოს მთელი არემარე მღეროდა. ჩვენ მას უკან მივსდევდით. მგლის მუხლი გამოიბა, ვერ ვეწეოდით. ალბათ, არც გვინდოდა, რადგან ვხვდებოდით, რომ ჩვენგან ძალიან შორს იყო და სულგანაბული ყურს ვადევნებდით ადამიანისა და ბუნების ამ ულამაზეს ურთიერთობას.

მთებზე თანდათან ჩამოწვა ბინდი. დევკაცების მაგვარი ჩრდილი გაიშალა მთის კალთებზე. საქმესაც მოვრჩით და ბათუმისაკენ გავემგზავრეთ.

ჩვენ სითბოთი და ხალისით სავსენი ვბრუნდებოდით და თან მოგვყვებოდა უზარმაზარი მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობა ამ დაძარღვული, წლებით დამძიმებული, გულმართალი ბერიკაცებისა.

მე კი კვლავ ბატონ ბიძინაზე ვფიქრობდი: „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელიაო", — ამბობს უკვდავი შოთა და ბატონი ბიძინაც გამორჩევით მქნელია ყველა საქმისა, რომელსაც დიდი ნიჭი და სიყვარული სჭირდება. დიდია ბატონი ბიძინას ღვაწლი.

შთამომავლობამ უნდა იცოდეს იმ დიდი მამულიშვილების საქმეების შესახებ, რომელთა დახმარებითაც არაერთი საშვილიშვილო საქმე გაკეთებულა. ამიტომაც საჭიროა დაიწეროს წიგნი მისი სამაგალითოდ განვლილი ცხოვრების შესახებ.

ბატონმა ბიძინამ კარგად იცის, რომ ბელურებს ზარბაზნებს არ ესვრიან, რომ მხოლოდ საქმეა საზომი „დროისა და ხანის". მაგრამ არც ჩვენ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მადლობის თქმა ტვირთია და ყველა კეთილმა ადამიანმა ეს ტვირთი თავის დროზე უნდა მოიხსნას.

მეც მინდა ეს ტვირთი მოვიხსნა, რომელსაც, დიდი ხანია, ვატარებ. გითხრათ დაგვიანებული მადლობა იმ ბერიკაცების სახელით თქვენი გაკეთებული მადლიანი საქმეების გამო. ბოდიში მოვუხადო იმ მოხუცებს, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ მათ დანაბარებს რაღაც ფორმით თქვენამდე მოვიტანდი. გურამის ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო ეს დღემდე ვერ შევასრულე, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ნათქვამია და ამიტომაც გავბედე ამ დიალოგის ფურცელზე გადატანაც.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით, უბრალოდ რომ ვთქვათ, კაცობისთვის. მე პირადად მადლობა მინდა გადავუხადო თქვენს დედას, რომელმაც თქვენისთანა შვილი აღზარდა, და თავს უფლება მივცე, ეს წერილი ნოდარ დუმბაძის სიტყვებით დავამთავრო: „ჭეშმარიტად გმირია დედა, რომელიც 12 შვილს გაუჩენს მამულს, მაგრამ უფრო გმირია ის დედა, რომელიც ერთ და ორ შვილს გაუზრდის მამულს შენისთანას. კურთხეულ იყოს შენი გამზრდელი დედა და კალთა მისი. კურთხეული იყოს ბუნება, რომელმაც ქვეყნად ყველაზე დიდი ნიჭით, სიყვარულის ნიჭით დაგაჯილდოვა".

მოამზადა
**მარინა ხანთაძე**

# აფხაზეთის ნაბიჯ-ნაბიჯ აღიარება

The New York Times

**საერთაშორისო აღიარების, დიდწილად წარუმატებელი, ოცწლიანი ძიების შემდეგ, ყოფილი საბჭოთა საქართველოს პატარა აჯანყებულმა აფხაზეთის რეგიონმა, უცნაური მოკავშირე შეიძინა. რეგიონი, რომლის აღიარებასაც ყველა ერიდება და რომლის დამოუკიდებლობაც მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ სცნო, პატივსაცემ ქვეყნად მიიჩნია დომინოს საერთაშორისო ფედერაციამ.**




თუკი რუსეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა, დომინოს საერთაშორისო ფედერაციამ, რომელიც მსოფლიოში დომინოს ჩემპიონატს აწყობს, საქართველოს პროტესტი ყურად არ იღო და აფხაზეთი საკუთარ რიგებში სრულუფლებიან წევრად მიიღო.

მომავალ თვეში აფხაზეთი საკუთარ დედაქალაქ სოხუმში დომინოს მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს.

**პატივი, რომელიც ამ ყველასთვის უცნობ რეგიონს გაეროს წევრებისგან ერგო, აფხაზი მოთამაშეების ოსტატობას ადასტურებს. დომინოს გარდა, აქ დროის დიდ ნაწილს უფრო სხვა სამაგიდო თამაშებში — ჭადრაკისა და შაშის თამაშში ატარებენ. ფედერაციის 25 წევრმა ქვეყანამ შარშან ლას-ვეგასში აფხაზეთს ერთხმად დაუჭირა მხარი.**

არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაში რუსეთს მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ მიბაძა, რომელთაგან ორი ერთი ციდა წყნარი ოკეანის კუნძული სახელმწიფოა. 17-21 ოქტომბერს აფხაზეთი დომინოს მსოფლიო ცენტრი იქნება.

**„ჩვენთვის ეს უკიდურესად მნიშვნელოვანია და არა მხოლოდ სპორტული შეჯიბრის თვალსაზრისით,** – ამბობს აფხაზი ჟურნალისტი და დომინოს მოყვარული რუსლან თარბა, – **ხალხი ჩამოვა და ნახავს, რომ ჩვენ არ ვართ ველურები, რომლებიც პალმებზე დაძვრებიან ავტომატებით ხელში. ჩვენთვის მთავარია, რომ ადამიანებმა იმ განცდით დატოვონ აქაურობა, რომ აფხაზეთი არის, იყო და იქნება ღია და კეთილგანწყობილი ქვეყანა".**

აფხაზეთი მართლაც ძალიან ლამაზი კუთხეა. საბჭოთა ეპოქაში ის შავი ზღვის სანაპიროზე ცნობილი კურორტი იყო, თუმცა რაიმე ტიპის საერთაშორისო კონკურსის ჩატარებისთვის ის მაინც არ ჰგავს შესაფერის და მშვიდ ადგილს.

დაახლოებით 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზმა აჯანყებულებმა აქედან ქართული არმია განდევნეს. საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ ეს ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი იყო. სოხუმში შენობებზე დღემდე ტყვიების კვალია. რამდენიმე ძველი სასტუმრო და რესტორანი ნანგრევებშია, ხოლო ყოფილი მთავრობის სახლის დამწვარი შენობა ომის სისასტიკის სიმბოლოა.

**მაგრამ კალაშნიკოვის სროლის ხმა აქ, დიდი ხანია, აღარ ისმის. ის მაგიდაზე დომინოს ქვების კაკუნის ხმამ შეცვალა. გარესამყაროსგან დიდწილად იზოლირებული აფხაზებისთვის დომინო აპათიისგან განკურნების საშუალებაა.**

**ზოგიერთი ამ თამაშში აფხაზების მხრიდან ლეგიტიმურობისთვის ბრძოლის ბერკეტს ხედავს.**

„ომის შემდეგ ნებისმიერი წინგადადგმული ნაბიჯი, იქნება ეს დომინო, თუ სხვა სფერო, ჩვენთვის მნიშვნელოვანია," – ამბობს აფხაზეთის დომინოს ფედერაციის პრეზიდენტი არტურ გაბუნია.

2007 წლიდან აფხაზეთის დომინოს გუნდმა საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის უფლება მიიღო. მას შემდეგ ის ნელ-ნელა წინ მიიწევს და ორივე – 2009 და 2010 წლების პანამასა და დომინიკის რესპუბლიკის ჩემპიონატებში მეათე ადგილი დაიკავა. მომავალი თვის სოხუმის ჩემპიონატში გუნდი პირველ სამეულში გასვლას იმედოვნებს.

**„ისინი ძალიან კონკურენტუნარიანები არიან,** – განაცხადა დომინოს ფედერაციის პრეზიდენტმა შეერთებულ შტატებში მანუელ ოკენდომ, რომელიც შარშან აფხაზური გუნდის შესამოწმებლად რეგიონს ესტუმრა, – **დომინო, როგორც სპორტის სახეობა, დიდწილად ლათინურ ამერიკაშია გავრცელებული, ამიტომ ჩემთვის სიურპრიზი იყო, როდესაც ვნახე ადამიანები, ვინც დომინოს თამაშობენ შავი ზღვის სანაპიროზე. ჩემთვის ეს ძალიან შთამბეჭდავი იყო".**

სამართლიანი შეფასებაა თუ არა, დომინოს უსაქმური ადამიანების თამაშის რეპუტაცია აქვს და ამ მხრივ აფხაზეთი კარგი ადგილია. რამდენიმე წლის პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის შემდეგ აფხაზეთში უმუშევრობის დონე მაღალია და აქ უამრავი ადამიანია, რომელთაც ბევრი თავისუფალი დრო აქვთ.

ომის ჭაღარა ვეტერანები და ახალგაზრდები უზარმაზარ მზის სათვალეებში ყოველდღე იკრიბებიან სასტუმრო „რიწის" წინ, რომელიც ქალაქის იმ რამდენიმე შენობას შორისაა, რომლებიც სრულად აღდგენილია. მამაკაცები, რომლებიც სიგარეტს ეწევიან და ნავთობივით სქელ ტკბილ ყავას მიირთმევენ, საათობით ატარებენ დროს ფიჭვის ხეების ჩრდილში.

**„სწრაფად, სწრაფად, სწრაფად!"** – უსაყვედურა თამაშის დროს სოხუმის ყოფილმა მერმა ლეონიდ ლოლუამ პასიურ ოპონენტს. **„მართლაც სამარცხვინოა ის, რომ ეროვნულ ნაკრებში არ მიშვებენ,"** – ამბობს 67 წლის ლოლუა.

არიან მამაკაცები, რომლებიც ჭადრაკს და ზოგჯერ კარტსაც თამაშობენ, მაგრამ სანაპიროს ტერიტორიაზე დომინოს მოყვარულები წამყვანები არიან. ამ ძალიან პატრიარქალურ საზოგადოებაში მაგიდასთან ქალს იშვიათად დაინახავთ, მაგრამ ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ დომინოს ისინიც თამაშობენ, ოღონდ საკუთარ სამზარეულოებში ან ეზოებში.

**„აფხაზეთში, დომინოს ყველა თამაშობს,"** — ამბობს არმენ მიკრტიჩიანი, აფხაზეთის ორგზის ჩემპიონი დომინოში, რომელიც ოქტომბრის შეჯიბრშიც მონაწილეობს.

საქართველო, რომელიც აფხაზეთს საკუთარი სუვერენული ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევს, როგორც ჩანს, ამ ჩემპიონატმა გააღიზიანა. დომინოს საერთაშორისო ფედერაციის ჩინოვნიკების თქმით, ქართველმა ელჩებმა მათ რამდენიმეჯერ მიმართეს და არწმუნებდნენ, რომ ჩემპიონატის ჩატარების ადგილი შეეცვალათ. საქართველო ფედერაციის წევრი არ არის.

ქართველმა პარლამენტარმა გიორგი კანდელაკმა განაცხადა, რომ ქართველი ჩინოვნიკები შეეცადნენ, ჩემპიონატის პოტენციური მონაწილეების დარწმუნებას იმაში, რომ ღონისძიებაზე არ ჩამოსულიყვნენ, მიაწოდეს რა მათ ინფორმაცია აფხაზეთის ეთნიკურ ქართველთა უმძიმეს მდგომარეობაზე, რომლებიც რეგიონიდან 1990-იანი წლების ომის დროს გამოყარეს და დაბრუნებაზე დღემდე უარს ეუბნებიან.

**მას არ უთქვამს, მიმართავს თუ არა საქართველო უფრო ქმედით ზომებს იმისთვის, რომ ღონისძიება არ ჩატარდეს, მაგალითად, უარს ეტყვის თუ არა მონაწილეებს აფხაზეთში შესვლაზე საქართველოს მიერ კონტროლირებადი სასაზღვრო რეგიონის გავლით. არსებობს აფხაზეთში მოხვედრის ალტერნატიული გზა რუსეთის მხრიდან, მაგრამ ეს საქართველოს კანონმდებლობას არღვევს.**

ფედერაციის წარმომადგენლები განაგრძობენ სოხუმში ჩემპიონატის ჩატარებაზე მუშაობას და, თავის მხრივ, აფხაზი ჩინოვნიკებიც პირობას სდებენ, რომ ორგანიზატორებს იმედი არ გაუცრუვდებათ. ორგანიზატორები დაახლოებით ორ ათეულზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის შეერთებული შტატებიდან, 200-ზე მეტ მონაწილეს ელოდებიან. აფხაზეთის მთავრობა, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსეთის მხარდაჭერაზე, აცხადებს, რომ ჩემპიონისთვის საპრიზო თანხის სახით 100 000 დოლარი აქვს განსაზღვრული. ფედერაციის ჩინოვნიკების თქმით, ჩემპიონატის ისტორიაში ეს ყველაზე დიდი პრიზია.



**გაურკვეველია, აფხაზეთის ასეთი აღიარების გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს თუ არა იმას, რომ დომინოსმოყვარულები, თავის მხრივ, მხარს დაუჭერენ რეგიონის უფრო ფართო საერთაშორისო აღიარებას. სოხუმის ჩემპიონატის შემდეგ, დომინოს საერთაშორისო ფედერაციის ჩინოვნიკები გეგმავენ დომინოს ოლიმპიურ სპორტად აღიარების ხანგრძლივი კამპანიის განახლებას.**

**მაიკლ შვირცი**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყოველ ქართველ მხედარს, რომელსაც მთლად დაკარგული არ ჰქონდა სინდისი, შეგნება და პატიოსნება, ცხადად და ნათლად უნდა სცოდნოდა, რომ ოსმალეთი საქართველოს ტერიტორიას თუ დაიჭერდა, იგივე დაგვემართებოდა, რაც დაემართა სომხეთს, რომ ბათუმის დაკარგვით დამოუკიდებელ საქართველოს ხელიდან ეცლებოდა ერთად-ერთი კარგი ნავთსადგური, რომელიც გასავალი კარია ევროპისაკენ. ოფიცრები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, აეხსნათ ჯარისკაცებისათვის, თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა“.

# გენერალი მაზნიაშვილი ქართული ჯარის შესახებ

**გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაიბადა 1870 წელს კასპის რაიონის სოფ. სასირეთში; სათანადო სამხედრო განათლების მიღების შემდეგ რუსეთის არმიაში დაწინაურდა გენერლად; რუსულ წყაროებში ცნობილია მაზნიევად. მან თავი გამოიჩინა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც დაიჭრა. პეტერბურგის სამხედრო ჰოსპიტალში მას თავად იმპერატორის ქალიშვილები უვლიდნენ. ლაზარეთში გენერალი იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ინახულა, დააჯილდოვა იმპერიის უმაღლესი ჯილდოთი – წმიდა გიორგის ჯვრით და სასახლეში მიიწვია.**



გიორგი მაზნიაშვილი, 1900 წელი

**გიორგი მაზნიაშვილი:**

**ქართული ჯარი რამდენჯერმე ნაკლებ მტერს შეუშინდა, უბრძოლველად მიატოვა პოზიციები და ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი მტერს ჩაუვარდა ტყვედ**

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი პირველ მსოფლიო ომშიც მონაწილეობდა, სადაც პოლონეთის ფრონტზე მძიმედ დაიჭრა. 1917 წლის დეკემბერში სამშობლოში დაბრუნდა და ორი ეროვნული დივიზია შექმნა.

1918 წლის ბრესტის ზავის პირობებით თურქეთს გადაეცა აჭარა, თუმცა მათ ეს არ იკმარეს – შეიჭრნენ გურიაში და ოზურგეთს მიადგნენ. სახალხო ლაშქრის, პარტიზანებისა და საჯარო ნაწილების მობილიზაციის საფუძველზე მაზნიაშვილმა არამცთუ გურია გამოსტაცა ხელიდან თურქებს, არამედ, მოიპოვა რა გამარჯვება ჩოლოქის ბრძოლაში, ბათუმიც გაათავისუფლა.

1918 წლის ოქტომბერ-დეკემბერში იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორი. ამავე წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომისას, წარმატებით დაიცვა სამხრეთ საზღვარი, 28 დეკემბერს კი 3500 კაციანი შენაერთით დაღამებისას სრულმასშტაბიანი შტურმით აიღო შულავერი და რამდენიმე სოფელი. 1919 წელს იყო ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი.

იმავე წლის მარტში თურქებმა კვლავ დაიკავეს ბათუმი. ქართველმა ბოლშევიკებმა დახმარება მას სთხოვეს, თუმცა ორჯონიკიძემ პირდაპირ განუცხადა, რომ: „როგორც მენშევიკი გენერალი, შენ გამოცხადებული ხარ კანონგარეშედ და ნებისმიერს შეუძლია შენი დახვრეტა, ამიტომ გადმოდი ბოლშევიკების მხარეს“.

მაზნიაშვილმა უპასუხა: „მე არც მენშევიკი და არც ბოლშევიკი გენერალი ვარ. მე ქართველი გენერალი ვარ“. მან სასწრაფოდ შეიმუშავა გეგმა, გამოაცხადა ქართული არმიის ნაშთების მობილიზაცია და თურქებს შეუტია.

მაზნიაშვილი მტკივნეულად განიცდიდა და აღშფოთებული იყო ქართველ ჯარისკაცთა დაბალი დისციპლინითა და მოუმზადებლობით. ერთგან იგი გულახდილად შენიშნავს: „ბათუმში დაბანაკებული ქართული ჯარები თითქმის მთლად შესდგებოდნენ ფრონტზე მყოფი ძველი ჯარისკაცებიდან, რომელთაც მოვალეობა და დისციპლინა არ სწამდათ და ვერ შეეგნოთ, რომ საშიშარი მტერი ბათუმის დაჭერით არ დაკმაყოფილდებოდა... ოფიცრები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, აეხსნათ ჯარისკაცებისათვის, თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა“.

ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ცნობილია, რომ სოციალ-დემოკრატების მთავრობა პროფესიული არმიის შექმნის წინააღმდეგი იყო და მთლიანად თავის პარტიულ „სახალხო გვარდიას“ ეყრდნობოდა. გვარდიელები კი ხშირად დამპყრობლებივით ექცეოდნენ მოსახლეობას. მათ არ გააჩნდათ პატრიოტული სულისკვეთება და ნაკლებ იზიარებდნენ საერთო-ეროვნულ ინტერესებს. „ასეთი სამარცხვინო არმია საქართველოს არასოდეს ჰყოლიაო,“ — წერდა ემიგრაციაში მყოფი ქართველი მემატიანე და მართალიც იყო; მსგავსი შეიარაღებული ფორმირების თარეში საქართველომ კიდევ ერთხელ 90-იანი წლების დასაწყისში გამოსცადა. ამდენად, 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის დაკარგვა ჩვენთვის ისტორიის სამართლიანი განაჩენი იყო. როგორც მიხაკო წერეთელი შენიშნავდა, „1918 წლის საქართველო უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდეც“. სამწუხაროა, რომ წარსულში დაშვებული შეცდომები ვერც მომავალი თაობებისთვის იქცა ჭკუისსასწავლებელ გაკვეთილად.

* * *

„1918 წლის 30 მარტს ტფილისიდან მატარებლით ჩამოვიდა სადგურ სამტრედიაში ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და კავკასიის არმიის მთავარსარდალი ლებედინსკი, შტაბის უმაღლეს მოსამსახურეთა თანხლებით. ამავე დროს ბათუმიდან ჩამოვიდა ბათუმის ციხის კომენდანტი, გენერალი მდივანი, თათბირი გაიმართა ჟორდანიას რონოდაში. გენერალმა მდივანმა წაიკითხა მოხსენება ციხის, ფორტებისა და გარნიზონის მდგომარეობის შესახებ.

**რაში მდგომარეობდა გენ. მდივნის მოხსენება, არ ვიცი, რადგანაც ამ თათბირზე მიწვეული არ ვიყავი. მხოლოდ სხდომის გათავების შემდეგ მიმიწვიეს რონოდაში და გენ. მდივანმა გადმომცა მთავარსარდლის ბრძანება, რომ მე დანიშნული ვარ შემომვლელი (რქხრლნთჭ კრორნნთ) რაზმის უფროსად, რომელსაც სადგურ ჩაქვიდან უნდა გაეარა ხეობა, ასულიყო მაღლობზე, რომელიც მიდის სამების ფრონტისკენ და ყოველი ღონისძიებით შეეშალა ხელი ოსმალებისთვის, რათა მათ არ დაეჭირათ სამების ფრონტი.**

ჩემს შეკითხვაზე, თუ ვისგან შედგება ეს შემომვლელი რაზმი, გენ. მდივანმა მიპასუხა, რომ ეს რაზმი შედგება რეზერვებიდან, სადგურ სამტრედიაში დაბანაკებული სამხედრო ნაწილებიდან და ათასეულებიდან, რომელიც დაბანაკებულია სადგურ ჩაქვის რაიონში.

ამ გეგმას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა და ბათუმის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, ამ გეგმას სისწრაფით მოვიყვანდით სისრულეში, თუ არა.

დაუყოვნებლივ შევუდექი რაზმის შედგენას იმ ანგარიშით, რომ 31 მარტს ჩავსულიყავი ჩაქვში და გათენებისას დამეჭირა ფორტი სამება.

სამტრედიაში იმ დროს იყო მხოლოდ ერთი პარტიზანული რაზმი ფედერალისტებისა — არჩილ ფურცელაძის უფროსობით რაზმი შესდგებოდა 90 შეიარაღებული კაცისაგან და ჰქონდა 4 ტყვიისმფრქვეველი, იყო კიდევ ერთი ბატარეა კაპიტან სერგო კარგარეთელის უფროსობით. კარგარეთელი გულადი და მცოდნე არტილერისტი იყო, ომის მთელი ხანა დასავლეთის ფრონტზე გაატარა. ფურცელაძესაც და კარგარეთელსაც ვუბრძანე, დაუყოვნებლივ ჩამსხდარიყვნენ მატარებელში და ამგვარად გამზადებული ვუცდიდი დაპირებულ რეზერვებს ტფილისიდან. მაგრამ რეზერვები არსად სჩანდა. ჩაქვიდანაც მიპასუხეს ტელეგრაფით, აქ არავითარი ათასეული არა სდგასო.

**იერიშის მიტანა მარტოოდენ არტილერიით, რომელსაც დამცველი ქვეითი ჯარი არა ჰყავდა, შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, საქმის ვითარება საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა და რთულდებოდა. ყოველ საათში ერთიერთმანეთზე მოდიოდნენ მატარებლები, დატვირთული მოტაცებული ქონებით, ეს მატარებელი გარედან და შიგნით მთლად გაჭედილი იყო ფრონტიდან გამოქცეული ქართველი ჯარისკაცებით. ისინი გვარწმუნებდნენ, ვითომ მივლინებულნი იყვნენ თავიანთი ნაწილებიდან წამოღებული ქონების დასაცავად.**

სადგურ სამტრედიის კომენდანტი, — ყოჩაღი და საქმის კარგი ამსრულებელი საპიორის ოფიცერი, კაპიტანი შენგელია ბევრსა სცდილობდა, შეეჩერებინა გამოქცეული ჯარისკაცები, მაგრამ ვერას აწყობდა, რადგან ამისათვის საკმაო ძალები არა ჰყავდა. გამოქცეულები გარბოდნენ თავიანთ სოფლებსა და სახლებში, თან მიჰქონდათ სახაზინო ტანისამოსი, იარაღი და მოკაზმულობა.

**31 მარტს, გათენებისას ნათლად გამოირკვა, რომ ბათუმი უნდა დაცემულიყო. მართლაც, პატარა ხანის უკან მოვიდა ცნობა, რომ ბათუმი ჩაბარდა ოსმალებს თავისი გარნიზონით. მე-4 ქვეითმა ლეგიონმა თავისი ნებით მიატოვა პოზიციები და გაიქცა ოზურგეთისაკენ. მე-2 ქართული ლეგიონი, რომელიც იდგა ბათუმის აღმოსავლეთით, მშვიდობით გამოვიდა ბათუმიდან და დაბანაკდა სად. ქობულეთთან.**

იმავე დღეს, საღამოზე, მე დამიბარა ჟორდანიამ და შემდეგი ამოცანა მომცა: უნდა დაუყოვნებლივ წავსულიყავი სადგურ ნატანებში და ხელი უნდა შემეშალნა ოსმალებისათვის, რომ მდინარე ჩოლოქს არ გამოსცილებოდნენ. ამასთან, ჟორდანია დამპირდა, რომ მიიღებდა ენერგიულ ზომებს და მომაშველებდა საჭირო ძალებს.

**მე ვიცოდი, რომ ჩვენი დელეგაცია ტრაპიზონში მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალეთის სარდლობასთან, რომ ოსმალები მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის, ე.ი. მთელი აჭარის გადაცემას.**

ბათუმში დაბანაკებული ქართული ჯარები თითქმის მთლად შესდგებოდნენ ფრონტზე მყოფი ძველი ჯარისკაცებიდან, რომელთაც მოვალეობა და დისციპლინა არ სწამდათ და ვერ შეეგნოთ, რომ საშიშარი მტერი ბათუმის დაჭერით არ დაკმაყოფილდებოდა, წამოიწევდა წინ, გადმოლახავდა მთელ საქართველოს და ხელს გაუწვდიდა თანამორწმუნე ერებს — აზერბაიჯანს და ჩრდილო-კავკასიის მუსლიმანებს. **ყოველ ქართველ მხედარს, რომელსაც მთლად დაკარგული არ ჰქონდა სინდისი, შეგნება და პატიოსნება, ცხადად და ნათლად უნდა სცოდნოდა, რომ ოსმალეთი საქართველოს ტერიტორიას თუ დაიჭერდა, იგივე დაგვემართებოდა, რაც დაემართა სომხეთს, რომ ბათუმის დაკარგვით დამოუკიდებელ საქართველოს ხელიდან ეცლებოდა ერთად-ერთი კარგი ნავთსადგური, რომელიც გასავალი კარია ევროპისაკენ.**

ოფიცრები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, აეხსნათ ჯარისკაცებისათვის, თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა.

**ამგვარად, ქართველს დაავიწყდა გამბედაობა და ვაჟკაცობა წინაპრებისა, რომლებიც ათეული საუკუნეობით სიცოცხლეს სწირავდნენ და გააფთრებულად იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს.**

**მთავრობის წევრნი მოდიოდნენ ბათუმში პოზიციების დასათვალიერებლად, მაგრამ იმის მაგივრად, რომ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის რა ხიფათი მოელოდა საქართველოს, შეიარაღებული მტრის თვალწინ მართავდნენ განუწყვეტელ მიტინგებს და ელაპარაკებოდნენ რევოლუციის მონაპოვარზე. ეს თემა ჯარისკაცებს უკვე მობეზრებული ჰქონდათ. მთავრობის წევრთა გაუთავებელი სიტყვები მათზე აღარავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა.**

**ცხადი იყო ერთი, რომ ჯარისკაცს დავიწყებული ჰქონდა დისციპლინა, მოვალეობა და მხოლოდ თავისთავის გადარჩენაზე ფიქრობდა. ამის შემდეგ ის იყო, რომ ქართული ჯარი რამდენჯერმე ნაკლებ მტერს შეუშინდა, უბრძოლველად მიატოვა პოზიციები და ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი მტერს ჩაუვარდა ტყვედ.**

**ნოე ჟორდანიას ბრძანების შესრულება, ჩემი აზრით, თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენ არ გვყავდა ცოცხალი ძალები, მაგრამ მეორე მხრივ, ბოროტმოქმედება იქნებოდა, თუ მტერს წინ არ გადაველობებოდი და საშუალებას მივცემდი, გადაელახნა ჩვენი სამშობლო და გაენადგურებინა ჩვენი ქალაქები და სოფლები.**

**ცხადი იყო, რომ ერთი მუჭა ქართველი მეომრები — პოზიციების რეზერვებისა და სხვა საჭირო სამხედრო ორგანოების წინდაწინვე მოუმზადებლობის გამო — ვერ გაუძლებდნენ ოსმალების იერიშს და უმიზნოდ, უბრალოდ დაიღუპებოდნენ.**

მე გადავწყვიტე, გადამეჭრა გზა მტრისათვის და გავმაგრებულიყავი მდ. ჩოლოქსა და ნატანების ნაპირებზე (წმ. ნიკოლოზის ფორტიდან სოფ. შემოქმედამდე ფრონტის სიგრძე 24 ვერსამდე იყო).

სამხედრო ტაქტიკის მიხედვით, ეს პოზიცია არამც თუ არაფერს არ წარმოადგენდა, პირიქით საზარალოც იყო, რადგან იგი ხელის გულივითაა გადაშლილი. წინ წაწევა და კინტრიშის პოზიციის დაჭერა სახიფათო იყო,

▶

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან საჩქაროდ დავიბარე პატივცემული მოხუცებული მცხოვრებნი, რომელთაც ავუხსენი ჩემი მოსვლის მიზანი, საქმის ვითარება და დავასკვენი, რომ თუ მთელი მცხოვრებნი მთლიანად არ გამიწევენ დახმარებას, მარტო მე ვერ შევძლებ მათი სოფლების, ქონებისა და ცოლ-შვილის დაცვას. ყველამ გამოსთქვა სურვილი ყოველგვარი დახმარებისა. იქვე გადასწყვიტეს, რომ გამოვლენ ყველანი, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან, ხოლო მოხუცებულებმა და ბავშვებმა აღმითქვეს, რომ ჯარის ნაწილებს გაუძღვებიან და უჩვენებენ ბილიკებს, რომლითაც შეიძლება გავლა მდ. ჩოლოქსა და ნატანებს შუა მდებარე ჭაობებში და იქვე შეადგინეს მზვერავი რაზმები“.**



გიორგი მაზნიაშვილი
ნოე ჟორდანიასთან ერთად

## გიორგი მაზნიაშვილი:

## მთავრობის წევრნი მოდიოდნენ ბათუმში პოზიციების დასათვალიერებლად, მაგრამ იმის მაგივრად, რომ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის, რა ხიფათი მოელოდა საქართველოს, შეიარაღებული მტრის თვალწინ მართავდნენ განუწყვეტელ მიტინგებს და ელაპარაკებოდნენ რევოლუციის მონაპოვარზე

◀ რადგან რაზმი მეტად მცირერიცხოვანი მყავდა; და, თუ ვინიცობაა, უკან დახევა მოგვიხდებოდა, მტერს საშვალება მიეცემოდა, დაეჭირა საჯავახო და გამოსულიყო რიონის ველზე.

ჩოლოქის პოზიციას მე ვუყურებდი როგორც დროებითს გამაგრებულ ადგილს, მაგრამ დაპირებული ჯარის ნაწილების მოსვლისთანავე, ვფიქრობდი, დამეჭირა უფრო ხელსაყრელი პოზიცია მთის ქედზე, რომელიც მიდიოდა რკინის გზიდან ნასაკირალის უღელტეხილამდე და შემდეგ — სოფ. შემოქმედამდე.

**ჩოლოქის პოზიციას ჰქონდა მხოლოდ ერთი უპირატესობა: ზღვის ნაპირიდან ოზურგეთამდე მდ. ჩოლოქისა და ნატანების ნაპირები ჭაობიანი და თითქმის გაუვალია არტილერიისა და ქარავნისათვის. იქ გავლა შეუძლიათ მხოლოდ მოხუცებულ ადგილობრივ მცხოვრებთ, და ისიც ნაცნობი ბილიკებით. ეს პოზიცია მარჯვენა ფრონტზე მიდიოდა შავ ზღვამდე, ხოლო მარცხენაზე — აჭარისტანის მთების სიმაღლემდე, თავისუფალი გასასვლელი ჰქონდა ორგან: რკინისგზის ლიანდაგის გვერდით — მდ. ჩოლოქისა და ნატანების რკინისგზის ხიდებით, და მეორე — მარცხენა ფრთაზე, ლიხაურის ხეობით, ქ. ოზურგეთამდე.**

ცხადი იყო, რომ ოსმალები უმთავრესად მოაწვებოდნენ ამ გასავალ გზებს.

1-ლ აპრილს დილით მე გავედი სამტრედიიდან სამი ეშელონით. როგორც ზევით მოვიხსენიე, ჩემს ძალებს შეადგენდა: პარტიზანული რაზმი არჩილ ფურცელაძისა — 90 შეიარაღებული კაცით და 4 ტყვიისმფრქვეველით; შორაპნის მუშათა რაზმი და 84 კაცი ინჟინერ კუკური ხუნდაძის უფროსობით. სულ მყავდა 174 თოფიანი კაცი, 4 ტყვიისმფრქვეველი და 6 ზარბაზანი, 4 ოფიცრით და 150 ჯარისკაცით. როგორც ხედავთ, რაზმი ძალიან პატარაა, მაგრამ იმედი მქონდა ჩქარი დახმარებისა აღმოსავლეთ საქართველოდან და ჯარისკაცთა მობილიზაციისა ოზურგეთის მაზრაში.

ჩემი რაზმი შესდგებოდა თითქმის მხოლოდ სტუდენტებისა და საშუალო ინტელიგენტებისაგან და, აგრეთვე, შორაპნის რაიონის კარგად შეგნებულ მუშებისაგან. ყველას ესენი მამულიშვილური გრძნობით იყვნენ აღჭურვილნი და სახეზე ყველას ეტყობოდა გამბედაობა და მტკიცე გადაწყვეტილება, რომ დაიხოცებოდნენ და მტერს კი სამშობლოს ერთ მტკაველ მიწას არ მისცემდნენ.

**ნატანებში ჩემს რაზმს მიემატა ჯავშნიანი მატარებელი. იქვე გავიგე, რომ მე-4 ქართული ლეგიონის უფროსი პოლკოვნიკი ს. წერეთელი ოზურგეთში იჭერს მისივე ლეგიონიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს და ამგვარად ხელახლა ადგენს ლეგიონს. ხოლო მე-2 ქვეითი ლეგიონის უფროსი, პოლკოვნიკი ყარალაშვილი თავის ნარჩენ ნაწილებით გამოვიდა ბათუმიდან და დაბანაკდა ქობულეთში.**

უკანასკნელი ცნობა ცხადად მოწმობდა, რომ ოსმალებმა ბათუმი დაიჭირეს, მაგრამ წინ წამოწევას არ ჩქარობდნენ. საჭირო იყო, გვესარგებლა ამ გარემოებით და საჩქაროდ გაგვემაგრებინა პოზიციები მდ. ჩოლოქზე.

ბატარეის უფროსმა კაპიტან კარგარეთელმა რამდენიმე საათის შემდეგ მომახსენა, რომ მან უკვე ამოირჩია ორი პოზიცია, ერთი სადგურ ნატანების უკან, მარჯვნივ, და მეორე მდ. ნატანების ხიდთან. შორაპნის რაზმის უფროსს ინჟინერ ხუნდაძეს ვუბრძანე, წინ წაეწია და დაეჭირა პოზიცია ჩოლოქის ხიდის მარჯვნივ ზღვის ნაპირამდე, ხოლო პარტიზანული რაზმის უფროსს ფურცელაძეს დავავალე, დაეჭირა პოზიცია იმავე ხიდის მარცხნივ. ორივე რაზმი დაუყოვნებლივ შეუდგა თხრილების ამოღებას. ჯავშნიანი მატარებელი ჩავაყენე რეზერვში.

**ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან საჩქაროდ დავიბარე პატივცემული მოხუცებული მცხოვრებნი, რომელთაც ავუხსენი ჩემი მოსვლის მიზანი, საქმის ვითარება და დავასკვენი, რომ თუ მთელი მცხოვრებნი მთლიანად არ გამიწევენ დახმარებას, მარტო მე ვერ შევძლებ მათი სოფლების, ქონებისა და ცოლ-შვილის დაცვას. ყველამ გამოსთქვა სურვილი ყოველგვარი დახმარებისა. იქვე გადასწყვიტეს, რომ გამოვლენ ყველანი, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან, ხოლო მოხუცებულებმა და ბავშვებმა აღმითქვეს, რომ ჯარის ნაწილებს გაუძღვებიან და უჩვენებენ ბილიკებს, რომლითაც შეიძლება გავლა მდ. ჩოლოქსა და ნატანებს შუა მდებარე ჭაობებში და იქვე შეადგინეს მზვერავი რაზმები.**

პირველად ამ რაზმეულებისაგან გავიგე, რომ მე-2 ქართული ლეგიონი თითქმის უვნებლად გამოვიდა ბათუმიდან და ქობულეთისაკენ მოდის მწყობრად და წესიერად.

ამ მომენტიდან იწყება პარტიზანული რაზმების შედგენა სოფლებში, იარაღი თითქმის ყველას ჰქონდა და ძალიან ცოტა თოფი დაგვჭირდა ხალხის შესაიარაღებლად.

2 აპრილს დილით მე უკვე დაჭერილი მქონდა ყველა პოზიციები სოფელ ვაშნარამდე, რომელიც მდებარეობს სადგ. ნატანებიდან 16 ვერსის მანძილზე. მართალია, ამ პოზიციებს შუა ზოგიერთი ადგილები გაუმაგრებელი იყო, მაგრამ ყოველ წუთს ველოდი ტფილისიდან დამხმარე ჯარებს.

ამასთან ერთად, დავიჭირე კავშირი ცნობილ რევოლუციონერ ისიდორე რამიშვილთან და ვთხოვე, მოეხდინა მობილიზაცია მთელ მაზრაში და შეიარაღებული ხალხი ცალკე ჯგუფებად გამოეგზავნა ჩემს შტაბში. რამიშვილმა მიპასუხა, რომ იმან უკვე მოახდინა მობილიზაცია და რამდენიმე რაზმი უკვე გამოგზავნა ჩემს განკარგულებაში. რამიშვილმა, ამასთან, აღმითქვა შემდეგში ყოველგვარი დახმარება.

ამის შემდეგ **კორპუსის უფროსს, გენერალ გაბაშვილს ვრცელი მოხსენება გავუგზავნე და ვთხოვე, გამოეგზავნა დამხმარე ჯარები და ძველი ნამსახური ოფიცრები შტაბის შესადგენად და ახლად შემდგარი მრავალი პარტიზანული რაზმების სახელმძღვანელოდ. ვთხოვე, აგრეთვე, სადგურ სამტრედიაში საინტენდანტო და სასანიტარო ნაწილების მოწყობა. კორპუსის უფროსმა ჩემი განკარგულებანი და დანიშნული პოზიციები მოიწონა. გასცა განკარგულება, რომ სამტრედიაში მოეწყოს საინტენდანტო და სასანიტარო ნაწილები. გამომიგზავნა რამდენიმე ათეული ოფიცერი, მაგრამ იმავე დროს მაცნობა, რომ ოსმალეთის ჯარებს იერიში მოაქვთ არა მარტო ბათუმის მხრივ, არამედ ახალციხისაკენ და ბამბაკის ხეობით, ამიტომ ის იძულებულია მე-3 დივიზიის უკვე შემდგარი ნაწილები გაგზავნოს ახალციხეში, ხოლო მე-2 დივიზიის ნაწილები დასტოვოს ტფილისში იმ შემთხვევისათვის, თუ ოსმალები წამოვლენ ბორჩალოს მაზრისაკენაც. ამასთან ერთად, კორპუსის უფროსი მეტს მნიშვნელობას აძლევდა ოსმალების წინსვლას ბათუმის მხარეზე და ამიტომ განიზრახა კორპუსის შტაბის გადმოტანა სამტრედიაში.**

2 აპრილს ჯავშნიანი მატარებლით გავემგზავრე ქობულეთისაკენ ადგილების დასათვალიერებლად და, აგრეთვე, მე-2 ქართული ლეგიონისა და მისი უფროსის, პოლკოვნიკ ყარალაშვილის სანახავად.

ოჩხამურის ხიდი რომ გავიარეთ და ქობულეთს ორი ვერსის მანძილზე მივუახლოვდით, შევნიშნეთ ჩვენსკენ მომავალი მატარებელი. ვუჩვენეთ ნიშანი და მატარებელი გავაჩერეთ. გამოირკვა, რომ ეს იყო მე-2 ლეგიონის ეშელონი.

ჩემთან მოვიდა უფროსი და მომახსენა, რომ ოსმალები გამოჩნდნენ ჩაქვის მიდამოებში და მოიწევენ ქობულეთისაკენ. ჩემს შეკითხვაზე — რას წარმოადგენს მე-2 ლეგიონი, ყარალაშვილმა მიპასუხა, რომ ლეგიონში დარჩა 500 ჯარისკაცი, რომ იგი, როგორც სამხედრო ნაწილი, არაფრად არ ვარგა, რომ შედგენილია ტრაპიზონის რაიონში სხვადასხვა ნაწილებისაგან, უმთავრესად კი სხვადასხვა სამხედრო დაწესებულებებში ნამსახური ჯარისკაცებისაგან, რომელთა ერთადერთი მისწრაფებაა, რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

ამგვარი პასუხის შემდეგ, მე გადავწყვიტე, ეს ლეგიონი საომრად არ დამეტოვებინა, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, რომ ამგვარი ჯარის ნაწილი არამცთუ არავითარ დახმარებას არ მოგვცემდა, არამედ პირიქით, იმ პატარა რაზმსაც გამიფუჭებდა, რომელიც პოზიციებზე იდგა.

მე ვუბრძანე ყარალაშვილს, რომ თავისი ლეგიონით ასულიყო სადგურ ლანჩხუთში, იქ დაბანაკებულიყო, ჯარისკაცები დაესვენებინა, თავისი ლეგიონი შეევსო იმ რაზმებით, რომელთაც მიგზავნიდა ისიდორე რამიშვილი და ამგვარად შეედგინა სათადარიგო რაზმი. ამასთან, ვუთხარი ყარალაშვილს, გაეფრთხილებინა ჯარისკაცები, რომ ჩემი განკარგულებით სამტრედიაში დგას ჯავშნიანი მატარებელი და საპიორების გუნდი, რომელთაც ნაბრძანები აქვთ, დააპატიმრონ ყველა დეზერტირი და გადასცენ სამხედრო-საველე სასამართლოს.

ამ მუქარამ გავლენა იქონია და ჯარისკაცთა მომეტებული ნაწილი დარჩა ლაშქარში.

იმავე დღეს მოვიდა ჩემთან სამი ოფიცერი: გენერალური შტაბის პოლკოვნიკი კოსტილი და პორუჩიკები ვაჩნაძე და მოსტოვოი; სამივენი მსახურობდნენ პლასტუნების ბატალიონში, რომელიც მოქმედებდა კავკასიის ფრონტზე.

რანაირად მოსწყდნენ ისინი თავიანთ ბატალიონს, არ ვიცი, ხოლო მე ძალიან ვსაჭიროებდი შტაბში მომუშავე ოფიცრებს და ამიტომ ისინი დავტოვე ჩემთან. პოლკოვნიკი კოსტილი დავნიშნე ჩემი შტაბის უფროსად, ხოლო ვაჩნაძე და მოსტოვოი — ადიუტანტებად.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამეერთე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geoworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ქვის კაცი



**55 წლის ბრიტანელი რობერტ კინჰორნი იშვიათი დაავადებით იტანჯება. მისი კუნთები და შემაერთებელი ქსოვილები გაქვავებას იწყებს და დამატებით ძვლოვან წარმონაქმნებს აჩენს. ამ სენით შეპყრობილი ავადმყოფი გადაადგილების უნარს კარგავს და „ქვავდება". ასე მსოფლიოში სულ 2500 კაცია დაავადებული. სამწუხაროდ, თანამედროვე მედიცინა ამ შემთხვევაშიც უძლურია.** საშინელი დიაგნოზი რობერტს 2 წლის ასაკში დაუსვეს — მაშინ ბავშვს კისერი გაუშეშდა. 1980 წელს კი შუახნის კინჰორნი არჩევანის წინაშე დადგა – მთელი ცხოვრების განმავლობაში მჯდარიყო თუ მდგარიყო. მან ფეხზე დგომა არჩია და მას შემდეგ არასდროს დამჯდარა. ექიმებმა რობერტს სწრაფი სიკვდილი უწინასწარმეტყველეს, მაგრამ კაცი დღემდე ცოცხალია.

# ადამიანი-ბატარეა

**სლავისა პაჟკიცმა მეცნიერები საგონებელში ჩააგდო — იგი მაღალ ძაბვას ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე უძლებს!**

54 წლის სერბი მექანიკოსი ირწმუნება, რომ შეუძლია გამტარის, იზოლატორის, აკუმულატორისა და გამათბობელის ფუნქციები შეასრულოს. მხოლოდ შინაგანი ენერგიის ხარჯზე სოსისის შეწვა მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

**სლავისამ თავისი განსაკუთრებული უნარი 17 წლის ასაკში აღმოაჩინა. „ერთ დღეს მე და ჩემი კოლეგები მეტალის ღობეს ვამონტაჟებდით. ამ დროს დაიწყო წვიმა და ჩემმა მეგობარმა, რომელსაც ხელი ღობეზე ედო, მითხრა, რომ ელექტროობას გრძნობდა. მე ცოტათი შემეშინდა დენის, მაგრამ ღობეს ხელი მაინც შევახე და ვერაფერი ვიგრძენი. ამ მომენტიდან დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. ახლა, როცა ჩემს სამეზობლოში შუქი ქრება, მეზობლები აღარ ნერვიულობენ, რადგან ჩემი სახლი ყოველთვის განათებულია", — იხსენებს პაჟკიცი.**





მას შემდეგ, რაც ტელევიზიაში გამოჩნდა, პოპულარული გახდა, ხალხი ცნობს და მასთან შეხვედრა უხარიათ, იგი ადამიანებს სხვადასხვა დაავადებებისგან კურნავს, თუმცა ხელის ჩამორთმევის ეშინიათ.

ფოტოზე პაჟკიცი საწვავით გაჟღენთილ ბამბის ბურთულას აალებს დამუხტული სკალპით. 1983 წელს სლავისამ თავისი პირველი რეკორდი დაამყარა — 20 000 ვოლტ ძაბვას გაუძლო.

ამას 2003 წლის მეორე რეკორდი მოჰყვა — ჭიქა წყალი წუთსა და 37 წამში 97 გრადუს ცელსიუსამდე გააცხელა. ორივე რეკორდი გინესის რეკორდების წიგნშია შესული. სლავისა გაჩერებას არ აპირებს, უნდა, მესამე მსოფლიო რეკორდი დაამყაროს — თავი მილიონვოლტიანი გენერატორით „დაიტენოს" და შემდეგ თითით ლაზერი ისროლოს.

# სიყვარული ჩინურად

**50 წლის წინათ ლიუ იყო ერთი ჩვეულებრივი 19 წლის მეთევზე, რომელსაც ჭკუის დაკარგვამდე შეუყვარდა 29 წლის ქვრივი, შვილიანი ქალი კსიუ. იმ დროისათვის ჩინეთში ახალგაზრდა მამაკაცისა და მასზე რამდენიმე წლით უფროსი ქალის ერთად ყოფნა ამორალურად ითვლებოდა, ასეთ ურთიერთობას ინცესტსაც კი ადარებდნენ, ამიტომ წყვილი იძულებული შეიქნა, ქალაქიდან გაქცეულიყო და ერთი მაღალი მთის გამოქვაბულში დასახლებულიყო.**





პირველ წლებში ძალიან გაუჭირდათ, ფაქტობრივად, არაფერი ებადათ. როგორც კსიუ იხსენებს, ბალახებითა და ფესვებით იკვებებოდნენ. შემდეგ ლიუმ თავისი ხელით გააკეთა ნავთის ლამფა, რომელმაც „ოჯახში" სინათლე და იმედის ნაპერწკალი შემოიტანა, რომ ყველაფერი ნელ-ნელა დალაგდებოდა.

**ამავე დროს ლიუმ მთაზე დაიწყო კიბის საფეხურების ამოკვეთა, რათა მის ცოლს ნებისმიერ დროს შეძლებოდა მთიდან მშვიდად დაშვება. 50 წლის განმავლობაში მან 6 000 საფეხური ამოკვეთა.**

ეს წყვილი მათი გაპარვიდან მალე ყველას მიავიწყდა და მხოლოდ 52 წლის შემდეგ, 2001 წელს, მოგზაურთა ერთი ჯგუფი სამხრეთ ჩუნცინის ტყეებში შემთხვევით წააწყდა მთაზე ამოკვეთილ ათასობით საფეხურს. გაუყვნენ გზას ბოლომდე და მთის მწვერვალზე მოხუცებულ ცოლ-ქმარს შეხვდნენ.

„ჩემს მშობლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მათ 50 წელი დაჰყვეს ერთად და არასოდეს უჩხუბიათ, – ყვება ლიუს შვიდიდან ერთ-ერთი შვილი, — მამამ მთელი ცხოვრება შეალია ამ საფეხურების ამოკვეთას იმისათვის, რომ დედას შეძლებოდა ნებისმიერ დროს ჩასულიყო ქვემოთ, მაგრამ დედას ერთხელაც კი არ დაუდგამს ფეხი მასზე, მას არ სურდა იმ სამყაროსთან დაბრუნება, რომელმაც გარიყა და ხელი კრა".

2006 წელს 72 წლის ლიუ სამსახურიდან ბრუნდებოდა, თითქმის ავიდა კიბის ბოლოსკენ, რომ უცებ თავბრუ დაეხვა და მოწყვეტით დაეცა მიწაზე. კსიუმ, რომელიც ყოველთვის მწვერვალზე ელოდებოდა მეუღლეს, შენიშნა ეს და იმწუთშივე გაექანა ქმრისკენ, სწორედ მაშინ გამოიყენა ცხოვრებაში პირველად ქსიუმ ეს საფეხურები. ლიუ კვდებოდა, თვალცრემლიანი ცოლი კი ლოცულობდა. მეუღლის ბოლო სიტყვები შემდეგი იყო: „მოგეწონა ჩემი საჩუქარი?" და იქვე დალია სული საყვარელი ქალის მკლავებში.

სიყვარულის ამ ისტორიამ პირველი ადგილი დაიკავა ჟურნალში Chinese Women Weekly. ხოლო სახელმწიფომ გადაწყვიტა, შეენარჩუნებინა ხელით ნაკვეთი საფეხურები და გახსნა მუზეუმი იქ, სადაც ლიუ და კსიუ ცხოვრობდნენ.

# უჩვეულო ანდერძების ისტორია

**ისტორიას ახსოვს ფაქტები, როდესაც ანდერძის მიზეზით ომები იწყებოდა ან ნაანდერძევი მეფის გვირგვინის გამო გადატრიალებები ეწყობოდა, ხოლო ცნობილი ადამიანების საიდუმლოებით მოცული ანდერძების ირგვლივ უამრავი ლეგენდა იქმნებოდა. მაგრამ არსებობს ანდერძები, რომლებიც თავისი უჩვეულობით შემოინახა ისტორიაში.**



**ყველაზე ვრცელი ანდერძი** შეადგინა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **თომას ჯეფერსონმა**. ქონებასთან დაკავშირებული მითითებების გარდა, მან დეტალურად აღწერა საკუთარი მოსაზრება და მსჯელობა ამერიკის ისტორიის თაობაზე. მემკვიდრეები კი, ანდერძის შესაბამისად, კუთვნილ წილს მიიღებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაათავისუფლებდნენ მათ საკუთრებაში მყოფ ყველა მონას.



**ისტორიისათვის ყველაზე სასარგებლო ანდერძი უილიამ შექსპირმა** დატოვა. მან დეტალური დავალებები ჩამოწერა თავისი ქონების განკარგვის თაობაზე.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია არა ქონების მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მითითებები, არამედ თავად ანდერძის არსებობა, ვინაიდან ის აბათილებს ეჭვებს, თითქოს შექსპირი მხოლოდ ფსევდონიმი იყო.



**ყველაზე ცნობილი ანდერძი ალფრედ ნობელმა** დატოვა. ნათესავებმა ის სასამართლოში გაასაჩივრეს, მაგრამ მემკვიდრეობიდან მხოლოდ ნახევარი მილიონი კრონა ხვდათ წილად, ხოლო დანარჩენი 30 მილიონი მოხმარდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი – ნობელის პრემიის დაფუძნებას.

**ყველაზე მოკლე ანდერძი** ერთ ლონდონელ ბანკირს ეკუთვნის. ის მხოლოდ სამი სიტყვისგან შედგება: „მე სრულიად გაკოტრებული ვარ".

**ყველაზე უხამსი ანდერძი მარსელში შეადგინა ერთმა მეწაღემ**. მისი ანდერძის 123 სიტყვიდან 94-ის წარმოთქმა ნებისმიერ, შედარებით წესიერ საზოგადოებაშიც კი შეუძლებელია.



„კატეგორიულად და ცალსახად ვკრძალავ ჩემი მემკვიდრეობის ნებისმიერ აღწერას, ნებისმიერ სასამართლო ჩარევას და ჩემი ქონების გამოქვეყნებას," — ასეთი ანდერძი დატოვა ცნობილმა მილიარდერმა **მიშელ როტშილდმა**. ანდერძის გამო მის მიერ დატოვებული ქონების საერთო მოცულობა დღემდე უცნობი რჩება.



**ყველაზე ბევრი ნაღდი ფული** ანდერძით **ჰენრი ფორდმა** გაანაწილა. მისი სურვილით, 500 მილიონი დოლარი 4157 სასწავლო და საქველმოქმედო ორგანიზაციას გაუნაწილდა.



გასაგებად ყველაზე რთული ანდერძი დაწერა ცნობილი ფიზიკოსის — **ნილს ბორის ლაბორანტმა**. მან ტექსტში იმდენი სპეციალური ტერმინი და ფრაზა გამოიყენა, რომ ანდერძის გაშიფვრისათვის ფიზიკისა და ლინგვისტიკის ექსპერტების მოწვევა გახდა საჭირო.



**ყველაზე შეურაცხმყოფელი ანდერძი** შუა საუკუნეებში საკუთარ ცოლს ერთმა ფერმერმა დაუტოვა. მან მეუღლეს უანდერძა 100 ლივრი, მაგრამ დატოვა განკარგულება, რომ მისი გათხოვების შემთხვევაში კიდევ 100 ლივრი გადაეცეს იმ უბედურს, ვინც მას ცოლად შეირთავს, ვინაიდან საცოდავს ეს ფული ნამდვილად დასჭირდება.



**ყველაზე დიდი ქონება**, რომელიც ანდერძით ცხოველს დაუტოვეს, მილიონერ კინო-პროდიუსერს — **როჯერ დორკასს** ეკუთვნის. 65 მილიონი დოლარი მან თავის საყვარელ ძაღლს, მაქსიმილიანს უანდერძა, ხოლო მეუღლეს მხოლოდ 1 ცენტი დაუტოვა. სასამართლომ ეს ანდერძი კანონიერად ცნო, ვინაიდან მის შედგენამდე პატრონმა ძაღლს გაუფორმა ყველა საჭირო „ადამიანური" საბუთი. მაგრამ იგივე „ადამიანური" საბუთების საფუძველზე მილიონერის მეუღლე მაქსიმილიანს გაჰყვა ცოლად და მისი სიკვდილის მერე, ვინაიდან ძაღლს ანდერძი არ დაუწერია, მისი ქონების სრულუფლებიანი მემკვიდრე გახდა.





## სლოკინი დაუსრულებლად

**24 წლის მუსიკოსი კრის სანდსი ყოველ 2 წამში ერთხელ ასლოკინებს. მან განკურნება ხან ხალხური მედიცინით, ხანაც ჰიპნოზით და იოგით სცადა, მაგრამ ამაოდ. ექიმები ვარაუდობენ, რომ კრისს კუჭსა და საყლაპავს შორის გადასასვლელი მილი აქვს დაზიანებული.**

სანდსი ერთ-ერთი როკ-ჯგუფის გიტარისტია, ამიტომ წუხს, რომ დაავადებამ მის კარიერას ხელი შეუშალა, რადგან სლოკინის გამო სიმღერას ვერ ახერხებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უჩვეულო სენით შეპყრობილნი

**არიან ადამიანები, რომლებიც მეცნიერებისა და თანამედროვე მედიცინისთვისაც კი უცნობი და დღემდე ამოუხსნელი სენით არიან შეპყრობილნი.**

## ყველაზე დიდფეხება



**33 წლის ბრიტანელ მენდი სელარსს, დაუდგენელი მიზეზის გამო, განუწყვეტლივ ეზრდება ფეხები. ექიმები ერთადერთ გამოსავალს ორივე კიდურის ამპუტაციაში ხედავენ.** მენდის ფეხები სამჯერ აღემატება ტანს, მარცხენა ფეხი 13 სმ-ით გრძელია მარჯვენაზე, წვივი დეფორმირებული აქვს და 180 გრადუსითაა ამობრუნებული. „127 კილოგრამს ვიწონი, აქედან 95 კილოგრამი ჩემი ფეხების წონაა," — ამბობს მენდი. მენდის დაბადებისთანავე ექიმები ფიქრობდნენ, რომ 2 კვირასაც ვერ იცოცხლებდა. მისი ფეხები სხვადასხვა ზომისა იყო და ტანთან შედარებით — აბსოლუტურად არაპროპორციული. თუმცა 18 თვისამ ყველასათვის მოულოდნელად გაიარა. ავადმყოფობის მიუხედავად, მენდი სელარსი აქტიურ და შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა.



## «ტიკ-ტაკის» მენიუ

**17 წლის ნატალი კუპერი უცნაური სენით არის დაავადებული — გოგონა პიტნის კანფეტ „ტიკ-ტაკის" გარდა ვერაფერს ჭამს.** ნატალის კუჭს მხოლოდ ამ საკვების გადამუშავება შეუძლია, სხვა საკვები ნივთიერებები მის ორგანიზმში შპრიცით შეჰყავთ. სამწუხაროდ, ექიმები ამ სენის წინაშე უძლურნი აღმოჩნდნენ და სხვაგვარი დახმარების გაწევა ჯერჯერობით ვერ შეძლეს.

## გულყრა სიცილისგან



**20 წლის კეი ერთდროულად კატალეფსიითა და ნარკოლეფსიით არის დაავადებული.** კატალეფსია იშვიათი დაავადებაა, რომლით შეპყრობილებსაც ნებისმიერი მძაფრი ემოციის (სიხარული, შიში, გაკვირვება) გამოხატვისას კუნთები უდუნდებათ და მყისვე გული მისდით. ნარკოლეფსია კი უცაბედ ძილს იწვევს. კეის ხან გზაში ეწვევა ძილი და შესაძლოა, ფეხზე მდგომსაც ჩაეძინოს, ან გვარიანად გადახარხარებისას უცებ გულწასული დაეცეს.



## ვერცხლისფერი კაცი

**უჩვეულო დაავადება აქვს ყაზანის მკვიდრ ვალერი ვერშინინს. 1973 წელს მას ექიმმა ქრონიკული სურდოს შესამსუბუქებლად უწყინარი ცხვირის წვეთები – პროტარგოლი გამოუწერა.**

ამ წამლის ჩაწვეთებისთანავე მამაკაცმა ბუნებრივი კანის ფერი დაკარგა და მოლურჯო-მოვერცხლისფრო შეფერილობა მიიღო, რამაც კინოფილმების გმირ უცხოპლანეტელებს დაამსგავსა. მერე ხელებსა და მკერდზეც შეევერცხლა თმები. გაოცებულმა ექიმებმა პაციენტს ანალიზების გაკეთება ურჩიეს. მხოლოდ ხანგრძლივი ამბულატორული გამოკვლევების შემდეგ მოხერხდა ბუნდოვანი დიაგნოზის დასმა: „ვერ გავარკვიეთ, ალერგია გაქვთ თუ არგეროზი. საქმე ისაა, რომ ამ წვეთების შემადგენლობაში აზოტ-მჟავური ვერცხლი შედის, რომელიც რატომღაც თქვენმა ორგანიზმმა ვერ მიიღო". ვალერი, ამ დიაგნოზის მიუხედავად, ოპტიმისტურად არის განწყობილი. აქამდე თუ ჯანმრთელობას ხშირად უჩიოდა, „გალურჯებ-გავერცხლისფერების" შემდეგ 30 წლის განმავლობაში სულ 3-ჯერ იყო გაცივებული.

## უსასრულო ზრდა



**13 წლის ამერიკელი ბრენდონ ადამსის სიმაღლე 232 სანტიმეტრია.** მოზარდს მე-12 ქრომოსომის გენეტიკური დეფექტი აქვს, ამის გამო სიმაღლესთან ერთად უზარმაზარ ზომებს მიაღწია მისმა ორგანოებმაც. ადამსს უკვე ამოაჭრეს უსაშველოდ გაზრდილი ნაღვლის ბუშტი. 4 თვის ასაკში ბრენდონს ყველა კბილი ჰქონდა, 5 წლის ასაკში კი თავის უფროს ძმაზე ორჯერ მაღალი იყო. არადა, ბიჭის ყველა ნათესავი ნორმალური სიმაღლის არის.

ექიმებმა არ იციან, როგორ განკურნონ ეს იშვიათი დაავადება. მოზარდს ჰორმონალური თერაპია ჩაუტარდა, რამაც სიმაღლეში ზრდა ცოტათი შეანელა, მაგრამ მედიკოსები მაინც შიშობენ, რომ ბრენდონს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია.



## თვალგახელილი ძილი

**მელბურნის 21 წლის მკვიდრი, უკვე 4 წელია, უცნაური სენით არის დაავადებული — მას 3 დღის განმავლობაში თვალები გახელილი აქვს, ხოლო შემდგომი 3 დღე – დახუჭული.**

ამ დროს **ნატალი** ფხიზლობს, თუმცა თვალები ისე ეხუჭება, რომ მათი გახელა ექიმებსაც კი არ შეუძლიათ. ამბობენ, რომ ეს მსოფლიოში ერთადერთი შემთხვევაა. გოგონამ არაერთი გამოკვლევა ჩაიტარა, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.



## კვება ჰაერით

**ეგვიპტურ ქალაქ კაფრ საკრში ცხოვრობს 13 წლის გოგონა, რომელსაც, წელიწადია, საკვები და სასმელი არ მიუღია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, განაგრძოს ჩვეულებრივი ცხოვრება, თავს მშვენივრად გრძნობს და წონასაც ინარჩუნებს.**

რამდენიმე ხნის წინ მას ალერგია ჰქონდა, როცა განიკურნა, აღმოაჩინა, რომ საერთოდ არ სურს საკვების მიღება. თავიდან მშობლებმა ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცეს, რადგან გოგონა კარგად გამოიყურებოდა და ექიმსაც არ მიმართეს. თუმცა მოგვიანებით შეშფოთებულებმა გადაწყვიტეს, გაერკვიათ, რა უცნაურობა დაატყდა მათ გოგონას თავს და ჯანდაცვის სამინისტროს მიმართეს. მიუხედავად ქვეყნის წამყვანი სპეციალისტების ჩარევისა, ამ დრომდე დიაგნოზი დაუდგენელია.

# არიზონის ტალღა

**კოლოსალურმა ძალებმა ეს ადგილი თითქოს მიწისგან „გამოძერწა", ამერიკის 2 შტატის — არიზონისა და იუტას საზღვარზე ბუნების კიდევ ერთი გამოცანა – არიზონის ტალღა გადის, როგორც დიდი ავტომაგისტრალი, მაგრამ მას არც სამანანე გზასთან აქვს რაიმე კავშირი და არც წყლის სტიქიასთან.**

ის უკვე „მოხუცია", მისი ასაკი პატივის ღირსია – მიწა, რომლისგანაც ეს არაჩვეულებრივი „ტალღები" შეიქმნა, უკვე 190 მილიონი წლისაა. **„ტალღა" კარგადაა უდაბნოში დამალული. ვინც გზა არ იცის, შესაძლოა, ვერც ვერასდროს მიაგნოს მას. შტატის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, წელიწადში მხოლოდ ოც „ბედნიერს" აქვს უფლება, არიზონას ტალღა მოინახულოს.**







# საქართველოში სირცხვილი 5 ლარი ღირს




**„რეფორმატორული საკვები ჰალსტუხის“ პრეზენტაცია 13 სექტემბერს „ტიფლის ავენიუში“ გაიმართა. პატარა საგამოფენო დარბაზში სტუმრებს ჟურნალისტები ვჭარბობდით. ორგანიზატორებსაც არ მოუწყენიათ ბევრი საუბრით თავი და ტყლაპის დაგემოვნება გვირჩიეს, რომელიც თურმე ვაშლის პიურესგან მზადდება.**
**ბევრმა, ალბათ, პირველად აღმოაჩინა, რომ „ტყლაპი განსაკუთრებით უხდება ღვინოს“.**

„საკვები ჰალსტუხის“ შექმნის იდეა ოლეგ პანფილოვსა და ლევან ჩოლოყაშვილს ეკუთვნით. იდეის ავტორებმა პროდუქტის სუპერმარკეტებში გასაყიდად სპეციალური შტრიხკოდიც კი შეიძინეს. ჰალსტუხის ფასი 5 ლარია.

**იდეის ავტორებმა საუბრის დასაწყისშივე უარყვეს ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მისი შექმნა პრეზიდენტის სახელთანაა დაკავშირებული.**

ჰალსტუხის ღეჭვა ბევრისთვის პრეზიდენტ სააკაშვილის სახელთან ასოცირდება. ტელეკამერებმა დააფიქსირეს, თუ როგორ ღეჭავდა სააკაშვილი ჰალსტუხს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, დასავლური ტელეარხის პირდაპირ ეთერში ჩართვამდე. ეს კადრები განსაკუთრებით პოპულარული რუსულ მედიაში გახდა.

პანფილოვის თქმით, ტყლაპის ჰალსტუხის, როგორც ბრენდის, შექმნა ერთ-ერთი ქართველი ეკონომისტის რჩევის შემდეგ გადაწყვიტა. **„მან მირჩია, იდეა რეალურად განმეხორციელებინა, რადგან მსოფლიოში არსად არაა მსგავსი პრეცენდენტი – „საკვები ჰალსტუხი“. ეს შეიძლება ერთ-ერთი პოპულარული ქართული ბრენდი გახდეს. არ ვიცი, რა დანიშნულება ექნება ერთმანეთისთვის საკვები ჰალსტუხის ჩუქებას, მაგრამ მჯერა, რომ ის ადამიანებს ბედნიერებას მიანიჭებს,“** – აღნიშნა ოლეგ პანფილოვმა.

ლევან ჩოლოყაშვილის აზრით, საჭმელი ჰალსტუხი ყველაზე საინტერესო, ალბათ, ტურისტებისთვის იქნება. ასევე შეუძლია ატაროს მან, ვისაც მოუხდება. მისი აზრით კი, ყველაზე შესაფერისად ამისთვის რუსი მაღალჩინოსნები მიაჩნია.

აღსანიშნავია, რომ იდეის ავტორები „საკვები ჰალსტუხის“ საზღვრებს გარეთ გადატანასაც გეგმავენ. ორიენტაცია კი უფრო რუსეთისკენ აქვთ. კითხვაზე, შეიძლება თუ არა ამ ტყლაპსაც იგივე ბედი ეწიოს რუსეთის სანიტარული სამსახურის წყალობით, რაც ქართულ ღვინოს, პანფილოვმა ღიმილით უპასუხა, რომ რუსეთის სანიტარულ სამსახურში დებილები სხედან.

პრეზენტაციის ბოლოს ოლეგ პანფილოვმა და ლევან ჩოლოყაშვილმა საზეიმოდ გახსნეს სტენდი, რომელიც პუტინისა და მედვედევისთვის იყო განკუთვნილი. მასზე „საკვები ჰალსტუხის“ 4 ნიმუში იყო წარმოდგენილი, რომელიც სასაჩუქრე მინაწერს ახლდა.

**პრეზენტაციის ბოლოს „საკვები ჰალსტუხი“ იქ მყოფ სტუმართა შორის მეც დავაგემოვნე. ავტორიტარიზმით დაავადებული საბჭოთა მენტალიტეტი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ მაინც დიდი იმედით ველოდები „პირადი ცხოვრების რეფორმირებას და ხარისხის ამაღლებას, ასევე თავისუფლებისა და დემოკრატიის მადის გაძლიერებას“.**

**ლილი მიროტაძე**

# წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარემ «საქართველო და მსოფლიო» აკრძალა

**როგორც „საქართველო და მსოფლიოს“ „სახალხო კრების“ წალენჯიხის ორგანიზაციის წარმომადგენელმა პაატა სორდიამ განაცხადა, ის შეესწრო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის — კახა ციმინტიას ხმამაღალ გამაფრთხილებელ ლაპარაკს წალენჯიხის ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან. ამ ბიბლიოთეკაში შეუძლიათ გაეცნონ „საქართველო და მსოფლიოს“ და სხვა გაზეთებსაც. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ხალხს არ აქვს გაზეთების ყიდვის შესაძლებლობა და, ხელისუფლების ჯიბის ტელევიზიებისგან განსხვავებით, რეალური და ობიექტური ინფორმაციის მიღება სურთ.**

საკრებულოს თავმჯდომარე კახა ციმინტია ძალიან გაუღიზიანებია იმას, რომ მოსახლეობას ობიექტური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები გააჩნია, მისი სურვილია, მოსახლეობა ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფოს, ამიტომაც მკაცრად გააფრთხილა ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომ „საქართველო და მსოფლიო“ და ასევე სხვა გაზეთები ბიბლიოთეკაში არ შეიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დასჯით დაემუქრა. **„წალენჯიხაში მოსახლეობა სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია, ამიტომაც მოუთმენლად ელიან ახალი გაზეთების შემოტანას. განსაკუთრებით ძალიან მოგვწონს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, საიდანაც ვიგებთ ქვეყანაში არსებულ რეალურ ვითარებას, კახა ციმინტია კი ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს“,** — განაცხადა პაატა სორდიამ. საკრებულოს თავმჯდომარემ კახა ციმინტიამ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში კატეგორიულად უარყო მსგავსი ფაქტი: **„არ ამიკრძალავს თქვენი გაზეთის ბიბლიოთეკაში შეტანა. მარტო თქვენი კი არა, სხვა გაზეთების შეტანაც არ ამიკრძალავს. პაატა სორდიას ვიცნობ, მაგრამ ვერ ვხვდები, რაში დასჭირდა ამის მოგონება ჩემზე“.** ბატონი კახა იმდენად დაინტერესდა ჩვენი გაზეთით და მისი გამოწერით, „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციამ გადაწყვიტა, მასაც და წალენჯიხის ბიბლიოთეკასაც უსასყიდლოდ გაუგზავნოს გაზეთის ნომრები.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# იმისთვის აგვირჩიეთ, რომ სულში ჩაგვაფურთხოთ?

**ერთი იმათ ტვინში ჩამახედა, ვისაც ძველ სამარშრუტო ტაქსებზე ფასების აწევა მოუვიდა აზრად. ისე როგორ უნდა დაბრმავდნენ, რომ ისედაც დაბეჩავებულ, დათრგუნულ ხალხს ახალ „მარშუტკებში“ (კომფორტულებში) და გაზინტლულებში, ორივეში 80 თეთრს ახდევინებენ?! ნუთუ იქ (ზევით) არავინაა ჭკუათმყოფელი, რომ „თავისიანებს“ ჩააგონოს: „ბიჭებო, ამასაც და სხვა რაღაცებსაც ერთხელ იქნება და ცხვირში ამოგვადენენო“. იქნებ ამათ ჰგონიათ, რომ ეს „გრიალი“ შერჩებათ? სანამ დროა, გონს მოეგეთ, ხალხნო, ეს რა ხდება?!**

ჩვენ, უხელფასო ხალხმა, რომელ ერთს გავუძლოთ! იმდენი გადასახადებია, რომ ოჯახში ერთი კარგხელფასიანი ადამიანი მარტო იმისთვის უნდა მუშაობდეს, რომ სხვადასხვა გადასახადები იხადოს. მოგვეცით, ბატონო, კარგი ხელფასი და ვინ მამაძაღლი, ყველაფერს ულაპარაკოდ გადავიხდით (ზოგ ოჯახში 1 ადამიანი ან სულაც არავინ არ მუშაობს), გვასწავლეთ, როგორ მოვიქცეთ, რომ შიმშილით სული არ ამოგვხდეს.

რისთვის აგირჩიეთ მთავრობაში, იმისთვის, რომ სულში ჩაგვაფურთხოთ? ჩვენ ყველაფერს ვხედავთ და ყველაფერი გვესმის. გთხოვთ, სანამ დროა, გონს მოეგეთ, ნუ გახდით ხალხის ცხოვრებას გაუსაძლისს, თორემ გვიან იქნება თითზე კბენანი.

**ნინო ხვიჩია**,
ეკონომისტი

# ალექსი მაჭავარიანისა და ყარა ყარაევის უკვდავი მუსიკა კონსერვატორიაში



**22 სექტემბერს, 19 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, ცნობილი დირიჟორის ვახტანგ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით.**

კონცერტის პროგრამაშია ქართული და აზერბაიჯანული მუსიკა, კერძოდ, გამოჩენილი კომპოზიტორების ალექსი მაჭავარიანისა და ყარა ყარაევის უკვდავი ქმნილებები: ალექსი მაჭავარიანის ქართული საზეიმო უვერტიურა, მეორე სიუიტა ბალეტიდან „ოტელო“ და ყარა ყარაევის სიუიტა ბალეტიდან „ქუხილის ბილიკით“.

**„ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მომეცა საშუალება შემსრულებლის, ინტერპრეტატორის როლში შევეხო ყარა ყარაევის დიდ მუსიკას. ვხარობ იმითაც, რომ მუსიკალური საზოგადოება ერთ კონცერტში მოისმენს ამ ორი დიდი მეგობრისა და შემოქმედებითი გიგანტის ქმნილებებს,“** — ამბობს ალექსი მაჭავარიანის ვაჟი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი.

საკმაოდ უჩვეულო და ორიგინალური პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების მაღალი საშემსრულებლო დონე ნამდვილად ქმნის 22 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილი მსმენელებისთვის სიამოვნების მინიჭების საფუძველს.

მოისმინეთ და ისიამოვნეთ!

# თურქეთის ფლოტი ისრაელთან ომისთვის მზადაა

თურქეთი არ მიისწრაფის ისრაელთან სამხედრო დაპირისპირებისკენ, მაგრამ ქვეყნის ფლოტი ყველა სცენარისთვის, მათ შორის ყველაზე უარესისთვისაც მზადაა. ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაეპ ერდოღანმა ეგვიპტური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. ეგვიპტეშივე გამართულ პრესკონფერენციაზე კი პრემიერმა განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში ღაზაში ჩასვლას არ აპირებს, თუმცა ღაზას სექტორის მონახულება მისი ოცნებაა და ოდესმე ამ ოცნებას აისრულებს.



გარდაიცვალა პროკურატურის ღვაწლმოსილი მუშაკი
ზაურ მიხეილის ძე კვირკველია

პანაშვიდი — 13-14 სექტემბერს.
მისამართი: ფალიაშვილის ქ. 39, მესამე სადარბაზო;
გამოსვენება — 15 სექტემბერს, 15 საათზე ამაღლების სახელობის ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net